საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№31
30 სექტემბერი – 6 ოქტომბერი, 2009
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
გამოდის ოთხშაბათობით
info@geworld.net




# აპოკალიფსის ოთხი მხედარი

# მიშველე, ფიცხელ! ვიღუპები,
## ანუ მძიმე შემთხვევა მოლანდებათა სფეროდან

3




**კულუარები** //

## რისთვის ჩამოვიდა ბერეზოვსკი საქართველოში?
5

**ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე** //

ელიზბარ ჯაველიძე:
## ალასანია სააკაშვილის ორეულია...
8

**რა ენა წახდეს** //

## ლევან ღვინჯილია უნარშეზღუდული პრეზიდენტისა და პოლიკარპე ხუბულავას «ჭიჭეტურას» შესახებ
10

**მიშა არ იცვლება** //

## რატომ დაიწყო თბილისის მერიამ სკოლის მოსწავლეების სახელდახელო დანომვრა

**პოლიტოლოგის ტრიბუნა** //

არნო ხიდირბეგიშვილი:
14
## ერევანში ქართველებმა «ქართლის დედა» პედერასტად გამოაცხადეს!

**მწარე სიმართლე** //

## «დავერბოვკებულია პოქიზნენო»
16

**ცნობისათვის** //

## ქართველებმა აფხაზებისგან თხილის გადატანის ნებართვა და უსაფრთხოების პირობა მიიღეს
19

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აპოკალიფსის ოთხი მხედარი,



ვ.მ. ვასნეცოვი, „აპოკალიფსის ოთხი მხედარი“, 1887 წელი

# ანუ

# ვასნეცოვის 122 წლის შემდეგ გაცოცხლებული ტილო

**ობამას კვალდაკვალ ეუთომაც დაგვადო. 28 სექტემბერს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ლუის მარია დე პუჩმა სპეციალურ კომისიას მოსკოვისათვის ასამბლეაში ხმის უფლების ჩამორთმევის ქართული ინიციატივის შესწავლა დაავალა. კომისია ქართულ ინიციატივას არ დაეთანხმა. გაეროს ასამბლეისა არ იყოს, ეუთოშიც ხავსს მოვეჭიდეთ. აქაც იგივე დაგვემართა, რაც წყალწაღებულს ემართება ხოლმე. ქართული დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის პერმანენტული მარცხის ფონზე გასაგები ხდება, თუ რატომ სთხოვდა გაეროს ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტი ბარაკ ობამას შველას. დიახ, სავსებით გასაგებია, თუ რატომ იქცეოდა ტრიბუნასთან საქართველოს თავკაცი ისე, როგორც რწმენისაკენ მობრუნებული ათეისტი სწრაფშემწევ ხატთან.**

**რადგან საქმე რწმენასა და რელიგიას შეეხო, შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირშიც, 1986 წლის 26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების კვალზე, გაიხსენეს სახარება, ის საოცარი პარალელები, რომლებიც დადასტურდა გამოცხადებასა და ჩერნობილის კატასტროფის შედეგებს შორის.**

ავისმომასწავებელ მინიშნებად მიიჩნიეს მაშინ ასეთი სასწაულებრივი დამთხვევა, კარსმომდგარ აპოკალიფსად.

**რამდენიმე წელიწადში დაინგრა საბჭოთა კავშირი.**

ძალიან მალე დავივიწყეთ ეს ეპოქალური კრახი და დავხურეთ ბიბლია. ნაადრევად და სამწუხაროდ. რადგან ბიბლიური მინიშნებების მატერიალიზაცია დედამიწის კატასტროფებში კვლავაც სახეზეა. „დიდი რისხვის დღე“ დგება და „ვინ გაუძლებს“?

**სააკაშვილმა ყურად არ იღო ასეულობით ათასი ქართველის შეძახილი — წადი!**

**სააკაშვილმა ყურად არ იღო დასავლეთის დიპლომატიური მინიშნება — წადი!**

**სააკაშვილმა ყურად არ იღო ბიბლიურ ბუზანკალივით, გნებავთ, კალიასავით ქართლს შეფენილი უცნაური ჯიშის მატლის შემოსევაც, არ ეშვება იგი საქართველოს, არ აპირებს ერის სამშვიდობოს გასტუმრებას, არც გუდა-ნაბადის აკვრას...**

**მოკლედ — სააკაშვილმა ყურად არ იღო ბუნების, გნებავთ, ზენაარის ულტიმატუმიც.**

მიწისძვრა რაჭაში, არნახული წყალდიდობა სხვადასხვა კუთხეში, სექტემბერში მოსული თოვლი, მატლების შემოსევა, ტექნოგენური კატასტროფები, ჩამონგრეული ლოჯიები... ეს ყველაფერი რა არის, თუ არა ნიშნები, რომლებიც სააკაშვილის ეპოქის აპოკალიფსის, ანუ დასასრულის მოახლოებას მოასწავებს?!

**სააკაშვილი არავის დაუჯერებს. ის თავისით არ წავა...**

აპოკალიფსის ოთხ მხედარზე მას, რა თქმა უნდა, სმენია. მიუხედავად ამისა, მცირე თეოლოგიური ექსკურსის უფლებას მივცემთ თავს.

აპოკალიფსის ოთხ მხედართაგან ერთ-ერთი „თეთრ ცხენზე“ ზის... თეთრი ცხენის რა მოგახსენოთ, მაგრამ შევერცხლილ თმას თუ შედარებად გამოვიყენებთ — **„შევხედე და, აჰა, თეთრი ცხენი და ზედ მხედარი“.** დავაკვირდი და, კახელი კაცისა არ იყოს, **სოროსი არ ყოფილა, ჯორჯი,** რომელმაც ჯერ თავისუფლების ინსტიტუტი, შემდეგ **ბოკერია-რამიშვილლომაია-დარჩიაშვილნი, დაბოლოს, მიშას რეჟიმი მოგვივლინა.**

**ეს თეთრი მხედარი ქრისტიანული ტრადიციით ანტიქრისტედ არის მიჩნეული, სახელდებულია როგორც „შავი ჭირი“. შავი ფულით ნაყიდ ქვეყნებში მიიწონიდა საწყაოს და ჭრიდა და კერავდა ფერად რევოლუციებს. ზოგ კლიენტს კარგად მოერგო მისი ნახელავი, ზოგმა მათრახი გადაუჭირა და პანღურიც ამოჰკრა; ჩვენ ფიანდაზები დავუფინეთ და მიმდევრებიც გავუჩინეთ, რომლებიც...**

გზა, გზა მიეცით, ბატონებო, **„გამოვიდა მეორე ცხენი, წითელი“.** ცოტა უხერხულად, თითქოს აფრიკული ცეკვის ილეთს აგრძელებს ან აბანოთუბანში როკვას განაგრძობსო, **ზის ამ ცხენზე მეორე მხედარი, პრეზიდენტი ბუში უმცროსი, რომელმაც ისეთი კოვბოური გალაღებით შეუტია მსოფლიოს, თითქოს „მიცემული ჰქონდა დედამიწიდან მშვიდობის წაღების ნება“. წაილო კიდეც და დაგვიტოვა ერაყის ნავთობზე დაგდებული მუგუზალი, ავღანეთის პერმანენტული ომი და ირანის ატომურქობინებიანი რაკეტების პერსპექტივა.**

ამ მესამეს კი ბეჭდის ახსნა არ სჭირდება: **მოდის ნასოროსალი, ნაქართველარი, ერთ-ერთი იმ უსახურთაგანი, რომლებიც, თუ რამით გამოირჩევიან, ბილიარდის ბურთებივით გლუვი თავპირითა და აცაბაცა გაქცეულ თვალთა ცეცებით. მინიშნების გარეშეც მიხვდებოდით, რომ სოროსის იდეოლოგიის მთავარ შემოქმედ ლევან რამიშვილზეა საუბარი . მას არც ასევე პირწავარდნილი სოროსელი და ბიძია ჯორჯის მთავარი იდეოლოგი გიგა ბოკერია ჩამორჩება საკუთარი ავქართული საქმეებით.**

მოჩაქჩაქებენ გაძვალტყავებული ცხენებითო, ვერ იტყვი სოროსის ამ მოციქულთა შემხედვარე.

### ჯერ კიდევ მაგრად ზის ერთ-ერთ ცხენზე ლევან რამიშვილი. სიკვდილის სიმბოლოდ აღიქმება, ადამიანების სულზე მონადირეა ის მხედარი...

კინალამ უმხედროდ დარჩა მეოთხე ცხენი. სადღაც საერთაშორისო ურთიერთობების უკანა ეზოებში დაჰბნევია გზა გიგა ბოკერიას. **მაგრამ რა დაჰკარგავს „ეშმაკის ნუგუზალს“...**

**მაინცდამაინც წითლად უნდა შეიღებოს მტკვარი სისხლით და ბაყაყები დასახლდნენ რუსთაველზე, რომ დავიჯეროთ — ესენი ღუპავენ ქვეყანას?!**

**რამდენჯერ უნდა ჩამოვარდეს აბზინდა ზეციდან მიწაზე, ეს რომ ვირწმუნოთ?**

**მაგრამ, თუ დავიჯერებთ, რასაც მიხეილ სააკაშვილი გაეროში ლაპარაკობს, მაშინ არაფერი გვეშველება.**

შველა ჩვენს თავშია. მკრეხელობად რომ არ ჩამითვალოთ, ვერ ვიტყვი, უფალმა-მეთქი, მაგრამ ჩვენი დროების მწარე რეალობამ უკვე **მოგვივლინა „ოთხი მხედარი აპოკალიფსისა“.**

მეტი რაღა ნიშანი გვინდა. მეტი რაღა უნდა დაემართოს ამ მხედართაგან ყოფანატირებ საქართველოს, რომ ვირწმუნოთ — ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

ხოლო ურწმუნო თომას, რომელიც, ვიცი, მეტყვის — მოგიბლანდია ყურით მოთრეული ამბები და მაშინებო, უბრალოდ, ვკითხავ — მეტი რაღა უნდა დაგემართოს. ისე რამ დაგაბრმავა, ცხვირს იქით ვერ გაგიხედავს და ვერ ამჩნევ, რომ ამის (სააკაშვილის) იქით საფლავზე დასობილ ხის ჯვარზე დანის წვერით ამოკაწრული ინიციალებია.

**ეს ინიციალები არც „აპოკალიფსის ოთხთა მხედართა“ და არც დამაქცევარ სააკაშვილს, არამედ შენ, და მხოლოდ შენ გეკუთვნის, ჩემო ურწმუნო თომა, და ღირსიც ხარ, რადგანაც ბრმაყრუობითა და „ავე მიშას“ ძახილით თავადვე ჩაიყვანე გვამი საკუთარ საფლავში...**

**ლაშა გიორგიძე**

**„მესამე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით ინვოდა, და ჩავარდა მდინარეთა მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე. ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა; და წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისგან, ვინაიდან დამწარდნენ ისინი“**

(გამოც. 8, 10-11).

**მიწისძვრა რაჭაში, არნახული წყალდიდობა სხვადასხვა კუთხეში, სექტემბერში მოსული თოვლი, მატლების შემოსევა, ტექნოგენური კატასტროფები, ჩამონგრეული ლოჯიები... ეს ყველაფერი რა არის, თუ არა ნიშნები, რომლებიც სააკაშვილის ეპოქის აპოკალიფსის, ანუ დასასრულის მოახლოებას მოასწავებს?! სააკაშვილი არავის დაუჯერებს. ის თავისით არ წავა...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილი გაეროში — მძიმე შემთხვევა მოლანდებათა სფეროდან

**შესანიშნავად გაართვა თავი სპიჩს სააკაშვილმა, ორატორული ხელოვნების მოთხოვნათა სრული დაცვით — ფორტე, პიანო, მოდერატო და ასე შემდეგ. ხან ფოლადს გაურევდა მტკიცედ ხმაში, ხან დაატკბობდა და ჩაშაქრავდა. მართალია, ყველასა — გაეროს, „ყველა ერებს მთელ მსოფლიოში“, „საქართველოს მეგობრებს“ (თუ კიდევ დაგვრჩა ასეთი), აშშ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, პატრულს (უკაცრავად, გავერთე) — და ყველაფრისთვის მადლობების ჩამორიგება ძალიან ჰგავდა საახალწლო ინდაურების გაგზავნას „ჩარეცხილებისთვის“, ხოლო დაშტამპულ-გაცვეთილი დებულებების პათეტიკური ჩამონათვალი კარგად დაზეპირებული საშინაო დავალების საჯარო დემონსტრირებით თავის მოწონებასავით იყო. მაგრამ ეს დეტალებია, მე კი სხვა — „მეორეხარისხოვანი“ დეტალები მაინტერესებს, და ამაზე — ქვემოთ.**



ქვემოთ, რა? ქვემოთ, დარბაზში ისხდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები — სასულიერო პირი (სამწუხაროდ, არ ვიცი მისი სახელი), წვერიანი, ოღონდ არასასულიერო, მინისტრი იაკობაშვილი, კიდევ ვიღაცები, რომელთა დახსომება ძნელია და — ეკა ტყეშელაშვილი, რომელიც, ალბათ, შეეშალათ და ეკა ზღულაძის ნაცვლად წაიყვანეს გაეროს 64-ე სესიაზე.

ამათ იყო, რომ დასცხეს მქუხარე ტაში პრეზიდენტის წარმატებული გამოსვლის დასტურად.

**დიახ, გაეროში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაზე მოგახსენებთ, რომელიც იმ მაღალი ტრიბუნიდან გაისმა საეჭვოდ გამეჩხერებული აუდიტორიის წინაშე, რომელიც „შეთხელდა, როგორც ტევრი გამონაკაფი“. ვლადიმერ მაიაკოვსკი იტყოდა ასე.**

კი მოსცილდა ერთი-ორჯერ ტელეკამერა ორატორს და დარბაზისკენ შეატრიალა ობიექტივი, მაგრამ ჩვენი დელეგაციის წევრების მეტი სხვა არავინ დაუფიქსირებია.

**უნდა ვივარაუდოთ, რომ ან არაფერი იყო საჩვენებელი, ან უხერხული იყო იქაური „რიგთაშორისი მეჩხერიანობის“ სააშკარაოდ გამოტანა — ქვეყნის მეთაური გამოდის, ქუჩის ოპოზიცია ხომ არა!**

**ვიქტორ იუშჩენკოსგან განსხვავებით, რომელიც მშობლიური უკრაინულით ლაპარაკობდა, ჩვენმა ინგლისურად მიმართა დამსწრე მაღალ საზოგადოებას, რომელიც დარბაზში უნდა მჯდარიყო...**

მოვუჯოკრეთ! ჯოკერი ბანქოს თამაშში რას ნიშნავს, ნუ დავაზუსტებთ, რადგან სააკაშვილმა თავისი თამაში ითამაშა.

აი, დაატკბო ხმა და აგვისტოს ომის გამო ლტოლვილ ბავშვებზე ალაპარაკდა. ბავშვები მომგებიანი ხერხია — გაალღობს ნებისმიერ ქვაგულს უსახლკაროდ და უპატრონოდ დარჩენილ კოზეტებზე ცრემლიანი საუბარი და გავროშების თავგანწირვაზე აქცენტის გაკეთება დამწვარი სოფლების ფონზე, რომელთაც მადააღძრული ხანძარი „ნაპერწკლიდან ანთებული“ ალის ენებით ხარბად ლოკავს.

**მაგრამ ვერ დაინახავდა იმ უბედურებას პატივცემული ორატორი, რადგან „მიწა-ჰაერის“ რაკეტების მიმართულებით იცქირებოდა ცისკენ, სადაც რუსული ბომბდამშენი უნდა გამოჩენილიყო ან გამოჩნდა.**

ვის ეცალა მაშინ ბავშვებისათვის?!

ბავშვებთან ერთი წლის თავზე მივალთ: **„ამ ზაფხულს თბილისის მახლობლად განლაგებულ ლტოლვილთა ბანაკში შევხვდი ბავშვებს, რომელნიც ამჟღავნებენ უდრეკ ნებას, იცხოვრონ ნორმალური და თავისუფალი ცხოვრებით, ჩაეჭიდონ ყველა შესაძლებლობას, ისწავლონ თანამედროვე ეპოქაში, გამოიყენონ ახალი კომპიუტერები, დაეუფლონ ინგლისურ ენას და, მიუხედავად ყველაფრისა, წინ წაიწიონ ცოდნაში“.**

ბომბები კი არ ცვიოდა შარშან აგვისტოში, ცის მანანის მადლი გადმობნეულა! ავშენებულვართ, დავმშვენებულვართ, წელში გავმართულვართ და — „საერთო სიხარულია!“ ბავშვები კი სხედან კომპიუტერებთან — ახალ კომპიუტერებთან — და ინგლისურს ეუფლებიან.

იცით კი, რის შედეგია ეს ბედნიერება?

თუ არ იცით, ყური დაგეგდოთ ორატორისთვის და გაიგებდით. იგი მოგახსენებდათ **„იმ პროგრესის შესახებ, რასაც აღწევს საქართველო ჩვენი პირადი მცდელობებით ერთ წელიწადში“.**

ჩვენი პირადითო!

მძიმე შემთხვევაა მოლანდებათა სფეროდან.

**შეიძლება, ერთგულმა ქვეშევრდომებმა მოგიწყონ „ამაღელვებელი შეხვედრა“ კომპიუტერს დაწაფებულ ლტოლვილ ბავშვებთან, შეიძლება, დაგიდგან ასეთი გულისამაჩუყებელი სცენა, მაგრამ შენ იმის პრეზიდენტი ხარ, რომ ამ რეჟისორული შედევრის იქით დაინახო რეალობა, იგრძნო და შეაფასო ის უზარმაზარი ფსიქოლოგიური სტრესი, ის შიში, სიმძიმე დათრგუნული განწყობილებისა, რომელმაც ამ ბავშვების სულში ჩაიბუდა და ასე უცებ, თუნდაც პრეზიდენტის სტუმრობით მინიჭებული ბედნიერებისა გამო, ვერ გაივლის.**

გაიარეთ, ერთხელ მაინც, თუნდაც ცალი თვალით გახედეთ იმ ლტოლვილ ბავშვებს, რომლებიც თბილისში, რკინიგზის სადგურის ბაზრობის უკან, რკინიგზის სახლებში, საავადმყოფოს ტერიტორიაზე და იმის გარშემო ცხოვრობენ, ნაგავსაყრელის მეზობლად იზრდებიან და რომლებსაც ვერასოდეს ნახავთ თქვენი, თანამედროვე და წარმატებული ტელევიზიების ფერად ეკრანებზე. მერე თქვით: **„ეს ბავშვები ჩემი ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ, ქალბატონებო და ბატონებო, ეს ბავშვები წარმოადგენენ სიმბოლოს იმ გზისა, რომელსაც საქართველო დაადგა თავდასხმის შემდეგ“.**

მანამდე რა გზას ვადექით?

**გაგვილაწუნეს და გამოვფხიზლდით?!**

გამოვფხიზლდით და ბავშვებს ინგლისურის სწავლა დავაწყებინეთ, ჩვენი მთავრობა ხომ სულ ინგლისურად ბულბულებს.

ვაშა და დიდება კახა ლომაიას, რომელსაც ჰქვია ალექსანდრე! მისი საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს, იხარა იმ ნაყოფმა, რომელიც მან საკუთარი ხელით დარგო განათლების ნოყიერ სისტემაში: კომპიუტერი და უცხო ენა აჯეჯილდა და ყანად იქცა. სხვა ყველაფერი, მათ შორის, უპირველესი — მშობლიური ქართული ფეხებზეა დასაკიდი, ან, როგორც სააკაშვილმა ამერიკაში გახიზნული ჩვენი თანამემამულეების ნიუ იორკში გამართულ შეკრებაზე განაცხადა, მისი სხეულის ერთ-ერთ ინტიმურ ნაწილზე დასაკიდი.

თუ ადგილი დარჩა, რადგან ნაწილი იგი რუსეთთან გამართულ პოლემიკაში თავგანწირულად ჩააბა.

ისე რომ, სწავლის მძებნელო, ჯერ მწარე კომპიუტერი ისწავლე, პარალელურად — ინგლისური, მიჰყევ ამ უჯიგროთა მცნებასა და დიდ გემოვნებასაც „დაიჭერ“! ანუ გახდები სიმბოლო იმისა, რაზეც მოგვახსენეს.

ამასობაში, სანამ კომპიუტერგამოვლილები მოგვესწრებიან, დემოკრატიის სამოთხის ვაშლების მოსავალიც დამწიფდება. რადგან ჩვენი ხელისუფლების თითოეული ნაბიჯი მიმართულია იმ პირობების შესასრულებლად, რაც, როგორც ბატონმა მიხეილმა ბრძანა, **„მე ამ ტრიბუნასთან დავდე — გავაძლიეროთ დემოკრატია, დავამკვიდროთ პლურალიზმი და განვავრცოთ ადამიანის პიროვნული თავისუფლება“.**

ზოგი ხატთან დებს ფიცს, ზოგი — ტრიბუნასთან, ზოგი — ასრულებს, ზოგს ჰგონია, რომ ასრულებს. ჩვენ თურმე **„შეუქცევადად ვაღრმავებთ ჩვენს იდენტურობას როგორც ჩვენს რეგიონში ყველაზე თავისუფალი სახელმწიფოსი“.**

დამადასტურებელი მაგალითები გნებავთ? — ახლავე, ბატონო:

**„ჩვენ დავუშვით ოპოზიციის თითქმის სამთვიანი პროტესტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩაკეტეს ჩვენი დედაქალაქის მთავარი ქუჩა და ამით გამოვამჟღავნეთ ჩვენი ღრმა ვალდებულება პლურალიზმის მიმართ და ჩვენი პატივისცემა განსხვავებული აზრისა და სიტყვის თავისუფლების საკითხში“.**

მართალს ამბობს, რას ერჩით! დავუშვითო, ნება მივეცითო, გავალაღეთ და გავაჯეჯილეთო სამი თვის განმავლობაში. მაგრამ რა ვუყოთ სულ პატარა, სულ უმნიშვნელო ნიუანსს, რომლის გამოც დაუშვეს და გააჯეჯილეს?

გაგახსენოთ?

**გაიძულეს, ბატონო მიხეილ, აზვირთებულმა ხალხმა გაიძულათ, დაგეშვათ და ნება დაგერთოთ, თორემ რა დემოკრატიულ ნათელშიც ვცხოვრობდით 2007-ის 7 ნოემბერი დაგვიდასტურებს. ან თუნდაც კოხტაპრუწა სასიძოს ჩოხასავით კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება!**

თუმცა ჩოხა ეროვნულობის ატრიბუტია და შედარებისთვის არ გამოგვადგება!

ახლა კი დრო დადგა, მადლობა ვუთხრათ პრეზიდენტს. მადლობა იმისთვის, რომ გავიგეთ, რის გაგებასაც აქამდე ამაოდ ვცდილობდით: **რატომ და რა მიზნით იმართებოდა პერმანენტული მიტინგები და საპროტესტო აქციები 3 თვის განმავლობაში. რა შედეგი გამოიღო და რისთვის ტარდებოდა? — თურმე იმისთვის ტარდებოდა, რომ პრეზიდენტს თავის სიტყვაში დაემოწმებინა ეს მოვლენა როგორც ხელისუფლების დამსახურების თვალსაჩინო მაგალითი.**

ისეთივე, როგორიც თბილისის მერის არჩევნები: **„ჩვენ უკვე ვიღებთ ვალდებულებას მერის პირდაპირი წესით არჩევაზე მომავალ წელს“.**

ესეც საკუთარ დამსახურებად მიიწერა.

**უკაცრავად, მაგრამ ვინ ამბობდა სულ ცოტა ხნის წინათ, ვინ გვარწმუნებდა — გირჩევნიათ ჩემი დანიშნული მერი გყავდეთ დედაქალაქის სათავეში, რომელსაც სახსრებით უზრუნველვყოფ, ვიდრე თქვენი არჩეული კაცი, რომელიც ჩემგან კაპიკსაც ვერ მიიღებსო.**

ვინ თქვა, არ გახსოვთ?

არც მე მახსოვს.

ვინ ქირქილებდა რუსთაველზე და ავლაბრის რეზიდენციასთან გაშლილ კარვებზე და გალიებში გამომწყვდეულებად მოიხსენიებდა იქ მყოფ ადამიანებს?

**ზოოპარკის ასაკიდან ახლად გამოსულთათვის არის დამახასიათებელი პოზიციების ხელთათმანებივით ცვლა.**

ვინ არიან? მე არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, რომ დავიღალე. დავიღალე იმით, რომ თვალებში ნაცარს მაყრიან, დავიღალე ისეთი ტყუილების მოსმენით, როგორც **„ჩვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მატარებელი არის მაქსიმალური რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა და ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ“.**

მოგბეზრდება, როცა გამუდმებით ცდილობენ, დაგარწმუნონ ისეთ „მიღწევაში“, რომელიც არაფერს ნიშნავს, რადგან მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი და თეორიული გათვლებით არის „დადასტურებული“. არ აღგაფრთოვანებს ხელისუფლების მაჟორული განწყობა, როცა იგი პრეზიდენტის პირით გაეროს ტრიბუნიდან თავს იმხნევებს: **„ჩვენ მხნეობა შეგვმატა იმ ფაქტმა, რომ მსოფლიო ბანკმა დაასახელა საქართველო მეთერთმეტე ქვეყნად, რომელიც ბიზნესის კუთხით მიმზიდველია სხვა ქვეყნებისთვის, მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე წლის წინათ 122-ე ადგილზე ვიყავით“.**

**გულახდილად გეტყვით, რომ მე, პირადად, არ მშურს იმ ქვეყნების, ვისთვისაც ჩვენ „ბიზნესის კუთხით“ მიმზიდველები ვართ.**

თუმცა ჩემი აზრი არაფერს ნიშნავს.

და თუ ვინმეს, ხელისუფლების გარდა, ამხნევებს ასეთი წინსვლა, შეგვატყობინეთ, თორემ დატრიალდა კეჟერა ფხალის ხარშვის თანმდევი სურნელება და გარბის შრომისუნარიანი მოსახლეობა საქართველოდან ისე, როგორც გაეროს დარბაზიდან საფრანგეთის, აშშ-სა და ისრაელის წარმომადგენლები აჰმადი ნეჯადისადმი პროტესტის ნიშნად.

ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი გადახევს გაეროს წესდებას და სახეში მიაყრის სესიის თავმჯდომარის მაგიდასთან მსხდომ სამეულს.

მიხეილ სააკაშვილი განწირულივით ჩაეჭიდება გაეროს ტრიბუნას და, ბატონო პრეზიდენტოო, შეჰღაღადებს ერთგულებას ობამას, რომელიც იმ დროს იქ არსად იყო, და ჩაცვენილი კბილების სიმრავლესავით ჩანდა დელეგატებისთვის გამოყოფილი სკამების სიცარიელე... **მიუხედავად იმისა, რომ ადრესატი იქ არ იჯდა, საქართველოს პრეზიდენტი არა არამეულზე ან, უარეს შემთხვევაში, იდიშზე, მშობლიურ „იანკების ენაზე“ შეჰღაღადებდა ობამას, — ბატონო პრეზიდენტო!.. მხსნელო, მესიავ, მაცხოვარო...**

**თუმცა ეს უკვე არა მხოლოდ სხვა წერილის, სულ სხვა კატეგორიის ადამიანების კომპეტენციის სფეროა, იმათი, ვისაც თეთრი ხალათები აცვია და არა საგაზეთო პუბლიკაციებს, არამედ ანამნეზებსა და დიაგნოზებს წერენ.**

**ლაშა გიორგიძე**

**P.S. ცნობისთვის: ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი ციტატებისთვის ორიგინალის სურნელების შესანარჩუნებლად ყოველგვარი ჩასწორებისგან თავი შეგნებულად შევიკავეთ.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# როგორ დავკარგეთ აფხაზეთი



**27 სექტემბერს შესრულდა 16 წელი საქართველოსათვის XX საუკუნეში ყველაზე მტკივნეული თარიღიდან – სოხუმის დაცემიდან, რაც აფხაზეთის დე ფაქტოდ დაკარგვას ნიშნავდა. შეიძლება შემედაონ და 1921 წელი გამახსენონ, მაგრამ, მიუხედავად კომუნისტური დიქტატურისა და დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მაშინ ქვეყნის მთლიანობა მაინც არ დარღვეულა, რაც იმედს არ აკარგვინებდა მთელ სამ თაობას. 25 სექტემბერს გაეროს წლიური სესიის ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ მადლობა გადაუხადა გაეროს მისი საქართველოში 15-წლიანი (და არა 16-წლიანი, როგორც მან თქვა) მოღვაწეობის გამო! საინტერესოა, ასეთი რა გააკეთა გაერომ, ამ ვირტუალურმა „მსოფლიო პარლამენტმა", რომ ეს მადლობა დაიმსახურა? სააკაშვილის გამოსვლა ხომ იმ დღეს დაიგეგმა, როდესაც მსოფლიოს 20 მთავარი ქვეყნის პირველი პირები პიტსბურგს გაემგზავრნენ სამიტზე. ასე რომ, სააკაშვილს მხოლოდ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების დელეგაციები უსმენდნენ, ხოლო ტაშს ქართული დელეგაცია უკრავდა. ამავე დღეს გამოვიდა ტრიბუნასთან სააკაშვილის სარკისებური ასლი — ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი და კვლავ იგივე სცენარი დატრიალდა: სააკაშვილი ლანძღავდა რუსეთს, ხოლო ჩავესი – ამერიკას, ე.ი. არც ერთის გამოსვლა არ იყო კონსტრუქციული.**

დავუბრუნდეთ გაეროს როლს. 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის თანდასწრებით ხელი მოეწერა აფხაზეთის ომში საქართველოს ფაქტობრივ უსიტყვო კაპიტულაციას და გადაწყდა მდინარე ენგურზე საზღვრის გავლება. სრულიად გაუგებარი იყო ენგურის ორივე მხარეს 15 კილომეტრში რუსი სამშვიდობოების ჩადგომა – ვერავინ ახსნა, თუ რატომ უნდა მდგარიყვნენ რუსი სამხედროები სამეგრელოში, სადაც არავითარი ომი არ ყოფილა. გაერო ამ დოკუმენტში დაფიქსირდა მხოლოდ როგორც „დამკვირვებელი" და სამშვიდობო მისია გადაეცა მთლიანად დსთ-ს (ანუ რუსეთს), რაც, ასევე, გაუგებარი იყო – მაშინ გაპიარდა, თითქოს სწორედ გაეროს ჯარები აღადგენდნენ მშვიდობას აფხაზეთში, რაც, რასაკვირველია, ტყუილი აღმოჩნდა. მაგრამ

**ყველაზე სამარცხვინო ამ დოკუმენტში იყო ის, რომ ყველა ქართველს, ვინც იარაღით ხელში იცავდა თავის სახლ-კარს, ეკრძალებოდა აფხაზეთში, ანუ თავის სახლში დაბრუნება და რაც სრულ წინააღმდეგობაშია გაეროს კონვენციასთან ლტოლვილების შესახებ. მაგრამ ეს გაეროს გენერალურმა მდივანმა ვერ შეამჩნია და თავის დიდ მიღწევად ჩათვალა აღნიშნული დოკუმენტი!**

რაკი დევნილები ვახსენეთ, გავიხსენოთ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციების ლობირებით 9 სექტემბერს ნიუ იორკში მიღებულ იქნა რეზოლუცია გუამის ქვეყნების ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების შედეგად ადგილმონაცვლებულ პირთა მშობლიურ სახლებში დაბრუნების შესახებ, თუმცა არავითარი სავალდებულო გრაფიკი ნახსენები არ არის. ამაზე ქართულ სატელევიზიო არხებზე დიდი და გაუგებარი აჟიოტაჟი ატყდა. გარდა ამისა, არაფერია ნათქვამი 1994 წლის 4 აპრილის იმ პუნქტის შესახებ, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. აქვე გავახსენებ ბატონ პრეზიდენტს, რომ 1996 წლის დასაწყისში, როდესაც ის პარლამენტში ახალი შესული იყო, ჩვენ ორივემ ერთად გადავწყვიტეთ, რომ საჭირო იყო ამ დოკუმენტის დენონსაცია, რისი ინიცირებაც სწორედ მას, როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა გაეკეთებინა. ვიცი, რომ მაშინ მას შევარდნაძემ არ მისცა ამის ნება. მაგრამ შემდეგ რატომ აღარ გააკეთა ეს, თუ დევნილების არსებობა ხანდახან მაინც გაახსენდება ხოლმე? ეს დოკუმენტი ხომ სეპარატისტების ხელში მძლავრი იარაღია, რათა დევნილები არ შეუშვას, რაც უნდა ზეწოლა იყოს მასზე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

**ახლა ერთ დეტალს მივუბრუნდეთ და დავაზუსტოთ ტერმინი „ტერიტორიული მთლიანობა", რომლის აღდგენასაც გვპირდებოდა სააკაშვილი, მაგრამ ნიუ იორკში მან უცხო აუდიტორიისათვის მერამდენედ აღიარა, რომ ეს ძალიან შორი პერსპექტივაა. ლაპარაკია გაეროს მიერ ცნობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებზე, რომლის სამხრეთი ნაწილი დაფიქსირებულია ყარსის ხელშეკრულებით. ამას იმიტომ ვაზუსტებთ, რომ ვიცოდეთ, თუ რომელ საზღვრებზეა ლაპარაკი, ვინაიდან საქართველოს საზღვრები სხვადასხვა საუკუნეებში სულ სხვადასხვა იყო და, საერთოდ, შუა საუკუნეებში საზღვარი მხოლოდ მონარქის გავლენის სფეროს აღნიშნავდა, რაც სისტემატურად იცვლებოდა.**

არის ერთი, საზოგადოებაში გავრცელებული, მცდარი მითი, რომ თამარ მეფის იმპერიის საზღვრები (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) ქართველთა ეროვნულ საზღვრებად მივიღოთ! ეს ძალიან პრიმიტიული აზროვნებაა და აბსოლუტურად უადგილო XXI საუკუნეში; ჩვენ ხომ ორ-ორი საუკუნე ვიყავით ჯერ მონღოლეთის, შემდეგ სპარსეთის, მერე ოსმალეთის, ბოლოს რუსეთის იმპერიების საზღვრებში, ე.ი. ამ ლოგიკით მათ, ყველას, ჩვენს ტერიტორიებზე უნდა ჰქონდეს პრეტენზია?

საბედნიეროდ, საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ისტორიულობას (რა ვუყო ჩემს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს?). ამ შემთხვევაში სისტემატურად ამოტივტივდება ხოლმე კიდევ ერთი მითი, თითქოს სოჭი საქართველოს ტერიტორიაა. სინამდვილეში იქ ცხოვრობდა აფხაზების ახლო მონათესავე ხალხი — უბიხები, ძველ ქართულ წყაროებში – ჯიქები, რომლებიც რუსებმა XIX საუკუნეში გააქრეს, იმავე დროს, როდესაც 200 ათასი აფხაზი გაუშვეს მუჰაჯირებად თურქეთსა და კიდევ უფრო შორს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ცოტა ხნით ისარგებლეს რა რუსეთში ბოლშევიკების მიერ შექმნილი ქაოსით, ქართულმა გვარდიამ დაიკავა სოჭი, მაგრამ სულ მალე გენერალ დენიკინის „მოხალისეთა თეთრმა არმიამ" მათ ეს რეგიონი დაატოვებინეს და გაგრაც თან მიაყოლეს – მაშინ საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელსაც დენიკინმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა მოაწერეს ხელი, მდინარე ბზიფზე დაფიქსირდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმშვენიერესი კურორტი გაგრა იქ, სადაც კავკასიონი ზღვამდე ჩადის, XIX საუკუნის ბოლოს აშენდა და მანამდე იქ არაფერი ყოფილა. ასე რომ, ექსკლუზიური პრეტენზია შავი ზღვის ამ მარგალიტზე ნურავის ექნება — ნურც ქართველებს, ნურც აფხაზებს და, განსაკუთრებით, სომხებს. ცნობილია, რომ დღევანდელი და გუშინდელი გაგრის ძირითად მოსახლეობას სომხები შეადგენენ. ხოლო ეს სომხები უბიხებით განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ცარისტულმა ადმინისტრაციამ განათავსა, ვინაიდან სომხები (ისევე, როგორც სხვაგან ოსები. – იხილე იმდროინდელი ლიტერატურა) რუსეთის იმპერიისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ, ქართველებისა და აფხაზებისაგან განსხვავებით.

სიტუაციაში რომ კიდევ უფრო კარგად გავერკვეთ, აფხაზეთის უმშვენიერესი მიწა განვიხილოთ, როგორც დიდი სახლი, რომელიც ბევრი ოთახისაგან შედგება: გაგრა, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში, ტყვარჩელი, გალი და, რასაკვირველია, კოდორი. აქ საუკუნეების მანძილზე სიამტკბილობით ცხოვრობდა ორი განსხვავებული ერი, კარგად რომ გავერკვეთ, წარმოვიდგინოთ ცოლ-ქმარი დიდ სახლში. მეოცე საუკუნეში სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა; აქ ახლა ამის მიზეზების ძებნას ნუ დავიწყებთ, ჩვენში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრით, ეს გარე ძალის გამოისობით მოხდა, აფხაზებს კი ამის არ სჯერათ და მიაჩნიათ, რომ ქართველმა ბერიამ ოცდაათიანი წლების ბოლოს დახურა აფხაზური სკოლები, გაზეთები, თეატრი და ა.შ. აქ მთავარი ეს არ არის, ვინაიდან, როგორც ვთქვით, საერთაშორისო სამართლისათვის ისტორია მთავარი არაა. აქ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის წარმოიქმნა სიტუაცია, როდესაც ორი სხვადასხვა ერი (წარმოვიდგინოთ ცოლ-ქმარი) სამართლიანად აცხადებდა პრეტენზიას ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, მაგრამ ერთად ცხოვრება აღარ შეეძლოთ და არც უნდოდათ!

დღეს ყველამ იცის, რომ ეროვნულ მოძრაობაში კგბ-ს უამრავი პროვოკატორი ჰყავდა შეგზავნილი, რომლებიც მოსახლეობას ექსტრემისტული ლოზუნგებით ტვინს ურევდნენ. ყველაზე სკანდალური ფაქტი 1991 წლის გაზაფხულზე მოხდა – თბილისში პირველად (და უკანასკნელად) ჩამოვიდა ამერიკელ სენატორთა დიდი ჯგუფი. როდესაც ისინი აფხაზეთის პრობლემით დაინტერესდნენ, ხელისუფლების რომელიღაც წევრმა უთხრა – აფსუები ამ მიწაზე მეთექვსმეტე საუკუნეში მოვიდნენ და მათ ამ მიწაზე ცხოვრების უფლება არ აქვთ, უნდა წავიდნენო (ვისაც დღეს აფხაზებსა და ოსებზე ასეთი პოზიციის არსებობის არ სჯერა, ნახოს „ლიტერატურული საქართველოს" ნომრები 1988 წლის მეორე ნახევრიდან). გაოგნებულმა ამერიკელმა სენატორებმა უპასუხეს – ჩვენ, ამერიკელები, ამერიკის კონტინენტზე ორი საუკუნეა, რაც მივედით; ახლა, რა, წავიდეთ და ინდიელებს დავუტოვოთ? როგორც ჩანს, ამ რეპლიკამ მნიშვნელოვნად გადაწყვიტა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ბედი.

იმ დროს მე ლონდონში ვცხოვრობდი და შორიდან კარგად ვხედავდი, რომ ორ ერს შორის რაღაც პერიოდით დაცილება გარდაუვალი იყო, მაგრამ ქართულ მხარეს მიაჩნდა, რომ მთელი ეს ტერიტორია (სახლი, ბინა?) მას უნდა დარჩენოდა. შერიგება სულ უფრო და უფრო პრობლემური ხდებოდა. ამიტომ მე დაცილების ცივილიზებულ გზებზე დავიწყე ფიქრი, რათა შემდგომში მათი შერიგება შესაძლებელი გამხდარიყო.

კომუნისტური რეჟიმის დაცემისთანავე მე ზვიად გამსახურდიას წარვუდგინე ჩემი ხედვა, რომ საბჭოთა პერიოდში აფხაზეთისათვის დადგენილი საზღვრები ხელოვნური იყო და არ ითვალისწი-





**ყველაფერი ჩვენ თვალწინ მოხდა და ყველას გვახსოვს, რომ სააკაშვილმა კოდორის ხეობა აფხაზებს აჩუქა, სვანები კი დევნილებად აქცია.**

**რამდენად რეალურია საქართველოს აღიარებული საზღვრების დე იურე შენარჩუნება მაშინ, როდესაც ისინი დე ფაქტო დაკარგულია? თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ერთი თვის წინათ სომხეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არ ცნობს ყარსის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს, სიტუაცია ნათელი ხდება.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ნებდა არსებულ რეალობას. ჩემს პირველ პროექტში ჩადებული იყო გუდაუთის რაიონისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება და მთლიანად აფხაზებისათვის გადაცემა. გამსახურდიას ეს პროექტი მოეწონა (ამის მოწმე მისი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მყავს) და თქვა, რომ მამამისი – ბატონი კონსტანტინეც დაახლოებით ასე ფიქრობდა. მაგრამ ზვიადს მიაჩნდა, რომ საზოგადოებრივი აზრი ამისათვის მზად არ იყო და შემომთავაზა, რომ პროექტი გამომექვეყნებინა და რეაქცია გვენახა. მართლაც, გაზეთში გამოვაქვეყნე და... მივიღე ისტერია შემთხვევითი ადამიანებით დაკომპლექტებული მაშინდელ უზენაესი საბჭოდან. ასე გავუშვით აფხაზების სეპარატისტული მისწრაფებების გადაჭრის ძალიან ეფექტური შანსი – მაშინ ხომ ავტონომიის დემოგრაფიული უმცირესობა (აფხაზები) ჯერ კიდევ რეალისტურად იყო განწყობილი და მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ჰქონდათ პრეტენზია.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სიტუაცია აფხაზეთში მკვეთრად შეიცვალა და ეს, ნაწილობრივ, რეგიონის ქართული მოსახლეობის ბრალიც იყო – ისინი გასაგები მიზეზების გამო საქართველოს ცენტრის იურისდიქციას აღარ ცნობდნენ; ამან სეპარატისტებს მადა გაუღვიძა და ხელ-ფეხი გაუხსნა. ასეთ დროს მე მოვამზადე და გამოვაქვეყნე საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიის არსებული საზღვრების გადახედვის ჩემეული ახალი ხედვა: მისი გაყოფა ორი განსხვავებული სტატუსის მქონე თანაბარ ნაწილად: გუმისთის ჩრდილოეთით – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად და სამხრეთით – აფხაზეთის მხარედ, საერთო დედაქალაქით — სოხუმი. სხვათა შორის, 3 წლის შემდეგ დაიტონაში (ამერიკა) ანალოგიურად გადაწყდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სისხლიანი ომის – ბოსნიის ბედიც და ეს მოდელი იქ მას შემდეგ საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. ის, რომ აფხაზეთში სწორედ მდინარე გუმისთაა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნეიტრალური საზღვარი და არა ენგური, ეს ომის დროსაც გამოჩნდა, როდესაც ქართველები და აფხაზები გუმისთაზე მთელი წელიწადი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და მხოლოდ ერთი-ორი შეტაკება იყო სხვაგან (ტყვარჩელის მიმართულება, ტამიში). მაგრამ ეს რეალისტური შანსიც გავუშვით ხელიდან და მაქსიმალისტებმა მინიმალურის შენარჩუნებაც ვერ შევძელით.

შემდეგი განვითარება – უკვე ცნობილია, რომ სეპარატისტებს გალზე პრეტენზია არ ჰქონდათ და ომის ბოლო დღეს არც კი შედიოდნენ იქ, ვიდრე არ გაიგეს, რომ ის მთელმა მოსახლეობამ მიატოვა. შევარდნაძის ხელისუფლება გვიან მიხვდა ამას და მას შემდეგ, რაც იქ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნდა, 1997 წელს შეეცადა, ეს რაიონი ძალისმიერი გზით დაებრუნებინა. მაშინ ჯერ კიდევ იყო შანსი გალის მოლაპარაკებისა და ვაჭრობის გზით დაბრუნების ან თუნდაც სტატუს კვოს შენარჩუნებით გალი თანდათან ორმაგი იურისდიქციიდან მთლიანად საქართველოს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ეს შანსიც გაშვებულ იქნა ხელიდან.

**დაბოლოს, პირდაპირ სოხუმთან იწყება კოდორის ხეობა, რომელიც ზემო ნაწილში დასახლებული იყო თავისუფლებისმოყვარე სვანი ხალხით. ამ ხეობაში არც ერთ არაქართველს არასოდეს დაედგა ფეხი და აფხაზებიც სვანების შიშით იქით არც კი იყურებოდნენ. ხოლო სააკაშვილმა თუ როგორ აჩუქა ეს ხეობა აფხაზებს, სვანები კი დევნილებად აქცია, ყველაფერი ჩვენ თვალწინ მოხდა და ყველას გვახსოვს.**

**ახლა გადავხედოთ, დღეს როგორ ცხოვრობს ერთ მიწაზე ეს ორი განსხვავებული ერის ხალხი. ბოსნიაზე უკვე ვილაპარაკე, კოსოვოს მაგალითიც ყველამ ვიცით; ყარაბაღის შესახებ ინფორმაცია ჟონავს, რომ ამერიკაში უკვე ხელი მოაწერეს მის ნაწილობრივ გაყოფას. განსაკუთრებით საინტერესოა კვიპროსის საკითხი, ვინაიდან პუტინმა სწორედ ის ახსენა აფხაზეთთან დაკავშირებით – ამ კუნძულზე საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ ბერძნები და თურქები, მაგრამ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბერძნებს მადა გაეხსნათ და არსებული ბალანსი დაარღვიეს – მათ მთელი კუნძულის საბერძნეთთან მიერთება გამოაცხადეს.** ამაზე თურქეთმა შეიარაღებული აგრესიით უპასუხა და კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაციით უპასუხა. ასე გაიყო კუნძული ორ ნაწილად და ასეა უკვე 35 წელიწადი. ორიოდე წლის წინათ, როდესაც კუნძულის ევროკავშირის შემადგენლობაში მიღების საკითხი დადგა, კვიპროსის თურქმა მოსახლეობამ შერიგებისათვის მზადყოფნა გამოაცხადა, მაგრამ ბერძნები არ დათანხმდნენ, თუმცა დედაქალაქში, რომელიც ცივიომისდროინდელი ბერლინივით ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ამჯერად შუა ქალაქში საზღვარი გახსნილია და იქით-აქეთ მოძრაობაზე შეზღუდვა აღარ არის.

შეუძლებელია, არ გავიხსენო შტაინმაიერის მიერ შარშან, აგვისტოს მოვლენებამდე ერთი კვირით ადრე, ჩამოტანილი პროექტი, რომელიც მან ჯერ მოსკოვსა და სოხუმში შეათანხმა. ამ პროექტით პირველ ეტაპზე ორმაგ იურისდიქციაში გადმოდიოდა გალი (კოდორი ამ დროს ისედაც ჩვენი იყო), ენგურის სასაზღვრო სტატუსი უქმდებოდა და სამშვიდობოებს პოლიციელების სტატუსი ეძლეოდათ გალის მთელ ტერიტორიაზე. დანარჩენი ტერიტორიების სტატუსი და ბედი კი მომავლისათვის იყო დატოვებული, როგორც ეს ყარაბაღთან დაკავშირებით გადაწყდა. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, სააკაშვილმა ერთი კვირის შემდეგ თავისი ავანტიურა სასწრაფოდ იმიტომ დაიწყო, რომ ეს პროექტი ჩავარდნილიყო.

**და ასე, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ფეხის დასადგმელიც კი აღარ დაგვრჩა და პრობლემის ახლო მომავალში გადაწყვეტის შანსი ჯერჯერობით აღარ არსებობს.**

**რამაზ კლიმიაშვილი**

# რისთვის ჩამოვიდა ბერეზოვსკი საქართველოში და როდიდან ჩაენაცვლება «იმედი» «ალანიას»?

ბადრი პატარკაციშვილსა და მის „მარჯვენა ხელზე“ — ბორის ბერეზოვსკიზე საქართველოში კიდევ ერთხელ აქტიურად მას მერე ალაპარაკდნენ, რაც პატარკაციშვილების ოჯახმა გაავრცელა ინფორმაცია ბერეზოვსკის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი აცხადებს, რომ, თუკი ბერეზოვსკი მართლა ჩამოვიდა საქართველოში, ეს ხელისუფლებასთან გარიგებისა და პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ გარკვეული მოლაპარაკების მიზნით მოხდებოდა. საქართველოში მართლა იყო თუ არა რუსეთში „ძებნილი“ რუსი ოლიგარქი და ვის შეხვდა სახელისუფლო ეშელონებიდან?

**„ჩვენ ვფლობთ უეჭველ მტკიცებულებას, რაც გამოიხატება ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ჩანაწერისა და თვითმხილველთა ჩვენებით, რომ აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა ღამით, 11-12 სექტემბრის შუალედში 2009 წელს. ვიზიტი მკაცრად კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა და ოჯახს არ გააჩნია ინფორმაცია მისი მოტივაციისა და მიზნების შესახებ“,** — ნათქვამია განცხადებაში.



აღნიშნული ინფორმაცია პატარკაციშვილების ოჯახმა 23 სექტემბერს გაავრცელა, თუმცა როდის იხილავს საზოგადოება ამ ჩანაწერს და რეალურად არსებობს თუ არა იგი, ჯერჯერობით უცნობია.

**რა უნდოდა ბერეზოვსკის საქართველოში?**

დადასტურებულია, რომ უკრაინის რევოლუციას ფინანსურად სწორედ ბორის ბერეზოვსკი კურირებდა. მისი პირადი დაფინანსებით მაშინდელი ოპოზიცია აქციებს აწყობდა და ცდილობდა რევოლუციის მოწყობას. მიაღწიეს კიდეც „ნარინჯისფერ რევოლუციას“.

**უკრაინის სათავეში იუშჩენკოს მოსვლის შემდეგ ბერეზოვსკი ხშირად სტუმრობდა კიევს, სურდა ახლად „დაქოქილ“ სახელმწიფოში სხვადასხვა საქმეში ფულის ჩადება, თუმცა საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ბორის ბერეზოვსკიზე უკრაინამ ვიზის გაცემა აკრძალა. ასე ჩაუკეტეს საზღვრები მას ამ ქვეყანაში.**

ასევე იყო ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც.

რაც შეეხება საქართველოს, ალბათ, ახსოვს მკითხველს, ბერეზოვსკი საქართველოში ელენინის სახელით რომ ჩამოვიდა. ის საიდუმლოდ სტუმრობდა ბადრი პატარკაციშვილს. მაშინ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები, ფაქტობრივად, ჩაუსაფრდნენ მათ და საზოგადოებამ ნახა, თუ როგორ გამოიყვანეს დაცვის თანამშრომლებმა პირსახოცგადაფარებული პირები პატარკაციშვილის სახლიდან და მიაცილეს მანქანამდე.

მკითხველს, ალბათ, „რუსთავი 2“-ზე გასული მეორე სიუჟეტიც კარგად ახსოვს — ე.წ. გაჭრით ეკრანზე ერთ ფანჯარაში ბორის ბერეზოვსკის, ხოლო მეორე ფანჯარაში უკრაინის რომელიღაც ჩინოვნიკის ფოტო იყო და მათი საუბარი ხმის გარეშე ტექსტის თანხლებით გადიოდა.

მაშინ ბერეზოვსკი ითხოვდა უკრაინაში რაიმე მედიასაშუალების სასწრაფოდ შესყიდვას, საიდანაც დიდი უარი მოდიოდა. ამის შემდეგ კი ოლიგარქი დაემუქრა მათ, რომ მეორე საქართველოს მოუწყობდა. რა თქმა უნდა, მეორე საქართველოს მოწყობაში აგვისტოს ომი იგულისხმებოდა.

ბადრი პატარკაციშვილის დაღუპვის შემდეგ ბერეზოვსკი ერთ-ერთ ქართულ არხთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ საქართველოში საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, რათა არ მოხდეს მთელი ძალაუფლების ხელისუფლებაში კონცენტრირება, რომ საჭიროა ამ ინსტიტუტების დაფინანსება.

„რუსთავი 2“-ის გასულ სიუჟეტში არანაირი მტკიცებულება არ ყოფილა იმისა, რომ ბორის ბერეზოვსკისა და იმ უკრაინელი ჩინოვნიკის საუბარი ნამდვილი იყო, ამიტომ უცნობია, ეს რეალური იყო თუ ქართველი სამართალდამცავების „შედევრი“ . რაც შეეხება უკრაინას, ეს არის „BBC“-ის ოფიციალური ინფორმაცია. „BBC“-მ უკრაინის რევოლუციის დროს დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო ბერეზოვსკიზე, სადაც დეტალურად არის იქ განვითარებული პროცესები წარმოდგენილი.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ინფორმაციით, თბილისში ბერეზოვსკი ბადრი პატარკაციშვილის საფლავზე გივი თარგამაძესთან ერთად მივიდა:

**„თვითონ გივი არ შესულა საფლავზე, მაგრამ გარეთ ელოდებოდა, რამდენად არის ეს რეალობა, არ ვიცი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ წყაროებს, ვისზე დაყრდნობითაც მე ვლაპარაკობ, ეს არის რეალობა. რამდენადაც ვიცი, ვიდეომასალაც არსებობს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბერეზოვსკი თბილისში იმყოფებოდა და ბადრის საფლავზე მივიდა,**

**თუ ბერეზოვსკის ჩამოსვლა დადასტურდა, სავარაუდო იქნება, რომ მას მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ ჰქონდა. ეს ხელისუფლება ისეთია, მზადაა, ეშმაკთანაც კი წავიდეს გარიგებაზე“.**

ამ განცხადების ავტორს — გოგა ხაინდრავას, ალბათ, დაავიწყდა, თვითონ და გრეჩიხა რომ სტუმრობდნენ ლონდონში ბერეზოვსკის (როგორც თავად განაცხადეს, მხოლოდ და მხოლოდ კონსულტაციებისთვის), თუმცა ოპოზიცია რომ დაფინანსების წყაროს ეძებდა, ეს უცნობი არავისთვისაა.

ბორის ბერეზოვსკი, ეტყობა, ახლა გახდა მათთვის ცუდი, რაკი ხელისუფლებასთან დაიწყო თანამშრომლობა.

ერთ-ერთი ვერსიით, ბერეზოვსკიმ საქართველოს ხელისუფლებას ტელეიმედთან დაკავშირებით გარიგება შესთავაზა. საინფორმაციო სააგენტო „ფაქტნიუსის“ ცნობით, ოლიგარქი საქართველოში მედიაპროექტით ჩამოვიდა და იმ პირებს შეხვდა, ვინც საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოლიტიკას გეგმავს და ატარებს. სააგენტოს წყაროს ცნობით, ბერეზოვსკიმ ხელისუფლებას ასეთი გეგმა შესთავაზა:

**„იმედი“ მთლიანად გახდება რუსულენოვანი, იგი ჩაანაცვლებს ტელეპროექტ „ალანიას“, რომელიც უიმედოდ ჩაფლავდა. გაალანიებული „იმედის“ ძირითადი სამიზნე კი ჩრდილოეთ კავკასია იქნება, ანუ ბერეზოვსკის ახალი მედიაპროექტი ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის მედიამხარდაჭერას ითვალისწინებს.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბერეზოვსკის საქართველოში ჩამოსვლის ფაქტი არ დაადასტურა, თუმცა, გარდა 11-12 სექტემბრისა, მისი თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 17 სექტემბერსაც დაფიქსირდა.

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





# სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომის მსხვერპლნი ვართ და ახლა ვეზედმეტებით



## «უგულავა გაკვირვებული მისმენდა, თქვა, — დაუჯერებელია, ნუთუ ეს სიმართლეაო»

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო დევნილი მოსახლეობა მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას.
ყველაზე მეტი სირთულე კი მათთვის თავშესაფრის პოვნა აღმოჩნდა. უსახლკაროდ დარჩენილებმა თავი სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებს შეაფარეს, თუმცა პრობლემები ამით არ ამოწურულა. მოუწესრიგებელ შენობებში თავშეფარებული დევნილები დღესაც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ვინც შეძლო და სახელმწიფოს მიაწვდინა ხმა, მათი მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, დევნილთა დიდი ნაწილი კვლავ საშინელ დღეშია.**

ვარკეთილის მეურნეობაში, თვალჭრელიძის №10-ში მცხოვრებ დევნილებს შუქი და გაზი თვალით არ უნახავთ. ორსართულიანი კორპუსის სახურავიდან წვიმა ჩამოსდით, კედლები ჩამონგრეულია და დანესტიანებული.

,,შვიდი წელია, ამ შენობაში ვართ, — ამბობს **თეა ბაკარანძე,** — გალის რაიონში, სოფელ გუდავაში ვცხოვრობდით. სახლ-კარი რომ გადაგვიწვეს, რამდენიმე წელი თავს ახლობლებთან ვაფარებდით. შემდეგ აქ შემოვედით. შენობა მაშინაც ავარიული იყო. თვითონ შევალამაზეთ ჩვენ ჩვენი ოთახები, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც ამის საშუალება არ აქვთ. **აქ ცხოვრება ჯოჯოხეთის ტოლფასია. არ გვაქვს შუქი, გაზი, ჭერი თავზე გვენგრევა. ერთი სიტყვით, გაუსაძლისი მდგომარეობაა. არაერთხელ მივმართეთ თხოვნით დევნილთა და განსახლების სამინისტროს, შუქი მაინც რომ მოეცათ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენი მდგომარეობა დაცინვაა. შენობაში ცხოვრობენ ოჯახები, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. მიკვირს, როგორ უძლებენ ამ ნესტსა და უბედურებას. ბავშვები მაინც ხომ უნდა შეიცოდონ, თუმცა იმდენად გულგრილები არიან, რომ მათაც კი არ უწევენ ანგარიშს.** არაერთხელ განვაცხადეთ ამ საშინელ ყოფაზე და ყურადღება არავინ მოგვაქცია, მხოლოდ გვპირდებიან, რომ მოვლენ და შეისწავლიან ჩვენს მდგომარეობას, თუმცა ჯერ არავინ გამოჩენილა. ისიც კი არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს დაწესებულება. ადრე გვეგონა, რომ №8-ში ვცხოვრობდით, ახლა კი საჯარო რეესტრიდან შეგვატყობინეს, რომ შენობა №10-ია და მესაკუთრე არ ჰყავს, თუმცა ყოველწლიურად გვიმტკიცებს ვილაც ბაკურ კილურაძე, რომ შენობა მისია და გაყრით გვემუქრება".



**ნელი კვიტია:** „საშინელ პირობებში ვცხოვრობთ. **ათასში ერთხელ თუ გვეღირსება სინათლე, რომელსაც გვერდით მდებარე ტყვია-წამლის „ცეხიდან" არაოფიციალურად გვაძლევენ.** „ცეხის" მეპატრონე ეროვნებით თურქია, არაოფიციალურად ვუხდით 6 ლარს; გვსაყვედურობს, ბევრს წვავთო და ხშირად გვითიშავს. უკვე სამოცდაათს მიღწეული ვარ, ჯანმრთელობაც ხელს ნაკლებად მიწყობს. ყოველ ღამე ღმერთს ვეხვეწები, შუქი არ ჩაქრეს, **მიკვირს, როგორ ვძლებთ ასე. განა ეს ცხოვრებაა?** დავიღალეთ დაპირებებით. გვეუბნებიან, დაგაბრუნებთო, მაგრამ ამის იმედი ნაკლებად მაქვს. აქ არ ვუნდივართ არავის და ჩვენს დაბრუნებაზე თავს ვინ შეიწუხებს?!"



**გიორგი მიქაძე:** ,,შვიდი წელია, მე და ჩემი მეუღლე საშინელ და გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. სამი შვილი გვყავს და ნესტიან ოთახში წვანან, ამიტომ ყოველთვე ცივდებიან. ფილტვების ანთება ვერ მოვურჩინე ბავშვებს. სულ ცოტაც და შეიძლება ჭლექი დაემართოთ. რა ვქნა, ვის არ მივმართე, მაგრამ ამაოდ. ახლახან გიგი უგულავასთან განცხადებით შევედი, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, გაკვირვებული მისმენდა. თქვა, დაუჯერებელია, ნუთუ ეს სიმართლეაო. დამპირდა, რომ კომისიას გამოაგზავნიდა, მაგრამ ჯერ არავინ მოსულა. ასეთი გულგრილობა ძნელი ასატანია. დაგვაწყდა ნერვები. ყველა მხოლოდ გვისმენს. ახლა ესეც მობეზრდათ და აგდებით გვეპყრობიან. განცხადებების წერას აზრი არ აქვს.

**დევნილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი იყო რამდენიმე წლის წინათ, შეშფოთებული უყურებდა ჩვენს მდგომარეობას, დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ არაფერი. მაშინ ხმები სჭირდებოდა საარჩევნოდ, ახლა კი საჭირო აღარ ვართ.**

ხუთი სული ვიწროდ, 33 კვ.მ. ფართობში ვცხოვრობთ, ჰოსპიტალივითაა ჩვენი სახლი. ამას ვინ ჩივის, ჭერი თავზე გვემხობა. წყალი მუდმივად ჩამოდის და კედლები გაჟღენთილია. მიწისძვრისას ბათქაში ჩამოიყარა.

ხუთი წელია, უგაზოდ და უშუქოდ ვართ. ზამთარში მოგვიტანეს მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი შეშა. სულ ესაა ხელისუფლების მიერ გაწეული დახმარება. **უკვე მათხოვრებად გვაქციეს. არც კი ვიცი, რომელ პრობლემას შევეხო. მოვიდეს ვინმე და გვითხრას, რა გველის. ეს საცხოვრებელი არაა. არც გზა გვივარგა. ტრანსპორტიც არ შემოდის ჩვენთან.** საკანალიზაციო ჭები ყველგან თავღიაა. მთელი დღე გზას გავყურებ, მეშინია, სკოლიდან მომავალი ბავშვი შიგ არ ჩავარდეს."

**ხათუნა ბაკარანძე:** „პრობლემები თავზე საყრელად გვაქვს დევნილებს. არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. აქ შემოსვლის დღიდან დევნილთა სამინისტროს ვთხოვ, ჩაწერის საკითხი მოგვიგვაროს. თავდაპირველად გალის რაიონში ვცხოვრობდით და დევნილად ზუგდიდის რაიონში, სოფელ ორსანტიაში, ვიყავით გაფორმებული, მაგრამ იქ არ გვიცხოვრია. ორსანტიის გამგებელმა ვიღაცის სახლს მიგვაწერა. გალიდან გადმოსვლის შემდეგ დედაქალაქში ვართ ჰაერში გამოკიდებული. წლებია, სამინისტროს ვთხოვ გადამისამართებას.

საშინელ, ავარიულ შენობაში ვცხოვრობთ. **შენობა გამაგრებას საჭიროებს. სამინისტროდან მოვიდნენ, დაგვაიმედეს, შევისყიდით და დაგიკანონებთო. ჯერ ისიც კი არ ვიცით, ოფიციალურად ვის ეკუთვნის ეს შენობა. სამინისტროში გვითხრეს, ჩვენ თუ შევისყიდით, თქვენ მანდ დარჩებითო. რეესტრში ამბობენ, რომ შენობას პატრონი ოფიციალურად არ ჰყავსო.**

ჩვენ აქ ჩვენი ნებით არ მოვსულვართ და არც ფუფუნებას ვითხოვთ. სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომის მსხვერპლნი ვართ და ახლა ვეზედმეტებით. მოვიდნენ და ერთხელ და საბოლოოდ გაგვარკვიონ, რა გვეკუთვნის!"

**ირმა ჩიტაია**

**P.S. თექვსმეტწლიანი დევნილობის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა დევნილებისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ვარკეთილის მეურნეობაში კიდევ არაერთი გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს. იქვე, ყოფილ ტაქსოპარკის შენობაში მცხოვრებ სოხუმელ დევნილ გურამ კვარაცხელიასაც ასეთივე პრობლემები აწუხებს და რვა წელია განცხადებით ხელში უშედეგოდ დადის დევნილთა სამინისტროსა და მერიას შორის.**

## «შვიდი წელია, სიბნელეში ვცხოვრობთ, ათასში ერთხელ თუ გვეღირსება სინათლე»

# ან შიმშილით სიკვდილი, ან ბნელი და უკუნი

**„კარგი დიასახლისი თვეში 8 ლარადაც (4 დოლარი) შეინახავს ოჯახს,“ — ცნობილი ქალბატონის ეს არანაკლებ ცნობილი ფრაზა კარგა ხანს იყო საზოგადოების აღშფოთების საგანი. დღეს კი ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ 123 ლარი საკმარისია თვიდან თვემდე თავის გასატანად. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია, რადგან ადამიანმა ამ თანხიდან კომუნალური ხარჯები რომ გადაიხადოს და პირველადი მოხმარების საგნები შეიძინოს, მშიერი უნდა იჯდეს ან მხოლოდ ორი კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგე შეიძინოს და უწყლოდ, უშუქოდ, უტელევიზოროდ, უტელეფონოდ, უექიმოდ, უწამლოდ, ჩაუცმელ-დაუხურავი დარჩეს...**
**არადა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი ჯიუტად გვიმტკიცებს, ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 123 ლარს უტოლდებაო. ეს ის თანხაა, რითაც ადამიანმა ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი პროდუქტები — პური, ბურღულეული, ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ცხიმი, ხილი და ბოსტნეული — უნდა შეიძინოსო; ამასთან, იყიდოს პირველადი მოხმარების საგნები: სარეცხი ფხვნილი, საპონი, ასანთი; დღეში ერთჯერადად იმგზავროს და კომუნალური გადასახადები გადაიხადოსო.**




რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, საარსებო ერთეულის ჩამონათვალი 2007 წლამდე ბევრად უფრო ვრცელი იყო. 2007 წლის შემდეგ კი სასურსათო კალათას ცალკეული ერთეული მოაკლეს, ხელოვნურად შეამცირეს და საარსებო მინიმუმი მართლაც მინიმუმამდე დაიყვანეს. თუმცა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დაანგარიშებული 123 ლარი არ წარმოადგენს პენსიების, სტიპენდიებისა და შემწეობების ქვედა ზღვარს.

„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გაერკვია, 123 ლარით რის შეძენა შეუძლია ადამიანს და მცირე ექსპერიმენტი მოაწყო.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სუპერმარკეტების საკმაოდ დიდი არჩევანია, თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი პროდუქტების შესაძენად ბაზარში დადის, რათა გროშების დაზოგვით ოჯახის ბიუჯეტს წაეშველოს. ჩვენც ამიტომ ნავთლუღის ბაზარს ვეწვიეთ და ვცადეთ, საარსებო მინიმუმის ერთი დღის ნორმა — 4,10 ლარი „დაგვეხარჯა“.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ „შრომისუნარიანი მამაკაცისთვის რეკომენდებული საკვები პროდუქტი“ იაფად რომ გვეყიდა, გარდაბნელ და მარნეულელ გლეხებთან მივედით.

4,10 ლარად შევიძინეთ 1 ცალი 500-გრამიანი პური „ბატონი“ (0,60 ლარი), 0,5 კგ ბურღული (0,75 ლარი); 1 ქილა ხორცის კონსერვი (2,20 ლარი); 0,2 კგ იმერული ყველი (1,00 ლარი) და... აქ უკვე „წითელი აგვენთო“ და მეორე დღისათვის განკუთვნილი თანხის ხარჯვაზე გადავედით. შეძენილ პროდუქტებს დავუმატეთ: 2 ცალი კვერცხი (0,50 ლარი), მწვანილი (0,30 ლარი), 100 გრამი კარაქი (1,00ლარი), კიტრი და პამიდორი (1.00 ლარის), 1 კგ კარტოფილი (0,60ლარი), 0,5 კგ შაქარი (0,90 ლარი), 2 ცალი ერთჯერადი ჩაი (0,20 ლარი) და დაგვრჩა 5 თეთრი 1 კოლოფი ასანთისათვის, თუმცა რად გვინდა ასანთი — გაზი რომ გქონდეს, უნდა გადაიხადო (?!).

სამწუხაროდ, ვერ შევძელით ამ თანხის ისე განაწილება, რომ ყოველდღიური ყოფისათვის ელემენტარულად აუცილებელი წვრილმანი შეგვეძინა და დავრჩით სარეცხი ფხვნილის, საპნის, შამპუნის, ტუალეტის ქაღალდის,....გარეშე; აღარაფერს ვამბობ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და კომუნალურ გადასახადებზე. ადვილად გაირკვა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმი — 123 ლარი ფორმალურადაა დაანგარიშებული და საერთო არაფერი აქვს რეალობასთან.

ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** მიიჩნევს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ ხელოვნურად შემცირდა საარსებო მინიმუმის დათვლების კრიტერიუმები. **„სასურსათო ერთეულების ჩამონათვალში ბევრი რამ შესუსტებული იქნა, ბევრი რამ ამოღებული და დაბალ მაჩვენებლებზე დაყვანილი. დღეს რეალობა ერთია, სტატისტიკის დეპარტამენტის მაჩვენებლები — მეორე. ვფიქრობ, საარსებო მინიმუმის დათვლა უფრო გარე მოხმარებისთვისაა გამიზნული, თორემ რა ციფრებიც უნდა წარუდგინონ საქართველოს მოქალაქეებს, ხალხზე უკეთ არავინ იცის, როგორ ცხოვრობს, რა უჭირს და რა ულხინს. სახელისუფლებო პოლიტიკის საუკეთესო ინდიკატორი მოსახლეობაა. ვფიქრობ, ხელისუფლებას მართებს შესაბამისი კორექტივების გაკეთება, შიდა მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვა, თორემ რა რეიტინგიც უნდა მოგვანიჭოს რომელიმე სააგენტომ ან რაც უნდა დაწეროს ნებისმიერმა გავლენიანმა დასავლურმა გაზეთმა, ეს რეალობას ვერ შეცვლის“.**

დღევანდელი რეალობა კი ისაა, რომ 123 ლარი არ წარმოადგენს საარსებო მინიმუმს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ პენსიებისა და შემწეობების ქვედა ზღვარი სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ხელოვნურად შემცირებულ საარსებო მინიმუმთანაც კი არ არის მიახლოებული.

**ნათია ქადაგიშვილი**

# «სიყვარული ვენახში» თუ «ვენახის სიყვარული»? — ვისთვის როგორ!

**წლევანდელ რთველზე მევენახის თანადგომა სახელმწიფომ ივალდებულა და მისი წარმატებულად ჩატარებისთვის საკმაოდ საინტერესო მექანიზმი ჩამოაყალიბა — სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა გამოიყო და გლეხები სუბსიდიის სახით კილოგრამ რქაწითელზე 15 თეთრს, ხოლო საფერავზე 20 თეთრს მიიღებენ. ღვინის ქარხნებთან პრობლემები რომ არ შექმნილიყო, ხელისუფლებამ ამაზეც იზრუნა და გამგებლებს, ასე ვთქვათ, გრაფიკის შედგენა დაავალა. ამ გეგმის მიხედვით, გლეხებს სპეციალური ცნობა უნდა აეღოთ, რომელშიც მოსავლის აღების ზუსტი დრო დაფიქსირდებოდა. თუ ეს ცნობა არ ექნებოდათ, სახელმწიფო პასუხისმგებლობას იხსნიდა ღვინის ქარხანასთან პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. გლეხებს ფერმერებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭათ.**

## კუდ-ის თანამშრომლები კახელი გლეხების ვენახებში დაბორიალობენ. „მაგათ რთველი გასართობად უნდათ და სახალისო ჰგონიათ“

**ვისაც 10 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს, მათ კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციისგან გაფრთხილება მიიღეს, რომ ყურძნის მოკრეფა მანამდე არ დაეწყოთ, ვიდრე გლეხები არ მორჩებოდნენ მოსავლის აღებას. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ბრძანების შესრულებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები აკონტროლებდნენ**. „თუ საწარმოებს ექნებათ სურვილი, პროდუქციას ჩაიბარებენ, ოღონდ ფერმერების ვენახებში მოწეულ მოსავალზე სახელმწიფო სუბსიდიებს არ გასცემს“, — განაცხადა გიორგი ღვინიაშვილმა. სახელმწიფომ მუშახელზეც იფიქრა და გლეხის დასახმარებლად კახეთისკენ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, პროკურატურის თანამშრომლები და სტუდენტები დარაზმა. სახელმწიფოსგან განსხვავებით, გლეხისთვის ვაზი და ვენახი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიარი და სწორედ ამიტომ მათმა უმრავლესობამ უარი თქვა შეთავაზებული მუშახელის გამოყენებაზე.

**ჯუმბერ ბერიძე, სოფ. ნინოწმინდის მკვიდრი:**

— ყურძენი იმან უნდა მოკრიფოს, ვინც იცის, რა შრომაა ჩაღვრილი ვენახში. მე ჩემს ვენახში თითოეულ ვაზს და მტევანს ველოლიავები, ყველა მარცვალი ჩემთვის ძვირფასია. **შარშან მოიყვანეს ჩემთან სტუდენტები. მათ მოკრეფილ პლანებში რომ ჩავიარე, ამეტირა, მარცვალი სულ დაბლა იყო ჩამოყრილი.** ხუთ ტონამდე ყურძნის აღებას ვვარაუდობ, მაგრამ ქარხანაში არ ჩავაბარებ, რადგან 65 თეთრად იბარებენ, ჩემი შრომა მეტი ღირს. სახლში დავწურავ, ღვინოს დავაყენებ და მერე გავყიდი. მარნის ღვინოსთან შედარებით, სახლში დაყენებული ღვინო გაცილებით უკეთესია და ვინც ეს იცის, ცოტა მეტსაც გადაიხდის. ამას გარდა, არაყსაც გამოვხდი და ასე უფრო მეტ შემოსავალს მივიღებ. ჩვენს სოფელში გლეხების უმრავლესობა ასე ფიქრობს. ვისაც ჰექტრობით აქვს ვენახი, ის აბარებს ღვინის ქარხანას.



**ბადრი კერატიშვილი, საგარეჯო:**

— ჩვენთან ყურძნის კრეფა ახლახან დაიწყო. საკმაოდ დიდი ვენახი მაქვს, შემომთავაზეს მუშახელი, მაგრამ უარი ვთქვი. მირჩევნია, მუშა თავად მოვიყვანო, ფული გადავუხადო და ყურძენი კარგად მოკრიფოს, ვიდრე ნახევარი ზედ დატოვოს და ნახევარი მარცვალი დააბნიოს. თან მაგათ რთველი სახალისო ჰგონიათ და გართობა უნდათ. **კი, ბატონო, გაერთონ და იხალისონ, მაგრამ ცოტა ფრთხილად მოექცნენ მტევანს. კოლექტივის დროს იყო ასე, მთავარია, მორჩენილიყვნენ და არად დაგიდევდნენ, როგორ კრეფდნენ. რთველის შემდეგ მომცვრევაზე (მომცვრევა დაკრეფის შემდეგ დარჩენილი ყურძნის მოგროვებას ჰქვია) რომ ჩამოგევლო, ერთ იმდენს კიდევ მოკრეფდი. მუშახელის დახმარება იმას სჭირდება, ვისაც ბევრი აქვს დასაკრეფი და თუ მეორედ გახდა დასაკრეფი, რა აზრი აქვს ასეთ დახმარებას?**

## თბილისში, ისანში და ვარკეთილში, ყურძნის ბაზრობა გაიხსნა, სადაც გამყიდველი უფრო მეტია, ვიდრე — მყიდველი.

**გივი კურტანიძე, სოფ. ახალსოფლის მკვიდრი:**

— ღვინის ქარხნები ყურძენს კი იბარებენ, მაგრამ თანხას მაშინვე არ იხდიან. ხშირად სწორედ კუთვნილი თანხის დროულად მიუღებლობა ხდება პრობლემა. ამიტომ ვამჯობინე, აქ ჩამომეტანა ყურძენი — იქნებ ნაღდ ფულზე გავყიდო. ქალაქში ღვინის დაყენების საშუალება ყველას არ აქვს, ამიტომ მყიდველი ნაკლებად არის. ოჯახში შვიდი სული ვართ, არავინ მუშაობს. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი ჩვენივე ხელით მოწეული მოსავალია.

**რთველი სახელმწიფოსთვის პრობლემად რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ემბარგოს დაწესების შემდეგ იქცა. ქართველ მეღვინეებს პროდუქციის გასაღების პრობლემა შეექმნათ და ამის გამო უარს აცხადებდნენ ყურძნის ჩაბარებაზე.** ხელისუფლებამ ალტერნატიული გასაღების ბაზარი ვერ მოიძია და შიდა რესურსებით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას.

ორი წლის წინათ პედაგოგებს ათ-ათი კილოგრამი ყურძნის შესყიდვა დაავალდებულეს, ეს არ ეხებოდა კახეთის რეგიონს.

გასულ წელს კი თბილისსა და რეგიონებში სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეებს უკვე ყურძნის წვენის ყიდვა დაევალათ. მექანიზმი მარტივი იყო. მაგალითად, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი თანამშრომლებისთვის რამდენიმე ტონა ყურძნის წვენის შესყიდვა უნდა დაევალებინა. თანხას ხელფასიდან უკავებდნენ.

როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ გახდა ცნობილი, ეს მექანიზმი წლეულსაც იმუშავებს.

**ნანა ლალაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ელიზბარ ჯაველიძე: ალასანია სააკაშვილის ორეულია, რომელსაც ამერიკა სამომავლოდ ამზადებს

**2007 წლის ნოემბრის ავბედითი მოვლენების დროს, ანუ როცა ოპოზიციის ანტინაცმოურმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, ალბათ, საზოგადოების მცირე ნაწილს თუ ეპარებოდა ეჭვი პროტესტანტი ლიდერების სანდოობასა და პრინციპულობაში, თუმცა პროცესების შემდგომმა განვითარებამ ხალხის სიბრძნეს „გამოცდილება“ შემატა და, შესაბამისად, ოპოზიციის „მოკლე ფეხებსაც“ დაერქვა სათანადო სახელი. რიხიანი შეძახილებისა თუ ხმამაღალი საარჩევნო ლოზუნგებისგან („მიშა, მოვდივართ“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ და ა.შ.), რითაც ლიდერები თავიანთი ელექტორატის „მხურვალე აპლოდისმენტებში“ ნებივრობდნენ, დღეს მხოლოდ ცარიელი და აწ უკვე ავადსახსენებელი სიტყვებიღა დარჩა, რაც თავისთავად ბადებს მარტივ კითხვას: რით სჯობიან ოპოზიციის ცრუპენტელა ლიდერები, თუნდაც, იმავე მიხეილ სააკაშვილს?! ამ კითხვით „საქართველო და მსოფლიომ“ ცნობილ მეცნიერსა და პუბლიცისტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ელიზბარ ჯაველიძეს მიმართა.**





**— ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენი საზოგადოება სერიოზული დილემის წინაშე დააყენა — ერთი მხრივ, მიზანია ხელისუფლების შეცვლა, ხოლო მეორე მხრივ, ისმის კითხვა: ვინ ან რა იქნება შემდეგ? ოპოზიციური სპექტრი საკმაოდ მდიდარია ლიდერებით, თუმცა დღეს, ალბათ, არც ერთ მათგანს საზოგადოება ბოლომდე არ ენდობა... თქვენი აზრით, რით სჯობიან ოპოზიციის ლიდერები, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, იგივე კოკო გამსახურდია, თუნდაც, მიხეილ სააკაშვილს?**



— კოკო გამსახურდიას აქვს თავისი წარმომავლობა და გენეტიკა, უფლებას ვერ მივცემ თავს, ზვიად გამსახურდიას შვილზე რაიმე აუგი ან საყვედური ვთქვა. კარგად ვიცნობ მის მეცნიერულ მოღვაწეობას, ნაშრომებს, წიგნებს, სადაც ის ძალზე საფუძვლიანად და საზრიანად აანალიზებს გარდასულ დროებას.

როგორც პოლიტიკოსს, შეიძლება კოკოსაც ბევრი რამე შეეშალოს, მაგრამ მის გენეტიკაში, გენეტიკურ კოდში სამშობლოსადმი სიყვარული დევს, რასაც ზოგიერთ ოპოზიციონერსა და ხელისუფლების წარმომადგენელზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

**— ქალბატონ ბურჯანაძესა და ბატონ სააკაშვილს შორის განსხვავებაზე რას იტყვით?**



— ვიტყვი მხოლოდ, რომ ნინო ბურჯანაძის წარსული ერთობ ალმაშფოთებელია. თუ გადავხედავთ მისი პოლიტიკური მოღვაწეობის განვლილ ეტაპს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ის არ არის ლიდერი, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება.

ვფიქრობ, ბურჯანაძის პიროვნება ჩვენი დროის გარკვეული ნაყოფია, რომელიც, როცა ხელისუფლებაშია, განუხრელად იცავს მმართველი გუნდის პრინციპებს, ხოლო როცა სახელისუფლებო ტახტიდან ჩამოაბრძანებენ, საზოგადოებას ოპოზიციონერად ევლინება.

იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული და რადიკალი ოპოზიციონერი სწორედ ქალბატონი ბურჯანაძეა, ისიც ამერიკის ისეთივე პროექტია, როგორც სააკაშვილი, ასე რომ, ერთიც და მეორეც — სააკაშვილიც და ბურჯანაძეც — ერთი ფესვიდან ამოზრდილი ხის ნაყოფია.

თუ დააკვირდებით მის საუბარს, ის არასდროს ახსენებს არც სამშობლოს, არც ეროვნებას და არც ქვეყანას. ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ჟვანიასა და სააკაშვილთან ერთად ქართული პასპორტიდან თუ დაბადების მოწმობიდან ეროვნული რეკვიზიტის ამოღების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო. მე, ცხონებულმა გურამ შარაძემ და რეზო მიშველაძემ ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერაფრით მივაღწიეთ იმას, რომ ეს რეკვიზიტი დაბადების მოწმობაში მაინც აღგვედგინა. ორჯერ გავიტანეთ პარლამენტში ეს საკითხი და დადებითი პასუხიც მივიღეთ, მაგრამ მოგვიანებით, ქალბატონი ბურჯანაძის თავმჯდომარეობის დროს, საკითხი ისევ გადაიდო, თითქოს განხილული არც ყოფილიყო...

დღეს, როცა ასეთი ადამიანები დემოკრატიასა და საზოგადოების თავისუფლებაზე გველაპარაკებიან, ეს ხომ სიყალბე და ცრუ სიტყვებია?! ვინც ჩახედულია პოლიტიკაში და კარგად იცნობს ამერიკისა თუ, ზოგადად, დასავლეთის ზნეობრივ და პოლიტიკურ მრწამსს, მისთვის ეს ცხადზე ცხადია...

დღესდღეობით ჩვენი მთავარი პრობლემა სამშობლოს გადარჩენაა, რაც შეეხება ოპოზიციონერებს, არც ერთ მათგანს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს არ სურს...

**— რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს... რით სჯობია ის მიხეილ სააკაშვილს?**



— ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც დღეს დიდ პოლიტიკოსობას იჩემებს, არის ადამიანი, რომელმაც თავისი ახალდაფუძნებული პარტია გააშიშვლა, თანაპარტიელები დაასმინა და დააჭერინა. ასეთ კაცს პარტიაში ყოფნის უფლება, უბრალოდ, არ აქვს...

ამასწინათ ლევან ბერძენიშვილის გამოსვლა მოვისმინე, რომელმაც განაცხადა: გაჩეჩილაძეს პოლიტიკაში ყოფნა თუ უნდა, პარტიაში უნდა შევიდესო. ამას ამბობს რესპუბლიკური პარტიის წევრი, იმ პარტიისა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის „თავისუფლების ინსტიტუტის“ შექმნასა და ყველა იმ უბედურებაში, რაც ამ ავადსახსენებელმა ინსტიტუტმა თავის დროზე თავს დაატეხა საქართველოს.

რესპუბლიკელებმა ჯერ კიდევ როდის გაასხვისეს აფხაზეთი და მის დაბრუნებაზე არ ფიქრობენ. ესენი ხომ ქართულ ფასეულობებსა და ეროვნულობას ებრძვიან?! სწორედ ასეთი პარტიები უნდა აილაგმოს პოლიტიკური ასპარეზიდან, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ძირს უთხრიან ქართველთა თვითმყოფადობას.

**რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს, ის არ არის პოლიტიკოსი და, შესაბამისად, არ შესწევს საზოგადოების მართვის, წინამძღოლობის უნარი. ამასთან, ძალზე ბნელი და ცუდი ჭორები დადის მის შესახებ, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, ცნობილი ფაქტია და ბევრმა იცის, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, როცა იპოდრომზე ხალხი შეიკრიბა, მას დაურეკა სააკაშვილმა და შეთანხმდნენ მიტინგის დაშლაზე.**

ერთი სიტყვით, უამრავი ფაქტი ადასტურებს, რომ ეს ორი პიროვნება — სააკაშვილი და გაჩეჩილაძე — ურთიერთგადაჯაჭვულია და ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდიდან ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედებდა.

**— ირაკლი ალასანიაზე რას ფიქრობთ, რით სჯობია სააკაშვილს?**

— ალასანიაც იგივეა, რაც გაჩეჩილაძე და ბურჯანაძე. იგი აბსოლუტურად სააკაშვილის იდენტურია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ალასანია სააკაშვილის ორეულია, რომელსაც ამერიკა სამომავლოდ ამზადებს.

მართალია, ის ბევრად უფრო დინჯი და გონიერია, მაგრამ ეს უარესია, რადგან ის დინჯად, გონივრულად დაანგრევს ქვეყანას და მიიყვანს კიდეც ამ ნგრევის პროცესს ბოლომდე.

მე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ვამბობდი, რომ შევარდნაძე უნდა წავიდეს, მაგრამ მოდის სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც უარესს მოიმოქმედებს. ახლა ვამბობ:

**სააკაშვილი უნდა წავიდეს და უკვე წასულია, მაგრამ მოვა ალასანია, რომელიც ისედაც ჩაჩეხილ ურემს სულ მთლად ბოლომდე ჩაჩეხავს და არავითარი სხივი აღარ დარჩება საქართველოს.**

აი, ეს არის ჩვენი მთავარი უბედურება, თუმცა სახელმწიფოს დანგრევის იმდენად არ მეშინია, რამეთუ სახელმწიფო შეიძლება დაინგრეს და შემდეგ ისევ აღდგეს, მაგრამ თუ ერი მოისპო, და დღესდღეობით ამის ძალიან დიდი საფრთხე არსებობს, მაშინ ყველაფერი დამთავრებულია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# ოსამა ძიას ფიქრები



**გერმანიის არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ბინ ლადენმა სპეცვიდეომიმართვით ევროპას ავღანეთიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ ამერიკა გაჭირვებისას ევროპას არ დაეხმარება, მაგალითისთვის კი საქართველოს შემთხვევა გაიხსენა, როცა რუსეთთან ომის დროს ამერიკამ საქართველოში სამხედრო დახმარების მაგიერ ჰუმანიტარული დახმარება გამოაგზავნა, ისიც — დაგვიანებით.**

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან შემაშფოთა №1 ტერორისტის ამ განცხადებამ. მარტო იმიტომ კი არა, რომ ავღანეთის ოპერაციაში ჩვენი ჯარისკაცებიც მონაწილეობენ, — ამ კაცმა საქართველოს არსებობა რომ იცის, იმიტომ!

ახლა იტყვით — შარშანდელი ომის შემდეგ საქართველოს არსებობა მთელმა მსოფლიომ გაიგო, მერე რა მოხდაო...

რა მოხდა და ის, რომ ოსამა საკმაოდ განათლებული კაცია, სადაც საქართველოს არსებობა იცის, მისი ადგილმდებარეობაც ეცოდინება და ისიც, რომ, ჩვენი გადასარევი თუ გადარეული ხელისუფლების გამო, გუანტანამოს ტყვეების მიღებაზე გვაქვს ხელი მოწერილი.

ჰოდა, მეც შევშფოთდი — ამ კაცმა ამდენი რამ თუ მართლა იცის, ხომ შეიძლება, ჩვენ წინააღმდეგაც განეწყოს და რა ვიცით, როდის აიფეთქებს თავს, ვთქვათ, მეტრო „ავლაბარში“ ან სადმე სხვაგან სტუმართმოყვარე საქართველოში ტურისტად ჩამოსული შაჰიდი?

**რა ვიცით, იქნებ ევროპასთან ერთად ჩვენც გაგვაფრთხილა ბინ ლადენმა, გაჩერდით, თორემ რაც ჩემს მულიდებს ხალხი ჰყავთ დახოცილი, საქართველოს არმიას სამჯერ აღემატებაო? რა ვიცით...**

**გეგა ბაიტიანი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პროკურატურის მიერ ნივთმტკიცებად მიჩნეული დანა მოკლულის სხეულზე არსებულ არც ერთ ჭრილობას არ ემთხვევა

**„ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას გვხვდება. ეს მასობრივი მოვლენაა. ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაში დაფიქსირებულია, რომ ყველას აქვს უფლება, მოითხოვის სამართლიანი სასამართლო. საქართველოში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს. ეს იმიტომ კი არა, რომ მე მაქვს ასეთი შეხედულება. უბრალოდ, ასეა დაკანონებული“, — აღნიშნა ადვოკატმა ლევან ჯოხაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას. „მოსამართლეს თუნდაც სურდეს, იყოს სამართლიანი და ობიექტური, არ გამოუვა, ვინაიდან თავად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც კანონია და აღსასრულებლად სავალდებულო, არ აძლევს ამის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსი გულისხმობს სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეთა თანასწორუფლებიანობას, ეს ბალანსი შემდეგ ირღვევა, რაც იმას გულისხმობს, რომ მთელი უფლებები მიკუთვნებული აქვს ბრალდების მხარეს, ანუ პროკურატურას. სასამართლოს, ფაქტობრივად, არანაირი ბერკეტი აღარ რჩება. მოსამართლე კი ვალდებულია, დაექვემდებაროს და იმოქმედოს საპროცესო კოდექსის შესაბამისად“.**

### ნახევარ სამეგრელოს პირველი ჯგუფის სისხლი აქვს, აფრასიძის დნმ-ანალიზი კი არ გაკეთებულა

„ზუგდიდის სასამართლოში ჯიმშერ აფრასიძის მკვლელობის ბრალდებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებული იყო ირაკლი ხასაია. გამოძიებამ გაარკვია, რომ მოკლული უკანასკნელად ნახეს ხასაიასა და ორ ქალბატონთან ერთად სოფელ ჯვარში, სასადილოში. სწორედ ეს გახდა ბრალდების საფუძველი. ობიექტის მესაკუთრის და დამსწრე ქალბატონების ჩვენებებით, არანაირი შელაპარაკება და დაძაბულობა ხასაიასა და აფრასიძეს შორის არ ყოფილა და ისინი ერთმანეთს მეგობრულად დაშორდნენ. ამ შეხვედრის შემდეგ აფრასიძე გაუჩინარდა. ძებნის შედეგად აფრასიძის გვამი იმავე სასადილოს მახლობლად, ძველი სავაჭრო ცენტრის შენობაში იპოვეს. გვამს ჰქონდა მრავალმხრივი დაზიანებები. სხეულზე აღენიშნებოდა ჰემატომები და შემავალი ჭრილობები, თავის ქალა ჰქონდა ჩამსხვრეული.

ექსპერტიზამ გვამის აღმოჩენის დროს მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. მიუხედავად მრავალმხრივი დაზიანებებისა, სისხლის ერთი წვეთიც კი არ აღმოჩნდა იმ ადგილას, სადაც გვამი იყო. **საქმეში ფიგურირებდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ გვამის აღმოჩენის ადგილიდან 150 მეტრში, ავტობუსის გაჩერებასთან, მოსაცდელში, სკამებსა და კედელზე აღმოჩნდა სისხლის კვალი, რომლის ჯგუფიც შეესაბამებოდა მოკლულის სისხლის ჯგუფს.** მხოლოდ სისხლის ჯგუფის დადგენით იმის დადასტურება, რომ ეს იყო შემთხვევის ადგილი, შეუძლებელია. ნახევარ სამეგრელოს პირველი ჯგუფის სისხლი აქვს, დნმ ანალიზი კი არ გაკეთებულა.

**ეჭვმიტანილად ირაკლი ხასაია მხოლოდ იმის გამო მიიჩნიეს, რომ უკანასკნელად მასთან ერთად ნახეს აფრასიძე.** საქმის მასალებით ისიც გაირკვა, რომ მკვლელობის იარაღი ხასაიას სახლში აღმოჩნდა. უნდა აღვნიშნო, რომ აქ ბევრი საეჭვო დეტალი იყო“.

### ზეწოლა დანაშაულის აღიარებისთვის

„ხასაიასთან სახლში მივიდა პოლიციელთა ერთი ჯგუფი. ის გამოიყვანეს და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. გზაში ხასაიამ პოლიციელებს სიგარეტი სთხოვა. მას მისცეს სიგარეტი, რომელიც, სავარაუდოდ, წინასწარ იყო შეკეთებული მარიხუანით. მოაწევინეს და შემდეგ წაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. მას აუღეს ანალიზები. **როგორც ჩანს, პოლიციელები იმდენად იყვნენ დარწმუნებული, რომ დადებით პასუხს მიიღებდნენ, მთელი ღამე ხასაიას პოლიციის შენობაში გაატარებინეს.** მეორე დილით წალენჯიხის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ნინო ბერიშვილის თავმჯდომარეობით სხდომა გაიმართა, რომელზეც ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებისთვის ხასაიას შეეფარდა ადმინისტრაციული სასჯელი. აქ აღსანიშნავია ერთი დეტალი: სხდომის ჩანაწერების მიხედვით, სხდომა დაიწყო 10 საათსა და 35 წუთზე და დასრულდა 10 საათსა და 55 წუთზე. ნარკოლოგიური დისპანსერიდან ცნობა ხასაიას ნარკოლოგიური შემოწმების შედეგებზე კი გაცემულია თორმეტ საათსა და 15 წუთზე. მას შეეფარდა ორკვირიანი პატიმრობა და, როგორც ჩემთან საუბრისას აღნიშნა, სასტიკად სცემეს, რომ აფრასიძის მკვლელობა ელიარებინა. ხასაიამ დანაშაული არ აღიარა“.

### ჩხრეკას ნასვამი და ფსიქიკურად დაავადებული მოწმეები დაასწრეს

„ხასაიას სახლიდან გამოყვანის შემდეგ ოჯახში მიდის პოლიციელთა მეორე ჯგუფი და ჩხრეკას ატარებს. **მოწმედ მიიყვანეს ორი პიროვნება. მათგან ერთი ნასვამ მდგომარეობაში იყო, მეორე კი სულიერად ჯანმრთელი არ გახლდათ.** ჩხრეკის შედეგად კარადის თავზე აღმოაჩინეს დანა, რომელზეც იყო იმ ჯგუფის სისხლის კვალი, რომელიც აფრასიძეს აღმოაჩნდა. ცოტა უცნაურია, რომ ეს დანა ვერ შენიშნეს ოჯახის წევრებმა მაშინ, როცა წინა დღეს დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ და ამ კარადის თავზე ნამცხვარი დაალაგეს. არ მგონია, ასეთ დროს სისხლით დასვრილი დანა შეუმჩნეველი დარჩენოდა ვინმეს“.

### მთელი გზა „მკვლელს“ სისხლიანი დანა ხელში ეჭირა?

„შემთხვევის ადგილიდან ხასაია წავიდა სახლში. მისი სახლი სოფელ ჭალაშია და დაახლოებით სამი კილომეტრი უნდა გაევლო. ამასთან, უნდა გადაელახა ენგური. ადგილობრივი მეტეოროლოგიური ცენტრიდან ამოვიღე ცნობა, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ იმ დღეს კოკისპირულად წვიმდა. **თუ ხასაიამ რაიმე დაზიანება მიაყენა აფრასიძეს დანით, რომელიც შემდეგ ვითომ აღმოჩნდა ხასაიას სახლში, მაშინ რაღაც კვალი ხომ უნდა დარჩენოდა, თუ ის დანას ჯიბეში ჩაიდებდა.** მის ტანსაცმელზე ასეთი კვალი არ აღმოჩნდა. თუ ხელში ეჭირა და ისე მიჰქონდა, მაშინ თავსხმა წვიმაში დანას სისხლის კვალი არ შერჩებოდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ დანაშაული ჩაიდინა, მარტივად შეეძლო დანაშაულის იარაღის გაქრობა. როგორც გითხარით, ენგური უნდა გადაევლო და, ბოლოს და ბოლოს, დანას მდინარეში გადააგდებდა“.

### ჟონგლიორი ხასაია, თუ გაყალბებული იარაღი

„ჩატარდა ამოღებული დანის ექსპერტიზა და დადგინდა პარამეტრები, იარაღის პირის სისქე და სიგანე, ისევე, როგორც თავის დროზე გვამსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადგინდა ამ ჭრილობების პარამეტრებიც. პარადოქსია, რომ მიუხედავად მრავალი ჭრილობისა, დანის პარამეტრები არც ერთ ჭრილობას არ დაემთხვა. ზოგზე დიდი იყო, ზოგზე — პატარა, მაგრამ მაინც ჩათვალეს მკვლელობის იარაღად. **საერთოდ, პრაქტიკაში ცნობილია, რომ დანა ერთი ან ერთნახევარი მილიმეტრით მეტია ჭრილობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ერთ ჭრილობას არ დაემთხვა.** გარდაცვლილი აფრასიძე აღნაგობით ძლიერი პიროვნება იყო და მას თავდაცვა შეეძლო. ხასაია ტანმორჩილია და მას ნამდვილად ვერ მოერეოდა, და თუ იარაღით დაჯაბნა, მაშინ ხასაია ჟონგლიორი უნდა ყოფილიყო, რომ სხვადასხვა დანით დაერტყა აფრასიძისთვის, რადგან ამოღებული დანა არ იყო მკვლელობის იარაღი“.

### 16 შუამდგომლობა პროკურატურის პასიურობის წინააღმდეგ

„თექვსმეტი შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ. ვითხოვდი, რომ იდენტიფიკაციისთვის ჩატარებულიყო სისხლის დნმ-ის გამოკვლევა. მოვითხოვე, დადგენილიყო, აფრასიძის ფეხსაცმლიდან აღებული მიწის გრუნტი შეესაბამებოდა თუ არა დანაშაულის ადგილის მიწის გრუნტს თავისი შემადგენლობით; დაკითხულიყვნენ მოწმეები, რომლებზედაც არსებობდა ინფორმაცია (სხვათაშორის, თვითონ მოკლულის ოჯახის წევრებისგან). ოჯახი იძლეოდა ჩვენებას, რომ აფრასიძე მიდიოდა სამუშაოდ სოფელ ცაიშში. მას უნდა ჰქონოდა ფული, რადგან შეშის ყიდვას აპირებდა. იყო ვერსიაც, თითქოს აფრასიძე დაინახეს, როგორ ჩაჯდა „ურალის“ მარკის ავტომანქანაში, რომელიც მესტიაში მიდიოდა, მაგრამ მესტიიდან იმ მძღოლის ჩამოყვანა და დაკითხვა ვერ მოხერხდა. **უნდა აღვნიშნო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი განყოფილების უფროსი ყველანაირად ცდილობდა, შესრულებულიყო ეს საგამოძიებო პროცესები, მაგრამ პროკურატურის მხრიდან იყო პასიურობა და დაინტერესება, რომ მაინცდამაინც ხასაია მიცემულიყო პასუხისგებაში“.**

### პროკურატურისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთით მეტი უდანაშაულო იქნებოდა ციხეში თუ ერთით ნაკლები...

„ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ ხასაია გამოუშვეს. ის ბიძასთან იმყოფებოდა ზუგდიდში. რამდენიმე ხნის შემდეგ მიაკითხეს ბიძის ოჯახში და დააპატიმრეს ისე, რომ დაკავების ოქმი არ შეუდგენიათ. ხასაიამ ვეღარ გაუძლო ამდენ უსამართლობას და ქუთაისის ციხეში თავის მოკვლა სცადა — მეოთხე სართულიდან გადმოხტა და ორივე ფეხი მოიტეხა. ჩვენ იმდენს კი მივაღწიეთ, რომ სათანადო სამედიცინო დახმარება გაუწიეს — გაუკეთდა ოპერაცია.

**ფაქტობრივად, რეალური მტკიცებულებების არარსებობის გარეშე ეს პიროვნება იხდის სასჯელს იმ დანაშაულისთვის, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ ჩაუდენია.** ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალები მაძლევს ამის თქმის საფუძველს. მტკიცებულებები არ არსებობს, გარდა იმ დანისა, რომელიც, როგორც აღვნიშნე, საეჭვო მტკიცებულებად იქცა.

მას ცამეტი წელი მიუსაჯეს. სააპელაციო სასამართლომ კი ძალაში დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ძიება ჩატარდა არაპროფესიონალურად. გარდაცვლილი აფრასიძის ახლობლები ითხოვდნენ დამნაშავის დასჯას. ისინი ისე ეკიდებოდნენ ამ საკითხს, რომ მათთვის მთავარი იყო, ვინმე დასჯილიყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მართლა იყო თუ არა ხასაია მკვლელი. ჭირისუფლებმა ცხედარი მიიტანეს პროკურატურასთან და იმუქრებოდნენ, რომ მას არ დამარხავდნენ, ვიდრე დამნაშავე არ დაისჯებოდა. პროკურატურას კი სკანდალი არ უნდოდა; ფორსირებული ტემპით დაიწყეს დამნაშავის ძებნა და ხასაია პასუხისგებაში მისცეს. პროკურატურისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთით მეტი უდანაშაულო იქნებოდა ციხეში თუ ერთით ნაკლები“.

**დაბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაში, რა თქმა უნდა, ხაზგასმითაა დაფიქსირებული, რომ ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნისა, თუმცა, სავარაუდოდ, ხსენებული დეკლარაცია მხოლოდ განვითარებულ, ნორმალურ სახელმწიფოებზე ვრცელდება, რასაც, სამწუხაროდ, საქართველოსთან არანაირი კავშირი არ აქვს.**

**ნანა ლაღაძიშვილი**

# სააკაშვილის ჩეჩნური ომი

**გაეროს 64-ე სესიაზე გამოსულმა სააკაშვილმა ჩეჩნეთი გაიხსენა. ეს იყო მისი რეაქცია რუსეთის პრეზიდენტის — მედვედევის გამოსვლაზე: „მათ პირისაგან მიწისა უნდა აღეგავათ 400-ათასიანი ქალაქი გროზნო, ამოეწყვიტათ ამაყი ჩეჩენი ხალხი და დაეხოცათ ათობით ათასი უდანაშაულო ადამიანი — ქალები და ბავშვები“.**

სააკაშვილმა ეს თქვა ევროსაბჭოს კომისიის მოხსენების გამოქვეყნების კვირაძალს, რომელმაც შეისწავლა შარშანდელი ომის შედეგები და, სავარაუდოდ, ბრალი რუსეთსა და საქართველოს შორის გაანაწილა. სააკაშვილმა, თავის მართლების მიზნით, გაიხსენა მეორე კავკასიური ომი. საინტერესოა, რომ უახლოეს ისტორიაში იყო მომენტი, როცა სააკაშვილი, ფაქტობრივად, რუსეთის მოკავშირე ბრძანდებოდა.

### თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის

2002 წელს 11 სექტემბრის ტერაქტის წლისთავზე პუტინმა ედუარდ შევარდნაძეს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა და პანკისის ხეობის ჩეჩნებისგან გაწმენდა მოსთხოვა. სააკაშვილმა თავისი მმართველობის პირველ თვეებში იზოლაციაში მოაქცია პანკისი; 2004 წლიდან მოყოლებული მან ისე აუბა მხარი მოსკოვის პოლიტიკას, რომ პანკისში მცხოვრები 3 ათასი ჩეჩენი ლტოლვილიდან 2007 წლისათვის მხოლოდ რამდენიმე ათეული დარჩა. საქართველოს ხელისუფლებამ გაამკაცრა საპასპორტო კონტროლი იმ ჩეჩენთა მიმართ, რომლებიც თბილისსა და სხვა ქალაქებში ჩაწერას და დამკვიდრებას ცდილობდნენ. ოფიციალური თბილისი ყველა მისაწვდომი ხერხით ცდილობდა საქართველოდან ჩეჩნების განდევნას და მან ეს შეძლო.

### საშიში კავშირები

ბოლო დრომდე საქართველოს ხელისუფალნი გაურბოდნენ ჩეჩნური სეპარატიზმის ლტოლვილ ლიდერებთან კონტაქტს. ცნობილია, მაგალითად, რომ ახმად ზაკაევი და მოვლადი უდუგოვი უშედეგოდ ცდილობდნენ, დაკავშირებოდნენ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრებს, თუმცა კონტაქტების დამყარების საშუალება ყოველთვის რჩება. ეჭვგარეშეა, რომ გია ბარამიძეს, რომელიც თავის დროზე გელაევთან აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოდან მისი რაზმის გაყვანის თაობაზე, არ გაუწყვეტია კავშირი იჩქერიის ყველაზე გავლენიან ლიდერებთან.

მხედველობაშია მისაღები ის ტრადიციული ურთიერთკავშირები, რომლებიც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ელიტებს შორის არსებობდა; თბილისში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე სისტემატურად იწვევდნენ სხვადასხვა სფეროებში მომუშავე ჩრდილოკავკასიელ მეცნიერმუშაკებს, განსაკუთრებით აქტიური იყო კავშირი ენათმეცნიერთა შორის.



მრავალწლიანი შესვენების შემდეგ ენათმეცნიერთა კონფერენცია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ეგიდით 2008 წლის შემოდგომაზე გაიმართა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის ბოლო განცხადება მოწმობს ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ მისი პოზიციის ცვლილებას. ამასთან, გამორიცხულია რელიგიური ექსტრემიზმის მხარდაჭერა. „მაგრამ, თუ საერთო ნაციონალიზმი და სეპარატიზმი დადგება დღის წესრიგში, რომელიც რუსეთისგან გამოყოფას მოითხოვს, საქართველოს პოზიცია კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტად ჩამოყალიბდება“, — ასკვნიან ისინი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ლევან ღვინჯილია უნარშეზღუდული პრეზიდენტისა და პოლიკარპე ხუბულავას «ჭიჭეტურას» შესახებ

**ქართული ენის მიმართ აგდებულმა დამოკიდებულებამ, უცხოთა და უცხოურის წამბაძველობამ მძიმე დაღი დაასვა ყველა სფეროს, მაგრამ სამი ხატებიდან — მამული, ენა, სარწმუნოება — ერთ-ერთს, ენას, დღეს გადარჩენა სჭირდება, ისევე, როგორც — მამულს! ამ პრობლემას ქართული ხასიათის ხაზგასმულად წარმომჩენი დარდიმანდულობით არ უნდა მივუდგეთ, რადგან მის მოგვარებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გადარჩება თუ არა ქართული სახელმწიფო, ქართველი ერი. ენის სიწმინდის დაცვა ბატონ ლევან ღვინჯილიასთვის პროფესიად იქცა, ერთხანს სახელმწიფომ ოფიციალურად „მახვილიც“ უბოძა ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეობის სახით და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებასაც შეუდგა, თუმცა...**
**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოწვეულმა ლევან ღვინჯილიამ ვრცლად ილაპარაკა ქართული ენის პრობლემებსა და გადარჩენის გზებზე.**
**არც ჩვეული სარკაზმი დაუკლია მავანთათვის... შევეცდები, ჩვენი საუბარი მეტ-ნაკლებად ზუსტად გადმოვცე, რადგან ბატონმა ლევანმა დამშვიდობებისას იხუმრა, ჟურნალისტებს გჩვევიათ რესპონდენტის ნაუბრის დაკონსპექტება და იქნებ ამ უხერხულობას ამარიდოთო.**



**— ბატონო ლევან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თითქოს უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ქართული ენის სიწმინდის დაცვა, თუმცა ეს კიდევ უფრო გაჭირდა, რატომ?**

— ენა ვითარდება იმის მიხედვით, თუ განვითარების რა გზას გაივლის ის ეთნოსი, ხალხი ან ერი, რომლის ენაც ის არის. ხშირ შემთხვევაში თვით ამ ენაზე მოსაუბრე ხალხთან, ერთან ერთად ენაც კვდება. ამის ცოცხალი მაგალითია ძველი ბერძნული, ძველი სომხური და ლათინური.

## ქართულსაც ელის საშიშროება, როგორც ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, რომ ის მოკვდეს.

**— ბატონო ლევან, თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ ადამიანი ენობრივი არსებაა. იქნებ, უფრო კონკრეტულად აუხსნათ მკითხველს, რას გულისხმობთ?**

— ადამიანი არის ენობრივი არსება, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მეობას ენა განსაზღვრავს, ისევე, როგორც ერის მეობას, აგრეთვე, ენა განსაზღვრავს. ერიც ისეთივე სუბიექტია, როგორც ადამიანი. ამ შემთხვევაში ტრადიციული ქვეყნების მაგალითზე ვამბობ. საპირისპირო მაგალითია ამერიკის ტიპის ქვეყნები.

ენა არის ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობის საშუალება და ფორმა. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები სხვადასხვანაირად ხედავენ სამყაროს.

ენაში აისახება ტრადიცია და, საერთოდ, მთელი ის გზა, რასაც ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანები გაივლიან. რაკი ადამიანი სამყაროს უყურებს დამოუკიდებლად და განსხვავებულად, მაშასადამე, ეს არის ადამიანთა სხვადასხვაობის საფუძველი და ეს არის უნიკალური მოვლენა, რომელსაც შენარჩუნება და განვითარება სჭირდება.

**— ბატონო ლევან, დღეს ენა კვლავაც არის ამ გამორჩეული ერის დედა?**

— დღეს ჯერჯერობით

## ქართული ენა არის ქართველი ერის დედა, მაგრამ ეს დედა მძიმე სენითაა დაავადებული და, სამწუხაროდ, შვილთა უმეტეს გავლენიან ნაწილს ამ დედის გადარჩენის სურვილი არ აქვს, რადგან ჰგონია, რომ დედინაცვალი, რომელიც მისი ადგილის დასაკავებლად მოჰყავს, უფრო ჯანსაღი და უფრო სიცოცხლისუნარიანი იქნება.

**— ალბათ, დედინაცვლის ენა უფრო კარგად ესმით...**

— უკეთესად იმიტომ ესმით, რომ დედინაცვლის ფუნქცია ამ შემთხვევაში ზედაპირულია, ეს არის გაგებინების ფუნქცია. ეს არ არის ქვეცნობიერის ენა, ტკივილის განცდის, ფიქრის, სიზმრის ენა, ეს არ არის წამოცდენის ენა. გახსოვთ, ცნობილ ფილმში — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ — ეჭვი აქვთ, რომ ის გოგონა რუსი მზვერავია და მშობიარობის დროს ყარაულობენ, რომ მას აუცილებლად წამოსცდება რუსული სიტყვა და სწორედ ასე მოხდება კიდეც. იმიტომ, რომ ის არის მის სხეულში. როცა ვამბობ, ადამიანი ენობრივი არსებაა, ნიშნავს იმას, რომ მის სხეულში დედის მუცელში ყოფნის პერიოდიდან ენა შედის როგორც სამყაროს ხედვის, გარესამყაროს აღქმის, აზროვნების ფორმა და მოდელი.

**— გამოდის, რომ დედინაცვლის ენაზე მოსაუბრე დღევანდელ ხელისუფლებას არ უნდა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა ქართული იყოს...**

— არა, არ უნდა! ასეთ შემთხვევაში ქართველი ერი დარჩება როგორც თავისთავადი ერი. ჩვენ კი უნდა ვიყოთ მოქალაქეებით დასახლებული ტერიტორია, სადაც ერთნაირად ფასეული იქნება როგორც ყოფითი ურთიერთობების ენა — ქართულიც, სომხურიც, აზერბაიჯანულიც, ბერძნულიც, ქურთულიც, ინგლისურიც, რუსულიც, უკრაინულიც და ა.შ. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, გვეუბნებიან, რომ დედამიწაზე ერთი დიდი ოჯახი იქმნება, მოდის ერთი საოჯახო ენა და ეს არის ინგლისური. მეტსაც გეტყვით, საქართველოს პარლამენტმა უკვე გადადგა ნაბიჯი იმისათვის, რომ საქართველოში ფილმები უნდა იყოს ნაჩვენები მხოლოდ ინგლისურად და ტიტრებით — ქართულად. ეს კანონი გამოვიდა. არავინ ჰკითხა არც ფსიქოლოგებს და არც ოფთალმოლოგებს, შეიძლება თუ არა, ადამიანმა ერთდროულად ტექსტიც იკითხოს და კადრსაც უყუროს.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ ეს იქნება კარგი იმ თვალსაზრისით, რომ ფილმები გახედნის საქართველოს მოქალაქეთა ყურს ინგლისურის მიმართ.

**— იმასაც ამბობენ, რომ უკვე ბევრმა იცის საქართველოში ინგლისური და თავისუფლად შეუძლიათ ფილმების ყურება...**

— ეს არის წარმოუდგენელი უნამუსო ტყუილი. ინგლისური საქართველოში იცის მოსახლეობის დაახლოებით 2-3 პროცენტმა ისე, რომ ფილმი აღიქვას. ინგლისური კი არა, მშობლიური ენა — ქართული არ ვიცით ისე, რომ ყველა ნიუანსს ჩავწვდეთ და, ბოლოს და ბოლოს, რუსთაველი წავიკითხოთ და გავიგოთ, რა თქვა.

**— ან, საერთოდ, რუსთაველმა თქვა თუ ორბელიანმა...**

— რუსთაველმა თქვა თუ ორბელიანმა, ეს ზოგჯერ ქვეყნის პრეზიდენტმაც არ იცის. საუბედუროდ, ცოდნისა და განათლების ამ დონეზე უნდათ, რომ მოჭრან ყველაფერი.

მოქალაქის განვითარება რა დონეზე გვინდა? მას ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობები, სამომხმარებლო ენა და არჩევნებში მონაწილეობას შეძლებს. ეს არის მაქსიმუმი.

რაც შეეხება სხვა ენებთან გათანაბრებას. საკმაოდ შეფარვით და ჩუმად ჩვენმა პარლამენტმა (ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს პარლამენტის დღევანდელმა თავმჯდომარემ — ბაქრაძემ წარმოადგინა მოხსენება) მოახდინა რატიფიცირება კონვენციისა ევროპის მცირე ენების შესახებ.

**ამ ქარტიაში პირდაპირ მითითებულია, რომ იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად მოსახლეობენ სხვაენოვანი ადამიანები (ჩვენ შემთხვევაში ეს არის სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი), ამ ენებს მიენიჭოს სახელმწიფო ენის თანაბარი ფუნქცია, რაც ნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მათ მიეცემათ უფლება, თავიანთი ენა გამოიყენონ ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში.**

შედეგად იმას მივიღებთ, რომ, თუ ეს მდგომარეობა შენარჩუნდება და წახალისდება, არათუ გამთლიანდება საქართველო და ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, რომელსაც თავისი სახელმწიფო ენა ექნება, არამედ პირუკუ პროცესები განვითარდება.

**— ახლახან სომხეთის პრეზიდენტმა სარქისიანმა განაცხადა სამცხე-ჯავახეთში სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების თაობაზე...**

— არაფერი მინიჭება არ არის საჭირო. ახლა ატყდა მითქმა-მოთქმა, თორემ წელან ქარტიაზე რომ ვილაპარაკე, პარლამენტში დავით ბაქრაძის ინიციატივით უკვე რატიფიცირებულია ეს კონვენცია და არავითარი სარქისიანის მოთხოვნა ამას არ სჭირდება. უფრო მეტიც, ამ ქარტიაზე რომ ხელი მოგვეწერა, საჭირო იყო 300-ზე მეტი მუხლიდან, თუ არ ვცდები, 75-ის აღიარება. უნდა გადაგვეწყვიტა, ოთხი შესაძლო ვარიანტიდან რომელს ვირჩევდით. შევარდნაძის პრეზიდენტობისას, როცა ენის პალატა არსებობდა, შევეცადეთ, 6 წლის განმავლობაში გაგვეწელა რატიფიკაციის პროცესი.

მე ვესაუბრე ინგლისელ ქართველოლოგს — ჯორჯ ჰიუიტს (რომელიც აფხაზების სიძეა — ზაირა ხიბას მეუღლე; ზაირა ასპირანტურაში სწავლობდა, ჰიუიტი მაშინ ენათმეცნიერების ინსტიტუტს სტუმრობდა და აქ შეეყარნენ ერთმანეთს) ინგლისში სამსახურებრივი მივლინებით ყოფნის დროს.

## ჰიუიტმა გვერდზე გამიხმო და, როგორც დასავლეთ საქართველოს „დიდმა გულშემატკივარმა“, ყურში ჩამჩურჩულა, იქნებ, დროა, მეგრელებმა თვითგამორკვევაზე ზრუნვა დაიწყონ და ჩვენ მაქსიმალურად ხელს შეგიწყობთო.

ეს იმას ნიშნავს, რომ მათთვის ეს არის ტერიტორიად გადასაქცევი ქვეყანა, სადაც ერთი ერის წარმომადგენლები კი არ სახლობენ, არამედ — ერთი ტერიტორიის მოქალაქეები. თუ არ არის ქართული ის ენა, რომელიც ამ ერს კრავს, მაშინ ქვედა დონეზე რა გრჩება — ქართულისთვის შესაბამისი დიალექტები, მეგრულ-ჭანური და სვანური, და იქნება ის ვითარება, რაც გვაქვს ლაზურთან დაკავშირებით. ლაზები, მოგეხსენებათ, არ ამბობენ, რომ ქართველები არიან. მათ ეს შეგნება აქვთ. თურქეთში მცხოვრებ ლაზებს ვგულისხმობ. ისინი ამბობენ, რომ მეგრელებისა და ქართველების ძმები არიან, მაგრამ ლაზები და არა — გურჯები.

**შენ თუ ერს, როგორც ცნებას, მოსპობ და ამის მნიშვნელობას დაიყვან მოქალაქეობამდე, მაშინ მეგრელი იტყვის, რომ ქართველი კი არა, მეგრელია. ქართველი ნიშნავს ქართების შთამომავალს. თუ ამ მნიშვნელობას წაშლი და გადაასხვაფერებ ამ ტერიტორიის მოქალაქეთა აღმნიშვნელ ცნებად, მაშინ ეს მოასწავებს ეროვნული სხეულის დაშლას, ანუ დაიწყება დაშლა სუბიექტისა, რომელსაც ერი ჰქვია.**

**— ესე იგი, მიზანმიმართულად მივყავართ ამისკენ...**

— ეს არის მოდელი, რაც ხდება ამერიკაში. იქ ნაციაში გულისხმობენ ამერიკის მოქალაქეებს. უფრო მეტიც, იქ უამრავი სხვა თვისებაც იკარგება. მაგალითად, ჩვენ თუ დღეს ვაჟა-ფშაველასა და რუსთაველის მემკვიდრე-

## დღეს საქართველოს მისი მესაჭეები არათუ საფრთხეებს აცილებენ, არამედ — პირიქით, ნებისმიერი შესაძლო საშუალებით ცდილობენ, მეობა წაიშალოს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ობით თავს ვიწონებთ, გალაკტიონით ვტრაბახობთ, ამერიკის მოქალაქისთვის ეს შეიძლება ცოტა გაუგებარი იყოს.

**ჩვენი თანამედროვე „მოაზროვნეები“ ბოლო დროს აქვეყნებენ მოხსენებებს, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობენ ლექციებს (მათ შორის ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ე.წ. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში), სადაც ცნებები — ერი, ეროვნება, პატრიოტიზმი ჩამორჩენილობად, ძველებური აზროვნების გადმონაშთად არის მიჩნეული...**

**— მაგრამ, ბატონო ლევან, ოპონენტები შეგახსენებენ პატრიოტთა ბანაკებს, მუსიკალურ კონკურს „პატრინოტს“...**

— ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მოხდეს სიტყვის დევალვაცია, სიტყვის მნიშვნელობის გაცვეთა. ნახეთ, რას გვეუბნებიან — ვინც ბანაკებში დადის, ისინი არიან პატრიოტები! საიდან მოიტანა პრეზიდენტმა ეს დამოკიდებულება? რა თქმა უნდა, **იგი ამ ტიპის დაწესებულებაშია გაზრდილი, ისევე, როგორც ჩვენ. ჩვენ შეიძლება საქართველოს პიონერთა ბანაკებში, ის კი „არტეკამდეც“ არ მისულა — იქ, სადაც საბჭოთა პატრიოტიზმი ვითარდებოდა. მან იცის, რომ ამით თან ვითომ ხარკს უხდის სამშობლოს სიყვარულს, მაგრამ სინამდვილეში ცნების დევალვირებას ახდენს. ეს ხდება შეგნებულად, რომ არ შევიტანოთ ეჭვი, სინამდვილეში კი სწორედ პატრიოტიზმს შლიან.**

ასე აკეთებს ყველა დანარჩენშიც. მაგალითად, ზრუნავს ფოლკლორზე. ამ დღეებში ხობში ჩატარდა ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“. მას ერთ-ერთი დეპუტატი უდგას სათავეში. ფესტივალის ჩატარებას რად უნდა დეპუტატობა?! მიაქციეთ ყურადღება, ფესტივალს ჰქვია „სიმღერა სამეგრელოზე“, ამას კი ჩამოჰყავს ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი, ბოშების საესტრადო ანსამბლი მოსკოვიდან, მეგრულ სიმღერას ამღერებს სოტკილავას და პირველ ლედის. ამის შემდეგ ჩამოჰყავს ირაკლი ფირცხალავა, რომელსაც იქაური ბავშვები წივილ-კივილით ხვდებიან. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, პოლიკარპე ხუბულავას „ჭიჭეტურა“ არავის უნდა და არავინ უსმენს, ანუ ეს ფოლკლორზე ზრუნვის ნიღბით ფოლკლორის დამარხვის პროცესია.

ქართული სიმღერის მსმენელი უნდა გაიზარდოს. ეს ისეთივე რთულია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი უნდა გაიზარდოს, თორემ...

**— როგორ უნდა გაიზარდოს, ბატონო ლევან, დღევანდელი განათლების რეფორმა იძლევა ამის საშუალებას? შეიძლება, ძალიან პესიმისტურ პროგნოზს ვაკეთებ და ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ათი წლის შემდეგ საქართველოში შეიძლება აღარც კი იყოს „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნე ადამიანი...**

# მე ინგლისური არ ვიცი და ამიხსენით, რა აწერია, რას ნიშნავს EMERGENCY? მე, საქართველოს მოქალაქეს, რატომ მავალდებულებ, ვიცოდე, რა არის EMERGENCY?




— უფრო მეტსაც გეტყვით,

**„ვეფხისტყაოსანი“ არ იქნება მიჩნეული იმ ნაწარმოებად, რომლის ცოდნა აუცილებელია. დღეს ამერიკაში არავის ეკითხებიან, რას კითხულობენ. აქცენტი გადატანილია სხვა რამეზე — შენ თვითონ ვინ ხარ, როგორც სპეციალისტი. იქ იმდენად ვიწრო სპეციალიზაციაა, რომ ასეთი ჩვენთან შეიძლება ყოფილიყო ოსტატის შეგირდი.**

**— ანუ იქ ცოდნას მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რამდენად გამოდგება ცხოვრებაში. და ჩვენც აქეთ მივდივართ...**

— დიახ, აქეთ მივდივართ. ამის ძალიან კარგი მაგალითია ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ერუდირებული, განათლებული ადამიანის იმიჯს იქმნის და ასეთად აჩვენებს თავს მთელ საქართველოს.

**— ძალიან მეეჭვება...**

— ეს გეეჭვება შენ, მეეჭვება მე, ეეჭვებათ იმ ადამიანებს, ვინც იცის, რომ საქართველო არ არის არგონავტების ქვეყანა, რომ ყვავები არ აჭედებდნენ ლურსმნებს ამირანის ჯაჭვზე... უცოდინარობის დამადასტურებელი უამრავი ასეთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, რომ „ატმის რტოო, დაღალულო რტოო...“ არ არის ანა კალანდაძის ლექსი, თუმცა პრეზიდენტმა ეს მის დაკრძალვაზე თქვა... მაგრამ ვინც არ იცის და თვითონაც გაუნათლებელია, ის ხომ იტყვის: დედა, რა განათლებულია, ინგლისური იცის, ფრანგული იცის, უკრაინული იცის... სამაგიეროდ, არ იცის, რომ „მიეცი ნიჭსა გზა ფართო...“ შოთა რუსთაველის არ არის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ეს არც გამგონემ იცის! ასეთ შემთხვევაში ის საღდება, როგორც ერუდირებული. აი, ეს არის მთავარი, რომ ისეთი ადამიანი გაიზარდოს, რომელმაც რაღაცას ყური მოჰკრა და საღდება როგორც სპეციალისტი, როგორც მცოდნე.

თქვენი რედაქციის ფანჯრებიდან ჩანს სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც, მგონი, ამერიკიდან ჩამოყვანილი კაცი ხელმძღვანელობს — ბატონი ნიკოლოზ ყიფშიძე. ამ შესანიშნავად გარემონტებულ შენობას ერთადერთი დიდი წარწერა აქვს. მე ინგლისური არ ვიცი და ამიხსენით, რა აწერია, რას ნიშნავს EMERGENCY? მე, საქართველოს მოქალაქეს, რატომ მავალდებულებ, ვიცოდე, რა არის EMERGENCY?

კარგი, ვთქვათ, „ქორთიარდს“ და „შერატონს“ თუ „რედისონს“ ინგლისურად წერ, ეს სასტუმროები უცხოელებისთვისაა, მაგრამ ეს საავადმყოფო ხომ ქართველი მოქალაქეებისთვის არის? აქ აუცილებელია ქართული წარწერა! კარგი, ამერიკიდან ჩამოიყვანე, მაგრამ, აი, რა ქნა ამ ამერიკიდან ჩამოყვანილმა კაცმა. შიგნით რა ხდება, ის არის მთავარი და გარედან ამას რომ მაჩვენებ... შენ რომ სომბრეროს დაიხურავ და ხელში შოლტს დაიჭერ, მე როგორ აღგიქვა — როგორც საქართველოს ბედზე მზრუნველი ტრადიციული ქართველი განათლებული კაცი?!

**— ბატონო ლევან, მძიმე ვითარებაა, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს გამოსავალიც...**

— რომელ გამოსავალს ვეძებთ? მე არ მახსოვს სახელმწიფოს მეთაური, გნებავთ, საფრანგეთის ან გერმანიის, ვინც საუბრობს სხვა ენაზე, გარდა თავისი სახელმწიფო ენისა.

**ჩვენი პრეზიდენტი კი აქ, საქართველოში, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან ან სხვა რომელიმე ქვეყნის მეთაურთან ოფიციალურ შეხვედრებს მართავს და ინგლისურად ლაპარაკობს...**

**— ჩვენი პრეზიდენტი არა, ბატონო ლევან, თქვენი პრეზიდენტი...**

— *(იცინის)* ჰო, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვიხუმრე ამის შესახებ... მე ძალიან მინდოდა, იგი აღმექვა როგორც ჩემი პრეზიდენტი. მზად ვარ ამისთვის. სხვათა შორის, იმ ტელეგადაცემაშიც აღვნიშნე და ზოგიერთებმა მისაყვედურეს, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს, რაც ვთქვი.

მე ვთქვი — რატომ არ მსვამ შენს ნავში, ანუ შენთან ერთად რატომ არ მაკეთებინებ სახელმწიფოებრივ საქმეს? ზოგიერთებმა მისაყვედურეს — როგორ თუ შენ მასთან ერთად აპირებ საქმიანობასო. დიახ, თუ მექნება საშუალება, ჩემი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ვემსახურო ჩემს ქვეყანას, მაშინ მე ვაიძულებ, მომისმინოს როგორც სპეციალისტს! თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ, მაშინ მოიყვანენ ყიფშიძის მსგავს ადამიანებს და პლასტმასით მოპირკეთებულ სასტუმროსაც არქიტექტურის შედევრად გამოაცხადებენ.

**მეტსაც გეტყვით, დღეს ჩვენ თანამდებობებზე გვყავს ადამიანები, რომელთაც 33-ვე ქართული ბგერის გამოთქმა არ შეუძლიათ. არანაირი ღირსებით არ გამოირჩევიან, გარდა იმისა, რომ, დაუკვირდით — სახელისუფლებო კოჰორტაში არ არის ადამიანი, რომელიც რაღაცნაირად არ იყოს უნარშეზღუდული. კი, ბატონო,**

**შეიძლება იყოს ერთი უნარშეზღუდული იმისთვის, რომ ამ ადამიანებსაც არ ჩაგრავ, თუ გინდა პრეზიდენტად, და გვყავს კიდეც, მაგრამ შეიძლება ყოველი მეორე მინისტრი უნარშეზღუდული იყოს?**

განა უნარშეზღუდვა არ არის, როცა 33 ბგერიდან 25 ან 26 ბგერას წარმოთქვამ? ანდა გამართულად ტექსტის წაკითხვა არ შეგიძლია? ამასწინათ განათლების მინისტრი გვყავდა. მე ენაბრგვილების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ განათლების მინისტრი, რომელიც ბავშვებთან შედის, ერთ სიტყვას იმ დროში უნდა ამბობდეს, რა დროც ამ სიტყვის წარმოთქმას ჩვეულებრივ სჭირდება. როცა მინისტრს ენა ებმება და მოსწავლეებთან შეხვედრაზე ხორხოცს იწყებენ მისი მოსმენის დროს, არ ღირს მაინცდამაინც ბავშვების ყბაში ჩასავარდნად.

მიაქციეთ ყურადღება იმავე ჟურნალისტების მეტყველებას: მახვილებს სიტყვის ბოლოში სვამენ, რაც წარმოუდგენლად კომიკური მოსასმენია. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს არის ინგლისურის, ფრანგულის გავლენა.

**— ბატონო ლევან, საით მივდივართ?**

— დღევანდელ ხელისუფლებას ქვეყნის განვითარებად და ინტეგრაციის პროცესის წარმატებით განხორციელებად მიაჩნია, რასაც აკეთებს; ჰგონია, რომ ინტეგრაცია არის ერებისა და ეთნოსების ერთმანეთთან დაახლოება. არა, ბატონო! ქართველ ერში ინტეგრირებულია ქისტები, წოვა-თუშები, ანუ ბაცბები, უდიები ყვარლის რაიონში, აზერბაიჯანელები მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირში, სოფელ მსხალდიდში, თბილისელი ქურთები, ნაწილობრივ — თბილისელი სომხები და ვეძისელი აზერბაიჯანელები. ინტეგრირება ის არის, როცა შენ ამ ქვეყანას ირჩევ შენს სამშობლოდ და არა ის, რომ ავტონომია ან რეგიონული ენა მომთხოვო.

ხელისუფლებას ქვეყანა მიჰყავს იქით, რომ მისი ერი გადაიქცეს მოქალაქეთა ერთობლიობად. ის მომსახურე იქნება თუ საერთოდ გაიქცევა ქვეყნიდან, ეს კიდევ სხვა საკითხია. თუმცაღა გეზი არის ასეთი, რომ აქ მე არ მჭირდება მოაზროვნე ადამიანები, განათლებულები და კრიჭაში მდგომები, რომლებიც შენიშვნას გამოთქვამენ ჩემ მიერ წარმოთქმულ ლექსთან დაკავშირებით. მჭირდება ხალხი, რომლებიც სასტუმროში „მოახდენენ მომსახურებას“. გახსოვთ თქვენ, რა თქვა პრეზიდენტმა „რედისონის“ გახსნისას. მისი თქმით, „რედისონი“ არის დაწესებულება, საიდანაც მოხდება ქართული მომსახურების ექსპორტი. სრული გაუგებრობაა.

ასე თავდაყირა დგას ყველაფერი საქართველოში, როგორც იმ წინადადებაში და ამ დამოკიდებულებაში. ეს მარტო კონტექსტიდან ამოგლეჯილი შეცდომა კი არ არის, ეს არის მისი ცხოვრების მართვის წესი.

**როდესაც ის აგიტაციას ეწევა, 4 წლის ბავშვმა როგორ დაამტვრია „ზაპოროჟეცი“, ეს რა თავმოსაწონებელი მაგალითია, ამით რას მეუბნება? შეიძლება, ამგვარი თვალსაჩინოებით ერს ელაპარაკო? რამდენიმე ათასწლოვან ერს ქვეყნის პირველი პირი ასე უნდა ელაპარაკებოდეს?**

**— ბატონო ლევან, ენის პრობლემებს თუ დავუბრუნდებით, უპირველესად, ალბათ, ჩვენი უახლოესი მეზობლის — თურქეთის მაგალითი უნდა გავიხსენოთ...**

— ოდესმე დავინტერესდით და გავითვალისწინეთ, როგორ ექცევიან თურქები თურქულ ენას?

**ჩვენ არაფერი გვჭირდება იმის მეტი, რომ აზერბაიჯანის მიერ მიღებული კანონი აზერბაიჯანული ენის შესახებ პირდაპირ გადმოვთარგმნოთ. როცა ენის კანონს ვწერდით, აზერბაიჯანის კანონის მუხლების გადმოტანის შეგვეშინდა, ვიფიქრეთ, ამას არავინ დაგვიმტკიცებდა.**

— ვთქვათ პირდაპირ — ვერც აზერბაიჯანში, საინგილოში, და ვერც თურქეთში ლაზებთან დედაენას ვერ შევიტანთ...

**— ამის გარდა, ნახავთ თურქეთში ან აზერბაიჯანში ადამიანს, რომელმაც თურქული არ იცის ან აზერბაიჯანული არ იცის?**

**ეს ქვეყნები ზრუნავენ თავიანთი მოქალაქეების ინტეგრაციაზე.**

**— ბატონო ლევან, ჩვენი ინტერვიუს დასასრულ, მინდა, გკითხოთ, რა არის ეს ქართული ტოლერანტობა, რა თვისებაა, რომელიც უბედურებად გადაგვექცა? ჩვენ ყოველთვის თავს ვიწონებთ ტოლერანტობით და საბოლოოდ გამათრახებულები ვრჩებით...**

— თუ მიწას, ქვეყანას თავისი კანონიერი პატრონი ვერ პატრონობს, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც მის ადგილს დაიკავებს. ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ჩვენ ძალიან ხშირად ჩვენი გულკეთილობით, ზოგჯერ, შეიძლება, უუნარობით, გულუბრყვილობით და სიბრიყვითაც კი ჩვენთვის ფასეული, სამერმისო და მნიშვნელოვანი ხელიდან გვეცლება და ვიღაცას უვარდება ხელში.

**— მაგრამ ვინმეს სჭირდება ჩვენი ენა, რომელსაც, ასევე, დაკარგვის საფრთხე ემუქრება?**

— არავის სჭირდება. ჩვენ ენასთან ერთად დავიკარგებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არის ის, რომ ენა და ერი ერთდროულად იკარგება.

**თუკი ერის მეობა განისაზღვრება ენით, მეობაგამოცლილი ხალხი ვერ გადარჩება!**

თუ არ იქნება ქართული ენის აკვანი და ქართველი ერი, მაშინ კაცობრიობას ძალიან მნიშვნელოვანი ღირსება, ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტი მოაკლდება და დაეკარგება. თუ ერი არის სუბიექტი, ამ სუბიექტის დაღუპვას, მის გადაგვარებას არ უნდა შევუწყოთ ხელი.

**სამწუხაროდ, დღეს საქართველოს მისი მესაჭეები არათუ საფრთხეებს აცილებენ, არამედ — პირიქით, ნებისმიერი შესაძლო საშუალებით ცდილობენ, ეს თავისებურება, ეს მეობა წაიშალოს.**

ჩვენ დავრჩებით მხოლოდ მოქალაქეები, გვექნება ტერიტორია, მაგრამ არ იქნება შემთხვევა, როდესაც „ჩაკრულოს“ მოსმენისას ვინმეს ჟრუანტელი დაუვლის, დაბურძგლავს და ცრემლი წამოუვა...

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ამ ხელისუფლებას დასაჭერი აღარავინ დარჩა, ვისაც მილიონებს დააყრევინებდა

**მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მრავალი ობიექტის ლიკვიდაცია განაპირობა. იმ კომპანიებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებმაც კრიზისს გაუძლეს, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის რისხვა დაატყდა თავს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2009 წლის 21 აგვისტოს „ელიტ ელექტრონიქსისა" და „ელიტელის" მაღაზიათა ქსელში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექცია შევიდა, რის გამოც სავაჭრო ობიექტებმა მუშაობა დროებით შეაჩერეს. რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ „ელიტ ელექტრონიქსმა" ახალ მეწილესთან — თიბისი ბანკთან შეთანხმებას მიაღწია და ამ ეტაპზე ვაჭრობას ხუთი მაღაზია განაახლებს.**

## „კეზერას ბიჭები" მებაჟეებს ცხვირწინ მუშტებს უტრიალებდნენ

**„საქართველო და მსოფლიო" ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში პროგნოზირებდა, რომ ხელისუფლება მეწარმეებს და ბიზნესმენებს მარწუხებს კიდევ უფრო მოუჭერდა.** ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ნიკო ორველაშვილი** ჩვენთან საუბრისას აღნიშნავდა: „პირველწყაროზე დაყრდნობით გეუბნებით, რომ საგადასახადო ინსპექცია გააქტიურდა. შეესევიან საწარმოებს და ფულის ამოღებას შეეცდებიან. **ხელისუფლებას არ ესმის, რომ ხალხს წასართმევი არაფერი დარჩა**. 7-8 წლის წინათ იტალიის მაფიას ლოზუნგი ჰქონდა: „დაბეგრეთ ყველა, მაგრამ წართვით ცოტ-ცოტა", რადგან, თუ ერთბაშად წაართმევ ყველაფერს, ხალხს აღარ დარჩება იმდენი, ხვალ კიდევ რომ იშოვოს და წასართმევიც აღარაფერი იქნება. ეს სრულიად გაუგებარია სააკაშვილისთვის. ის ცდილობს, ლიმონივით გამოწურულ ქვეყანას იმდენი ფული გამოადინოს, რომ ერთი სასახლე კიდევ აიშენოს." **როგორც ჩანს, შემოსავლების სამსახურს სუსტი მარწუხები აქვს და ხელისუფლებამ ფინანსური პოლიციის აღდგენა გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ამ სტრუქტურის თანამშრომლებს, საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებაც ენიჭებათ.**

ფინანსური პოლიციის ინსტიტუტი უცხო არ არის ქართველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით, ბიზნესწრეებისთვის. **პრაქტიკულად, ფინანსური პოლიციის დანიშნულება იყო რეკეტი, ამ სიტყვის პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. ამ უწყების თანამშრომლები ხელისუფლების მაღალჩინოსნების დავალებით თავს ესხმოდნენ კომპანიებსა თუ ორგანიზაციებს. „აღმოაჩენდნენ" მათთან არსებულ „ფინანსურ დარღვევებს", აკავებდნენ ხსენებული კომპანიებისა თუ ორგანიზაციების მფლობელებს და შემდეგ ბიუჯეტში თუ საკუთარ ჯიბეში საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდის სანაცვლოდ ათავისუფლებდნენ.** ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს „რუსთავი 2"-ის ოფისში ფინანსური პოლიციის შესვლამ საზოგადოების მღელვარება გამოიწვია. ამას ზურაბ ჟვანიამ საკუთარი თანამდებობა შესწირა. სააკაშვილის ხელისუფლებამაც არაერთი სატელევიზიო შოუ მოაწყო ფინანსური პოლიციის თანამონაწილეობით. ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბონდო შალიკიანი საკუთარი სახლიდან ნიფხავ-პერანგის ამარა გამოიყვანეს; ექს-პრეზიდენტის სიძე გია ჯოხთაბერიძე აეროპორტში თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოიყვანეს; აეროპორტშივე დააკავეს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი აკაკი ჩხაიძე და ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. **ამასთანავე, დაკვირვებულ მკითხველს ემახსოვრება, როგორ შემოარტყა ალყა ფინანსურმა პოლიციამ საბაჟო დეპარტამენტს და მისი თავმჯდომარის — ზურაბ ანთელიძის კაბინეტში საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის" თითქმის მთელი შემადგენლობა დააპატიმრა**. ეს ის, რაც ეკრანზე ჩანდა. კადრს მიღმა კი ფინანსური პოლიციის ბევრი საეჭვო ქმედება დარჩა.

„საქართველო და მსოფლიო" ამ უწყების ერთ-ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს დაუკავშირდა, რომელმაც გულახდილად გაგვიმხილა ფინანსური პოლიციის „წარმატებული" მუშაობის პრინციპი და „საქმენი საგმირონი".

ის, რომ ყოფილი ფინანსური პოლიციის ბევრი ქმედება უკანონო იყო, ამას თავად აღნიშნული სამსახურის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანიც არ მალავს. სამაგიეროდ, პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, არ სურს, გავამხილოთ მისი ვინაობა. რედაქცია ითვალისწინებს ამ თხოვნას და ინკოგნიტოდ ტოვებს რესპონდენტის ვინაობას, მხოლოდ ერთს დავაკონკრეტებთ, რომ იგი ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში მუშაობდა.

— გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსურ პოლიციას მიხეილ სააკაშვილის ერთგული თანამებრძოლი და მეგობარი **დავით კეზერაშვილი** ხელმძღვანელობდა, ამ უწყებას თითქმის ნებისმიერ კომპანიასა თუ ორგანიზაციაში შესავარდნად და მათ ასაკლებად ყოველთვის მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს „კეზერას ბიჭებს" ეძახდნენ.

**— უკაცრავად, ხომ არ იცით, სად არის ამჟამად თქვენი დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, „კეზერად" წოდებული?**

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე. თავად მაგ სისტემაში მთელი ორი წელი ვიმუშავე. ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერ ვხვდები სამართლიანობის დაცვის რაიმე პრინციპს ფინანსური პოლიციის მხრიდან. ის, რასაც მავალებდნენ, სრული უკანონობა იყო. ბიზნესმენების „მოხრჩობა", ასევე, კეთილსინდისიერი გადამხდელების დაწიოკება და უამრავი მსგავსი უმსგავსო დავალება.

**— თუ ასეთი მდგომარეობა იყო ფინანსურ პოლიციაში, რატომ ადრევე არ მიმართეთ ხელმძღვანელობას გათავისუფლების თხოვნით?**

— ველოდი ამ შეკითხვას. ის ხალხი, გადაუჭარბებლად შემიძლია, ვთქვა, ნამდვილი მაფიოზები კი არა, უარესები არიან. ხმა რომ ამომეღო, თქვენს გაზეთთან საუბარს ნამდვილად ვერ შევძლებდი, **გამაქრობდნენ და იმიტომ**.

**— თქვენ იცით მათი მუშაობის წესები?**

— აქ მარტივი პრინციპი მოქმედებდა — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. მე მოვასწარი, გადავურჩი მათგან ანგარიშსწორებას და საერთოდ განზე გავდექი.

**— იყო თუ არა კორუფციის ფაქტები ყოფილი ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან?**

— ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ერთ შემთხვევას მოგიყვებით. **როდესაც საბაჟო-გამშვები პუნქტის ცვლის უფროსმა ხელმძღვანელს 24 საათის მორიგეობის განმავლობაში მოგროვილი კორუფციული თანხა ერთი მილიონი ლარი კაბინეტში მიართვა, მისგან უწმაწური ლანძღვა-გინება მიიღო. თქვე ქურდებო, არ გრცხვენიათ, რამდენს იპარავთო!** წარმოიდგინეთ, როდესაც საბაჟოს თანამშრომლებს დღე-ღამეში ერთი მილიონი მიჰქონდათ ხელმძღვანელთან, ფინანსურ პოლიციას ერთ „სუტკაში" რამდენი უნდა გაეკეთებინა? არ იცით, ხომ? — დაახლოებით ორ-სამ მილიონამდე. წარმოგიდგენიათ, რა თანხაა ეს?

**— მაინც, კონკრეტულად, იქნებ, გაგვიმხილოთ, რა მექანიზმით ხდებოდა „კეზერას ბიჭების" მიერ ფულის კეთება?**

— აი, თუნდაც ერთ შემთხვევას გიამბობთ. საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე" მებაჟეებმა 300 ერთეულამდე ბოლო თაობის მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს. როდესაც შემთხვევის ადგილას მივედი, **ჩემი მოადგილე და „კეზერას ბიჭები" მებაჟეებს ცხვირწინ მუშტებს უტრიალებდნენ: ეს კონტრაბანდა თქვენ კი არა, ჩვენ დავაკავეთო. საბაჟო-გამშვები პუნქტის მაშინდელმა უფროსმა განაცხადა, ფინანსური პოლიცია არაფერ შუაშია ამ დაკავებასთანო,** თუმცა თავისი სიმართლე ვერაფრით დაადასტურა. ტვირთის დაკავება ტელევიზიითაც გაშუქდა. ამის შემდეგ კონტრაბანდულ საქონელს დალუქვის ნაცვლად ვაგზლის ბაზრობაზე გაუკეთეს რეალიზაცია. საქმეს კი არანაირი მსვლელობა არ მისცემია. ასეთი შემთხვევა არაერთხელ დაფიქსირებულა. საბაჟოზე ეს მექანიზმი მოქმედებდა. საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ამოღებული თანხები კი, ძირითადად, ბიუჯეტში ირიცხებოდა. თუმცა ხდებოდა ისეც, რომ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ფინანსური პოლიცია საქმეს წყვეტდა და ეს თანხა ბიუჯეტში კი არა, მათსავე ჯიბეში მიდიოდა. ხშირად იმდენად მაღალ თანხაზე ედავებოდა ფინანსური პოლიცია მეწარმეს, რომ ეს უკანასკნელი გარიგებაზე წასვლას ამჯობინებდა.

**— რატომ გაუქმდა ეს სტრუქტურა?**

— ხელისუფლებას ბიზნესისთვის ლოიალური გარემოს შექმნის დემონსტრირება სჭირდებოდა; **დასაჭერი აღარავინ დარჩა, ვისაც მილიონებს დააყრევინებდა. ვისაც ხელისუფლებაში ლობი არ ჰყავდა, რისკზე აღარ მიდიოდა და ამის გამო კონტრაბანდაც შემცირდა. სტრუქტურა იმ ეტაპზე უფუნქციოდ დარჩა და ხელისუფლებამ ეს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების იმიჯის შესაქმნელად გამოიყენა**. გაუქმება და მერე, საჭიროების შემთხვევაში, ისევ შექმნა სირთულეს არ წარმოადგენს. როგორც ჩანს, ახლა ისევ გაჩნდა ამის საჭიროება. ეს ხელისუფლების კიდევ ერთი ბერკეტი იქნება. ვფიქრობ, ახალ უწყებას ძველი ფუნქცია ექნება. რაში მდგომარეობს ეს, უკვე მოგახსენეთ — რეკეტში.

„საქართველო და მსოფლიო" **გიორგი ჯ.-ს** დაუკავშირდა, რომელმაც ფინანსურ პოლიციაში მხოლოდ 2 თვე იმუშავა. ასეთი ხანმოკლე მუშაობის სტაჟი იმან განაპირობა, რომ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქმიანობის პრინციპი.

**გიორგი ჯ.:**

— ახლობლის რეკომენდაციით დავიწყე ფინანურ პოლიციაში მუშაობა. მანამდეც სახელმწიფო სტრუქტურაში ვმუშაობდი, მაგრამ **ამ სტრუქტურის მუშაობის პრინციპი ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა. დაახლოებით ის სიტუაცია იყო, „ხარება და გოგიაში" რომ არის, „კაცობას თავი დაანებე და ბოზობა დაიწყეო."**

ის აზრი, რომ ფინანსური პოლიცია ხელისუფლებას ბიზნესზე ზეწოლისთვის სჭირდება, რეალობას მოკლებული არ არის. ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბიუჯეტი ჩავარდნის საფრთხის წინაშეა. შევარდნაძის მიერ მრავალჯერ სეკვესტრირებული ბიუჯეტი სააკაშვილმა ფინანსური პოლიციის მეშვეობით ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე წელს გადაჭარბებით შეავსო. მკაცრი ხელი მარტო თავდაცვის სისტემაში კი არა, ფინანსებშიც სჭირდება ხელისუფლებას და ფინანსური პოლიცია ამ ფუნქციას წარმატებით შეასრულებს. ვაი მას, ვინც მის მარწუხებში მოხვდება.

**ნანა ლაღაძიშვილი**

# არჩილ ქყოიძე: პუტინს და მედვედევს სააკაშვილი არ მოსწონთ, მაგრამ ამის გამო ქართველ ხალხს როდი ლანძღავენ

**გუშინ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ერეკლე მეორეს საზოგადოებამ ქართულ-რუსული პოეტური ალმანახის — „ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე პუშკინი" — პრეზენტაცია გამართა.**

**„პოეტური ალმანახი „ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე პუშკინი" 56-გვერდიანია, — ამბობს ბატონი არჩილი, — მასში ილია ჭავჭავაძის ლექსები რუსულ თარგმანთან, ხოლო პუშკინის — ქართულ თარგმანთან ერთადაა დაბეჭდილი. სხვათაშორის, კრებულში შესული რამდენიმე ლექსის თარგმანი თავად ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის".**

**— რა ნიშნის მიხედვით შეარჩიეთ ეს ორი პოეტი?**

— სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1837 წელს, როცა რუსეთში ალექსანდრე პუშკინი ტრაგიკულად დაიღუპა, საქართველოში ილია ჭავჭავაძე დაიბადა. გარდა ამისა, მათი სახელი საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გასცდა, ორივენი მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკოსებად არიან მიჩნეულნი. პუშკინი რუსული ფილოლოგიის მამად აღიარეს, ილია ჭავჭავაძემ კი უდიდესი შრომა გასწია ქართული ენის დახვეწისთვის, მოკლედ, ამ ბუმბერაზ პიროვნებებს ბევრი საერთო აქვთ. მთავარი, ალბათ, მათი ჰუმანიზმია.

**— რა ტირაჟით გამოიცა ალმანახი?**

— ტირაჟი დიდი არ არის. ალმანახი გამოვეცით საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარის, ბატონ ალექსანდრე ებრალიძის პირადი შემოწირულობის მეშვეობით, სხვებიც დაგვეხმარნენ. იგი ჩვენს მოქალაქეებს უფასოდ დაურიგდება.

**— ამბობენ, ერეკლე მეორეს საზოგადოების უკან ალექსანდრე ებრალიძე დგასო, ადასტურებთ ამ მოარულ აზრს?**

— ეს არ არის სიმართლე. ერეკლე მეორეს საზოგადოება გასული წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი არსებობის შესახებ ბატონმა ებრალიძემ მხოლოდ ამა წლის მაისის თვეში შეიტყო, როდესაც ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართვა გააკეთა ქართული მასმედიისთვის, სადაც ვითხოვდით, შეეწყვიტათ რუსეთში მოღვაწე ქართველი თანამემამულეების დისკრედიტაცია. თუმცა დედაჩემის ბათუმელი მეგობრებისაგან ბევრი რამ მსმენოდა მის შესახებ, ისინი თანაკლასელები არიან.

**— მაშ, რატომ დააფინანსა ალმანახის გამოცემა?**

— ბატონმა ალექსანდრემ ერეკლე მეორეს საზოგადოების ყურადღება მარტის დასაწყისში მიიპყრო, როცა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა განაცხადა — მინდა, საქართველოს პრეზიდენტი გავხდე, რათა ჩემს სამშობლოს დაკარგული ტერიტორიები დავუბრუნოო. პირადად მე ნებისმიერ ადამიანს დავუდგები გვერდით, ვინც საქართველოს გაამთლიანებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სანამ მან პოლიტიკური განცხადება არ გააკეთა, ბატონ ალექსანდრესთან არანაირი შეხება არ გვქონია. რაც შეეხება ალმანახის დაფინანსებას, ჩვენ მისგან მიღებული ფინანსური დახმარება, ამ ალმანახის გამოცემის გარდა, ასევე, მოვახმარეთ ჩვენი საზოგადოების გაზეთის — „ერეკლეს გზა" — ბოლო ორი ნომრის გამოშვებას, სულ ეს არის!

**— რა მიზანს ემსახურება პოეტური ალმანახის გამოცემა?**

— უკვე 20 წელია, რაც საქართველოში მიზანმიმართულად ებრძვიან ყოველივე რუსულს.

**— მინდა, გითხრათ, რომ იგივე ხდება რუსეთშიც საქართველოს წინააღმდეგ...**

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ იქ ეს ნაკლები სიმწვავით ხასიათდება... 20-წლიანი მტრული პროპაგანდის შედეგად ახალგაზრდებმა რუსული აღარ იციან, მათ შორის მეც, ახლა ვსწავლობ... ალმანახის გამოცემისა და უსასყიდლოდ დარიგების მიზანია, ჩვენი ხალხი ვაზიაროთ რუსულ პოეზიას და პირიქით — რუსებმაც უნდა იცოდნენ, რა სტკიოდა ილიას, რაზე ოცნებობდა დიდი მგოსანი... შეიძლება, გულზე არ გეხატებოდეს რომელიმე პოლიტიკოსი, მაგალითად, პირა- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ დაიწყო თბილისის მერიამ სკოლის მოსწავლეების სახელდახელო დანომვრა

## და ვის სასარგებლოდ გამოიყენებენ მეთორმეტეკლასელების ხმებს?!

**დღეს პლანეტის უდიდესი ნაწილი გულისყურით ადევნებს თვალს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისა და გავლენის სფეროებისათვის მებრძოლი რამდენიმე ქვეყნის ღია ჭიდილს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, საქართველო ამ შემთხვევაშიც თამაშგარე მდგომარეობაშია და შორიდან უყურებს, „თამაშის“ რა წესებს უკარნახებენ ამერიკელები, რუსები, თურქები და, წარმოიდგინეთ, ისეთი პატარა ქვეყანაც კი, როგორიც სომხეთია! ჩამოთვლილი ქვეყნებიდან უკლებლივ ყველას საკუთარი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს და ძნელად წარმოსადგენია, რომელიმე მათგანმა თუნდაც მცირედი დათმოს, პატარა საქართველოს გაფურჩქვნა-აღორძინების თვალსაზრისით, რადგან ჩვენი ქვეყნისათვის უპირველეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ტერიტორიული მთლიანობის საკითხსაც ნელ-ნელა უკვე ეჭვის თვალით უყურებენ და ფიქრობენ — „გვიღირს კი ამის აღიარება, თუნდაც რუსეთის სახელმწიფოს გაღიზიანების ხარჯზეო?“**



**რამდენად აღელვებს ჩვენს პოლიტიკურ „ელიტას“ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების საკითხი, იქიდანაც ჩანს, რომ „ზოგადი ფრაზებისა და შეშფოთების“ მეტი მათ საქმიანობაში არაფერი იკვეთება, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილის მიერ მაისში დანიშნულ მერის არჩევნებს, როცა, სავარაუდოდ, ქართულ-ხალხური „ერთმანეთის დაჭმა“ კვლავაც აქტუალური გახდება! როგორც ეტყობა, თბილისის მერობა თვით საქართველოზე მეტია მავანთათვის, თორემ, აბა, რას უნდა ნიშნავდეს თუნდაც ირაკლი ალასანიასა და წარსულში სოზარ სუბელიანად წოდებული (ამჟამად კი სუბარის) ნაჩქარევი „გადაწყვეტილება“ ყოველივე ამის შესახებ?**

აშკარაა, „რესპუბლიკელებმა“ კიდევ ერთხელ წამოიწყეს საქართველოს ახალი ხელისუფლების „შემოტენის“ ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ირაკლი+2“, და ამ ოპერაციაში საკუთარი ბრძნული ხედვა ასე ჩამოაყალიბეს: ჩვენ მზად ვართ ხელისუფლებაში მოსასვლელად, ხავერდოვანი ჩანაცვლების განსახორციელებლად და ჭკუა თუ გაქვთ, ქართველებო, ისევ ჩვენს კანდიდატს უნდა დაუჭიროთ მხარი!

**საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვს, როგორი გააფთრებით მოათრევდა ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკური პარტია მიშა სააკაშვილს, ხოლო შემდეგ (მცირედი „წყენების“ საფუძველზე), რაკი ბათუმის მერობა არ უბოძა, იუსტიციის მინისტრობაზე უარი უთხრა, განათლების მინისტრობაზე უარი უთხრა და ა.შ. „ოპოზიციაშიც“ ჩაუდგნენ! მაგრამ რამდენად ხარისხიანი ოპოზიციური პარტია აღმოჩნდა „რესპუბლიკელები“ ეს, თუნდაც, განათლების რეფორმის საკითხში გამოჩნდა, როცა მინისტრ კახაბერ ლომაიას დილიდან დილამდე „ოსანას“ უგალობდა, ხოლო მოგვიანებით ისიც კი გაბედა, „ყველაზე წარმატებულ მინისტრად“ მოეხსენიებინა!**

არ მინდა, მკითხველმა ისე გამიგოს, თითქოს მხოლოდ „რესპუბლიკელების“ ჯინი მჭირს და მხოლოდ მათ ვადანაშაულებ ყველაფერში. არა, ბატონებო! დღევანდელ „ოპოზიციაში“ უკლებლივ ყველა ერთი სიბინძურითაა მოზელილი და მათი სახალხო სახელი ისაა, თბილისის ყოფილ მერ ჭიაბერაშვილს რომ ელანდებოდა ძილ-ღვიძილში!

როგორც ეტყობა, პარლამენტის დეპუტატობა ამ ჩვენი უბადრუკი ოპოზიციისთვის მეტად დაბალი დონის თანამდებობაა, თორემ შარშან, მაისში, საპარლამენტო არჩევნებში მოგებული თუნდაც 30 ადგილი განა ცოტა იყო იმისთვის, რომ „შიგნიდან“ ებრძოლათ სააკაშვილის იმპიჩმენტისთვის? ანდა აგვისტოში მის მიერ დაწყებული ავანტიურა აღეკვეთათ, რომლის შემდეგაც ბულდოზერების მიერ ამოთხრილი ტრანშეები ჩვენი გენოფონდის საუკეთესო ნაწილით ამოვავსეთ? აქედან გამომდინარე კი, ირკვევა, რომ ხელისუფლებაც და ე.წ. ოპოზიციაც, ერთ თამაშს თამაშობს და საქართველოს დანგრევა-დაქუცმაცებაშიც ერთნაირი მადა აქვთ!

**ისევ არჩევნები, ისევ ძახილი: „მე ყველაზე კარგი ვარ, ხმა მე მომეცი“ და ისევ დიდი სახალხო იმედგაცრუება...**

**ვინ იქნება თბილისის მერი — ირაკლი ალასანია, ლევან გაჩეჩილაძე, აჩიკო გეგენავა თუ სხვა ვინმე, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან, როგორც კულუარული ინფორმაციით შევიტყვეთ, „ნაცმოძრაობა“ თავისი წონიანი კანდიდატის — გიგი უგულავას რინგზე გამოყვანას არ აპირებს (ან რად უნდა, ალასანია მაგათი არ არის?) და თავპირის დამტვრევასაც მხოლოდ ე.წ. ოპოზიციურ კანდიდატებს უთმობს!**

სოროდან კი თხუნელისებრთა ოჯახის წარმომადგენელმა ლევან თარხნიშვილმაც ისევ გამოყო თავი და საარჩევნო სიების სიზუსტეზეც ისე ალაპარაკდა, თითქოს ხმების გაყალბება, უბნების დარბევა და ა.შ. უცხო ხილი იყოს მისთვის!

**არადა, როგორც „საქართველო და მსოფლიომ“ შეიტყო, ხელისუფლების ხელდასხმული კანდიდატი არათუ მოპოვებული ხმების საფუძველზე „გაიმარჯვებს“, არამედ იმ ხმების ხარჯზეც, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლებში სწავლობენ და რომლებსაც საარჩევნო ხმის უფლება დეკემბერ-იანვარ-თებერვალ-მარტ-აპრილში უწევთ!**

რამდენი მეთორმეტეკლასელია საქართველოში, „საქართველო და მსოფლიომ“ ვერაფრით დაადგინა, რადგან განათლების სამინისტროს სტატისტიკის განყოფილებამ ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდება იმ „მარტივი“ მიზეზით ვერ შეძლო, „წელს რამდენი მეთორმეტეკლასელი გვყავს, არ ვიცით, აღრიცხვიანობას 10 ოქტომბრიდან ვიწყებთო“! ჩვენს შეკითხვაზე: გაზაფხულზე რამდენმა მეთორმეტეკლასელმა დაამთავრა სკოლა? — გვიპასუხეს: „54 ათასმაო“! 2009-10 წლებში თუ თუნდაც 54 ათასი „ახალი“ ამომრჩეველი გაგვიჩნდა, განა ეს ცოტაა? მაგრამ საქმე ისაა, რომ „ე.წ. სასკოლო ხმებს“ აუცილებლად ხელისუფლება გააკონტროლებს, ამას პლუს მშობლების პირადობის მოწმობების ასლებით „მიღებული“ ხმები, პლუს მოზარდებზე „გაცემული“ პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი და ჰერი-ჰერი ახალი „გამარჯვებებისაკენ“ უსასრულოდ, თუნდაც უფსკრულისაკენ, არა? ჩვენს შეკითხვაზე: „რა აუცილებლობით არის გამოწვეული მშობლების პირადობის მოწმობის მიტანა სკოლებში?“ — განათლების სამინისტროში გვიპასუხეს: „ეგ სკოლის დირექტორებს ჰკითხეთ, ჩვენ არაფერ შუაში ვართო“.

**„სკოლები თქვენი სამინისტროს დირექტივებით მოქმედებენ და, იქნებ, თქვენვე გვიპასუხოთ, რაშია საქმე?“** — „გავბედეთ“ მეორე შეკითხვის დასმა, რაზეც გამაოგნებელი პასუხი მივიღეთ: **„არა მარტო ჩვენი, ქალაქის მერიის დირექტივებითაც ხელმძღვანელობენ და კარგი იქნება, თუ რომელიმე დირექტორს შეეკითხებით, რატომ აკეთებენ ამას“.**

„საქართველო და მსოფლიო“ უფლებას იტოვებს, არ გაამჟღავნოს იმ სკოლის დირექტორის ვინაობა, ვინც დეტალურად გვიამბო, „რაშია საქმე“ სინამდვილეში. **„იმდენი თავი გაუხმათ მაგათ, ჩვენ ჩვენი ინიციატივით და ენთუზიაზმით ვხელმძღვანელობდეთ! შარშან მშობლების პირადობის მოწმობების ასლები სწორედ განათლების სამინისტრომ „შეგვიკვეთა“, თუმცა ბავშვების დაბადების მოწმობებში ორივე მშობლის გვარიც და სახელიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული! რა შუაშია ქალაქის მერია აქ? სკოლის გარეთ ტერიტორიაზე თუ რაიმე გამოვიდა მწყობრიდან, მაშინ ვრეკავთ მერიაში, მივმართავთ წერილობით და აკეთებენ, თუ შეუძლიათ. მერიასთან ჩვენი რაიმე საქმიანი კონტაქტი ამით ამოიწურება, გამიგეთ? განათლების სამინიტროს ურჩევნია, იმაზე იფიქროს, ერთიანი საგანმანათლებლო საერთო პროგრამა რომ არ არსებობს სახელმწიფოში და სახელმძღვანელოებს იმის მიხედვით ნუ არჩევს, ვინ ვისი დაქალ-ძმაკაცია! ცოტა მათ ფასზეც დაფიქრდეს და ბოლოს, ზუსტად იცოდეს, რამდენი წიგნი უნდა გამოსცეს, მშობლები წინ და უკან რომ არ არბენინოს სახელმძღვანელოს ძებნაში! ან ამდენი მინისტრის გაცვლა-წასვლა რა უბედურებაა? პროკურორი პროკურატურაში უნდა იყოს, სანტექნიკი — თავის ადგილას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ხელისუფლება ასე არ ფიქრობს და, ჩვენი ინფორმაციით, ახლა უშიშროების საბჭოდანაც გვიპირებენ მინისტრის მოყვანას! დიახ, ის ეკა ტყეშელაშვილი უნდა დაგვისვან ახლა მინისტრად და თქვენ მერე ნახავთ, განათლების სისტემაში როგორი „ძირეული ცვლილებები“ მოხდება“.**

„საქართველო და მსოფლიო“ არჩევნებში სკოლების გამოყენების შესაძლებლობაზე თბილისის მერის მოადგილე მამუკა ახვლედიანთან დაკავშირებას დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ ცდილობდა. როგორც ეტყობა, ბატონი მამუკა უცხო ზარებს არ პასუხობს, არადა, ალბათ, დაავიწყდა სააკაშვილის „შეგონება“: ყველა მინისტრს და საჯარო მოხელეს დავსჯი, ვინც სატელეფონო ზარებს არ უპასუხებსო!

**არჩევნები კი მოდის, მოდის მთელი ქართული სიდიადით, სიამაყით და, ასევე, დიდი ქართული სალახანობით! ვინ იცის, რამდენ „ახალ“ გაუხმაურებელ ისტორიას გავიგებთ, რამდენ „კაი ბიჭს“ ჩამოეხსნება ნიღაბი, რამდენი „გამაზავს“, რამდენი „დაიბოლმება“ და რამდენი დარჩება თამაშგარე მდგომარეობაში საკუთარი „ლობიოობით“ ისე, როგორც დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში ჩვენი უბედური ქვეყანაა დარჩენილი!**

**ირინე გოგოსაშვილი**

---

◀დად მე არ მომწონს ჟირინოვსკი და ზატულინი, მაგრამ ამის გამო მთელ ერს არ უნდა მიაყენო შეურაცხყოფა. პუტინს და მედვედევს სააკაშვილი არ მოსწონთ, მაგრამ ქართველ ხალხს როდი ლანძღავენ. თუ მოგისმენიათ ოდესმე მათი მხრიდან ჩვენი ერის გინება? მინდა, ყველას მოვუწოდო, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, სიფრთხილე გამოიჩინონ და დაფიქრდნენ, რას ამბობენ, რადგანაც მათზეა დამოკიდებული თითოეული ჩვენი ჯარისკაცის, მთლიანად ქართველი ხალხის ბედი. ჩართეთ ტელევიზორი, „კავკასიისა“ და „მაესტროს“ გარდა, საინფორმაციო გამოშვებებში ყოველ საღამოს რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა ისმის. „იმედს“ რომ ვუყურებ, რუსული არხი მგონია.

— **ასე რატომ ფიქრობთ?**

— „იმედის“ ნებისმიერი საინფორმაციო გამოშვება იწყება და მთავრდება პუტინითა და მედვედევით, ამ არხის ჟურნალისტებისგან ვერ გაიგებთ, რა ხდება ზუგდიდში, ქუთაისში ან საქართველოს სხვა რეგიონებში, სამაგიეროდ, საშინელ პროპაგანდას ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ, როცა რუსული ტელეარხები პუტინსა და მედვედევს 2-3 წუთს უთმობენ, დანარჩენ დროს კი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და ფაქტების გაშუქებას ანდომებენ... საქართველოს, რა თქმა უნდა, სხვა სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ხომ უნდა გვესმოდეს, რომ უშუალო მეზობელთან მეგობრობა რაოდენ მნიშვნელოვანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვისთან ვიმეგობროთ?

— **ამერიკა გაქვთ მხედველობაში?**

— დიახ! აშშ-ს 2008 წლის 8 აგვისტომდე დამპყრობლის სახელი ჰქონდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუნდაც უახლესი ისტორიიდან: ავღანეთი, ერაყი, სერბეთი, რომელიც შუაზე გახლიჩეს და ჯერ ჩერნოგორიე, მერე კი კოსოვო წაართვეს; დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი ცერეუმ და ამერიკის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს და ამის შესახებ თავად ამერიკელი კრიტიკოსები წერენ. რა თქმა უნდა, ბინ ლადენს „ვერ დაიჭერენ“, რადგანაც თავად გამოზარდეს საბჭოთა კავშირთან დასაპირისპირებლად, სადამ ჰუსეინი კი 140 ქურთი სეპარატისტის გამო ჩამოახრჩეს. ამერიკელთა ერაყში შეჭრის შემდეგ, დღე არ გავა, რომ 10-დან 20 კაცამდე არ დაიღუპოს — ქურთები ისევ იბრძვიან, სუნიტები და შიიტები ერთმანეთს ხოცავენ. სხვათაშორის, გაეროს მათთვის ერაყში შესვლის ნება არ მიუცია. საქართველოს რუსეთთან ომი სწორედაც რომ ამერიკას აწყობდა, სააკაშვილმა პენტაგონის მითითება შეასრულა, ახლა ამის შესახებაც ბევრი იწერება დასავლეთის პრესაში. ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ და ერთვექტორიანი და ხისტი პოლიტიკით თავს ვერ გადავირჩენთ.

— **რატომ გგონიათ, რომ საქართველოს დაპირისპირება რუსეთთან ამერიკას აწყობს?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, 2008 წლის 8 აგვისტომდე აშშ-ს აგრესორის სახელი ჰქონდა. მან საქართველოს რუსეთთან დაპირისპირების წყალობით მსოფლიოს ყურადღება კავკასიაზე გადაიტანა და ყველას დაავიწყა სამი დაპყრობილი ქვეყანა, თანაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კბილი მოუსინჯა. დღეს ამერიკას ზოგიერთები დემოკრატიის შუქურად გვისახავენ და ავიწყდებათ, რომ მან ერთადერთმა გამოიყენა ატომური იარაღი იაპონიაში, ხოლო ვიეტნამი ქიმიური იარაღით მოწამლა. 50-იან წლებში აშშ-ში შავკანიანებს ავტობუსში არ უშვებდნენ, მაგრამ ეს მანკიერება მთელ ამერიკელ ხალხს არ უნდა მიეწეროს. შავკანიანთა უფლებებისთვის მხოლოდ მარტინ ლუთერ კინგი არ იბრძოდა, მას გვერდით ათასობით თეთრკანიანი ამერიკელი ედგა და გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა არც ეს ბრძოლა ყოფილა უსისხლო. მსხვერპლის გარეშე დიდი გამარჯვებები არ მიიღწევა. რაც შეეხება რუსეთს, იგი მრავალ აგრესორს აღუდგა წინ და თავის დროზე იხსნა არა მხოლოდ საკუთარი ერი, არამედ სხვა ერებიც მონღოლთა, ოსმალთა, სპარსთა ბატონობისაგან, დაამარცხა ნაპოლეონი და უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში.

**ესაუბრა
ნინო გოქიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**არნო ხიდირბეგიშვილი:** (16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის წაკითხვა რეკომენდებული არ არის)

# ერევანში ქართველებმა „ქართვლის დედა" პედერასტად გამოაცხადეს და ჯოჯოხეთში გაუშვეს!













ძვირფასო მკითხველო! უპირველესად, მინდა, ბოდიში მოგიხადოთ და ვაღიარო, რომ მე, როგორც ქართველს, ამ სტრიქონების წერა მიმძიმდა, მრცხვენოდა და ზიზღს მგვრიდა...

დახედეთ №1 ფოტოს: თქვენ წინაშეა არა პათოლოგიური დეგენერატის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი, არამედ — **საქართველო-სომხეთის თანამშრომლობისა, რომელმაც ერევნელ მაყურებელში ბობოქარი წარმატება მოიპოვა** — ვ. ა. მოცარტის ოპერის „დონ ჟუანის" თანამედროვე დადგმის **ბოლო სცენა** ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ნაციონალურ საოპერო თეატრში, რომლის პრემიერაც მიმდინარე წლის 30 ივლისს შედგა.

**ერევნელებისა და ქართველი სტუმრების წინაშე კომანდორის როლში „ქართვლის დედა" წარდგა** (ქანდაკება, რომელიც თბილისის პეიზაჟის განუყოფელი ნაწილია, რომელმაც ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული მოიპოვა და დიდი ხანია, გვევლინება საქართველოს ერთ-ერთ ეროვნულ სიმბოლოდ!), **რომელიც ფინალში რაკეტად იქცა (?!), ჯოჯოხეთში გაფრინდა (!) მუცელში ემბრიონით — ცოდვიანი სიყვარულის ნაყოფით (?!)...**

კითხვა: **რა უნდა ეგრძნო ჭეშმარიტ ქართველს** (რომლისთვისაც დღემდე უდიდესი შეურაცხყოფაა დედის შეგინება!), **როცა ქართველი ქალის სიმბოლო — დედის, მეუღლის, დის — წარმოდგენილია ან დაბადებით ტრანსსექსუალად, ან მტკიცე ტრანსგენდერ-შიმეილად, ანდა სქესშეცვლილ ჰომოსექსუალად, რომელიც სხვა პედერასტისგან დაფეხმძიმდა?! რა სქესისა და სექსუალური ორიენტაციისანი იყვნენ ერევნის ოპერის დარბაზში პრემიერაზე დამსწრე სტუმრები საქართველოდან?! და რატომ უკრავდნენ ტაშს, როცა საქართველო,** საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოს სახით, **ჯოჯოხეთში ჩაინთქა (რამაც წარმოუდგენლად გაახარა სომხები...)?!**

აქვე დავაზუსტებ: **არა,** ეს **არ არის „ჯავაკჰებისა"** და **„ვირქების"** მორიგი ოინი, რომლებიც ჯავაკჰის ავტონომიას ითხოვენ, ან **სომხეთის პრეზიდენტის** იდეა, რომელიც რეკომენდაციას გვაძლევს — სომხურ ენას რეგიონულის სტატუსი მივანიჭოთ და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესია დავარეგისტრიროთ, ანდა **სომეხი ინტელიგენციის** წარმომადგენელთა ფანტაზიები, რომლებიც სომხური ეკლესიებისა და სხვა რელიგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების დაბრუნებას ითხოვენ!

სამწუხაროდ, **ეს სირცხვილი და თავისმოჭრა ჩვენივე უღირსი თანამემამულეების, ეროვნებითა და წარმოშობის ფაქტით ქართველების: დამდგმელი რეჟისორის, მხატვარ-გამფორმებლის და კოსტუმების მხატვრის — ინგა გაჩეჩილაძის, მისი „შემოქმედებითი ჩანაფიქრით" მოხიბლული კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის — ნიკოლოზ რურუას** (როგორც ამბობენ, წარსულში ერთ-ერთი თბილისური ბანდფორმირების წევრის) **და მათი ღირსეული კოლეგების ნახელავია (და მერე გვიკვირს, რომ სომხები ითხოვენ ავტონომიას, ეკლესიებს, ტერიტორიებს!)...**

საქმე ისაა, რომ ოპერის ერთობლივი ქართულ-სომხური დადგმის იდეა **ქართულ მხარეს** ეკუთვნის: ხელი მოეწერა **საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვისა** და **სომხეთის კულტურის სამინისტროს** შეთანხმებას საქართველოში ყველასათვის უცნობი **ქართული ფონდის „რედ ლებისა"** (?!) და **ერევნის საოპერო თეატრის** ხელშეწყობით, რომლის მიხედვითაც **ქართულმა მხარემ იტვირთა დადგმა, რეჟისურა, სცენოგრაფია და გაფორმება (დეკორაცია, ბუტაფორია),** ხოლო სომხურმა — მუსიკალური ნაწილი: მთელი შემოქმედებითი შემადგენლობა (მომღერლები, ორკესტრი, დირიჟორი).

„დონ ჟუანის" ქართულ-სომხური **ავადგარდული** დადგმით შეჯამდა საქართველოს კულტურული სეზონი სომხეთში. ახლა კი წარმოდგენას **ინიციატორი ქვეყნის დედაქალაქ თბილისში** გასტროლებისას აჩვენებენ. და თუმცა სომხეთის კულტურის სამინისტრო, დაუსახელებელი წყაროს ცნობით, **„ძალიან კმაყოფილია გარკვეული რისკის შემცველი ამ ექსპერიმენტით",** უცნობია, როგორ შეხვდებიან ამ **ექსპერიმენტს** თბილისში, განსაკუთრებით მაშინ, თუ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ფასადს **იმავე საზიზღარი აფიშით დაამშვენებენ, რომელიც ერევანში იყო გამოკრული: ქალის ტორსში ნარნარად გარდამავალი მამაკაცის გაჩაჩხული ფეხები, რომელთა ქვეშ ვარდისფერი მოწყვეტილი ნაყოფის, ანუ ცოდვიანი სიყვარულის ნაყოფის გროვაა!..**

(იხ. ფოტო №2).

მინდა, წინასწარ გავაფრთხილო ამ გასტროლების ორგანიზატორები: **საბედნიეროდ, გორგასლის მიწაზე კიდევ დარჩნენ ნამდვილი მამაკაცები, ამიტომ ეს ნომერი თბილისში არ გაუვათ!**

ახლა კი — **ურთიერთთანამშრომლობის** კიდევ ერთი **„ნაყოფი"**, ოღონდ ამჯერად **ქართულ-რუსული თანამშრომლობისა**: მიმდინარე წლის აგვისტოში ოსლოში გაიმართა **სილამაზის მეხუთე კონკურსი ევროპელ ჰომოსექსუალისტთა შორის — „მისტერ გეი-ევროპა — 2009", რომელზეც პირველი ადგილი ერთხმად მიენიჭა რუსეთის სახელით გამოსულ კონკურსანტს, მოსკოვში მცხოვრებ 24 წლის ქართველს — დავით ბარამიას!** (იხ. ფოტო №3,4) **დათო** სცენაზე ჯვრიანი ანგელოზის სახით, **ცისფერი** შუქით გასხივოსნებული წარდგა, შემდეგ კი **საჯდომის ენერგიული ქნევით** ფრთები და **შარვალი შემოიძარცვა** და აღფრთოვანებულ მაყურებელს ეშმაკის კუდით დამშვენებული **შიშველი უკანალი უჩვენა!..** თუ თავს ძალას დაატანთ და ინტერნეტპორტალ **„გეი-კავკაზ"**-ზე (?!) შეხვალთ, შეიტყობთ, რომ ***„ამ ალეგორიამ იმდენად მოხიბლა გარყვნილი მაყურებელი, რომ მზად იყვნენ, დავითი პირდაპირ სცენაზე გაეუპატიურებინათ! თუმცა კულისებში ამას, ალბათ, მაინც ვერ ასცდა... და ჯერჯერობით უცნობია, როგორ გამოხატავს მადლიერებას ბარამია თავისი მფარველებისადმი*** (თუმცა რა არის აქ გაუგებარი — ნატურით! — ა.ხ.), ***მისთვის გამარჯვების მომტანი სანახაობრივი ნომერი ხომ მოსკოვში, ცნობილი არტისტების მონაწილეობით მომზადდა, რომელთა შორისაც ალექსანდრე პესკოვსა და ნიკოლაი ბასკოვს ასახელებენ".***

**დათიკოს „ტკბილი" გამარჯვება** ქართველი გეების სიამაყის საგანია, რომლებმაც მას **წლის ქართველი უწოდეს და გამოაქვეყნეს ულტიმატუმი, რომელშიც გეი-პატრიოტებმა ყველას აუკრძალეს, დავითისთვის რუსი ეწოდებინათ!** (ქართველი გეების, ლესბოსელების, პედერასტების, ბი და ტრანსსექსუალების, მათი მსგავსი უწმინდურების მრავალრიცხოვანი ინტერნეტსაიტების ხილვისას *(იხ. ფოტო №5)* დარწმუნდებით, რომ **საქართველო უკვე მთელ პლანეტას უსწრებს არა მარტო ეკონომიკური განვითარების** ტემპებით...)




მინდა, შევახსენო **საქართველოს პარლამენტის წევრებს,** რომლებიც **ლუსტრაციის კანონის** მიღებას აპირებენ:

— რომ ჯერ კიდევ 1933 წელს **ოგპუ**-ს საიდუმლო მოხსენებებში **ი. ბ. სტალინისადმი** ლაპარაკია **გეიტექნოლოგიური** დაჯგუფებების წევრთა დაპატიმრებებზე, რომლებიც ქმნიდნენ ***„სალონების, კერების, საროსკიპოების, ჯგუფებისა და პედერასტთა სხვა ორგანიზებულ ფორმირებათა ქსელებს, რათა ეს გაერთიანებები სამომავლოდ ჯაშუშურ ბირთვებად ექციათ... პედერასტები სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდების, წითელარმიელების, წითელფლოტელებისა და ცალკეული სტუდენტების გარყვნითა და გადაბირებით იყვნენ დაკავებული".*** ამიტომ 1934 წლის მარტში ამოქმედდა სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითაც, **მამათმავლობა (პედერასტია) სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდებოდა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში:** რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის №121 მუხლი ითვალისწინებდა სასჯელს მამაკაცთა ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირისთვის ვადით **5 წლამდე (იხ. ფოტო №6 – ჰომოსექსუალიზმთან ბრძოლის საააგიტაციო პლაკატი);**

**— რომ ჰომოსექსუალიზმსა და გეი-ტექნოლოგიებს ებრძოდნენ არა მხოლოდ სსრ კავშირში, არამედ ჩვენ მიერ აგრერიგად გაღმერთებულ ამერიკაშიც:** 1950-იანი წლების დასაწყისში, „ცივი ომის" ხანაში, შეიქმნა ახალი იდეოლოგიური მიმდინარეობა — **მაკარტიზმი** — სახელმწიფო კამპანია სახელმწიფო ორგანოებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან კომუნისტებისა და ჯაშუშების განდევნის მიზნით. კამპანიას სათავეში ჩაუდგა სენატორი ვისკონსინის შტატიდან და სენატის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე **დ. მაკარტი.** აღნიშნული კომისია დაკავებული იყო **აშშ-ის კონგრესში, მთავრობასა და არმიის უმაღლეს ჩინებში პედერასტების აღმოჩენით, დაკავებით, გამოაშკარავებითა და სამსახურიდან გათავისუფლებით.** აშშ მთავრობის თვალსაზრისით, *„კომუნისტები საგანგებოდ ახდენდნენ სექსუალური გარყვნილების პროპაგანდას აშშ ახალგაზრდობას შორის იმ მიზნით, რომ დაესუსტებინათ და მორალურად გაეხრწნათ ქვეყანა და ამით შეეფერხებინათ ტრადიციული ოჯახების შექმნა. ძალოვან სტრუქტურებში პოსტებზე მყოფი პედერასტები შეიძლება დააშანტაჟონ კომუნისტებმა, რის გამოც, ისინი იძულებული შეიქნებიან, გათქვან სახელმწიფო საიდუმლო" (!).*

გაითვალისწინეთ ეს, საქართველოს პარლამენტის წევრებო, სანამ **„ჯაშუშურ" კანონებს** მიიღებდეთ! **უმჯობესია, იფიქროთ კანონზე, რომელიც ქართველ საზოგადოებასა და სახელმწიფოს ჰომოსექსუალიზმის გავრცელების, მისი დამნერგავი გეი-ტექნოლოგიებისგან დაიცავს, რადგან ისინი ნოყიერ ნიადაგს უქმნიან სამშობლოს პოტენციურ მოღალატეებს, მართლმადიდებლური მრწამსისა და ქართველი ეთნოსის, კულტურისა და ისტორიის მტრებს; ძირს უთხრის ჩვენს ტრადიციულ ოჯახებს, რაც დამღუპველია მცირერიცხოვანი, მწვავე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე მდგარი საქართველოსთვის!**

**აიღეთ მაგალითი ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნებისგან, სადაც უეჭველი სიკვდილისთვის**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**აგზავნით ერის გენოფონდს — ახალგაზრდა და ჯანმრთელ ქართველ ჭაბუკებს: იქ, ჩვენგან, ქართველებისგან განსხვავებით, თავი ევროპელებად არ მოაქვთ და პედერასტიას მკვეთრად ნეგატიურად უდგებიან** — პედერასტებს სასტიკად სჯიან, ხოლო დეგენერატი-პედერასტების სასჯელის მაქსიმალური ზომა სიკვდილით დასჯაა! ამ ქვეყნების რელიგია **(ისლამი)** სასტიკად კრძალავს პედერასტიას **(ისევე, როგორც ჩვენი მართლმადიდებლური რელიგია, რომელიც მამათმავლობას უმძიმეს ცოდვად მიიჩნევს!), ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნების მედიაში (რადიო, ტელევიზია, პრესა) ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა სრულებით არ არსებობს და ინტერნეტში მისი გამოვლინებაც მაქსიმალურად ლოკალიზებულია** (ზემოჩამოთვლილი ქართული ინტერნეტსაიტებისა და ტელევიზიისგან განსხვავებით, მრავალრიცხოვანი თოქ-შოუთი ჰომოსექსუალური ცხოვრების წესის პოპულარიზაციას რომ ეწევიან)!

**მაგრამ საქართველოში არიან პედერასტთა თავგამოდებული დამცველები, რომლებიც უკვე რამდენი წელია, ხრწნიან ჩვენს ახალგაზრდობას, ახდენენ ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზებას და გვინერგავენ, რომ ეს მანკიერება არაა, სამარცხვინო არაა, რომ ეს ნორმალურია და მუდამ იყო!** დიახაც, ქართული მენტალობისთვის უცხო ჰომოსექსუალიზმი საქართველოში, შესაძლოა, ყოველთვის იყო, **მაგრამ უწინ ეს გახრწნილება თავსლაფის დასხმად მიიჩნეოდა და საგულდაგულოდ იჩქმალებოდა!** — აი, რა განსხვავებაა **ჭეშმარიტი ქართველების მორალსა და გამყიდველი დერმოკრატების სიბილწეს შორის, რომლებსაც, გვარის გარდა, არაფერი ქართული არ გააჩნიათ!**

მათ ვძულვართ ჩვენ, **ბუნებრივი, ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ადამიანები, რომლებიც ჰომოსექსუალურ „სიყვარულს“ არ ვაღიარებთ,** ჩამორჩენილებად და წარსულის გადმონაშთებად გვთვლიან, **ფაშისტებს გვიწოდებენ, სტალინის ძეგლის აღებას აპირებენ და გვემუქრებიან ახალი კანონის მიღებით, რომელიც სექსუალური უმცირესობების უფლებათა დარღვევისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაგვაკისრებს!..** მიმოვიხედოთ — ჩვენ მათ ვიცნობთ: ესენი არიან **გია ნოდია** (კავკასიურ კვლევათა საერთაშორისო სკოლის რექტორი, განათლების ყოფილი მინისტრი!), **დავით დარჩიაშვილი** (საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, სოროსის ფონდის ქართული ფილიალის თავმჯდომარე!), **გიგი თევზაძე** (ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი!) და მრავალი სხვა...

ამის მერე განა მართლები არიან ისინი, ვინც ჩვენს თავსდატეხილ ყველა უბედურებაში ხან **პრეზიდენტ სააკაშვილს**, ხან — **ამერიკასა და რუსეთს**, ხანაც – **მეზობელ ქვეყნებს** ადანაშაულებს, ვინც მარტო შესაფერის დროს ელის იმისათვის, რომ ჩვენი ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი წაგვგლიჯოს?! **სააკაშვილი შეიძლება ბევრ რამეში დაამუნათო, მაგრამ განა მას თავისი ცნობილი დონჟუანობით შეიძლება მოსწონდეს ასეთი მდგომარეობა?! მაშ, საქართველოს პრეზიდენტი, ცალი ხელით რომ სპორტულ მოედნებს აშენებს, მეორე ხელით რატომ არ აღკვეთს ჰომოსექსუალური პროპაგანდის თარეშს?!** მასაც **ხომ ეზრდება შვილები, ის ხომ ტრადიციული ქართველი ოჯახიშვილია და სრულებით საფუძვლიანად შეუძლია, წინაპრებით იამაყოს?!**

იქნებ, ყველაფერში დამნაშავე **ჩვენი მენტალობაა, რომლისთვისაც უცხოა ჰომოსექსუალიზმი, მაგრამ, სამწუხაროდ, უცხო არაა მიმიკრია და კონფორმიზმი?! ყოველთვის რატომ ვბაძავთ სხვებს? ამჯერად კი — ევროპელებს და თანაც — ყველაზე ცუდში?!** განა ისინი უზრუნველ ცხოვრებას **გვპირდებიან,** საგარეო ვალს **ჩამოგვაწერენ,** დაკარგულ ტერიტორიებს **დაგვიბრუნებენ** და საქართველოს აყვავებულ შვეიცარიად **აქცევენ, ხოლო მოსამსახურედ მომუშავე ჩვენს ლამაზ გოგონებს სხვები დააკმაყოფილებენ?!**

დაე, ყველამ, ვინც ჩემს ოპონირებას მოისურვებს, ჯერ უპასუხოს კითხვას: **რას იზამს, თუ შეიტყობს, რომ მისი ვაჟი (ან ქალიშვილი) პედერასტად (ლესბოსელად) იქცა? ვინ მისცა უფლება ჰომოსექსუალისტებს, „ასწავლონ“ ჩვენს შვილებს სასწავლო დაწესებულებებში და რით განსხვავდებიან ისინი ნარკორეალიზატორებისგან, რომლებიც ახალგაზრდებს ნარკოტიკებით ხრწნიან?!**

მორჩა, გაგრძელება ჩემს ძალებს აღემატება, წავალ, ხელებს დავიბან...




## გია ტაბლიაშვილი:

# შერმადინის საქმეში ადამიანის უფლებები ფეხქვეშ არის გათელილი

**საპატრულო პოლიციის სტრუქტურის ჩამოყალიბება „ვარდოსნების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. როგორც ამბობენ, დანაშაულებრივი ქმედებები შემცირდა. ბუნებაში სრულყოფილი არაფერია და, აქედან გამომდინარე, ილუზია იმისა, რომ დანაშაული საბოლოოდ აღიკვეთოს, არავის აქვს.**
**2009 წლის 12 ივლისს ვარკეთილში ყაჩაღობა მოხდა. საქმე საკმაოდ მოკლე დროში გაიხსნა. წინასწარი გამოძიება დასრულდა და განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. საბრალდებო სკამზე თამაზ შერმადინი ზის. ბრალდებულის ადვოკატი გია ტაბლიაშვილი სამართლის ძიებაშია და ცდილობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა დაამტკიცოს. სამართალდამცველებს, უპირველესად, იმაში ადანაშაულებს, რომ შერმადინის დაპატიმრება კანონდარღვევით მოხდა:**

— შერმადინისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა როგორც პროკურორი, ასევე, გამომძიებელი, ამ უკანასკნელმა თავად დაადასტურა, რომ ეს ადამიანი კანონდარღვევით მიიყვანეს. ეს არის ძალიან უცნაური და კურიოზული ფაქტი. ეს დაფიქსირებულია სხდომის ოქმშიც.

**— რით გამოიხატება კანონდარღვევა?**

— პროცესზე ჩემ მიერ დასმულ შეკითხვაზე — როგორ მოხვდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნება განყოფილებაში, გამომძიებელმა განაცხადა, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აიყვანეს. საქართველოს კანონმდებლობა 1997 წლიდან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პიროვნების პოლიციის განყოფილებაში მიყვანას აღარ ცნობს. ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

შერმადინი ასაკოვანი პიროვნებაა.

**საცხოვრებელი ბინის ეზოდან საჯაროდ, რამდენიმე მეზობლის თანდასწრებით წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. თითქოს მოწმის სტატუსით გამოიძახეს, მაგრამ არანაირი გამოძახება არ არსებობს, არანაირი სამართლებრივი ფორმა ამ პიროვნების თითქოს ნებაყოფლობით მისვლას არ აქვს.**

მე ღიად დავასახელე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პიროვნების ვინაობა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ იურისტს შეუძლია ჩემი სიტყვების შემოწმება. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, შერმადინი არის უკანონო პატიმარი. სისხლის სამართლის საქმეში არსებობს ყველა უტყუარი მტკიცებულება, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ დაკავების კანონიერება. ადამიანის უფლების დარღვევის ამაზე კლასიკური ნიმუში, ალბათ, არ არსებობს. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ჩამოთვლილია ადამიანის დაკავების უცილობელი საფუძვლები. მე წარვადგინე მტკიცებულებები, რომ საქმეში გაყალბებულია შერმადინის დაკავების დრო. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ იგი არ არის დაკავებული პოლიციის განყოფილებაში და დაკავებულია საცხოვრებელი სახლის ეზოში უსაფუძვლოდ. პოლიციის შენობაში უკვე შექმნეს საფუძველი: ორი დაზარალებულიდან ერთმა ვერ ამოიცნო, მეორემ კი ვარაუდის დონეზე მოახდინა ამოცნობა.

**— წინასწარი ძიების პროცესში რა გამოიკვეთა, რამაც სამართალდამცველებს საფუძველი მისცა, ეჭვი შერმადინზე აელოთ?**

— ეს ამ პიროვნების ნასამართლეობამ განაპირობა. ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ტრადიციას არ ღალატობენ.

**ჩვენდა საუბედუროდ, თუნდაც წინასწარ გამოძიებაში, თუნდაც სასამართლო გამოძიებაში არანაირი წინსვლის ტენდენცია არ შეინიშნება.**

საქმის გახსნის ყველაზე მარტივ ფორმას მიმართეს — მოძებნეს ნასამართლევი პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა იმ უბანში. დაფიქსირებულია, რომ ყაჩაღობიდან რამდენიმე დღის შემდეგ უბნის რწმუნებულმა განყოფილებაში დაიბარა შერმადინი და ფოტოსურათი მიატანინა. ცოტა ალოგიკურია, 12 ივლისს ყაჩაღობა ჩაიდინოს კაცმა და 16 ივლისს საკუთარი ფეხით გამოცხადდეს განყოფილებაში.

**ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს. სასამართლოზე განაცხადა, რომ იგი ისჯება არა იმიტომ, რომ დანაშაულთან რაიმე შეხება აქვს, არამედ იმიტომ, რომ წარსულში ნასამართლევია.**

**— თქვენ რა მტკიცებულებები გაქვთ მისი უდანაშაულობის შესახებ?**

— ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რომ ეს პიროვნება დანაშაულის ადგილას არ ყოფილა. ჩატარდა ოდოროლოგიური ექსპერტიზა სამი ძაღლის მონაწილეობით. შედეგმა აჩვენა, რომ შერმადინი არ ყოფილა იმ ბინაში. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა. ექსპერტიზა ჩატარებულია არა კერძო ან ჩემ მიერ დანიშნულ ბიუროში, არამედ შინაგან საქმეთა საექსპერტო ბიუროში. დასკვნას ხელს აწერს ოთხი კვალიფიციური ექსპერტი. ამაზე მეტი უდანაშაულობის მტკიცებულება რაღა უნდა იყოს? მაგრამ ისეთი მიდგომა იკვეთება, რომ, რაკი ადრე ნასამართლევია, ის ჩაიდენდა ამ დანაშაულს. ეს არის სამართალი?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რატომაც ვარ დარწმუნებული ამ პიროვნების უდანაშაულობაში: ამ საქმეში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან ერთად დაკავებული იყო კიდევ ერთი პიროვნება, გვარად ბექაური. დაზარალებულებმა ბექაური ვერ ამოიცნეს ისევე, როგორც თამაზ შერმადინისგან, ბექაურისგანაც აიღეს კვლევისათვის ნიმუშები. ექსპერტიზის დასკვნა ორივე პირის შესახებ უარყოფითია. ბექაური გაათავისუფლეს, შერმადინი კი — არა. რას ნიშნავს ეს — უდანაშაულოც და დამნაშავეც იდენტური საექსპერტო შედეგებით?!

**— რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს სასამართლო გამოძიება?**

— სასამართლო განხილვა ახლა დაიწყო. ახლო მომავალში მესამე პროცესი იქნება. მოვითხოვე ექსპერტების დაკითხვა. მოსამართლემ ეს შუამდგომლობა დამიკმაყოფილა, რადგან სისხლის სამართლის კანონმდებლობა სავალდებულო წესით ავალებს მოსამართლეს, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტი დაკითხოს.

**სასამართლო ძიების ნაწილში ძალზე დამაეჭვა ერთმა გარემოებამ.**

**წინასწარი გამოძიება არაობიექტურად, რომ იტყვიან, კურიოზებით ჩატარდა. ამის გამო გამომძიებელს სასამართლო პროცესზე ბევრი უხერხულობა შეექმნება.**

სასამართლოს მიმდინარეობისას დამაეჭვა იმ ფაქტმა, რომ, როცა დავა დავიწყე უკანონო დაკავებაზე, არაერთი მტკიცებულება წარვადგინე, მოსამართლემ არც კი იმსჯელა ამ საკითხზე და ტრაფარეტული განმარტებები გააკეთა. ამან შემაშფოთა. ნებისმიერი პრაქტიკოსი იურისტი თავიდანვე გრძნობს გამოძიების პოზიციას. თუ არ არის დასაბუთებული არგუმენტები, ეს ნიშნავს, რომ სასამართლო იხრება ბრალდების მხარეს.

**— გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, რამდენწლიანი პატიმრობა ელის შერმადინს?**

— ნასამართლეობიდან გამომდინარე, მისი დანაშაული მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს და ათ წელზე მეტს ითვალისწინებს. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, არანაირი მტკიცებულება მისი დამნაშავეობის შესახებ არ არსებობს. უნდა აღვნიშნო, რომ საბრალდებო დასკვნას ლაიტმოტივად გასდევდა ძველი ნასამართლეობა, ანუ ამძიმებდნენ ბრალს. ეს გავასაჩივრე სააპელაციო სასამართლოში, ამ უკანასკნელმა აღარ მიუთითა ის, რაზეც პროკურორი და გამომძიებელი ასე ამახვილებდნენ ყურადღებას.

**— პენიტენციარულ სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყოფილი პატიმრის სოციალურ რეაბილიტაციაზე, მაგრამ გამოდის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში წარსულს, პირველ რიგში, თავადვე უხსენებენ...**

— ეს შემთხვევა ამის კლასიკური მაგალითია. ამ საქმეში სისხლის სამართლის კანონმდებლობა დასამარებულია; უფრო მეტიც, შერმადინის საქმეში ფეხქვეშაა გათელილი ადამიანის უფლებები. კიდევ ვიმეორებ, პიროვნება ისჯება იმის გამო, რომ წარსულშია ნასამართლევი, სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

თუ სამართლებრივი შედეგი არ იქნა ისეთი, რასაც ჩვენ ვითხოვთ, სამართლის ძიებას განვაგრძობთ.

ესაუბრა
**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ლუსტრირებულია «პოსმერტნო»






**ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოდან მოყოლებული, ყველა მოწვევის პარლამენტში მეტ-ნაკლებად აქტუალური იყო ე. წ. ლუსტრაციის კანონების მიღება. რაც შეეხება ამ ჩვენი ცოდვით და მიშას ხეირით სავსე პარლამენტს, ამ ყველაფერმა ყბადაღებული ხასიათი მიიღო — ვისაც არ ეზარება, მომხრე იქნება თუ მოწინააღმდეგე, ყბას არ აჩერებს...**

**გახსოვთ, ალბათ, იპოლიტე ხვიჩია რომ ეკითხება ერთ ფილმშიეროსი მანჯგალაძეს — კოლექტივი კი ვიცი, მარა ეს „იზაცია“ რა არისო? დაახლოებით მეც მაგ დღეში ვარ — ლუსტრა კი ვიცი, მარა, ალბათ, „ცია“-შია ის პარადოქსები, აბსურდული, ღიმილისმომგვრელი სიტუაციები, რაც, შეიძლება, ამ კანონის იმ სახით მიღებამ გამოიწვიოს, როგორადაც კანონის დამწერებს წარმოუდგენიათ.**

დავიწყოთ იქიდან, რომ ლუსტრაციის კანონი თუ მიიღეს, იგი მხოლოდ 1921-1991 წლებში მოღვაწე აგენტებს შეეხება, ანუ საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდს და, შესაბამისად, КГБ-ს (საბჭოთა სუკის) სავარაუდო აგენტებს. **მოდი თავი დავანებოთ ისეთ „წვრილმან“ დეტალს, რომ რუსულმა КГБ-მ თავისი არქივები, სადაც აგენტურული კარტოთეკებიც ინახებოდა, კაი ხნის წინ გაიტანეს საქართველოდან და, რა კანონიც უნდა მივიღოთ, ჩვენში მოქმედი რუსული აგენტების ვინაობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.**

## ასეც რომ არ იყოს, რა „დააშავეს“ 1991 წლის შემდეგ, პირობითად ვთქვათ, მანჯურიის მიერ „დავერბოვკებულმა“ ქართველმა მაღალჩინოსნებმა?

ეს ისე, რიტორიკა რიტორიკისათვის, თორემ მხოლოდ რუსეთის აგენტურის გამოსავლენად რომ არის კანონი, ეს კანონპროექტის ავტორებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათ იციან და ჩვენ, საზოგადოება, ვერაფერს ვხვდებით.

იმ არქივების ხელმიუწვდომლობის საკომპენსაციოდ არის ჩაწერილი კანონში, რომ ის ავტომატურად შეეხება სსრ კავშირის დროს ქართველ კომკავშირულ-პარტიულ მუშაკებს, ე. წ. ნომენკლატურულ თანამდებობებზე მომუშავეებს, როგორებიც იყვნენ: კომკავშირის მდივნები, პარტკომები, რაიკომის მდივნები და ა.შ.

**ისე, ცნობისათვის, იპოლიტე ხვიჩიასი არ ვიცი, მაგრამ ამ წერილში უკვე ნახსენები, ყველასათვის საყვარელი, სათაყვანებელი ეროსი მანჯგალაძე თავის დროზე რუსთაველის თეატრის პარტკომი იყო! ჰოდა, დღეს რომ ცოცხალი იყოს, მასაც აეკრძალებოდა ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობა ან არჩევნებში მონაწილეობა?**

რა არის ეს, დიდი მსახიობის „პოსმერტნო“ ლუსტრაცია ხომ არა? კიდევ კარგი, რომ ამ დღეს ვერ მოესწრო ჩვენი ეროსი, რომელიც, ალბათ, „ამათი“ შემხედვარე საფლავში ტრიალებს და სიცილისაგან კიდევ ერთხელ კვდება.

**ან რა ვუყოთ ნოდარ დუმბაძეს, რომელიც ამას წინათ დიდი პატივით ავაბრძანეთ მთაწმინდაზე? ის ხომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ანუ თანამდებობის პირი, რომელიც სსრ კავშირის არსებობის მანძილზე მუდამ КГБ-ს „пристальный“ მზერა-მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა! რა, ბატონო პარლამენტარ-ლუსტრებო, ნოდარ დუმბაძეც სუკის აგენტი იყო?**

აღარაფერს ვიტყვი კიდევ ერთ პოტენციურ აგენტზე, მწერალთა კავშირის კიდევ ერთ თავმჯდომარეზე, გურამ ფანჯიკიძეზე, რომელიც, მართალია, დიდუბეშია დაკრძალული, მაგრამ მისი კაცური ქართული საქმეები ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილია.

**აი, ხომ ხედავთ, როგორ მძივივით ეწყობა „პოსმერტნო“ ლუსტრირებულთა სია — ჟიული შარტავასაც მივადგეთ, ცეკას რუსთავის ქალაქკომის მდივანიც „უთუოდ“ КГБ-ს აგენტი იქნებოდა, მაგრამ დღეს საქართველოს ეროვნული გმირია!!!**

საბჭოთა კავშირი ერთპარტიული ქვეყანა იყო და, შესაბამისად, მის ერთ-ერთ წარმატებულ რესპუბლიკაში — საქართველოში, რა გასაკვირია ან რა დასაძრახი, რომ 400 ათასი პარტიის წევრი იყო. მათ შორის, რა თქმა უნდა, ფუნქციონერები, ნომენკლატურული თანამდებობის პირებიც იყვნენ, მაგრამ რა, ამიტომ იმ „ბნელ“ დროს კარგი ეროვნული საქმეები არ გაკეთებულა?

ნაცპროპაგანდით გაბრუებულმა ახალგაზრდებმა არ იციან, რომ მაშინდელი პარტბილეთი, განსაკუთრებით, სტალინის შემდეგ პერიოდში, ომისდროინდელი პურის წიგნაკივით იყო — თუ რაიმესთვის გინდოდა, მიგეღწია, საკუთარი ნიჭის რეალიზება მოგეხდინა, ის წითელი წიგნაკი უნდა გქონოდა, თორემ ვილას სჯეროდა მარქსიზმ-ლენინიზმის „დიადი“ იდეებისა?

**ეგეც არ იყოს, უხერხულია, რომ ლუსტრაციის კანონს ის ხალხი იღებდეს, რომლებსაც, რომ არა სსრკ-ს მოულოდნელი ნგრევა, მზრუნველი მამიკოებისგან გარანტირებული ჰქონდათ კომპარტიული მომავალი. თუ არა და, დააკვირდით ხელისუფლებაში მოკალათებულ სულით „კომსომოლებს“ — მარტო მამა-შვილი გაბაშვილების ჰაბიტუსები ღირს ერთ რამედ, აღარაფერს ვიტყვი სხვა პოტენციურ „კომსომოლებზე!“**

ნურც ის დაავიწყდებათ ლუსტრაციის კანონის აპოლოგეტებს, რომ მიშა სააკაშვილსაც КГБ-ს სკოლა აქვს დამთავრებული და მის ჯარში მსახურობდა თავის დროზე, მაგრამ დღეს ქვეყნის პრეზიდენტია!..

საქართველო პატარა ქვეყანაა და ლამის ყველა — ყველას ნათესავი. ამიტომ ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის და, თუ ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ მამულიშვილთა თუ ოდიოზთა ხსენება მხოლოდ უწყინარ ღიმილს იწვევს, არა მგონია, ლუსტრაციის კანონის მიღების შემთხვევაში, სასაცილოდ გვექნეს საქმე, რადგანაც იმთავითვე ჩანს, რომ ეს კანონი ხელისუფლებას, უკეთეს შემთხვევაში, კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ სჭირდება და უარესში კი, — კუდიანებზე ნადირობის დასაწყებად.

**ჰოდა, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სანამ ამ კანონს კენჭს უყრით, როგორც კახელები იტყვიან, „ჭკუას წიხლი დააჭირეთ, თორემა!..“**

# «დავერბოვკებულია პოჟიზნენო»?..






**„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები...“, — უიმედო ნატვრით ბრძანა აკაკიმ. თქვენი მონამორჩილიც დაახლოებით ამ დღეში ვარ — ოპოზიციასა თუ ხელისუფლებაში ჰამაც „პოჟიზნენო დავერბოვკებულების “, დათვლა არ გინდა? ხელისუფლება იქით იყოს, მაგაზე სხვა დროს. ამ წერილში, როგორც იტყვიან, საქმე იმ ოპოზიციასთან მექნება, რომელმაც გასულ გაზაფხულ-ზაფხულში თვითლუსტრაცია მოახდინა და საზოგადოებაში ისეთი ნიჰილიზმი დათესა, რომ ამ მერამდენედ მოტყუებულ, აბუჩად აგდებულ-გაცუცურაკებულ ხალხს სიტყვა „ოპოზიციის“ გაგონებაზეც კი ალერგიული პირსაქმე ეწყება და იმ მცირერიცხოვანი, იშვიათი გამონაკლისებისკენაც კი აღარ უნდა გახედვა, ვინც, 9 აპრილიდან დაწყებული აქციების შემდეგ, მეტ-ნაკლებად გაუსვრელი დარჩა.**

ახლა ყველაზე ერთად რომ დავიწყო საუბარი, ეს წერილი ზედმეტად განზოგადებული, კონკრეტიკას მოკლებული გამოვა, ამიტომ — ყველაზე ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს. აქ კი, ძირითადად, ქართული ოპოზიციის მანათობელ შუქურაზე (გეცნოთ ეს ტერმინი?) — ძმებ ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეებზე, „პრასტანაროდიეში“ „გრეჩიხებად“ ცნობილებზე გვექნება საუბარი.

**გურამ დოჩანაშვილის „მარშალი ბეტანკურის“ არ იყოს, პატარა „გრეჩომაც“ კარგად დაიწყო. მისმა ე.წ. საკნურმა სერიალებმა, როგორც იტყვიან, ისე „აკრიფა“, რომ ლამის მთელ თბილისს ქრონიკული უძილობა დაემართა.**

20 იანვრიდან მოყოლებული, როდესაც პროექტი „საკანი №5“ დაიწყო, ვინ აღარ ვნახეთ იქ — „კამერაში“, როგორც ნამდვილ ციხეებში უწოდებენ, „ლიჩნი სვიდანიაზე“ მისული, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის თითქმის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელთა პატიოსნებაში, პრინციპულ მოქალაქეობრივ პოზიციაში ქართველ ხალხს ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. რობიკო სტურუას და ოთარ მეღვინეთუხუცესის სახელებიც კმარა იმის წარმოსადგენად, თუ რა დიაპაზონზე, რა მაღალ ხარისხზეა საუბარი.

**შემდეგ იყო „გრეჩოს“ დაბადების დღე, კონცერტი რიყეზე, რომელსაც ათობით ათასი თბილისელი დაესწრო, და ცხადი გახდა, რომ 9 აპრილს ხალხის დიდი რაოდენობა გამოვიდოდა ქუჩაში. ერთი სიტყვით, საზოგადოებაში დიდი იმედების მოლოდინი გაჩნდა, რომ 9 აპრილს დაიწყებოდა „ნაცების“ ხელისუფლების დასასრული და რომ ამ პროცესში ძმები გაჩეჩილაძეები აღარ გაიმეორებდნენ 2008 წლის იანვარში დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ...**

9 აპრილიც დადგა, ასობით ათასიც გამოვიდა რუსთაველზე, მას შემდეგაც არა ერთი თარიღი მოვიდა, როდესაც „საკნიდან“ გვპირდებოდნენ — ახლა დავამთავრებთ მიშას! მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცენტრალური მაგისტრალები რკინის კონსტრუქციებით გადაიკეტა, მიშა მაინც მაგრად იდგა...

დაიწყო მიტინგებზე მოსიარულე ხალხის მასობრივი დევნა, ცემა-ტყეპა, დაპატიმრებები. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს პატარა „გრეჩიხამ“ მართლაც თავგანწირული ნაბიჯი გადადგა, როდესაც ქალაქის პოლიციის სამმართველოს ეზოში გადახტა. სასტიკად ნაცემი შოუმენი ლამის ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა.

**ლამის კი არა, თანამედროვეობის ერთ-ერთმა დიდმა პოეტმა — რეზო ამაშუკელმა, რომელიც მანამდე მიტინგებზე არ ჩანდა, მოვიდა და რუსთაველზე გიორგი გაჩეჩილაძე სახალხო გმირად გამოაცხადა, რაც ალბათ ახლა საკუთარი თავისთვის ვერ უპატიებია, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

შემდეგ იყო 26 მაისი! „საკნიდან“ დათქმული უკანასკნელი სამანი მიშას „დამთავრებისა“, და ეს მერამდენედ,



მაგრამ, მგონი, საბოლოო იმედგაცრუება, როდესაც ერთი სტადიონი ხალხი, პატარა „გრეჩიხას“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, დაიძრა სამების ტაძრისკენ...

ამ სამ წერტილში რა იგულისხმება, უჩემოდაც მიხვდება მკითხველი. ამ დღიდან დაიწყო პოპულარობის ზენიტში მყოფი ძმების დაღმასვლა. მაშინ დავწერე „საქართველო და მსოფლიოში“ პირველი კრიტიკული წერილი პატარა „გრეჩოზე“, რასაც მანამდე ვერიდებოდი, „პალაჟენიე“ არ გავაფუჭო-მეთქი, მაგრამ...

**„ოღონდ მამულმა, ერმა ჩემმა არ მიღალატოს!“ „გრეჩოს“ ერთი ტექსტიდან ავიღე წერილის სათაური და შევახსენე, რომ, ჯერ ერთი, „ერმა არ მიღალატოს!“ თქმის კადნიერების უფლება „გრეჩოს“ მსგავს „პატარებს“ არ აქვთ და მეორეც —**

**მეტი რაღა გინდათ, „ძმებო!“ ერთი სტადიონი გაივსო და ეს მერამდენედ გაუშვით სახლებში? იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ 26 მაისს ხელში ატაცებული შემოაყვანინა თავი სტადიონზე, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური, ბევრისთვის კი შეურაცხმყოფელიც იყო. არაფერს ვიტყვი „გრეჩოს“ ეროვნულ დროშაზე პათეტიკურ დაჩოქებაზე.**

ახლა ცოტა რამ უფროს „გრეჩოზე“.

გახსოვთ, ალბათ, მისი დანაპირები — მიშას თუ შევხვდები, არავითარ შემთხვევაში — ერთი ერთზე. თუ მაინცდამაინც, მხოლოდ ტელეკამერების წინ, პირდაპირ ეთერში! არ მინდა, როგორც ადრე, ახლაც რაღაცები დამაბრალონო.

**ერთხელაც შეხვდა, სხვა ოპოზიციონერებთან ერთად, და მეორედაც — ერთი ერთზე, ავადსახსენებელ, უფრო სწორად, გასახსენებელ შავნაბადაზე, საიდანაც პირდაპირ „საკანში“ მოვიდა, მაგრამ ჯობდა, არ მოსულიყო, ისეთი სისულელეები ილაპარაკა.**

მიშას ნალაპარაკევიდან გარეთ ვერაფერი გამოვიტანეო! ანუ, ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა, ხომ იცი, ვერ არის ჯანმრთელადო, და, საერთოდ, ძმაო, გეყოფა აწი საკანში ჯდომა, რაც შენ გააკეთე, ბარე ორი ვერ გააკეთებდა, ჩემი ჩათვლით (თავმდაბლობაც ასეთი უნდა, — ავტ.), ძმაოო! წადი ახლა და თავს მიხედე, ჯანზე ვერა ხარ და იმკურნალეო.

პატარა „გრეჩომ“ ერთი კი წაიკნავლა — სიტყვა რომ მაქვს მიცემული ხალხისთვის — აქ ვიჯდები, სანამ მიშა იქ იჯდებაო?! მაგრამ ბოლოს მაინც დაუჯერა უფროსი ძმის რჩევას და საკანიც დაცარიელდა — „გრეჩომ“ კარლოვი ვარში „მოხია“. აბა, რა უნდა ექნა: იმ „კენჭის გავლას“ და „მუცლის გვრემას“, მაგას რომ დაეწყო, იქოური წყლები უხდება ნამეტანი.

**მერე რა, რომ „საკნიდან“ „დაბოლებული“ ათობით ახალგაზრდა ნამდვილ ციხეში მოხვდა და კარლოვი ვარის მინერალური აბაზანები კი არა, ბანალური ანალგინი აქვთ სანატრელი. მაგათ და მათ ოჯახებს ისიც ეყოფათ ნუგეშად — იქით უფროსი „გრეჩო“ რუსთაველის ტრიბუნიდან და აქეთ უმცროსი, საკნიდან რომ იძახდა — თქვენთანა ვართ, ბიჭებოო!**

პატარა „გრეჩოს“ არყოფნაში ბაიდენიც ჩამოვიდა, საკნებიც აალებინა და მიშას სავარძელსაც, „კაკ მინიმუმ“, 2013 წლამდე გაუმაგრა მორყეული ფეხები. ერთხელ კიდევ გვითხრა — „ცხოვრება მშვენიერია!“ და მეტი რა გინდათ, ამ ბიჭს (მიშას) მიმიხედეთო! და...

**არ ვიცი, რა ფერის პარკებით აიღეს ძმებმა მაყუთი ან, საერთოდ, აიღეს თუ არა, მაგრამ, როგორც იტყვიან — „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“. ჰოდა, რამდენჯერაც „სტარში ბლატნოი“ ერთი ერთზე შეხვდა მიშას, იმდენჯერ ოპოზიციის საქმე ერთი უხერხული ადგილისკენ წავიდა. ასე იყო შარშან იანვარში და ასე მოხდა წელსაც.**

ეს ზაფხულიც დასრულდა და საქართველოს „უძღები შვილი“ კარლოვი ვარიდან „ჩერეზ“ საგურამოს „ოსობნიაკი“ „საკანი №5“ დაბრუნდა და ღამის „საკანშოუებიც“ განახლდა.

**ამ ორიოდე კვირის წინათ „მაესტროში“ ვეახელი „პატიმარს“, მაგრამ — ამაოდ. როგორც ჩანს, შაშკინის უწყებაში უფრო ადვილად მოინახულებ ნამდვილ პატიმარს, ვიდრე ოქროს გალიაში მყოფ ამ შოუმენს — ისაა „გავაჟნებული“, რომ მხოლოდ „ჩერეზ“ პროდიუსერი თუ მიაწვდენ ხმას.**

ჰოდა, მეც მივაწვდინე და მივაწოდე 9 სექტემბრის „საქართველო და მსოფლიო“, სადაც ჩემი მეგობრის — ანანია სალუქვაძის ტრაგიკული ამბავი იყო მოთხრობილი. პროდიუსერს ისიც ვუთხარი, რომ ამ, და არა მხოლოდ ამ თემაზე, მასთან ტელეკამერების გარეშე მსურდა გასაუბრება, მაგრამ...

23 სექტემბრის გადაცემა სწორედ ანანია სალუქვაძის თემით დაიწყო. უცნობმა იქვე მისი ლექსიც წაიკითხა, ოღონდ ნახევრად. როგორც ჩანს, ლექსის დაბოლოებამ დააფრთხო, სადაც ბრჭყალებში იყო ჩასმული ფრაზები: „ძველი ბიჭი“ და „ქუჩის ბიჭი“ — ემანდ კრიმინალი არ იყოს ლექსის ავტორიო, რომელიც ციხეში მოკვდა და სააკაშვილის ხელისუფლებამ მკვდარი შეიწყალა. არადა, ჩემი თხოვნა რომ ყურად ელო და, როგორც იტყვიან, „не для прессы“ 10 წუთით მაინც შემხვედროდა, იმასაც გაიგებდა, რომ ჩემს მეგობარს ადრე არასოდეს სცოდნია, ციხის კარები საით იღებოდა და იმასაც გავაგებინებდი, რომ „ძველი ბიჭი“ თუ „ქუჩის ბიჭი“ ავტომატურად ყოველთვის არ ნიშნავს კრიმინალს. თუ მაინცდამაინც, ჭაბუა ამირეჯიბიდან დაწყებული, დოდო აბაშიძით დამთავრებული, იმდენ პიროვნებას ჩამოვუთვლიდი, რომლებიც ჯეელობაში „ქუჩის ბიჭები“ იყვნენ და დღეს ერის სასიქადულო შვილები არიან, რომ გაოცდებოდა და იმ ლექსსაც ბოლომდე ჩაიკითხავდა.

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა განსჯისთვის... ისე, კარგი იქნებოდა, იმ გაზეთის დასახელება მაინც აღენიშნა, რომელიც პირდაპირ ეთერში ხელში ეჭირა, თუ სტატიის ავტორის ვინაობა „ვერ გაიხსენა“... მაგრამ ეგეც იქით იყოს — ჩემი „პატივმოყვარეობის“ ჭიის გასახარად „საქართველო და მსოფლიოს“ ტრიბუნაც მყოფნის და იმ შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეში ურთიერთობა, ვისთან ერთადაც არცთუ იშვიათად მიწევს ხოლმე ქართულ სუფრასთან ჯდომა.

ჰოდა, იქნებ ამიტომაც მაქვს ბუნებრივი, ჯანსაღი სიამაყის ის დოზა, რის გამოც ვერავის ვაპატიებ უგულებელყოფას, დაუმსახურებელ შეურაცხყოფას. ეს არის ამ წერილის შექმნის, მრავალ ობიექტურთან ერთად, პატარა სუბიექტური მოტივი. დანარჩენზე — მკითხველმა განმსაჯოს. ეს ისე, როგორც იტყვიან, „კალამი გამექცა“ და მთავარს დავუბრუნდეთ.

ამასწინათ (ეს მერამდენედ) უფროსი ძმა უმცროსს ესტუმრა. ამ შოუსთვის დემოკრატიულობის, გამჭვირვალობის ანტურაჟის მისაცემად ორი ჟურნალისტი გოგონაც მიეწვიათ, რომლებიც პირდაპირ ეთერში უსვამდნენ კითხვებს თბილისელობაზე, ნაღდ ქალაქელობაზე პრეტენზიის მქონე, ოპოზიციის „სვეტილა“ უფროს „გრეჩიხას“. შიგადაშიგ და ხამუშ-ხამუშ ამავე პრეტენზიების მქონე პატარა „გრეჩოც“ ერეოდა ხოლმე საუბარში.

**მე არ მინდა არც რუსების და არც ამერიკელების „გაშვებული“ მიშაო! და, კიდევ, ჩვენ ძალადობაზე უარი ვთქვითო!.. აი, ეს იყო იმღამინდელი „საკანშოუს“ მთავარი შინაარსი, რაც ძმებმა გააჟღერეს. ერთი შეხედვით, ისეთი არგუმენტებია, რომ თითქოს ძნელია, რაიმე დაუპირისპირო, მაგრამ მაინც შევეცდები და პირველი, რაც იმ ღამეს გამახსენდა, ერთი „გემრიელი“ ქართული ფილმიდან ეროსი მანჯგალაძის ფრაზა იყო,**

რომელსაც წერილის ქვესათაურად გამოვიყენებ.

## „თქვენ ქვევრის გატეხა არ გინდათ და“...

სხვისი არ გინდა? მაშინ შენ გადააყენე, მაგრამ რომ არ შეგიძლია?! მაშინ „წადი, რალა, გზას ბარაქა დააყენე!“

თუ არ შეგიძლია, ის გააკეთე, რაც გიკეთებია: ერთმა იმღერე — „აიწიე კაბა, გავაკეთოთ რამე“, და მეორემ — ბებოს მურაბა ხარშე, ამბობენ, მაგრად უხდება, „გრეჩიხას“ ზედ თუ მოასხამო.

ხუმრობის გარეშე თუ ვიტყვით, თავი წავჭამეთ შინ და გარეთ სოფელ-ქვეყანას — ასიათასობით გამოვდივართ ქუჩებში და ერთი ვიტრინა არ გატეხილა, უნებართვოდ ხიდან ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა-თქო! ჩვენი ასეთი საქციელი ნამდვილად გაუგებარია მსგავს სიტუაციებში ლეწვა-მტვრევას მიჩვეული „განათლებული“ დასავლეთისთვის.

მიშა საკუთარი ნებით, ძალდატანების გარეშე არსად წამსვლელი არ არის!!! ეს არის ობიექტური მოცემულობა და ვისაც ეს არ ესმის, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის.

**მაშ, რა მიზნით გამოჰყავთ ათასობით ხალხი ქუჩაში? იმიტომ ხომ არა, რომ მთელი ოპოზიცია, იშვიათი გამონაკლისების გარდა, და, პირველ რიგში, ძმები გაჩეჩილაძეები, სააკაშვილისთვის მეხამრიდის ფუნქციას ასრულებენ? ჯერჯერობით ასე ჩანს. უფრო მეტსაც ვიტყვი: დღეს აშკარად მაყურებელშეთხელებული „საკანშოუ“ ორი ძმის შპს-ს — „გრეჩიხპიარკომპანიას“ დაემსგავსა, რომლის ერთადერთი მიზანიც გაჩეჩილაძეების საფუძვლიანად შერყეული რეპუტაციის „ამოქაჩვაა!“**

ზემოთ ვთქვი, რომ თავის დროზე „საკანს“ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი სტუმრობდა. აქედან გამომდინარე, მიკვირდა, რომ ეს „თავის დროზე“ და „თითქმის“ არ შეეხო პოეტ რეზო ამაშუკელს, რომელსაც პატარა „გრეჩო“ ტელეფონით ჩართვის დროს თვალებში შესციცინებდა და — რეზო ძიაო! — ასე მიმართავდა.

**ამის გასარკვევად ერთ ჩემს მეგობარს და „საკანშოუსთან“ დაახლოებულ კაცს ვკითხე. — რას ამბობ, ბიჭოო, — მიპასუხა, მაგის გარდა, ვისაც გინდა, იმას მიიწვევს, რადგანაც იცის, რომ რეზო ამაშუკელი უკონტროლოაო!**

მართალია...

**ბატონი რეზო ვინმეს შეიძლება მოსწონდეს ან პირიქით, მაგრამ ერთ რამეს ვერ წაართმევ — იმთავითვე ამ ხელისუფლების დაუძინებელი მტერია, რის დასტურიც მისი ლამის ყოველკვირეული „უკონტროლო“ საგაზეთო პუბლიკაციებია — ლექსები იქნება თუ ინტერვიუები. და თუ მაშინ ვერ გაბედა „გრეჩომ“ მისი „საკანში“ მიწვევა, როცა რეზო ამაშუკელმა გმირად შერაცხა, მითუმეტეს, ახლა ვერ გაბედავს, რადგანაც „უკონტროლო“ რეზო ძმების გაკონტროლებულ „დალაგებულ რამსებს“ უეჭველად აურევს.**

დაბოლოს, მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო: არ ვიცი, ანგარების გამო თუ მის გარეშე, ანუ, მაყუთი აიღეს თუ არა, მაგრამ „გრეჩიხების“ ტანდემი რომ ყოველთვის ახერხებს საპროტესტოდ აზვირთებული ხალხისგან „ორთქლის გამოშვებას“, დაშოშმინება-სახლებში გაშვებას, ამის მაგალითი ბევრია და თუ ამას ისინი ანგარების გარეშე აკეთებენ, ანუ „პოჟიზნენო დავერბოვკებულები“ არ არიან, მით უარესი მათთვის, რადგანაც გამოდის, რომ ისინი მიშას „იდეინი“ „პოჟიზნენი“ ძმები ყოფილან.

**ჰოდა, ვისაც ქვევრის გატეხა არ გინდათ, ბებოს მურაბამოსხმული „გრეჩიხა“ იქნება თუ სხვა, წადით, თავი დაგვანებეთ, რადგან, სანამ ასეთი ოპოზიცია არ გადადგება, მანამდე მიშასაც ძვრას ვერ უზამენ!..**

**დავით მხეიძე**

## მე შაირი არ მინდოდა...

**შენ, ხუთჯვრიანო დროშაო,
გიცნობს სუყველა ნაცია,
ფრიალებ,
როგორც კადაფის
ნასროლი დეკლარაცია!**

**ვაჰმე, როგორ არ გიტირო,
საქართველოო, ლამაზო?
მიშიკოს ობამასადმი
ცად აღვლენილო ნამაზო?**

**სააკაშვილო მიხეილ,
სიბრიყვით მეტად
ვნებულო,
შენ გართობაზე, ჭამაზე,
ქალებზე თავდადებულო!**

**დემოკრატიის შუქურავ,
ჯორჯ ბუშისაგან ქებულო!
სუფრაზეც არმიწვეულო,
ყველასგან დავიწყებულო!**

**გახუნდა შენი ფერადი
რევოლუციის ნაკადი,
როგორც დალაქის
სალონში
სამანტა ფოქსის პლაკატი.**

**ვაჰმე, როგორი ძნელია,
თავისმოჭრა და
სირცხვილი,
ახლაც ყურებში ჩამესმის
უგო ჩავესის ქირქილი!**

**სიცილს ატეხდა ფიდელიც,
იმ წუთას იქ რომ მდგარიყო:
მიშამ ობამას მიმართა,
როცა დარბაზში არ იყო!**

**ობამას აჩრდილს მიუძღვნა
ლოცვა, ქება და დიდება,
ამის შემყურეს ბრაზისგან
ჰალსტუხის ღეჭვა მინდება**

**ეს კერპთაყვანისმცემლობა
არც ჩვენ ჩაგვივლის
უკვალოდ...
კერპს სულ ცალ კერპზე
ვკიდივართ,
შენ შეგვეწიე, უფალო!**

**ტყუილად უძღვნა ობამას
იმდენი დითირამბები...
ასე დამთავრდა გაეროს
ასამბლეაზე ამბები!**

**ჰოდა, ჩვენც სანამ
ვიქნებით
უცხო ქვეყნისგან
მართული,
სანამ ვიქნებით ქეიფში,
ცეკვა-თამაშში გართული,**

**სანამ არ გამოვირთვებით
გლობალურ სექსში
ჩაბმული...
მანამ ამ ორომტრიალში
დაგვავიწყდება ქართული!**

**ბეგა ბაიტიანი**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კვლავ ბაგრატის ტაძრის შესახებ...

**თუ თქვენ, ჩვენო ერთგულო მკითხველო, წაიკითხეთ „საქართველო და მსოფლიოს" 30-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „სააკაშვილმა ბაგრატის ტაძარს წირვა გამოუყვანა. მსოფლიო კულტურის ძეგლი პრეზიდენტის ხუშტურს ეწირება", უეჭველად მიაქცევდით ყურადღებას საქართველოს საპატრიარქოს 24 სექტემბრის განცხადებას, რომელიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაკეთდა.**

**განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია:**

**„რადგან მიმდინარე პროცესებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ჩვენი პოზიცია ასეთია: დროებით შეჩერდეს ყოველგვარი სამუშაოები, შეიქმნას როგორც კულტურის სამინისტროს, ისე საპატრიარქოს და იუნესკოს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ერთობლივი კომპეტენტური კომისია, რომელშიც უნდა შევიდეს დღევანდელი სახით სამშენებლო საქმიანობის მოწინააღმდეგე პოზიციის მქონე ექსპერტებიც. აღნიშნულმა კომისიამ დეტალურად უნდა შეისწავლოს არსებული სიტუაცია და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სამუშაოების შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით".**

**ჩვენი გაზეთი აგრძელებს ამ თემაზე საუბარს. დღეს ჩვენი სტუმარია არქიტექტორი კახა ქორიძე. ძეგლის აღდგენის მისეული პროექტი არ განიხილეს, რადგან ასე მოისურვეს დაინტერესებულმა ძალებმა — კერძოდ, ხელისუფლებაში მყოფმა ცნობილმა კლანმა.**



## არავითარი სურვილი არ მაქვს ანგარიშსწორების. უნდა გაიმარჯვოს საუკეთესომ. სპეციალისტების გადაწყვეტილებას უნდა ენდოს საზოგადოება.

— 1994 წლიდან, როცა სახელმწიფომ და ეკლესიამ კონკორდატით მიიღეს გადაწყვეტილება ერთიანი საქართველოს სიმბოლოს — ბაგრატის ტაძრის აღდგენასთან დაკავშირებით, — ამბობს ბატონი კახა, — განახლდა დისკუსია სპეციალისტებს შორის, რაც იუნესკოსა და საპატრიარქოს ათწლიანი დაპირისპირების ფონზე წარიმართა.

2003 წელს ტაძრის ათასწლოვან იუბილესთვის მოუწოდეს სპეციალისტებს, წარმოედგინათ წინადადებები ბაგრატის ტაძრის აღდგენასთან დაკავშირებით. მეც გამოვიტანე ჩემი პროექტი... კულტურის სამინისტრომ კი — ბატონ ივანე გრემელაშვილის პროექტი, რომელიც სამინისტროს მიერ იყო დაფინანსებული.

კოლეგის პროექტი ითვალისწინებდა ტაძრის დაკარგული ნაწილის ძველი, ნაქარალი ქვის ყალიბში ჩამოსხმული ახალი ხელოვნური ქვის მულაჟით აღდგენას, რათა მნახველს ერთმანეთისაგან ვერ გაერჩია ძველი და ახალი.

**— თქვენი არაორდინარული გადაწყვეტა კი ითვალისწინებდა დაკარგული ნაწილის თანამედროვე მინაში აღდგენას. თქვენეული კონცეფცია ფართოდ გაშუქდა მასმედიაში და საზოგადოებამ მიიჩნია, რომ სწორედ მის საფუძველზე წარიმართებოდა აღდგენითი სამუშაოები, რა მოხდა? ვინ შეუშალა ხელი?**

— ამაზე საუბარი არ მსურს. ვცდილობ, ჩემს ქვეყანას ჩემი შრომით გადავუჭრა პრობლემები და ვიპოვო გამოსავალი, მე გამომძიებელი არ ვარ, ეს ჟურნალისტების საქმე უფროა. შევეცადე, მომეძებნა კონსენსუსი ორ დაპირისპირებულ მიდგომას შორის და მაღალმხატვრულ დონეზე გადამეწყვიტა ბაგრატის ტაძრის მომავალი.

**— ჩვენს ხელთ არის შარშანდელი ინტერვიუ ბატონ გრემელაშვილთან, რომელიც ახლაც საიტზე დევს. მისი საუბარი შევადარეთ თქვენი, 2003 წლის კონცეფციის დებულებებს და აი, რა გაირკვა: იგი აცხადებს, რომ მისი პროექტიც ერთგვარად შუალედურია ორი რადიკალური ხედვის დასაბალანსებლად. აშკარად ჩანს, რომ იგი ხელმძღვანელობს თქვენი კონცეფციით, ...ოღონდ 5 წლის შემდეგ.**

— რა გითხრათ? როცა მიმდევრები გიჩნდება, სასიამოვნოა.

მახსენდება 2003 წლის იუბილემდე ჩვენი შეხვედრა, როცა ბატონმა გრემელაშვილმა მითხრა, თუ თქვენი იდეა გაიმარჯვებს, ჩვენ გვერდზე ხომ არ დაგვტოვებთო?

**— რა უპასუხეთ?**

— რას ვუპასუხებდი? რასაკვირველია, თანხმობა მივეცი. ბაგრატის ტაძრის თემა ისეთი დიდი და საპასუხისმგებლოა, ყველას ცოდნა და გამოცდილება იქნება საჭირო-მეთქი.

**— ბატონო კახა, გრემელაშვილი ხსენებულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „ჩემთვის მნიშვნელოვანია ეთიკური, მორალური მხარე. მე სიფრთხილეს ვიჩენ ჩემი დიდი კოლეგის — ბაგრატის ტაძრის მშენებლის მიმართ, რომ საბოლოო სიტყვა არ ვთქვა, თუ როგორი იყო ბაგრატი. ძნელია, თქვა, რომ ის იყო ასეთი და არა სხვანაირი..."**

— ეთიკური და მორალური მხარე მხოლოდ XI საუკუნეში კი არ უნდა დარჩეს, არამედ მოგვყვეს XXI საუკუნემდეც. ბატონმა ვახტანგ ცინცაძემ 50 წლის დაუღალავი შრომით მაქსიმალურის გაკეთება შეძლო და იუნესკომ მის მიერ დადგენილი სახით შეიტანა ტაძარი მსოფლიო ნუსხაში.

**— „...ამას გარდა, ვითვალისწინებ იუნესკოს რეკომენდაციებს, რომ დავტოვოთ ეპოქის დაღი. ჩვენ დავტოვებთ სადემარკაციო შრეებს და ტყუილს არ ვიტყვით", — ესეც იმ ინტერვიუდანაა. ამაზე რას იტყვით?**

— ამ შემთხვევაში სადემარკაციო შრე ვერ უშველის საქმეს. რადგან დავარღვევთ იუნესკოს პირობებს, შეიძლება, ეს არ იყოს დიდი უბედურება. უბედურება ისაა, რომ ბაგრატის ტაძარს მომავალ თაობას დავუკარგავთ.

**— როგორც გრემელაშვილი წერს, მას დაუდგენია გუმბათის სიმაღლე, ოშკის, საფარის ტაძრების შესწავლიდან გამომდინარე, და — მილიმეტრებშიც არ შევცდებიო, აცხადებს, ჰქონია ახლად აღმოჩენილი მასალა, რომელიც ვახტანგ ცინცაძემაც არ იცოდაო.**

— მეცნიერული შესწავლა და კვლევა საჭიროა, მაგრამ იგი, ბაგრატის ტაძრის შემთხვევაში, მაინც ჰიპოთეზური დარჩება, გუმბათის სიმაღლისა და სიგანის დადგენა არ კმარა აღდგენის სურვილის გასამართლებლად. ეს ბატონმა ვახტანგ ცინცაძემაც იცოდა, ვიცი მეც და დღესაც არ გამიჭირდება ამის დასაბუთება.

საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, იქ, სადაც იწყება ჰიპოთეზა, მთავრდება კონსერვაცია. ბაგრატის ტაძარი ქვაში რომ დავასრულოთ, მივიღებთ უსულო მაკეტს. მე ვიზიარებ საყოველთაო დებულებას, რომ ჟამთა სიავის გამო იავარქმნილ, ხავსმოკიდებულ, ნაქარალ და მედიდურად აზიდული ძეგლის აურას ადამიანი გადაჰყავს გარდასულ დღეთა იდუმალებით მოცულ სამყაროში. ამ აურის მომნუსხველობა მნახველს უტოვებს ფანტაზიის ფართო დიაპაზონს და მისი კულტურული მზაობის შესაბამისად განაცდევინებს უფრო დიდსა და მძაფრ ემოციას, ვიდრე „თავდაპირველი" სახით აღდგენილი, ემოციაგამოცლილი ნაგებობა. მიზანი ამ ემოციის შენარჩუნება უნდა იყოს.



ბაგრატის ტაძრის ინტერიერი (კახა ქორიძის პროექტი)

**ტრადიციული კედლის ფრესკული მხატვრობა არსებული კედლებიდან გაგრძელდება გამჭვირვალე მინის თაღებსა და გუმბათზე, სადაც დღე-ღამის განმავლობაში ღრუბლების, მზისა და ღამის მანათობლების ფონზე ვიხილავთ წმინდა სამების, შემოქმედის, ღვთისმშობლის, ანგელოზების გუნდისა და წმინდანების ცადატყორცნილ გამოსახულებებს.**

**— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ნანგრევებს აქვს განუმეორებელი ეფექტი ემოციისა და აზროვნების შერწყმისა, რასაც მოკლებულია რაგინდ კარგად აღდგენილი ისტორიული ძეგლი?**

— რა თქმა უნდა.

მე მომხრე ვარ ძეგლის ხელუხლებლობის პრინციპის, ანუ კონსერვაციის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნის, ასევე, ეკლესიის მოთხოვნისაც. თავის მხრივ, ისიც მართალია.

ჩვენს პროექტს კონსერვაციის მეთოდი დაედო საფუძვლად. იგი სრულად უპასუხებს საერთაშორისო კანონმდებლობას, რომლის ერთ-ერთი მუხლით გათვალისწინებულია ძეგლის მთლიანი გადახურვა იმ შემთხვევაში, თუ ნანგრევები ვერ უძლებს სტიქიურ მოვლენებს. ეს მეთოდი ევროპაში ფართოდაა გამოყენებული. რად გინდა შორს წასვლა, გორში ხომ გადახურულია ის ღარიბული ქოხი, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა ჭაბუკი სტალინი!

**— ბაგრატის ტაძრის შემთხვევაშიც რომ გამოგეყენებინათ ერთიანი გადახურვა?**

— ურბანისტული თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ბაგრატის ტაძარი არის ქუთაისის სიმბოლო, ემბლემაა მისი.

**— და იუნესკომ მხარი დაგიჭირათ?**

— თავიდან ცოტა საჩოთირო იყო მათთვის, მაგრამ ჩამოვიდნენ დამკვირვებლები — ბატონები ტომაშევსკი და ბიზე, რომლებიც იუნესკოში გაგზავნილი ჩემი პროექტის კვალზე მოავლინეს საქართველოში. შეხვდნენ საერო და სასულიერო ხელისუფლების ხელმძღვანელებს, ერთად გავემგზავრეთ ქუთაისში, დეტალურად გაეცნენ ყველაფერს, დარწმუნდნენ ჩემი არგუმენტების სისწორეში. ზევრი ვიმსჯელეთ მინით ძეგლის გადახურვაზე, მომცეს რეკომენდაციები და შევთანხმდით, რომ ჯერ პატრიარქმა და პრეზიდენტმა კონკორდატით თანხმობა უნდა განაცხადონ ტაძრის მინაში აღდგენაზე, შემდეგ პრეზიდენტმა იუნესკოში უნდა გააგზავნოს წერილი, რომ ამ პროექტის სარეალიზაციო ხარჯებს თავის თავზე იღებს ჩვენი სახელმწიფო, იუნესკო თანადაფინანსებით შემოვიდოდა, და დამტკიცდებოდა ეს პროექტი. მაგრამ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ველარ მოასწრო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავიდან დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს...

**— საიტზე იტალიელი ინჟინერი და არქიტექტორი, ბატონი სილვიო კალვი აღნიშნავს, რომ იუნესკომ 2004 წელს კულტურის სამინისტროს მოსთხოვა ტაძრის მინაში გადახურვის პროექტის წარდგენა, მაგრამ მოთხოვნა დღემდე უპასუხოდ დარჩა.**

— ჩემთვის არავის შეუტყობინებია, პირველად მესმის.

**— თუ ორივე პრეზიდენტს მოსწონდა თქვენი პროექტი, ვის შეეძლო, დაემალა თქვენთვის ეს ინფორმაცია, ვინ შეიძლება გმტრობდეთ კულტურის სამინისტროში?**

— არ მინდა ამაზე საუბარი, რადგან არავითარი სურვილი არ მაქვს ანგარიშსწორების. უნდა გაიმარჯვოს საუკეთესომ. სპეციალისტების გადაწყვეტილებას უნდა ენდოს საზოგადოება.

ხუთი წლის წინათ მივხვდი, რომ ჩვენი პროექტისთვის მზად არ იყო საპატრიარქო, კულტურის სამინისტრო, საზოგადოება. ამიტომ ჩავთვალე, რომ ბრძოლა არ ღირდა. პრობლემა გადასაჭრელად მომავალ თაობას დავუტოვეთ. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტი იყო, ჩვენი პროექტი რომ არ განიხილეს. დღეს კიდევ უფრო დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ჩვენი მეთოდით იქნება შესაძლებელი ძველისა და ახლის ჰარმონიული თანაარსებობა.

მაგრამ დავუბრუნდეთ პროექტს. აღდგენა-გამაგრება შესრულდება მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებით და გარედან და შიგნიდან შეიმოსება მინით.

ფრესკებით მოიხატება ინტერიერი, ცხადია, ეკლესიის ხელმძღვანელობით. ტრადიციული კედლის ფრესკული მხატვრობა არსებული კედლებიდან გაგრძელდება გამჭვირვალე მინის თაღებსა და გუმბათზე, სადაც დღე-ღამის განმავლობაში ღრუბლების, მზისა და ღამის მანათობლების ფონზე ვიხილავთ წმინდა სამების, შემოქმედის, ღვთისმშობლის, ანგელოზების გუნდისა და წმინდანების ცადატყორცნილ გამოსახულებებს. ამას ვეებერთელა ემოციური და ესთეტიკური დატვირთვა ექნება.

**— ბატონო კახა, ჩვენ აქ თქვენი პროექტის რეალიზაციაზე ვსაუბრობთ, ბაგრატის ტაძარზე კი ფორსირებულად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. შეიძლება ითქვას, უკვე წაშლილია ის საზღვარი, რომელიც ნანგრევებზე გადიოდა.**

— საბედნიეროდ, ჩვენ გვაქვს „3D Scanstudio"-ს ხელმძღვანელის, ბატონ მალხაზ დათუკიშვილის მიერ უახლესი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით შესრულებული ბაგრატის ტაძრის 2 წლის წინანდელი უზუსტესი აზომვები, რაც საშუალებას გვაძლევს, უმცირესი დეტალიც კი აღვადგინოთ. ლაზერული სამგანზომილებიანი ფიქსაცია, რომელსაც მისი ინსტიტუტი სრულყოფილად არის დაუფლებული, გამოიყენება მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის, არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაციისა და მოდელირებისთვის. ყველა ქვეყანა ამ ფუფუნებით ვერ სარგებლობს. მან კი უსასყიდლოდ გადაიღო ბაგრატიც, სვეტიცხოველიცა და ოშკიც.

წლეულს, 25 ოქტომბერს, მიწვეული ვართ აშშ მსოფლიო კონფერენციაზე, სადაც წარდგენილი იქნება ჩვენი პროექტი, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ნახავენ. ამ ვიზიტის შედეგებს აუცილებლად გაცნობებთ, არ დაგიმალავთ (*იცინის*).

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# ქართველებმა აფხაზებისგან თხილის გადატანის ნებართვა და უსაფრთხოების პირობა მიიღეს

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოს მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა. გამონაკლისს ქვეყნის კონფლიქტური რეგიონები წარმოადგენს. კრიზისის გავლენა გალის რაიონზე დღეს ნაკლებად ან, შეიძლება ითქვას, არც იგრძნობა, რადგან იქ არც საწარმოებია, არც — ელემენტარული ბიზნესი, ადგილობრივ ეკონომიკას მხოლოდ მოსახლეობის ჭირნახულით შექმნილი დოვლათი ქმნის.**
**გალში უნებართვოდ დაბრუნებულებზე საუბრით დღეს თავს არავინ იწუხებს. იქ დარჩენილებს კი ხშირ შემთხვევაში ვითარების მძევლებადაც მოიხსენიებენ.**
**მძიმე ყოფის მიუხედავად, გალელი ქართველები თავის გატანას მაინც ახერხებენ, საკუთარ პრობლემებს თავადვე აგვარებენ, მათი საარსებო საშუალება კი, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებია. ვინაიდან თხილი სეზონურად ყველაზე მეტად შემოსავლიანია, ქართული და აფხაზური მხარე ბიზნესს თანაბრად მოეჭიდა. გალის მოსახლეობამ ჭირნახული უკვე აიღო. ოჯახების წლიური შემოსავალიც, ძირითადად, ამით განისაზღვრება.**



„ჩვენი ყოველწლიური საზრდო თხილია, — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი **არნოლდ ზუხბაია**, — აქ სხვაგვარად ვერ დასაქმდები. ოჯახის შემოსავლის ძირითადი ნაწილიც ესაა. ყოველწლიურად დაახლოებით 2 ტონამდე თხილს ვაგროვებთ. წლეულს ქარმა და ავდარმა დაგვაზარალა, მაგრამ მოსავლით უკმაყოფილო მაინც არ ვარ. ჩვენი მთავარი პრობლემა მისი რეალიზაციაა. ადრე ეს შედარებით ადვილი იყო, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ჩვენზე ცუდად აისახა. დაახლოებით ერთი თვეა, რაც სოფლებში რამდენიმე ოჯახმა დაიწყო რეალიზაცია. ცოტათი გვეშველა. ადგილზე ვყიდით“.

გალი თხილის უხვი მოსავლით დანარჩენი რეგიონებისგან გამოირჩევა. ქვედა ზონის სოფლების ზუგდიდთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზა — ოტობაია-ორსანტიას ხიდი ჩახერგილია და მიმოსვლა შეუძლებელია. ზუგდიდთან დასაკავშირებლად ერთადერთ საშუალებად განმუხურის ხიდი რჩება, თუმცა იქამდე მისაღწევად დიდი სიფრთხილეა საჭირო. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობა მდინარის ფონით სარგებლობას არჩევს. ასეთი მგზავრობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან ენგურისპირა ზოლის გარკვეული ნაწილი დანაღმულია.

**ვინც აფხაზების ნდობის მოპოვება მეტ-ნაკლებად შეძლო, მათი დახმარებით თხილის შესყიდვასაც ახერხებს. მოკლედ, თხილის ბიზნესს აფხაზეთში ქართველები და აფხაზები ერთობლივად მართავენ.**

## „უკვე ორი წელია, რაც თხილის შესყიდვა დავიწყე. თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა. აფხაზების მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობის მეშინოდა, მაგრამ ჩემი შიში არ გამართლდა. პირიქით, ამ მცირე „ბიზნესში“ ისინიც ჩაებნენ.

## თხილის შესაძენად ცოტაოდენი თანხა აფხაზმა ნაცნობმა მომცა და დარჩენილ მოგებასაც ერთად ვინაწილებთ.

გართულებული მდგომარეობის მიუხედავად, ისევ აფხაზთა დახმარებით, კვლავ ვახერხებთ თხილის ზუგდიდში გადატანას. ამ ბიზნესით დავაყენე ოჯახი ფეხზე და თუ აგვეკრძალა, ულუკმაპუროდ დავრჩებით. რთული სიტუაციაა, მაგრამ აფხაზების იმედი მაქვს, ისინი გვეხმარებიან“, — ამბობს გაგიდის მკვიდრი **რატი ბერაია**.

**საზღვარზე ასეთ სიმკაცრეს არც აფხაზები მოელოდნენ. მათ ძალიან უჭირთ სიტუაციასთან შეგუება. დაძაბულ ფონზე აფხაზები მაინც აგულიანებენ ქართველებს და საქმიანობაში, შეძლებისდაგვარად, ხელსაც უწყობენ. დაგროვილი თხილიც სწორედ მათი მფარველობით გააქვთ — ისინი მიუძღვებიან დატვირთულ ავტომანქანას.**

„ჩვენთან სრული განუკითხაობაა, — ამბობს სოფელ ფიჩორის მკვიდრი **დათო წიქარია**, — წესრიგის დამყარება რთულია. თუ რაიმე საქმეს მოეჭიდე, „კრიშა“ აუცილებელია. მეც ნაცნობ აფხაზებს მივმართე დახმარებისთვის და მოგებიდან გარკვეულ თანხას ვუნაწილებ. ცოტა გვხვდება თითოეულს, მაგრამ ესეც კარგია, როცა შემოსავალი სხვა არაფერია. უკვე მესამე სეზონია, რაც თხილით ვვაჭრობ. პროდუქტი აფხაზთა დახმარებით ზუგდიდში გამაქვს. გასულ წლებთან შედარებით, ახლა მეტი კლიენტი მყავს. უფრო სწრაფად ვყიდულობ თხილს. მოსახლეობას ადგილზე გაყიდვა ურჩევნია, რადგან უფრო უსაფრთხოა. ჩემთვისაც დიდი რისკია თხილის შესყიდვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა. რაღაც ხომ უნდა გააკეთო, რომ იარსებო. თანაც, აფხაზები მეხმარებიან. აფხაზეთის ხელისუფლებას უჭირს მათთვის ხელფასების დროულად გაცემა. დასაქმება მარტივი არაა.

როგორც უკვე აღინიშნა,

## გალის ქვედა ზონის სოფლებში თხილის შესყიდვით დაკავებული ქართველები აფხაზებთან საერთოს ადვილად პოულობენ.

ეს საქმიანობა აფხაზთათვისაც ხელსაყრელია. ქართველებს ამ საქმეში ზურგს აფხაზები უმაგრებენ.

„ხომ უნდა ვირჩინოთ თავი და გამოვკვებოთ ოჯახი, — ამბობს თხილის შეძენით დაკავებული ერთ-ერთი ქართველი, — ძნელია დახმარებისა და პენსიის ამარა ცხოვრება. სტუდენტი შვილები მყავს. მათი სწავლის ფულს ამ გზით ვაგროვებ. აფხაზებსაც ესმით ჩვენი. თხილი მათი დახმარებით გადამაქვს ზუგდიდში და წილსაც ვაძლევ. აქაურ გზებს ჩვენ უკეთ ვიცნობთ. ესეც კეთილი საქმეა. ადრე ასეთ სიძნელეებს არ ვაწყდებოდი. წელს ვრისკავ. ბევრს საუბრობენ საზღვრის გადაკეტვაზე და მავთულხლართების გაბმაზე. ეს თუ მართლა გააკეთეს, ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება, აქ ცხოვრებაც აზრს დაკარგავს“.

გარდა იმისა, რომ თხილი მოსახლეობისთვის მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენს, აფხაზური ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილსაც სწორედ გალიდან გადასახადების სახით აკრეფილი თხილი განსაზღვრავს. ამ სეზონზე მოსახლეობამ გალის აფხაზურ ადმინისტრაციას 1400 ტონამდე თხილი უნდა ჩააბაროს. გადასახადის აკრეფა გალის რაიონის სოფლების გამგებლებს დაევალათ. აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი „ბიზნესი“ კვლავ განახლდა.

**ირმა ჩიტაია**

**P.S. ბოლო დროს რუსულ-ქართულ პოლიტიკაში სიტუაციის გამწვავებამ და, შესაბამისად, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაუარესებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა გალის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. უპირველესად, ეს ბაზარზე აისახა. ზუგდიდის რაიონთან მიმოსვლა გამკაცრდა, ადგილობრივებს ქართულ პროდუქციაზე ხელი ძნელად ან თითქმის არ მიუწვდებათ, გალის ბაზარში კი ფსოუდან შემოსული რუსული პროდუქცია „ცეცხლის ფასად“ იყიდება. განსაკუთრებით გაუჭირდათ ქვედა ზონის სოფლებს, რომლებიც სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის გამო ადვილად ვერც გალს უკავშირდება. ავტობუსებს ურმები ჩაენაცვლა. საარსებო საშუალებას, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქცია წარმოადგენს. საშემოდგომო სეზონი კი ბარაქიანი გამოდგა თხილის შესყიდვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, აფხაზეთში. აქ ქართული თხილის დიდი ნაწილი იყიდება. გალის რაიონი ამ ბიზნესით გამოირჩევა, პროდუქცია კი რუსეთში ფსოუს გავლით გააქვთ.**

# ჩაი, თხილი თუ ჭყინტი სიმინდი?

**უკვე დიდი ხანია, ჩაი და ციტრუსი სამეგრელოს მოსახლეობის მარჩენალი აღარ არის, ამიტომაც ხალხმა ინტერესი დაკარგა და მთელი ყურადღება თხილზე გადაიტანა. გარკვეული დროის განმავლობაში თხილმა ჩაანაცვლა კიდეც ჩაი და ციტრუსი, თუმცა ამჟამად აღარც ისაა მომგებიანი.**



**ახლა სამეგრელოში თხილის პლანტაციების გაშენების ბუმია; შენდება ყველგან — სახნავ-სათეს თუ ნაჩაიარ ფართობებზე, რამაც სიმინდის მარცვლის წარმოება შეამცირა და, შესაბამისად, კატასტროფულად გაზარდა მისი საბაზრო ღირებულება. ზუგდიდის ბაზრებში სიმინდის შარშანდელი მოსავალი უკვე აღარსადაა, ხოლო წლევანდელი, ჯერ კიდევ ჭყინტი მარცვალი, ფუთი 17-18 ლარი ღირს.**

**სამწუხაროდ, განადგურებულია ჩაის კულტურაც, დღემდე დარჩენილი ფართობები კი მოუვლელობის გამო გაველურებულია. არადა, მარტო ზუგდიდის რაიონში მთლიანი შემოსავლის 80% მეჩაიეობაზე მოდიოდა და ამ დარგში 25 000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. ამ სფეროში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო ისინი უმუშევრად დარჩნენ.**

**ქართული ჩაის გადარჩენის პერსპექტივებზე თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებენ ამ დარგის პროფესიონალი სპეციალისტები: ვაჟა ფიფია, გენო თოდუა და თამაზ ცანავა.**

**ვაჟა ფიფია, ექსპერტი მეჩაიეობის დარგში:** მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განხორციელებულმა პრივატიზაციამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, რადგან სახელმწიფოს მხრიდან მძლავრი ფინანსური დახმარების გარეშე მეჩაიეობის დარგის მთლიანად აღდგენა შეუძლებელია. თურმე მეჩაიეობის არცერთ ქვეყანაში ეს დარგი ლიბერალური საბაზრო პრინციპების გამოყენებით არ იმართება. ქვეყნის ბაზარი გაჯერებულია უცხოური დაბალი ხარისხის ჩაის პროდუქციით, ხოლო ჩვენი მეჩაიეები უსახსრობის გამო ვერაფერს აკეთებენ. სანამ სულ არ გადაშენებულა ჩაის კულტურა, მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება ნაწილობრივ მაინც შეიძლება, რისთვისაც აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვენახთან ერთად ჩაის კულტურის მიმართაც გამოავლინონ სახელმწიფოებრივი პოზიცია და მეჩაიეობის რაიონებისთვის პრიორიტეტად აღიარონ.

**გენო თოდუა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:** მეჩაიეობის აღდგენისა და დარგის გადარჩენისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აუცილებელია. სწორედ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაც, რათა ჩვენმა ჩაიმ დააკმაყოფილოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებები.

**თამაზ ცანავა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი:** ჩემი სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებული იყო ჩაის კულტურასთან, მისი მექანიზაციის დონის ამაღლებასთან, მოსავლიანობის გაზრდასთან. ამჟამად ჩაი კერძო სექტორის საკუთრებაა, მაგრამ უსახსრობის გამო ძნელია მისი მოვლა-პატრონობა. ჩვენ, დარგის სპეციალისტებს, გვაქვს წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის მეჩაიეობის აღორძინებას. ჩაის ფართობი 3-დან 5-ჰექტრამდე უნდა გადაეცეს ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც მოკრეფილ ჩაის ფოთოლს თავიანთ პლანტაციებთან ახლოს აგებულ ჩაის მინიფაბრიკებში გადაამუშავებენ.

ასეთი მინიფაბრიკა 50 000 ლარამდე დაჯდება. ეს თანხა მათ 4-5-წლიანი კრედიტის სახით სახელმწიფომ უნდა გამოუყოს. ფერმერები გარკვეული ვადით უნდა გათავისუფლდნენ გადასახადებისგანაც.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

30 სექტემბერი - 6 ოქტომბერი, 2009 წელი. №31
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ანტიქრისტეს მეფობის დღეებში ადამიანები გარდაცვლილთა გვამებს შეჭამენ



**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა (№30) ნომერში წმიდა ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარი მამა ზურაბი გვესაუბრა ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, მაგრამ, წინასწარმეტყველების თანახმად, ამ მოვლენას წინ უძღვის ანტიქრისტეს გაბატონება. დღეს სწორედ წყვდიადის თავადის გამეფების შესახებ ვისაუბარებთ.**

**— მამაო, რა არის ნაწინასწარმეტყველები ანტიქრისტეს გამეფებასთან დაკავშირებით?**

— ფრიად საგულისხმოა ღირსი ნილოს მირონმდინარის წინასწარმეტყველება ანტიქრისტეს გამეფების შესახებ. მისი აზრით, ვერცხლისმოყვარეობა წყვდიადის თავადის წინამორბედია. ბნელეთის მოციქულები კაცობრიობას მოამზადებენ ანტიქრისტეს გასაბატონებლად.

**— როგორ შეძლებენ ადამიანთა შეცდენას?**

— ყოველივე, რაც კაცთა მოდგმის გამოხსნის განგებულებითა და განჩინებით ამზადებდა და ამზადებს ადამიანებს რწმენისათვის და, აქედან გამომდინარე, უფლისთვის, იყო და არის ჭეშმარიტება, ხოლო ყველაფერი, რაც ამზადებს ადამიანს უფლისა და მხსნელის კანონის უარყოფისთვის, სიცრუეა. სწორედ ეს სიცრუე ამზადებს ხსნის განგებულებით ანტიქრისტეს მოსვლას და მის მიღებას კაცთა მოდგმის მიერ.

**— სულის ხსნა ხომ ყველაფერზე მნიშვნელოვანია, რატომ მიიღებს კაცობრიობა ანტიქრისტეს?**

— ისევე, როგორც იმხანად, როცა წინამორბედი ქადაგებდა ჭეშმარიტებით ნათლისღებას, რითაც ადამიანებს ხსნის გზაზე აყენებდა, მრავალი ფუჭი საზრუნავი დააბნელებს კაცის გრძნობებს, რათა საკუთარი ხსნისადმი უგრძნობელი გახდეს.

**— განა ეს შესაძლებელია?**

— სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი ხორცეული საზრუნავის გამო ვერ იგრძნობს ხსნას. ადამიანებს არც მომავალი საუკუნის ცხოვრების სურვილის შეგრძნება ექნებათ და არც საუკუნო სასჯელის შიში. ღირსი ნილოს მირონმდინარე წერს: „ხსნა მოვა და არ წაერთმევა სოფელს და ისინი, ვინც დახსნილნი იქნებიან, სამყაროს ბოლომდე იარსებებენ“.

**— გამოდის, რომ მაშინაც იქნება ხსნა, მაგრამ ვისთვის?**

— მათთვის, ვინც არ დაემორჩილება ანტიტიპის საქმეებს...

**— ვინ არის ანტიტიპი?**

— ანტიტიპი ანტიქრისტეს წინამორბედია.

**— ვინ შობს ანტიქრისტეს?**

— ბიწიერი, მრუში ქალწული. ამ დროს შეიკრიბება გარყვნილება და ის იქნება მრუშობის საგანძური. სოფლის ყოველი ბოროტება, ყოველი ბიწიერება, ყოველი უკანონობა განხორციელდება მასში — საიდუმლო სიძვით ჩასახულში.

**— რას გულისხმობს ფრაზა „საიდუმლო სიძვით ჩასახვა“?**

— რუსი წმინდა მამების წინასწარმეტყველების თანახმად, ანტიქრისტე იშვება ხელოვნური ჩასახვის გზით, ანუ საიდუმლო სიძვით ჩაისახება. ბიწიერი, მრუში ქალწულის საშოში შეიკრიბება და გაერთიანდება სიბინძურე და სოფლის გაღატაკებასთან ერთად გაცხოველდება.

**— როდის იშვება ანტიქრისტე?**

— იგი დაიბადება მაშინ, როცა სათნოებით გაღატაკდება სოფელი.

**— რა სათნოებაზეა საუბარი?**

— იგულისხმება სიყვარული, ერთსულოვნება, უმანკოება; გაღატაკდება, აგრეთვე, ყოველი დაბა და ქალაქი თავისი ხელქვეითებისგან, თავკაცები გასცილდებიან ქალაქს, დაბას, ოლქს და თავკაცი არ აღმოჩნდება არც ერთ ქალაქში, დაბასა და ოლქში.

**— ეკლესიას რა ელის?**

— ეკლესიაც თითქმის გაღატაკდება სულიერ ხელისუფალთა მთავრობისგან.

**— რა სასწაულებს მოახდენს ანტიქრისტე?**

— არაწმიდად ნაშობი ბევრ სასწაულს მოახდენს ეშმაკეული ოცნებებით. სოფელი წარმოიდგენს, რომ იგი მშვიდი და მორჩილია გულით, სინამდვილეში კი გულით მელაა, ხოლო სამშვინველით — მგელი. მისი საკვები ხალხის შეშფოთება იქნება. როცა ადამიანები გარდაიქმნებიან, ანუ დაილუპებიან, მაშინ გაცხოველდება ანტიქრისტე.

**— უფრო კონკრეტულად გვითხარით, რა იქნება მისი საკვები?**

— ხალხის ძრწოლა: განსჯა, შური, გულღრძოობა, რწმენის დავიწყება, მრუშობა, სიძვით სიამაყე. აი, ეს ბოროტება იქნება ანტიქრისტეს საზრდო, ანუ ეშმაკის ნების აღსრულება.

**— როგორ გახდება ანტიქრისტე ქვეყნის განმგებელი?**

— წინასწარმეტყველების თანახმად, იგი ქალაქთა, დაბათა და ოლქთა მთავარი მას შემდეგ გახდება, რაც თავკაცთაგან აღარავინ აღმოჩნდება დაბებში, ქალაქებსა და ოლქებში. აი, მაშინ მოიტაცებს სოფლის მთავრობას, ქვეყნის განმგებელი გახდება, ადამიანთა გრძნობებზეც დაიწყებს მთავრობას, ისინი დაუჯერებენ ანტიქრისტეს.

**— რა კატეგორიის ხალხი იწამებს?**

— ისინი, რომლებიც ისედაც ეშმაკის ჭურჭლად იქნებიან ქცეულნი, ანტიქრისტეს დიდი ნდობით აღიჭურვებიან და მას სამყაროს ერთმპყრობელად და თვითმპყრობელად გახდიან. ანტიქრისტე ეშმაკის იარაღი იქნება ქრისტიანობის აღსაგველად პირისაგან მიწისა. ეკლესიის სახარებას აბუჩად აიგდებენ.

**— რას გვეტყვით ანტიქრისტეს ბეჭდის შესახებ?**

— როცა შიმშილი დაიწყება, ანტიქრისტე ადამიანებს თავისი ბეჭდით აღნიშნავს, ვითომდა უბედურებისგან მათ დასახსნელად.

**— რატომ დაიწყება შიმშილი?**

— ხალხს თავს გაუმაძღრობა დაატყდება. იმასთან შედარებით, რასაც ახლა ვჭამთ, შვიდჯერ მეტს შეჭამენ და მაინც ვერ დანაყრდებიან. ყველგან დიდი უბედურება დაისადგურებს. წინასწარმეტყველების თანახმად, „მაშინ ანგარებისმოყვარენი გახსნიან თავის ანგარებისმოყვარე ბეღლებს, მაშინ ოქრო გაუფასურდება, როგორც ნაკელი გზაზე“. აპოკალიფსის მიხედვით, მხოლოდ ბეჭდის მქონეებს მიეყიდებათ პური. დაღუპული ადამიანები გზებზე ეყრებიან. დამშეულები მათ გვამებს მტაცებელი ფრინველებივით დააცხრებიან და შეჭამენ.

**— ყველანი შეჭამენ მკვდრებს?**

— ისინი, ვისაც ანტიქრისტეს ბეჭედი ექნება. მხოლოდ ქრისტიანები არ შეჭამენ გვამებს, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდის უქონლობის გამო, მათ პურს არც მისცემენ და არც მიჰყიდიან. ბოლოს თავად ანტიტიპიც მოკვდება.

**— რა იქნება აღბეჭდილი ანტიქრისტეს ბეჭედზე?**

— ბეჭედზე ეწერება: „მე ვარ შენი“, „შენ ხარ ჩემი“, „ნებით მოვდივარ, არა იძულებით“, „და მე ჩემი ნებით გიღებ, არა იძულებით“. ეს სიტყვები იქნება ამოტვიფრული წყეული ბეჭდის შუაგულში, რომელიც დიდ გასაჭირს შეამთხვევს სოფელს. როცა ღმერთი ადამიანთა შეშფოთებას და გაჭირვებას იხილავს, რათა ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე არ გადავიდნენ (საკვების ძიებაში მშობლიურ სახლებს მიატოვებენ და სხვაგან წავლენ), ზღვას უბრძანებს, უწინდელი სიმხურვალე შეიძინოს და როცა ანტიქრისტე თავის წყეულ ტახტზე ავა, ზღვა ადუღდება, როგორც წყალი ქვაბში და აორთქლდება, გაქრება პირისაგან მიწისა, როგორც კვამლი.

**— რა ელის მცენარეულ საფარს?**

— ზღვის მხურვალებისგან ყველაფერი გახმება, წყლის ძარღვი დაშრება. ცხოველები, ფრინველები და ქვეწარმავლები დაიხოცებიან. დღე შემოკლდება და იქნება, როგორც საათი, კვირა — როგორც დღე, თვე — როგორც კვირა და წელი — როგორც თვე.

**— რატომ აჩქარდება დრო?**

— ადამიანის ცხოვრების გამო სტიქიები დაიძაბება, აჩქარდება და დაიჭიმება, რათა უფრო სწრაფად დამთავრდეს ღმერთის მიერ ნაწინასწარმეტყველები საუკუნეთა რიცხვი 8, ანუ სამყაროს შექმნიდან მერვე ათასწლეული. ანტიქრისტეს მეფობის პერიოდში ენუქი და ილია ხალხს უქადაგებენ, არ მიიღონ წყეული ბეჭედი. წყვდიადის თავადი მათ შეპყრობას ბრძანებს. ენუქი და ილია მაინც გააგრძელებენ ქადაგებას და ხალხს მოუწოდებენ, მოთმინება მოიკრიბოს, რათა გადარჩეს. ღმერთი მათ აუცილებლად მიიღებს სამოთხეში მხოლოდ იმის გამო, რომ ბეჭედი არ მიიღეს. ენუქი და ილია ხალხს ასწავლიან: დე, ჯვრით აღინიშნოს ყოველი პატიოსანი და საათში ერთხელ გამოისახონ ჯვრის ნიში, რადგანაც იგი ათავისუფლებს ადამიანს ჯოჯოხეთის სატანჯველისგან. მშივრებმა თავი უნდა შეიკავონ მცირე დროით და, როცა ღმერთი დაინახავს მათ მოთმინებას, ზეციდან მიაგებს დახმარებას, ანუ განცხოველდებიან, რაც სიტყვასიტყვით ცოცხლად დანაყრებას ნიშნავს. ის, ვინც ბეჭედს მიიღებს და არ მოითმენს, მწარედ ინანებს.

**— რატომ იქნებიან ანტიქრისტეს მადლიერნი, ვინც მის ბეჭედს მიიღებს?**

— ადამიანები კი არ მადლობენ ანტიქრისტეს, არამედ მათზე გაბატონებული ბეჭედი. ეს მადლობა მათში სატანის შესვლაა, რომელიც ადამიანის გრძნობის სახეს იღებს, რათა ხალხი ვერ მიხვდეს, რა ემართება. ანტიქრისტეს ბეჭდით აღბეჭდილი დემონად იქცევა, სულიერად მკვდარია და საუკუნო სატანჯველი ელის.

**— როგორ გაუსწორდება ანტიქრისტე ენუქსა და ილიას?**

— გაიგებს, რომ ისინი პირფერს, გრძნეულს, მატყუარასა და ვერაგ ეშმაკს უწოდებენ მას. ორივეს შეაპყრობინებს და მლიქვნელურად შეეკითხება: „თქვენ დაღუპული ცხვრები ხართ, რადგან არ აღბეჭდილხართ სამეფო ბეჭედით?“ ენუქი და ილია უპასუხებენ: „დაწყევლილი იყოს შენი ბეჭედი შენს დიდებასთან ერთად! შენს გამო რამდენი სამშვინველი შთავარდა ჯოჯოხეთში!“ განრისხებული ანტიტიპი ეტყვის მათ: „როგორ ბედავთ ასეთ ლაპარაკს ჩემს თვითმპყრობელისა და მეფის წინაშე?“ ამაზე ილია პასუხობს: „შენი მეფობა გვძაგს, შენს დიდებას კი შენს ბეჭედთან ერთად ვწყევლით“. ანტიქრისტე ცოფიან ძაღლს დაემსგავსება და საკუთარი ხელით მოკლავს ორივეს, რის მერეც თავის გრძნეულებას გამოუშვებს, ანუ თავისუფლებას მისცემს ბოროტ სულებს, რომელთაც მანამდე აკავებდა. ამ გრძნეულთა თუ სულთა არსია მრუშობა, სიძვა, მამათმავლობა, მკვლელობა, ტაცება, ქურდობა, უმართლობა, სიცრუე, მწვალებლობა, ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა, ბიჭებისა და გოგონების ყიდვა ქუჩის ძაღლებივით გასამეძავებლად. მორჩილ ბოროტ სულებს ანტიქრისტე უბრძანებს, იმ ზომამდე მიიყვანონ ადამიანები, რომ ადრინდელთან შედარებით ათჯერ მეტი ბოროტება ჩაიდინონ, რითაც დაიღუპება ადამიანური ბუნება.

**— როგორი გახდება ადამიანი?**

— ხალხი ისე გაწბილდება სამშვინველით, რომ სხეულებრივადაც დაკნინდება.

**— პირდაპირი გაგებით?**

— დიახ, სიმაღლით ერთი და სამი მეოთხედი ადლი, ანუ ხუთი მტკაველი გახდება, ხოლო ცბიერებით დემონებს აჯობებენ... „და იქნებიან ერთსულ დემონებთან“. გაიხარებს ანტიქრისტე, რომ განქარდა ადამიანის ბუნებრივი თვისებები და სწორედ ამ დროს მასზე უეცრად ზეციდან „ორპირლესილი მახვილი“ დაეშვება, რომლითაც დამარცხდება და გადმოინთხევა წყვდიადის თავადის ბიწიერი სული უწმიდური სხეულიდან. ანტიქრისტეს სიკვდილით დასრულდება კაენის მიერ დაწყებული მკვლელობა.



ლუკა სინიორელი - „ანტიქრისტეს მოახლოება“ (ქ.ორვიეტოს (იტალია) ტაძრის ფრესკა, ფრაგმენტი)

ესაუბრა
**ნინო გოქიაშვილი**

# ვაჟა გადაბაძე: ღმერთმა წამართვა და ისევ ღმერთმა დამიბრუნა...

**ვაჟა გადაბაძეს ღმერთმა დიდი განსაცდელი მოუვლინა — ერთ დღეს დაიღუპნენ მისი ოჯახის წევრები — მეუღლე და ორი შვილი. როგორც თავად აღნიშნა ჩვენთან საუბარში, უფალმა გამოცადა და რაც წაართვა, ისევ უკან დაუბრუნა. აი, რა გვიამბო ბატონმა ვაჟამ.**

— ცოლი სიყვარულით შევირთე. ელენე საბავშვო ბაღში გავიცანი და მას მერე სულ ერთად ვიყავით. დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემი შვილების დედა მხოლოდ ელენე გახდებოდა.

**— რა ასაკში დაქორწინდით?**

— სკოლის დამთავრებისთანავე მინდოდა ოჯახის შექმნა, მაგრამ ელენემ არ მოისურვა.

**— რატომ?**

— სკოლაში ორივენი კარგად ვსწავლობდით და უმაღლეს სასწავლებელში გვსურდა, ჩაგვებარებინა. ელენემ მითხრა, ნაადრევი ქორწინება სწავლაში ხელს შეგვიშლისო. მართალი იყო, ვერ შევეწინააღმდეგე. ასე რომ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შევქმენით ოჯახი. ცალკე ვცხოვრობდით, ბინა მშობლებმა გვიყიდეს. დამხმარე არავინ გვყავდა, რის გამოც ბავშვების გაზრდაში აქტიურად ვმონაწილეობდი, ყველანაირ საქმეს ვინაწილებდით.

**— რამდენი შვილი გეყოლათ?**

— ორი — გოგო-ბიჭი, თაკო და ლევანი. მზრუნველი მამა ვიყავი, ბავშვებს არაფერს ვაკლებდი, კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ღმერთმა დიდი განსაცდელი მომივლინა...

**— ეკლესიურად ცხოვრობდით?**

— სამწუხაროდ, არა!.. მონათლული ვიყავი, რელიგიურ დღესასწაულებზეც დავდიოდი ტაძარში, მაგრამ არც ერთი ქრისტიანული საიდუმლოს აღსრულებაში არ ვმონაწილეობდი. ისე ვიცხოვრე 35 წლის განმავლობაში, რომ მოძღვრისთვის აღსარება არ მითქვამს, ზიარება არ მიმიღია.

**— თქვენს მეუღლეს?**

— ისიც ჩემსავით იყო. ერთი სიტყვით, ეკლესიურად არ ვცხოვრობდით, უფლისკენ სავალ გზაზე დიდმა ტკივილმა დამაყენა.

**— რა შეემთხვათ თქვენი ოჯახის წევრებს?**

— საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს... ელენეც და ბავშვებიც ერთ დღეს დაიღუპნენ. სამივე წამართვა ღმერთმა, დიდი განსაცდელი მომივლინა, გამომცადა...

**— რით დაიღუპნენ?**

— წყნეთში აგარაკი გვაქვს. ზამთრის არდადეგებზე ელენემ უფასო შვებულება აიღო და ბავშვები წაიყვანა. გადავწყვიტეთ, ახალ წელს იქ შევხვედროდით. მე შაბათ-კვირას ვრჩებოდი წყნეთში, სამსახურის გამო სხვა დროს ვერ ვიცლიდი. სახლს „კარმით“ ვათბობდით. პარასკევს, საღამოს ჩავაკითხე ცოლ-შვილს. გამიკვირდა, როცა კარი დაკეტილი დამხვდა. ეზოშიც არავინ ჩანდა. ვერ მივხვდი, სად უნდა წასულიყვნენ, უკვე გვიანი იყო.

**— კარი როგორ გააღეთ?**

— მე ჩემი გასაღები მქონდა, საკეტი უპრობლემოდ გავხსენი. სამარისებურმა სიჩუმემ შემაშფოთა. ხან მეუღლეს გავძახე, ხან — ბავშვებს, მაგრამ ხმა არავინ გამცა. ოთახებში შევიხედე და როცა საძინებლის კარი შევაღე, თვალებს არ დავუჯერე — სამივენი ლოგინში იწვნენ და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ხან ერთ საწოლს მივვარდი, ხან — მეორეს, ხანაც — მესამეს... გარდაცვლილები იყვნენ. როცა ეს გავაცნობიერე, გონება დავკარგე და იატაკზე გავიშხლართე. თვალი რომ გავახილე, უკვე ტახტზე ვიწექი და თავს მეზობლები დამტრიალებდნენ. მოკლედ, ელენე და ბავშვები მხუთავმა გაზმა ძილში გაგუდა. არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. ეკლესია რომ არა, ალბათ, თავს მოვიკლავდი.

მეგობარმა თავის მოძღვართან მიმიყვანა. ცხოვრებაში პირველად ვთქვი აღსარება, ზიარება მივიღე. უბედურება, რომელიც თავს დამატყდა, უფლის გამოცდად ჩავთვალე და მომავლის იმედი არ დავკარგე. მოძღვარმა შეუძლებელი შემაძლებინა, გამამხნევა, სულიერად გამაძლიერა, ცხოვრებაზე ფილოსოფიურად ჩამაფიქრა... მისი წყალობით გადავრჩი, განსაცდელს გავუძელი და არ დავეცი.

გავიდა წლები, ბედს შევეგუე, რწმენაში გავძლიერდი და ღმერთმა უკანვე დამიბრუნა, რაც წამართვა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ღვთის ნებით, არაჩვეულებრივ ქალბატონს შევხვდი. სხვათაშორის, ერთმანეთი ტაძარში გავიცანით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე. მეუღლის გარდაცვალების მერე პირველად გამიჩნდა სხვა ქალთან ურთიერთობის სურვილი.

**— ქმარ-შვილი თუ ჰყავდა?**

— არა, გასათხოვარი იყო. გაცნობიდან 7 თვის თავზე, ჩემი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, დავქორწინდით. ჯვარი იმ ტაძარში დავიწერეთ, სადაც ერთმანეთს შევხვდით.

**— მეუღლისა და შვილების გარდაცვალებიდან რამდენი წელი იყო გასული?**

— მათი დაღუპვიდან 8 წლის შემდეგ დავქორწინდი მეორედ. უკვე 47 წლისა ვიყავი, ინგა კი — 40-ის. ამჯერადაც გამიმართლა, კეთილი და ღვთისნიერი ქალი შევირთე ცოლად.

**— შვილები გეყოლათ?**

— სასწაული მოხდა!.. ინგა, ასაკის მიუხედავად, მალევე დაფეხმძიმდა და 28 დეკემბერს იმშობიარა, სწორედ იმ დღეს, როცა ელენე და ბავშვები დაიღუპნენ.

ღვთის შეწევნით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა... თქვენ წარმოიდგინეთ, ტყუპები შეგვეძინა — გოგო-ბიჭი — მარიამი და გიორგი... დიდება უფალს, რაც წამართვა, ისევ უკან დამიბრუნა.



# სულისთვის სასარგებლო რჩევები

**● ყველაზე მეტად სხვის ცდუნებას უნდა ვერიდოთ, რათა სხვა მაცდუნებლებთან ერთად სასუფევლიდან არ გამოგვაძევონ.**

**● შვილების მიმართ დაუდევრობა უდიდესია ცოდვათა შორის და ურჯულოების უკიდურესი გამოვლინება. ერთი დედა, იმქვეყნიურ ცხოვრებაში დროებით გადაყვანილი, საკუთარზე მეტად ვაჟიშვილის ცოდვების გამო დაისაჯა.**

**● ბედნიერად ჩათვალე თავი, თუ ეკლესიას რაიმე სამკაულს შესწირავ. სირცხვილია, კაცთა სადგომი უკეთ იყოს მორთული, ვიდრე ღვთის სახლი.**

**● საკუთარი თავის სიყვარული მოყვასის სიყვარულს უნდა შევწიროთ მსხვერპლად, ხოლო ორივე ერთად — ღვთისას.**

**● ვინც სიზარმაცის გამო უფალს არ უგალობს და ადიდებს, ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს.**

**● როცა ღვთისმგმობელი აზრები მოგვდის თავში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბრალია, მით უმეტეს, თუ არ ვეთანხმებით. ბოროტის მოქმედებას უნდა მივაწეროთ და ვეცადოთ, ყურადღება არ მივაქციოთ.**

**● დიდი სათნოებაა უპოვარება, უმანკოება — მასზე მეტი, მორჩილება კი — უდიდესი, ვინაიდან პირველი ნივთებზე ბატონობს, მეორე — სხეულზე, ხოლო მესამე — სულზე.**

# კითხვა-პასუხი

### აუცილებელია ცოდვების აღიარება მოძღვრის წინაშე?

— სინანულის საიდუმლო ერთ-ერთია შვიდ საეკლესიო საიდუმლოს შორის, აღსარება კი მისი ნაწილია, ანუ სინანულის გარეგანი გამოვლინების ფორმა. საერთოდ, ეკლესიაში ყველაფერი წმიდა წერილიდან და გადმოცემიდან იღებს სათავეს. ბევრს აინტერესებს, რისთვისაა აუცილებელი აღსარება. სხვათაშორის, არაერთი სექტა მიიჩნევს, რომ, თუ ადამიანს სინანულის განცდა აქვს და აღიარებს თავის შეცდომებს, მათი თქმა სასულიერო პირის წინაშე არ არის აუცილებელი. განა გულთამხილველი უფალი ვერ დაინახავს ჩვენს სინანულს? შეიძლება ითქვას, რომ სინანულის ცრემლი ნათლისღების წყლის ტოლფასია. იგი ადამიანს ცოდვებისგან ათავისუფლებს, ამიტომაც უწოდებენ მეორე ნათლობას. ეკლესიის მიერ დადგენილი წესის თანახმად, აღსარება მოძღვარს უნდა ჩავაბაროთ, რათა სინანულის საიდუმლო აღსრულდეს.

### რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე უხორცო მტერი?

— უხორცო მტერი ლოცვის დროს და ისედაც შთააგონებს ადამიანს ბილწ, ვერაგ, საგმობელ აზრებს, სულსა და სხეულს მცონარებისთვის განაწყობს, ჰგვრის თვლემას, მთქნარებას, აიძულებს, ხორცს შეღავათი მისცეს უდროო დროს დაჯდომით, კედელზე მიყუდებით და ა.შ., შთააგონებს ზიზღს და უკადრობას ყოველივეს მიმართ.

### როგორი უნდა იყოს ბავშვის აღსარება?

— გულახდილი და უშუალო. თუ სიმართლე და გულწრფელობა აღსარების მერეც დარჩება მოზარდის გულში, მაშინ ყოველი აღსარების შემდეგ უკეთესი გახდება, ვიდრე იყო, მაგრამ თუ თუთიყუშივით გაიმეორებს მშობლის ნათქვამს, ბავშვის გამოსწორება გაჭირდება. როცა იგი აღსარების დროს დუმს, სინანულის ნიშანია და აღსარების მიღება შეიძლება. ბავშვმა უნდა თქვას, რასაც თავად ჩათვლის საჭიროდ, თავისუფლება მიეცით. თუ არ გაითვალისწინებთ მის ასაკობრივ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს და დაჟინებით მოსთხოვთ, მაინცდამაინც წესისამებრ მოიქცეს, თვალთმაქცობას დაიწყებს. თქვენ მხოლოდ იმის უფლება გაქვთ, აღსარების წინ კეთილსა და ბოროტზე, სინდისის ქენჯნაზე ესაუბროთ. აღსარების საიდუმლოში მონაწილეობენ აღმსარებელი, მოძღვარი და ღმერთი. სწორად ჩააბარა თუ არა ბავშვმა აღსარება, ამის შეფასება არავის ძალუძს, მხოლოდ უფალმა იცის.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

# წმიდა ილია მართლის მამულიშვილური შეგონებანი



სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.

ადამიანს ორი გზა აქვს — ღვთიური და ეშმაკური. თუ ძლიერი პიროვნება ღვთიურ გზას დაადგება, ქვეყანას ააშენებს, თუ ეშმაკურს — ქვეყანას დააქცევს.

კაცობრიობას ემსახურება მხოლოდ ის, ვინც თავის ერს ემსახურება.

თუ პიროვნების ყმობაა ანტიბუნებრივი მოვლენა, მით უმეტეს, ანტიბუნებრივია მთელი ერის მონობა.

ყოველი ერი ბუნების ნაწილია და ამიტომ ერის წინააღმდეგ მიმართული რაიმე აქცია (მოქმედება) არის ბუნების წინააღმდეგ მიმართული.

ერის თავისთავადობის დათრგუნვა-მოსპობა დანაშაულია არა მარტო დამონებული ერის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე.

კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს, ქვეყნის უბედობით გულაღტყინებულს.

რასაც თვითოული ცალკე ვერ შევძლებთ, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევძლებთ. ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: ნანერგითა შენით მარგე.

ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია.

# რას წერს ზვიად გამსახურდია საქართველოს სულიერი მისიის შესახებ

სულიწმიდის მისია უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან. რა მისიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა; ისევე, როგორც მიქაელ-გიორგის მისია სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა. აი, ეს ორი ასპექტი



ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისიას, საქართველოს სულიერ მისიას...

მეორედ მოსვლისას ქართველ ერს და მის ენას ეკისრება იმ მისიის აღსრულება, რომელიც გააჩნიათ, ერთი მხრივ, ქრისტესა და მიქაელ მთავარანგელოზს, ხოლო მეორე მხრივ, სულიწმიდას და გაბრიელ მთავარანგელოზს... აი, რატომ არიან დავითის VI საუკუნის სტელაზე გამოსახული მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომელთაც სასოებით უპყრიათ ხელთ დაფა ქართული ანბანის გამოსახულებით.

# ვინ ესწრებოდა საქართველოდან პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას

**პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ქალაქ ნიკეაში ჩატარდა 325 წელს, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306-337 წლები) საგანგებო ბრძანებით. კრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თავად იმპერატორმა გაიღო.**

კრების მიზანი იყო ოფიციალური დადგენილების გამოტანა ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფოებრივად აღიარებული სარწმუნოების შესახებ, რომელიც თავისი არსებობის პირველივე დღიდან და IV საუკუნის დასაწყისშიც კი იდევნებოდა. კრებას უნდა განეხილა, აგრეთვე, უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხები, რომლებიც იმ ხანებში ერთობ მწვავედ იდგა. მათი მოგვარება-მოწესრიგება ნიშნავდა ქრისტიანობის როგორც უკვე სახელმწიფო რელიგიის ძლიერებასა და მის შემდგომ განვითარებას მთელ საქრისტიანო მსოფლიოში. კრებას ესწრებოდნენ რომის იმპერიაში შემავალ და მის ფარგლებს გარეთ მდებარე სხვა სახელმწიფოთა ქრისტიანული ორგანიზაციების წარმომადგენლები (ძირითადად, ეპისკოპოსები), სულ 318 კაცი. საყურადღებოა, რომ კრების მონაწილეთა სიაში, რომელმაც ჩვენამდე ექვს ენაზე მოაღწია (შედგენილია ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით), მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკური და კულტურული ცენტრის — ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველი ვინმე სტრატოფილე. პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, ევსტათი ანტიოქიელის თავმჯდომარეობით, 19 ივნისიდან 25 აგვისტომდე, ორთვენახევარს გრძელდებოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გადაუხადეს თუ არა ძმის მოკვლით სამაგიერო სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულ აფციაურს?

**უკავშირდება თუ არა სანდრო გირგვლიანის მკვლელობას რამდენიმე დღის წინ უზნაძის ქუჩაზე მომხდარი დანაშაული, რასაც პოლიციელი გივი აფციაურის სიცოცხლე ემსხვერპლა?**

მარინა ქებაძე: „ვიღაც კაცმა დაფარული ნომრიდან დამირეკა და მითხრა, — ჩვენ, სვანებმა, სამაგიეროს გადახდის ორი გზა ვიცით: ან სასამართლო ტარდება ობიექტურად და მკვლელი რასაც იმსახურებს, იმას იღებს, ან არადა მკვლელს სისხლის აღებით ვუსწორდებითო.“

**მარინა ქებაძე, რომელიც 16 ივნისს უზნაძის ქუჩაზე პოლიციელებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი რატი რეხვიაშვილის დედაა, ამბობს, რომ მკვლელობა მის შვილს არ ჩაუდენია და რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები პროკურატურას არ გააჩნია. ქებაძის თქმით, წარმოუდგენელია, მის შვილს სამი პოლიციელი ერთად დაეჭრა.**

**„თუკი პოლიციელები სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, რატომ იყვნენ სამოქალაქო ფორმაში? პოლიციელს მუშაობის დროს ფორმა არ უნდა ეცვას? როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, თუკი ჩემმა შვილმა უზნაძეზე პოლიციელთა სისხლის გუბეები დააყენა, რატომ არ აჩვენეს ეს სისხლის გუბე ტელევიზიით? ან მომხდარს თვითმხილველები რატომ არ ჰყავს?“ — კითხულობს რეხვიაშვილის დედა.**

**ვინ არის სერგო გელენიძე და რა საერთო აქვს სანდრო გირგვლიანის მკვლელობას 16 სექტემბერს უზნაძის ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რატი რეხვიაშვილის დედა მარინა ქებაძე ესაუბრა.**

## რატი რეხვიაშვილის ოჯახს პრეზიდენტისთვის შეწყალება არ უთხოვია...



**— ვისგან შეიტყვეთ, რომ უზნაძის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმის მთავარი გმირი თქვენი შვილი იყო?**

— საღამოს საინფორმაციო გამოშვებაში ვნახე. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როდესაც პრეზიდენტი გამოვიდა და თქვა: „ეს ნაძირალა, ეს ყაჩაღი, ბანდიტი და მკვლელი უნდა ყოფილიყო ლიკვიდირებული. ასეთი ნაძირლები არ იმსახურებენ სიცოცხლეს“. გონება დავკარგე და გვიან გამოვფხიზლდი...

**— პრესის საშუალებით მოქალაქეები პრეზიდენტს ახსენებდნენ, რომ რატი რეხვიაშვილი სწორედ მან შეიწყალა გასული წლის დეკემბერში, როგორ მოხვდა თქვენი შვილი პირველად ციხეში?**

— რატის პირველი დაპატიმრებაც გათამაშებული იყო. მას დააბრალეს დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. სასამართლო პროცესზე არც მოწმე და არც დაზარალებული ჰყავდათ. როგორ წარმოგიდგენიათ, დაზარალებულის და მოწმის გარეშე დანაშაული არსებობს? მაგრამ ჩვენ მაშინ მარჯანიშვილზე ვცხოვრობდით, ორსართულიანი სახლი იყო, მესამე სართულის დაშენების პერსპექტივით.

საკრებულოს ყოფილ წევრს, მაკლერ ჯუმბერ შენგელიას უნდოდა ეს ბინა და ამიტომაც სპეციალურად გაათამაშა ეს სცენა. თუკი რატი ციხეში იქნებოდა, მაშინ ბინას შედარებით ადვილად წაგვართმევდა, რადგან დამცველი არ გვეყოლებოდა.

ჯუმბერ შენგელიამ უკვე ოქტომბრის ბოლოს გამომასახლა სახლიდან, უფრო სწორად, გამოგვაგდეს. აბსოლუტურად ყველა ნივთი იყო დამტვრეული, მხოლოდ რამდენიმე ჩანგალიღა დაგვრჩა. სრულიად დაუცველი, 7 თვის ფეხმძიმე რძალთან ერთად ქუჩაში აღმოვჩნდი.

ერთ დღეს დამირეკა რატიმ და მითხრა, დედა, სახლში მოვდივარო. შემეშინდა, ასე ადრე რატომ მოდიხარ, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი? შემეშინდა, პატიმრები ხომ არ გამოიპარნენ ციხიდან-თქო. როდესაც რატი სახლში დაბრუნდა, ჩვენ გამოვცხადდით პოლიციაში და ვიკითხეთ, კიდევ დამატებითი პროცედურა ხომ არ იყო გასავლელი, კიდევ რომ არ დავზარალებულიყავით. განყოფილების უფროსმა მითხრა — რატი სრულიად თავისუფალიაო. მე არავისთან მივსულვარ და რატის შეწყალება არ მითხოვია.

**— თქვენ სამართალდამცავთა ოფიციალური ვერსიის არ გჯერათ, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს. თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— ძალიან ბევრი რამ, რაც გახმიანდა ტელევიზიით, არ არის მართალი. არის ვერსია, რომ პოლიციელთა დაჭრა უზნაძის ქუჩაზე არ მომხდარა. სად არის სისხლის გუბეები? სამი მამაკაცის სისხლი არც ისე ცოტაა, კვალი ხომ მაინც უნდა ყოფილიყო? თუკი ჩემი შვილის სისხლის კვალი დღესაც არის, სად გაქრა პოლიციელთა სისხლი?

ან რატომ იყვნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულები პოლიციელები, თუკი იმ დროს თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ? რატომ არ ეცვათ ფორმა? თუკი ერთმა რატიმ დაჭრა ყველა, რაც წარმოუდგენელია, მაშინ რაღას ესხმოდა თავს ათი პოლიციელი? უზნაძის ქუჩის მცხოვრებნი მეუბნებიან, ვნახეთ, როგორ გაეკიდა ათი პოლიციელი რატის, როგორ წააქციეს და როგორ სცემდნენო. სულ დალურჯებული იყო რატი.

სინამდვილეში კი, როგორც ამბობენ, იმ დღეს, 16 სექტემბერს, რომელიღაც ტყეში, თბილისთან ახლოს, მომხდარა გარჩევა სამართალდამცავებს შორის. შავი სამყაროს წარმომადგენლებს ფული გადაუხდიათ და სია შეუდგენიათ, ვინ უნდა გამოსულიყო შეწყალების დროს. ამ გარიგებას რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირიც კი შეეწირა. სამართალდამცავებს პირობა ვერ შეუსრულებიათ და ის ხალხი ვერ გამოუყვანიათ ციხიდან, „ქურდები“ კი გადახდილ ფულს უკან ითხოვდნენო.

**— დაპატიმრების მერე ნახეთ თქვენი შვილი?**

—ყველაზე მთავრი ის იყო, რომ, როდესაც ავედი პოლიციის განყოფილებაში, ვინმე გელენიძეზე საუბრობდნენ. თავდაპირველად ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ის გელენიძე იქნებოდა, ბორჯომში რატის შუაღამისას რომ მოაკითხა.

შემდეგ შემოიყვანეს გელენიძეც და რატიც. სერგო გელენიძე ვიცანი, მაგრამ ჩემი შვილი ვერ ვიცანი, ისეთი შეცვლილი იყო. პირი მთლიანად ბინტით ჰქონდა აკრული, სახე დასიებული და ვერ ლაპარაკობდა, თვალები ჩალურჯებული, ძლივს დადიოდა, ხმას ვერ იღებდა. როდესაც ჰკითხეს, ვინ იყო, თავისი სახელი და გვარი ვერ თქვა, მხოლოდ თავის დაქნევით ეთანხმებოდა პროკურორს.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, მაგრამ ასე მითხრეს პოლიციის თანამშრომლებმა, შენ მაინც ნუ იღებ ხმას, მე თქვენს ადგილზე გავჩუმდებოდიო. თუ ობიექტური გამოძიებით დაუმტკიცებენ დანაშაულს რატის, საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი დაღუპული აფციაურის დედის წინაშე; ასევე, საზოგადოების წინაშე და ვაღიარებ, რომ მე ჩემი შვილი ვერ გავზარდე.

**— რა კავშირი აქვს სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ამ საქმესთან?**

— როდესაც უზნაძის ქუჩაზე დანაშაული მოხდა, მეორე დღეს ვიღაც კაცმა დამირეკა დაფარული ნომრით და იცით, რა მითხრა? ქალბატონო, თქვენი შვილი უდანაშაულოა. ჩვენ, სვანებმა, სამაგიეროს გადახდის ორი გზა ვიცით: ან სასამართლო ტარდება ობიექტურად და მკვლელი რასაც იმსახურებს, იმას იღებს, ან არადა მკვლელს სისხლის აღებით ვუსწორდებითო. მერე აღარ დაურეკავს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გარდაცვლილი გივი აფციაური სანდრო გირგვლიანის მკვლელის — ამირან აფციაურის ძმა იყო. ერთ ფაქტსაც გეტყვით. დაღუპული აფციაურის ცოლი დიდუბის ეკლესიის მრევლია. აფციაურის დასაფლავების დღეს მას უთქვამს, ვეუბნებოდი, მაგ საქმეში ნუ მიიღებ მონაწილეობას, ეს ძალიან ბინძური საქმეა-მეთქი, ვაფრთხილებდი, მაგრამ არ დამიჯერაო. ახლა თქვენ განსაჯეთ, რას ამბობდა მისი ცოლი. ეს შემთხვევით ერთმა გოგონამ გაიგონა და მითხრა. მან არც იცოდა, რომ რატი რეხვიაშვილის დედა ვიყავი.

●

მართლაც არის თუ არა 16 სექტემბერს უზნაძის ქუჩაზე სამართალდამცავებზე განხორციელებული თავდასხმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გადახდილი სამაგიერო, ამ ფაქტის გადასამოწმებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელს — შოთა უტიაშვილს ვესაუბრეთ. უტიაშვილის თქმით, აღნიშნული მოსაზრება — თითქოს პოლიციელებზე თავდასხმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობას უკავშირდება, სისულელეა.

**„მასეთ სისულელეებზე კომენტარი როგორ გავაკეთო? ვის მოუვიდა ეს აზრად?“ — განგვიცხადა უტიაშვილმა და ტელეფონი გაგვითიშა.**

შსს-ს მაღალჩინოსნები, მართალია „სისულეებზე“ კომენტარს არ აკეთებენ, მაგრამ თვითონ ამბობენ სისულელეებს. მაგალითების ჩამოთვლამ შორს რომ არ წაგვიყვანოს, ერთ კონკრეტულ დეტალს შეგახსენებთ, რაც, ასევე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობას უკავშირდება. თავიდან შს სამინისტრო ყველაფერს აკეთებდა კვალის დასაფარად და, უტიაშვილს რომ დავესესხოთ, სისულელეს-სისულელეზე აცხადებდა ტელეკამერების წინ... სისულელე იყო ისიც, რომ გამოძიება ჯერ არც კი იყო საფუძვლიანად დაწყებული (თუმცა გამოსაძიებელიც არაფერი იყო და ამით არც არავის შეუწუხებია თავი), როდესაც შს სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები გირგვლიანის მკვლელობას სვანურ გარჩევას უკავშირებდნენ... როდესაც უტიაშვილი ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვას სისულელეს უწოდებს, უპრიანი იქნება, დაფიქრდეს და კარგად გაიხსენოს, რამდენი ასეთი ,,სულელური” განცხადება გაკეთებულა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ და ნურც იმას დაივიწყებს ეს მერაბიშვილის უწყების ამომავალი ვარსკვლავი, რომ ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება და ჩვენი, ჟურნალისტების, ვალდებულებაა საზოგადოებაში გაჩენილი ყველა შეკითხვა დავსვათ...

რეხვიაშვილის საქმეზე ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ, აგრეთვე, დეპუტატ დიმა ლორთქიფანიძეს და ვცადეთ, გაგვერკვია, ვინ შეიყვანა რეხვიაშვილი შესაწყალებელთა სიაში, რადგანაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ოჯახს მისი შეწყალება პრეზიდენტისათვის არ უთხოვია.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** სპეციალურად ამ ფაქტთან დაკავშირებით თავის დროზე კომისიის შექმნა მოვითხოვე. 16 სექტემბერს მომხდარი ფაქტის შემდეგ ყველაფერი გაირკვა და აღმოჩნდა, რომ რატი რეხვიაშვილი ყოველგვარი წინასწარი განცხადების და თხოვნის გარეშე იქნა შეწყალებული. ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ვალდებულია, აუხსნას საზოგადოებას, რის საფუძველზე მოაწერა ხელი რატი რეხვიაშვილის შეწყალების აქტს.

ჩვენ სახეზე გვაქვს აშკარა მიკერძოება და ინტერესი, რომ ეს ადამიანი თავისუფალი ყოფილიყო.

**— ვინ ადგენს პატიმართა შეწყალების სიას და რის საფუძველზე ხდება მათი გათავისუფლება?**

— სიას შეწყალების კომისია ადგენს. შემდეგ შედის პრეზიდენტის კანცელარიაში და, შეწყალების დებულების თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს. წარდგენილ პატიმართა სიაში ის სათითაოდ კითხულობს გვარებს, ასევე, ნასამართლეობის მიზეზს და ამის შემდეგ აწერს ხელს. ეს ფაქტი პირდაპირ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაა.

**— ვის შეაქვს პატიმართა სიები პრეზიდენტთან, ვინ ახორციელებს ამ შემთხვევაში მედიატორის როლს პრეზიდენტსა და შეწყალების კომისიას შორის?**

— პრეზიდენტის კანცელარიის ხელმძღვანელი. მხოლოდ ისინი აგებენ უკვე პასუხს შეწყალებულებზე, რადგან, როდესაც კომისია სიებს შეადგენს და ის პრეზიდენტის კანცელარიას გადაუგზავნის, იქიდან მხოლოდ პრეზიდენტთან მიდის.

**—ვის ეკისრება მორალური პასუხისმგებლობა დაღუპული სამართალდამცავი გივი აფციაურის მკვლელობის გამო?**

— მხოლოდდამხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს.

„საქართველო და მსოფლიო“ სერგო გელენიძის ოჯახსაც დაუკავშირდა, თუმცა ქალბატონმა, რომელმაც ტელეფონზე გვიპასუხა, სერგო გელენიძესთან ნაცნობობაც კი არ დაადასტურა.

**„რამდენჯერ ვთქვი, გამორთეთ ეს ტელეფონი, ხომ ხედავთ, ჟურნალისტები რეკავენ! აღარ დავინახო, ჩართოთ!“** — განუცხადა ოჯახის წევრებს ქალბატონმა მას შემდეგ, რაც ჩათვალა, რომ ხაზზე აღარ ვიყავით და მის ნათქვამს ვერ გავიგონებდით.

მარინა ქებაძის ინფორმაციით, სერგო გელენიძე 16 სექტემბერს უზნაძის ქუჩაზე არ იმყოფებოდა, მაგრამ იმ დღეს სამართალდამცავებს მასზე ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული.

„როდესაც ვიკითხე, გელენიძემ რაღა დააშავა და იყო თუ არა ჩემს შვილთან ერთად-მეთქი, მითხრეს, რომ უზნაძეზე არ ყოფილა, მაგრამ მას მთელი დღე პოლიცია ეძებდა. არ დაუკონკრეტებიათ, რატომ. შემდეგ კი პროკურორმა უთხრა გელენიძეს — თუ გაქვს რამე, გირაოთი რომ გაგათავისუფლოთო. ბორჯომში მაქვს სახლიო, უპასუხა გელენიძემ. შემდეგ გაათავისუფლეს თუ არა, არ ვიცი,“ — ამბობს მანანა ქებაძე.

**რატი რეხვიაშვილის დედა იმედოვნებს, რომ სიმართლე გაირკვევა და მისი შვილი მხოლოდ იმაზე აგებს პასუხს, რა დანაშაულიც სინამდვილეში ჩაიდინა, თუმცა საზოგადოებამ საკუთარი თვალით ნახა, ამაოდ როგორ ეძებდა სამართალს სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე, რომელიც საკუთარი შვილის მკვლელების სასჯელის ბოლომდე აღსრულებას ვერ მოესწრო.**

**შორენა გოგოლაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მამის მკვლელის უცნაური აღიარება

**ეს მკვლელობა გასულ წელს თბილისში, ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში მოხდა. დღისით-მზისით, როცა გვერდით კაბინეტში კლინიკის დანარჩენი თანამშრომლები იმყოფებოდნენ, ხელმძღვანელის კაბინეტში გასროლის ხმა გაისმა. სულ მალე გაირკვა, რომ ადრესატი კლინიკის მფლობელი იყო, მსროლელი კი — მისი შვილი. დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე აუღელვებლად გამოვიდა კაბინეტიდან და გასასვლელისკენ გაემართა.**



სამართალდამცველებმა მამის მკვლელი, 27 წლის დიმიტრი ონიანი მალევე დააკავეს. წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას იგი დანაშაულს არ აღიარებდა. გუდას პირი მხოლოდ სასამართლო პროცესზე მოხსნა.

დიმიტრი ონიანმა მამის მკვლელობა პირველსავე პროცესზე აღიარა. მისი თქმით, მას მამამ სთხოვა, რომ მოეკლა და მისი ნება აღასრულა. ვინაიდან ონიანი წინასწარ გამოძიებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ამიტომ მისი აღიარებითი ჩვენება პროკურატურისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

რა მოხდა გასული წლის 27 აპრილს გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სტომატოლოგიურ კლინიკა „გეოდენტში“, რომლის მფლობელიც აწ გარდაცვლილი ივანე ონიანი იყო?

გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობა დაახლოებით დღის პირველ საათზე მოხდა. დიმიტრი ონიანმა მამა პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით მოკლა.

ივანე ონიანი თავის ქალასა და გულმკერდის ღრუში მიყენებული მრავლობითი ჭრილოებების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. დიმიტრი ონიანი პოლიციამ იმ დღესვე დააკავა. იგი მაშინვე ნარკოლოგიურში გადაიყვანეს, სადაც ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იგი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მოკლულ ივანე ონიანს ხუთი შვილი დარჩა: პირველი ქორწინებიდან — სამი შვილი, ხოლო მეორედან — ორი. იგი „გეოდენტისა“ და ქალთა კლუბ „გალათეას“ მფლობელი იყო. მკვლელობამდე დიმიტრი ონიანი მამასა და მეორე ოჯახთან ერთად ვაზისუბნის ქუჩაზე ცხოვრობდა. როგორც დაკავებულმა ონიანმა განაცხადა, მამასთან ცუდი ურთიერთობა არ ჰქონია.

**„მე მამაჩემი მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. ეს მოხდა ნდობისა და სიყვარულის შედეგად. მამაჩემს უნდოდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესო ვყოფილიყავი. ამერიკაში ორი წლის წინათ წავედი. იქ „წამალს“ თავი დავანებე. როცა ჩამოვედი, ყბა მოტეხილი მქონდა და მამაჩემმა მიმკურნალა“,** — განაცხადა ონიანმა.

მისივე თქმით, მკვლელობის წინა დღეს იგი მამამ სასაფლაოზე აიყვანა და სთხოვა, მოეკლა: **„მკვლელობის წინა დღეს სასაფლაოზე ამიყვანა და საფლავი მაჩვენა — ეს ჩემი საფლავიაო. დავბერდიო... მამაშვილურად მთხოვა, დამასვენეო. მას ჩემთვის პირდაპირ არ უთხოვია, მომკალიო“.**

**„მას არაფერი დაუშავებია ცხოვრებაში იმის ფასი, რომ მომეკლა. მოკვლაზე ადვილი არაფერია. ბავშვობიდან ხუმრობით მამისმკვლელს მეძახდა, რაც მწყინდა. ამას ხუმრობით ამბობდა, მაგრამ მამაჩემი მაშინაც არ ხუმრობდა, როდესაც ხუმრობდა“,** — ამბობს ონიანი.

მან მომხდარი მკვლელობა დეტალურად აღწერა: **„გეოდენტის“ კარი გავაღე და ოთახში შევედი. ნანა აბდულაევამ (კლინიკის თანამშრომელი) ყავა მომიდუღა. მეტყობოდა, რომ ძალიან ცუდად ვიყავი. ორი ყლუპი მოვსვი და მამაჩემის კაბინეტში შევედი. მე იმ დღეს მის მოსაკლავად არ მივსულვარ. იარაღი მივუტანე, რომ გამეფრთხილებინა, ჩემთვის მამისმკვლელი მეორედ აღარ ეწოდებინა... ვუთხარი: მამა, არ მინდა შენი მოკვლა-მეთქი. ფეხში ვესროლე. ჩემი იარაღიანი ხელი გულზე მიიდო. ბეჭში ვესროლე. მან გულში დაიმიზნა და თვალებში მიყურებდა — არაფერია საშიში, მე არ მეშინიაო. ტყვია გავარდა. ორივე იატაკზე წავიქეცით. ვხედავდი, როგორ სტკიოდა და იტანჯებოდა. ვაკოცე, პირჯვარი გადავსახე და შუბლში ვესროლე, რადგან მაინც კვდებოდა. ისტერიული ტირილი დავიწყე. რაც ტყვიები მქონდა, ყველა ვესროლე.**

**როცა დავწყნარდი, სახლში გავიქეცი. ტანსაცმელი გამოვიცვალე. ჩემს მეგობარ თეიმურაზ ხუსკივაძესთან მივედი. მან მითხრა — იარაღი დატოვე და ჩაბარდიო. სახლში ტაქსით ავედი, სადაც ახლობლები, ოჯახის წევრები და პოლიცია დამხვდა. ხელები გავუწოდე და ბორკილები დამადეს“.**

„როგორადაც უნდა დამსაჯონ, იმაზე მეტად ვერავინ დამსჯის, რაც უკვე დავისაჯე“, — განაცხადა პროცესზე ონიანმა.

რაკი ონიანმა დანაშაული იმთავითვე აღიარა, ამიტომ პროცესი აღარ გაგრძელებულა და არც სხვა მოწმეები დაუკითხავთ.

პროცესზე მხოლოდ ბრალდებულის ნახევარდა — თეონა ონიანი დაკითხეს. მისი თქმით, მკვლელობის დღეს დილით იგი მამამ სასამართლოში წაიყვანა *(თეონა ონიანი ადმინისტრაციულ სასამართლოში სტაჟიორად მუშაობდა).*

**„სასამართლოში როცა მიმიყვანა, მითხრა, დაგელოდებიო, მაგრამ ვიუარე, რადგან პროცესი როდის დამთავრდებოდა, არ ვიცოდი. მოგვიანებით ტელეფონზე ვნახე, რომ მამაჩემის ზარი იყო შემოსული. ცოტა ხანში მამაჩემის ნომრიდან იქაურმა თანამშრომელმა — ოლიამ დამირეკა, სად ხარო და ტელეფონი გამითიშა. მაშინვე „გალათეაში“ დავრეკე, მითხრეს — მამაშენი მოკლესო. შემდეგ არაფერი მახსოვს, გული წამივიდა. როდესაც მომასულიერეს, ტაქსით კლინიკაში წავედი“,** — იხსენებს თეონა.

**„როდესაც გავიგეთ, რომ მკვლელობა დიმიტრიმ ჩაიდინა, ყველანი შოკში ვიყავით. დიმიტრის და მამაჩემის ჩხუბი არასოდეს მინახავს. ისინი ყოველთვის განმარტოებით საუბრობდნენ. მამამ იცოდა, რომ დიმიტრი ნარკოტიკის მომხმარებელი იყო და ეუბნებოდა, ცხოვრებას ნუ იფუჭებო. მათი ჩხუბის მომენტს მე არ შევსწრებივარ. მამას არ სიამოვნებდა, როცა დიმიტრი ნასვამი მოდიოდა“,** — განაცხადა პროცესზე თეონა ონიანმა.

საბოლოო სიტყვა დიმიტრი ონიანმა „მამაო ჩვენოს“ ლოცვით დაასრულა. სასამართლომ მამის მკვლელობისთვის შვილს 13 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა და დამატებით სასჯელად ჯარიმა — 3000 ლარის გადახდა დააკისრა.

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი ონიანის მიმართ სს საქმე 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა ან შენახვა და ტარება) იყო აღძრული. პროკურორმა ონიანისთვის 15 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა — 3000 ლარი მოითხოვა.

პროკურორის ამ მოთხოვნას ონიანის ადვოკატმა ციალა რატიანმა „მკაცრი სასჯელი“ უწოდა და მკვლელობისთვის 7 წელი მოითხოვა, ხოლო მეორე ბრალდების — მოხსნა.

**„სასჯელი მეტისმეტად მკაცრია. მან მამის ნება აღასრულა. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე დანაშაულის ჩადენა არ სურდა“,** — განაცხადა პროცესზე რატიანმა.

სასამართლომ პროკურორის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საბოლოოდ ონიანს 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**სალომე გოგოხია**

# დაზარალებულს სააკაშვილისთვის 18 წელი ეცოტავება

**თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნატო ხუჯაძემ პროკურორის მოთხოვნით 25 წლის თეიმურაზ სააკაშვილს მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის 18 წელი მიუსაჯა. მას ბრალი 24 წლის ლაშა მუხიაშვილის მკვლელობასა და და გიორგი რევაზიშვილის მკვლელობის მცდელობაში ედებოდა. სააკაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობს და ამბობს, რომ მას მკვლელობა არ ჩაუდენია.**



აღძრული იყო სს საქმე 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობისათვის, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და, ასევე, 19,109-ე მუხლით, რაც 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალიწინებს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კონფლიქტი სააკაშვილისა და მუხიაშვილის მეგობრებს შორის დაიწყო, რაც მეორე დღეს მეგობრებთან ერთად განახლდა. პროკურორ ჩივიაშვილის განმარტებით, მკვლელობის მოტივი უბრალო შელაპარაკება გახდა.

**„2008 წლის 23 მაისს, დილის საათებში, ნიკოლოზ მანდარიას თავის სამსახურში შპს „ჯი-თი-სი-აი“-ს ტერიტორიაზე იმავე შპს-ში მომუშავე ირაკლი შუბლაძესთან შეკამათება მოუვიდა. მათ ერთმანეთს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამით განაწყენებული ნიკოლოზ მანდარია თავის მეგობრებს — თეიმურაზ სააკაშვილს, არჩილ ლალიაშვილს, ლაშა გუგავას, გიორგი დონდუას, გიორგი ხრიკაძეს და გიორგი წიკლაურს შეუთანხმდა, რათა მეორე დღეს კომპანიაში ერთად მისულიყვნენ და ირაკლი შუბლაძესთან ურთიერთობა გაერკვიათ“.**

**„24 მაისს, დაახლოებით დილის 10 საათზე, მანდარია და სააკაშვილი კომპანიაში ერთად მივიდნენ. მანდარიამ შუბლაძე გარეთ გამოიყვანა, რომელსაც ამ კომპანიის სხვა თანამშრომლები — ლაშა მუხიაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ბექა ამაშუკელი და ჯუმბერ ჩუბინიძეც გამოჰყვნენ. მანდარიასა და შუბლაძეს შორის კვლავ ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ამ დროს სააკაშვილმა განზრახ მკვლელობის მიზნით, დანით მუხიაშვილს გულმკერდის არეში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მიაყენა, რაც სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს მიეკუთვნება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.** — აცხადებს ჩივიაშვილი, — **ამის შემდეგ სააკაშვილი რევაზიშვილს მიუახლოვდა და მოკვლის მიზნით მასაც ჯერ გულმკერდის არეში სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის ჭრილობა მიაყენა, შემდეგ ზურგის არეში დაჭრა. სააკაშვილი, მანდარია და მათთან ერთად მყოფი სხვა პირები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.“**

თავად სააკაშვილმა პროკურორის ბრალდებაში თავი დამნაშავედ ნაწილობრივ სცნო. მისი განცხადებით, მას მუხიაშვილი არ მოუკლავს.

პროცესზე დაკითხული მოკლულის დედა სასამართლოს შვილის მკვლელის უმკაცრესად დასჯას თხოვდა. მან დეტალურად გაიხსენა ის, რაც მკვლელობის შესახებ იცოდა:

**„მომხდარის შესახებ სახლში გავიგე. ჩემი შვილის მეგობრის დედამ შემატყობინა, რომ ლაშა მძიმედ იყო დაჭრილი, თურმე მკვდარი ყოფილა. ლაშამ მუშაობა 6 მაისს დაიწყო, როგორც ვიცი, ნორმალური თანამშრომლები ჰყავდა. ვიცი, რომ შუბლაძეს მანდარიასთან შელაპარაკება მოუვიდა. შემდეგ გავარკვიე, რომ მანდარია ძალიან უარყოფითი პიროვნება ყოფილა, შუბლაძე კი არ ჩანს ცუდი ადამიანი.**

**მანდარია უხეშად დალაპარაკებია შუბლაძეს, რაღაცაზე უთქვამს — რა შენი საქმეაო და ამას მოჰყოლია კინკლავი. თურმე ხელითაც შეეხნენ ერთმანეთს. მანდარია დამუქრებია, რომ მეორე დღეს ბიჭებს მოუყვანდა. ჩემმა შვილმა იცოდა შუბლაძის პრობლემის შესახებ და უთქვამს, შევხვდებით და შევრიგდებითო.**

**მეორე დღეს მანდარია, სააკაშვილი და კიდევ სხვები შეიარაღებულები მოსულან. ერთი მძიმე ტექნიკა არ ჰყავდათ, თორემ სხვა ყველაფერი თან ჰქონიათ. საუბრისას სააკაშვილი ძალიან აგრესიული ყოფილა, რის გამოც ბიჭებს ერთმანეთისათვის უნიშნებიათ, მშვიდად ვიყოთო. მანდარიას შუბლაძისთვის იარაღის ტარი დაურტყამს და შუბლაძე ჩამუხლულა, ვიღაცას დაუძახია — არ ისროლოთო. ამ დროს რევაზიშვილიც წამოსულა, მას მუცელში დანა გამოუსვეს. ერთი დარტყმის შემდეგ სააკაშვილი კიდევ გამოდევნებია რევაზიშვილს, ჩემი შვილი ახლოს იყო რევაზიშვილთან და მისაშველებლად მივარდნილა, ამ დროს კი ლაშასაც დაარტყეს დანა და რევაზიშვილსაც. როცა დაჭრილი რევაზიშვილი მიხოხავდა, უკან მოუხედავს და დაუნახავს სისხლით მოთხვრილ გულზე ხელაფარებული ლაშა და დაუძახია, მეც მაგან დამჭრაო, ესე იგი სააკაშვილმა. ჩემი შვილი კონფლიქტური რომ ყოფილიყო, ან მანდარიასავით შემძვრალი იქნებოდა სადმე, ან სააკაშვილივით — შერცხვენილი. სააკაშვილის დედა ყოფილა ჩემთან და დაუბარებია, რომ ერთად ვიპოვოთ შენი შვილის მკვლელიო; მიკვირს, რატომ მოდის ჩემთან? თუ მისი შვილი მართალია, პროკურორთან მივიდეს და ის დაარწმუნოს მის უდანაშაულობაში“.**

**„მე მისმა შვილმა წამართვა სიცოცხლის, სიცილის, არსებობის უფლება, სამოსივით ჩამაცვა სიკვდილი. მე ვითხოვ, რომ ჩემი შვილის მკვლელი უმკაცრესად დაისაჯოს. ჩემთვის მისი დახვრეტაც ყველაზე მსუბუქი სასჯელია,“** — განაცხადა სასამართლოზე შვილმკვდარმა დედამ.

დაზარალებული გიორგი რევაზიშვილის მამა — გივი რევაზიშვილი გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილოა. მისი განცხადებით, სააკაშვილი, რომელმაც ერთი ადამიანი მოკლა და მეორე ორჯერ დაჭრა, უვადო თავისუფლების აღკვეთას იმსახურებდა.

## «როცა დაჭრილი რევაზიშვილი მიხოხავდა, უკან მოუხედავს და დაუნახავს სისხლით მოთხვრილ გულზე ხელაფარებული ლაშა, რომელსაც დაუძახია, მეც მაგან დამჭრაო»

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სანდო ბანკი

**ბანკის განვითარება წარმოუდგენელია სტაბილური კლიენტურის გარეშე. სტაბილური კი ის კლიენტურაა, რომელმაც მიიღო ამა თუ იმ ბანკთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება და კვლავ მის მომსახურებას ამჯობინებს.**




ეს ნებისმიერი ბანკისთვის საუკეთესო დახასიათებაა, რადგანაც მიანიშნებს, რომ მან მოიპოვა ყველაზე მთავარი — თავისი კლიენტების ნდობა! სწორედ ნდობაა ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი ბანკსა და კლიენტს შორის, ისევე, როგორც ყველა სახის ურთიერთობაში.

ჩვენი გადაწყვეტილების ჭეშმარიტების სწორად შეფასებისათვის აუცილებელია, ვიცოდეთ ამა თუ იმ ბანკის ყველა იმ ჩვენთვის საინტერესო სურვილების, პროდუქტის — მომსახურების შესახებ, რაც მას გამოარჩევს სხვებისგან.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული **ბაზისბანკის** სურვილების სრულ ნუსხას, რათა შემდგომში თავად გადაწყვიტოს, რამდენად მომგებიანია ამ ბანკთან ურთიერთობა. გარდა იმისა, რომ **ბაზისბანკმა** ანაბარზე თავისი საპროცენტო განაკვეთი გაზარდა, კიდევ არა ერთი ახალი საბანკო პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს.

## რა არის სასარგებლო ანაბარი?



**ეს არის ერთად თავმოყრილი ყველა ის სიკეთე, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს საბანკო პროდუქტს. იგი საშუალებას აძლევს მეანაბრეს, ნებისმიერი თანხით დაიწყოს დაზოგვა.**

იგი არ ზღუდავს მას შემდგომში მინიმალური შენატანის მოცულობით. ანაბარზე დაშვებულია ოპერაციების განხორციელება დისტანციური ბანკინგითაც და, რაც მთავარია, დანაზოგით სარგებლობა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

საბოლოო ჯამში, მეანაბრე მაღალ საპროცენტო განაკვეთს იღებს, ლარში განთავსებულ ანაბარს 9,25% დაერიცხება, აშშ დოლარში განთავსებულს კი — 7,25%, ხოლო ევროსა და გირვანქა სტერლინგში განთავსებულს — 6,25 5%.

## რა არის ზრდადი შემნახველი ანაბარი?

**თუ გადაწყვეტთ, გახსნათ ზრდადი შემნახველი ანაბარი, შეგიძლიათ, თავად განსაზღვროთ ყოველთვიური დანაზოგის ოდენობა და ანაბრის პერიოდი 6-დან 24 თვემდე.**

ყოველთვიური დანაზოგის ოდენობა არ უნდა შეადგენდეს 10 ლარზე / 10 აშშ დოლარზე / 10 ევროზე / ნაკლებს. მინიმალური ნაშთი, რომელსაც სარგებელი დაერიცხება, შეადგენს 10 ლარს, შესაბამისად — 10 ევროს, 10 აშშ დოლარს. დაშვებულია ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მეანაბრეს შეუძლია, ისარგებლოს სესხით, რომელსაც საპროცენტო განაკვეთი შეადგენს. ანაბრის წლიურ სარგებელს დამატებული 4%, ანგარიშის გახსნა და ოპერაციების წარმოება უფასოა.

### ზრდადი შემნახველი ანაბრის წლიური საპროცენტო სარგებელი

**ანაბრის ვადა (თვეებით) — 6-24; ლარი — 8,50%; აშშ დოლარი — 7,00%; ევრო — 7,00%.**

## ზრდადი მომავლის ანაბარი

**ზრდადი მომავლის ანაბარი ქართულ საბანკო ბაზარზე სრულიად ახალი ტიპის ანაბარია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, დააგროვოთ საკუთარი თანხები და მიიღოთ მათზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ასევე, ისარგებლოთ ბანკისგან გარანტირებული სესხით თქვენ მიერ დაგროვილი თანხის შესაბამისად.**

თავად შეგიძლიათ, განსაზღვროთ ყოველთვიური დანაზოგის ოდენობა. ზრდადი მომავლის ანაბარი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მიიღოს მაღალი საპროცენტო სარგებელი ანაბარზე წლიური 14%-ის ოდენობით, ამავე დროს, ისარგებლოს გარანტირებული სესხით ბანკში მოქმედი მინიმალური საპროცენტო განაკვეთით, მის მიერ დაგროვებული თანხის შესაბამისად. სესხის საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხზე შეადგენს 16%-ს, ავტოსესხზე — 18%-ს, ხოლო სამომხმარებლოზე — 20%.-ს




## რა არის კონვერტირებადი ანაბარი?

**თუ ფლობთ გარკვეულ თანხას ეროვნულ ვალუტაში და გსურთ, გახსნათ ანაბარი აშშ დოლარში, უნდა გახსნათ ვადიანი ანაბარი ლარში და ვადის დასრულების შემდეგ იყიდოთ აშშ დოლარი ანაბრის გახსნის დღეს დადგენილი ფიქსირებული კურსით.**



მეანაბრეს არ ეკისრება კონვერტაციის საკომისიოს გადახდა. თანხა დაზღვეულია გაცვლითი კურსის მერყეობისაგან. მეანაბრე ბანკისგან საჩუქრად მიიღებს VISA ELECTRON, VISA CLASSIC ან VICA GOLD საერთაშორისო პლასტიკურ ბარათებს ანაბრის პირობების შესაბამისად. მეანაბრეს შეუძლია ისარგებლოს სესხითაც.

## ბონუსი ზრდადი მომავლის მეანაბრისთვის

**ზრდადი მომავლის მეანაბრეს შეუძლია, ისარგებლოს ბაზისბანკისგან გარანტირებული სესხით (შემოსავლის დამადასტურებელი საბუთის გარეშე), რომლის მოცულობა განისაზღვრება კლიენტის მინიმალური შემონატანების მოცულობის შესაბამისად.**

მაგალითად, თუ კლიენტის მინიმალური დანაზოგები 6 თვის განმავლობაში შეადგენს 100 ლარს, კლიენტი დეპოზიტის ვადის ბოლოს ბანკისგან იღებს საკუთარ დანაზოგს პლუს დარიცხული სარგებელი და დამატებით ბანკი მას აძლევს გარანტირებულ სესხს — 600 ლარს.

გარანტირებული სესხის პირობები იგივეა, რაც დეპოზიტის ვადა. არაუზრუნველყოფილი გარანტირებული სესხის მოცემულობაა 3000 ლარი.



## Discovery ბარათი

**ეს არის სადებეტო VISA CLASSIC-ის ტიპის ჩიპური ბარათი, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტს, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოგზაურობისას გაანაღდოს თანხა ბანკომატიდან.**




ბარათის მფლობელი სარგებლობს დამატებითი ბონუსებით:

1) ფასდაკლებას სამოგზაურო დაზღვევაზე — 30%;

2) ფასდაკლებას ტურისტულ კომპანიებში 3-10%-მდე.

**ბარათის პირობები:** ვადა — 1 წელი, ტიპი — VISA CLASSIC; შეგიძლიათ, აირჩიოთ ერთი, თქვენთვის სასურველი ვალუტა — ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტი; ეს ბარათი განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ხშირად უწევს მოგზაურობა.

## მეგობარათი

**ეს ბარათი, ძირითადად, შესყიდვითი ოპერაციებისთვის არის განკუთვნილი და ამ შემთხვევაში თქვენ არანაირ საკომისიო თანხას არ იხდით. თუ ნასესხებ ფულს 30 დღის განმავლობაში დააბრუნებთ და თვის ბოლოს დადებითი ნაშთით შეხვდებით, აღარ მოგიწევთ არანაირი პროცენტის გადახდა.**




პროცენტი მხოლოდ თქვენ მიერ გამოყენებულ თანხას ერიცხება და არა მთლიან საკრედიტო ლიმიტს. საკრედიტო ლიმიტი მზარდია, თუ ხშირად იყენებთ ბარათს და მეტი კრედიტი გჭირდებათ, ბანკი მას ყოველთვის გაგიზრდით.

ბარათზე არსებულ საკუთარ თანხებზე დაგერიცხებათ მაღალ საპროცენტო სარგებელი: ლარში — 9.25%, დოლარში — 7,25%.

საკუთარი თანხის შეტანა და გამოტანა შეუზღუდავია.

შესაძლებელია მხოლოდ სადებეტო სახის მეგობარათის შეკვეთაც.

30-დღიანი საშეღავათო პერიოდი — 0%.

ყოველთვიური მინიმალური შენატანი — ლიმიტის 5%.

კომუნალური გადასახადები — უფასო;

**მაგთიკომში** ჩართულ ტელეფონზე დაგერიცხებათ შესყიდვითი ოპერაციების ათვისებული თანხის 2%-ის შესაბამისი სასაუბრო ბონუსწუთები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

ბარათის მფლობელები უფასოდ სარგებლობენ **ბაზისბანკის** დისტანციური მომსახურებითაც.

ერთადერთი, რაც გევალებათ, თქვენსავე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის 5%-ის ყოველთვიურად შემოტანაა საჭირო, ამ თანხით თქვენი კრედიტის ნაწილი დაიფარება, მაგრამ შემოტანილი თანხა შეგიძლიათ კვლავ გამოიყენოთ.

## Geocell Visa ბარათი

**ეს არის ბაზისბანკისა და ჯეოსელის ერთობლივი VISA CLASSIC-ის ტიპის ბარათი ჯეოსელის ბონუსებითა და ბაზისბანკის საჩუქრებით. ასევე, ბარათზე არსებულ საკუთარ თანხაზე დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი — ლარში — 9,25%, დოლარში — 7,25%.**




საკუთარი სახსრების განაღდება **ბაზისბანკის** ბანკომატებში უფასოა, საკუთარი თანხის შეტანა და გამოტანა — შეუზღუდავი. შესაძლებელია მხოლოდ სადებეტო ბარათის შეკვეთაც.

**Geocell Visa ბარათის** საკრედიტო პირობებია:

- 30-დღიანი საშეღავათო პერიოდი — 0%.
- ყოველთვიური მინიმალური შენატანი — ლიმიტის 50%;
- შესყიდვითი ოპერაციები და კომუნალური გადასახადები, ასევე, უფასოა;

ბარათის მფლობელები უფასოდ სარგებლობენ **ბაზისბანკის** დისტანციური მომსახურებითაც: ინტერნეტბანკინგი, sms ბანკინგი; ტელებანკინგი; **ბაზისბანკის Geocell Visa** ბარათით თვის განმავლობაში დახარჯული 100 ლარზე თქვენ მიიღებთ 10 უფასო წუთსა და 30 sms-ს **ჯეოსელისაგან**.

## დისტანციური მომსახურება

**ეს არის ინტერნეტბანკინგი — უწყვეტი კავშირი ბანკთან, რომლის დროსაც შეგიძლიათ, კომფორტულად და მარტივად მიიღოთ ელექტრონული საბანკო მომსახურება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან 24 საათის განმავლობაში.**



ინტერნეტბანკინგით სარგებლობა უფასოა.

ინტერნეტბანკინგით შესაძლებელია:

— კომუნალური გადასახადების გადახდა;

— სატელეფონო ბალანსის შევსება;

— თანხის გადარიცხვა საკუთარ ანგარიშებს შორის;

— კონვერტაცია საკუთარ ანგარიშებს შორის;

**სპეციალური პროგრამა ბანკი-კლიენტი საშუალებას მოგცემთ, შეასრულოთ საბანკო ოპერაციები თქვენი კომპიუტერიდან და, ამავე დროს, დარწმუნებული იყოთ თქვენი ანგარიშების კონფიდენციალობასა და დაცულობაში.**

## რა არის საბავშვო ანაბარი?

შეგიძლიათ, დააგროვოთ თანხა შვილების მომავლისთვის საბავშვო ანაბარზე და მიიღოთ ანაბრებს შორის ყველაზე მაღალი წლიური სარგებელი — 15 პროცენტი. ანაბრის ვადა — მინიმუმ 2 წელი ბავშვის სრულწლოვანებამდე. ანაბრის გამხსნელს შეუძლია, ისარგებლოს ანაბრით უზრუნველყოფილი სესხით მეანაბრის სწავლების დასაფინანსებლად.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მალე აღარ გავჭაღარავდებით

**ევროკავშირის მეცნიერთა ჯგუფმა განსაზღვრა და აღმოაჩინა თმის გათეთრების მექანიზმი.**



სპეციალური მეთოდითა და აპარატის საშუალებით გაირკვა, რომ თმა თეთრდება თმის ბოლქვში არსებული წყალბადის ზეჟანგის ბოჭკოს გახლეჩვით გამოწვეული დარღვევების შედეგად, რადგანაც კლებულობს თმის ღეროს განვითარებაზე პასუხისმგებელი გარკვეული ფერმენტების აქტიურობა.

ამ პროცესის საწინააღმდეგოდ შეიძლება გამოვიყენოთ ნივთიერება მეთიონინი.

სავარაუდოდ, მალე შეიქმნება პრეპარატი, რომელიც თმის გაჭაღარავებას შეუშლის ხელს. ეს კი მოგვცემს საშუალებას, მუდმივად შევინარჩუნოთ თმის ბუნებრივი პირვანდელი ფერი.

# კალიუმის მცირე დოზით მიღება არტერიულ წნევას მაღლა წევს

**ტეხასის უნივერსიტეტის კარდიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ კალიუმის (Ca) დაბალი დოზით მიღება საფრთხეს უქმნის გულსისხლძარღვთა სისტემას ისევე, როგორც სისხლში ნატრიუმის მაღალი კონცენტრაციები.**

მედიკოსები ხაზს უსვამენ, რომ არტერიული წნევის დასაწევად აუცილებელია ორგანიზმში ამ ელემენტის დეფიციტის აღმოფხვრა, რაც შესაძლებელია რძის, ყურძნის, ციტრუსის, კივის, კარტოფილის მიღებით. რაც უფრო მცირე რაოდენობით მიიღებს ადამიანი კალიუმს საკვებიდან, მით უფრო მაღალია ჰიპერტონიის განვითარების რისკი. ამჟამად მიმდინარეობს კვლევა კონკრეტულ გენზე, რათა შესწავლილ იქნეს მისი მოქმედების მექანიზმი კალიუმსა და წნევას შორის კავშირზე.

# ორსულთა ტოქსიკოზი სასარგებლოა



„თუ ფეხმძიმე ქალს ორსულობის პერიოდში აქვს ღებინება, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ძალიან ჭკვიანი შვილი ეყოლება," — ამტკიცებენ კანადელი მეცნიერები. ამ ბავშვებს აქვთ ძალიან კარგი მეხსიერება და ენების შესწავლისაკენ მიდრეკილება. ამ ფაქტს მეცნიერები შემდეგნაირად ხსნიან: ღებინების დროს ორსულის ნაყოფში ან პლაცენტაში ხდება ჰორმონული ცვლილებები, რადგანაც ის ამ დროს ვითარდება. ექიმები იმასაც ეთანხმებიან, რომ ღებინების შეგრძნება ჯანმრთელ ორსულობაზე მეტყველებს.

# ჰემოფილია მკურნალობას ექვემდებარება



**ვაშინგტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა წარმატებით დაასრულეს სამედიცინო ექსპერიმენტი — საცდელი თაგვები და ლეკვები ჰემოფილიისაგან განიკურნენ. პრეპარატი გენური ინჟინერიითაა შექმნილი.**

მეცნიერთა აზრით, ეს დაავადება გამოწვეულია ქრომოსომების დაზიანებით და ხშირად დიაგნოსტირდება მამაკაცებში.

XX საუკუნეში ამ სენს „სამეფო დაავადებასაც" უწოდებდნენ, რადგან ჰემოფილიით ხშირად ევროპის ქვეყნების მონარქები ავადდებოდნენ. მალე შესაძლებელი გახდება ჰემოფილიით დაავადებულთა სრული განკურნება. წამყვან ქვეყნებში ეს დაავადება სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ დაავადებათა ნუსხაშია.

# ნიტრატებით მკურნალობა დასაშვებია



**ავსტრალიელი მეცნიერების კვლევის შედეგად დადგინდა გახანგრძლივებული მოქმედების ნიტრატების გამოყენების შესაძლებლობა სისტოლური ჰიპერტონიის სამკურნალოდ.**

მათ ჩაატარეს პლაცებოკონტროლირებადი ექსპერიმენტი — მკვეთრად შეუწყვიტეს იზოსორბიდ მონონიტრატის მიღება პაციენტებს, რომლებიც 19 თვის განმავლობაში მუდმივად მკურნალობდნენ ამ პრეპარატით. ნიტრატის დაგვიანებით მიღების შემთხვევაში წნევამ მოიმატა პლაცებოსთან შედარებით.

ამჯერად მიმდინარე კვლევებში იზოლირებული არტერიული ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფებში გამოყენებული იქნება იზოსორბიდ მონონიტრატი სტანდარტულ კომბინირებულ ანტიჰიპერტენზიულ თერაპიასთან ერთად.



გვერდები მოამზადა
ეთერ კასრელიშვილმა

# წამალი, რომელიც ცუდ მოგონებებს გვავიწყებს

**ბრიტანელი მეცნიერები ასკვნიან, რომ ბეტა-ადრენობლოკატორები, რომლებიც გულსისხლძარღვთა დაავადების დროს ფართოდ გამოიყენება, სხვა დანიშნულებითაც შეიძლება მივიღოთ.**

კერძოდ, მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ამ ტიპის პრეპარატები ხელს უშლის ცუდი მოგონებების გახსენებას, ხსნის შიშის გრძნობას. ასე რომ, პრეპარატების ამ მიმართულებით გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია.

# თავის ქალას ძვლის შესაძლებლობა

**ყორღანის სამეცნიერო ცენტრის მედიკოსთა მტკიცებით, თავის ქალას ძვალს აქვს თვითგანვითარების (გაზრდის) უნარი.**

მათ ჩაატარეს კვლევები ტრავმის შედეგად თავის ქალას ძვალდაზიანებულ პაციენტებზე.



დადგინდა, რომ ელიზაროვის აპარატით გასინჯულ პაციენტებს, რომელთაც ტრავმა ჰქონდათ მიღებული, ქალას ძვალი დღე-ღამეში 1 მილიმეტრით გაეზარდათ.

ამ მიგნების შემდეგ ექიმებს შეეძლებათ, დახმარება აღმოუჩინონ ამ პრობლემის მქონე ათასობით ავადმყოფს.



# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრებისდაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

**კოორდინატებია:**

**თელავი,**
კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24

**თბილისი,**
აწყურის 31ა.



**ბათუმი**, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს,
10-დან 14 საათამდე).

# წერილები ბიჭიკო გაგნიძეს

# გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო



**ც. ლეკიშვილი** — წლების მანძილზე მაწუხებდა ტკივილები კუჭის არეში. კლასიკური მედიცინის ყველა მეთოდით ვიმკურნალე, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. ბოლოს გავიგე ბიჭიკო გაგნიძის წამლის შესახებ და გადავწყვიტე, ეს უვნებელი ბალახეული ნაკრებიც მეცადა.

ორ დღეში შვება ვიგრძენი, კურსის დამთავრების შემდეგ კი პრაქტიკულად გამოვჯანმრთელდი. ეს წამალი საუკეთესო აღმოჩნდა არა მხოლოდ კუჭის პრობლემების აღმოსაფხვრელად, არამედ დადებითად იმოქმედა სხვა თანმხლებ დაავადებებზეც.

დიდი მადლობა მკურნალს.

**დ. გაბუნიძე** — ორი ოპერაციის შემდეგ ტკივილები ისევ მაწუხებდა. სულ ვფიქრობდი, რომ ქირურგიულმა ჩარევამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ასეთ მძიმე მომენტში ახლობელმა მირჩია, მიმეღო ბიჭიკო გაგნიძის წამლები. ფიტოთერაპიული ნაკრების უვნებელობაში დარწმუნებულმა გადავწყვიტე ამ პრეპარატებით მკურნალობა.

შედეგი მართლაც განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. აღარც კი მახსოვდა, რომ ტკივილები ოდესმე მაწუხებდა. ვფიქრობ, რომ გაგნიძის წამალი პროფილაქტიკის თვალსაზრისით საუკეთესო იქნება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

**დ. ჭავჭანიძე** — მძიმე ავადმყოფს ფილტვში სითხე მქონდა და თავის ტკივილი სისტემატურად მაწუხებდა. ავადმყოფობის ფონზე განმივითარდა ნევროზი. მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდა.

ბოლოს მივიღე ბიჭიკო გაგნიძის წამალი. ცოტა ხანში გამოვკეთდი, მწოლიარე ავადმყოფი ფეხზე დავდექი. პრეპარატმა სხვა დაავადებების სიმპტომებიც მომიხსნა. ამჟამად კარგად ვგრძნობ თავს და ჩემს ყველა ახლობელს ვურჩევ, მიიღოს ეს უნიკალური და უვნებელი ნაკრები.

**დ. არაბული** — სკლეროზს, ნერვულ სტრესს, დეპრესიას, მაღალ წნევას ვერაფრით ვუშველე. ბიჭიკო გაგნიძის წამლის დახმარებით შვება რამდენიმე დღეში ვიგრძენი. სრული კურსის დამთავრების შემდეგ ჩივილებიც აღარ მაქვს. დღეს უკვე სრულიად მხნედ ვგრძნობ თავს.

მადლობა ბატონ ბიჭიკოს, რომ ასეთი კარგი პრეპარატის ავტორია და დგას ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში.

**ნ. ბარბაქაძე** — სამედიცინო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი: საკმაოდ დიდხანს ვავადმყოფობდი. მაწუხებდა ოფლიანობა, სისუსტე, გულმავიწყობა, უმადობა. მკურნალობამ შედეგი არ მომცა. ვერ ვხვდებოდი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში როგორ გამეგრძელებინა სწავლა. ერთმა ახლობელმა მირჩია, მესინჯა ბიჭიკო გაგნიძის წამალი. შედეგი მალევე ვიგრძენი.

დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი, აღარ ვოფლიანობ, სწავლასაც განვაგრძობ და დღეს სრულიად ჯანმრთელი მადლობას ვუძღვნი ბატონ ბიჭიკოს.

**თ. ჯანიაშვილი** — დიაბეტით დაავადებულს წლების განმავლობაში მაღალი წნევაც მაწუხებდა. ინვალიდივით სულ სახლში ვიყავი, რადგან გარეთ გასვლა მეშინოდა. შორს ვერსად მივდიოდი, წამლები სულ თან მქონდა, არ ვიცოდი, როდის რა დამჭირდებოდა.

გაგნიძის წამალს პირველად სკეპტიკურად შევხედე, მერე მაინც მძლია სურვილმა, ესეც მეცადა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღეს არც წნევის წამალს დავატარებ და არც დიაბეტი მაწუხებს, მხოლოდ გაგნიძის ნაკრებს ვიღებ. შედეგი სახეზეა. მადლობა მას ასეთი კარგი პრეპარატის შექმნისთვის.

**მ. გვიანიძე** — წელის არეში მძიმე ტკივილებმა წელში მომხარა. ვერ ვიშლებოდი, ვერც საჭმელს ვინელებდი. მუდმივად მაწუხებდა მუცლის ტკივილებიც. ასაკში შესვლასთან ერთად წნევაც მაღლა მიწევდა. თითქმის ყოველდღე 200-220 მქონდა. თავი უიმედო ავადმყოფად ჩავთვალე. გამოჯანმრთელების იმედი არც მე მქონდა და არც ჩემი ოჯახის წევრებს. ახლობელმა მირჩია, გაგნიძის წამალი მეცადა.

საოცრად კარგი შედეგი მივიღე. წნევა დამირეგულირდა, წელში გავიმართე და ტკივილებიც საერთოდ გამიქრა. ვგრძნობ, რომ ამ წამალმა თითქმის ყველა ორგანოს დაავადებაზე კარგად იმოქმედა.

ამიერიდან წელიწადში ერთხელ პროფილაქტიკის მიზნით აუცილებლად მივიღებ, რომ ეს მდგომარეობა შევინარჩუნო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბაღვაშნი, მზავნი და კავთელნი

## ალგეთის ხეობა

**ჩვენი სახელდახელო ექსპედიცია, რომელშიც სოზარ გულბანთან და ალექსანდრე მაისურაძესთან ერთად მანგლისელი ახალგაზრდებიც შედიან, კვლავ ლაკვის ხეობაში ტრიალებს... წინა დღეს დაწყებულ ზირბითის „მთავარმოწამის“ ეზოს გადაღებას ვაგრძელებთ. ამჯერად ძალიან საინტერესო ქვებს ვუკირკიტებთ. ლაკვისხევის ზირბითის შემოგარენში კიდევ სამი ნაეკლესიარია, რომელთაგან დღეს ბევრი აღარაფერია შემორჩენილი. იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდით ზირბითიდან აღმოსავლეთით მდებარე სოფელ საფუძრების ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ძებნისას.**





ზირბითის ეკლესიის ეზო



საფუძრების სტელა

ამავე სანახებში, ლაკვისწყლის მარცხენა მხარეს, ოღონდ სოფელ აძიკვის (დღევანდელი გოხნარი) თავზე, წალკისაკენ მიმავალი საავტომობილო გზის პირზე, კიდევ ერთი საინტერესო ეკლესია დგას. ექვთიმე თაყაიშვილი ასე განმარტავს ამ ადგილს: **„მანგლისიდან წალკისაკენ მიმავალ გზაზე ალგეთზე ჩამავალ გრძელ დაღმართს ასევე გრძელი აღმართი მოჰყვა до Березовой балки, სადაც დუქანი დგას. ამ ადგილს არყიანღელე მანგლისელმა მოახალშენე რუსებმა შეარქვეს, ძველი ქართული დასახელება კი გოხნარია“.** ის, თუ საიდან გამოიძია ეს სახელწოდება დიდმა მეცნიერმა, გაურკვეველია, რადგან ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე აქ მხოლოდ „აძიკვი“ აქვს მონიშნული. მაგრამ ჩვენ ძირითად თემას დავუბრუნდეთ. მაშ, ასე: მანგლის-წალკის გზის მე-15 კილომეტრზე, ტრასიდან ხელმარცხნივ, ზემო გოხნარის ნასახლარზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. მას შემორჩენილი აქვს შედარებით გვიანდელი სამხრეთ მინაშენის ფრაგმენტი და კამარის თაღების დამჭერი ჩრდილოეთის კრონშტეინები. ეს უკანასკნელი ტაძრის სამხრეთ კედელშია ჩართული და იმაზე მიგვანიშნებს, რომ მინაშენი მთელ სიგრძეზე გასდევდა ეკლესიას. დარბაზის შესასვლელის ღერძზე მინაშენი კარიბჭეს ქმნიდა. ეს თვალნათლივ ჩანს ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი ნაკვალევით, რომელსაც 16-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სანახევროდ დაუზიანებია. ექვთიმე თაყაიშვილმა ამ წარწერით გაიგო, რომ ტაძრის მშენებლობა დაწყებულა ერისთავთ-ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშის დროს და გასრულებულა მისი შვილების — ერისთავთ-ერისთავ რატის და იოანეს, ასევე, კათალიკოს გიორგის მოღვაწეობის ჟამს.

კლდეკარის ერისთავთ-ერისთავ ბაღვაშებში ცნობილია 5 ლიპარიტი და 4 რატი, მაგრამ ივანე ერთადერთია. ეს ის ივანეა, რომელიც 1047 წელს ბაგრატ IV-ის ტყვეობიდან დაიხსნა მამამისმა — ლიპარიტ IV-მ. თავად ლიპარიტ IV (ძე ლიპარიტ III-სა) 1022 წლიდან 1058 წლამდე ზეობდა, მერე კი ბაგრატ IV-თან დამარცხდა და ბიზანტიაში ბერად აღიკვეცა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ლიპარიტ IV-მ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან დახსნის (1054 წელი) შემდეგ, როცა მან, ბიზანტიელთა დახმარებით, მტკვრიდან სამხრეთით მთელი ქართლი მიიღო სამართავად.

წარწერაში ნახსენებია ასევე კათალიკოსი გიორგი, ამ სახელით კი XI საუკუნეში ცნობილია მხოლოდ გიორგი ტაოელი. იგი 50-60-იან წლებში მოღვაწეობდა (1065 წლამდე).

ამრიგად, გოხნარის ტაძარი აშენებულია 1022-1065 წლების ინტერვალში, რომელიც, თუ მეტ სითამამეს გამოვიჩენთ, შეიძლება ასე შევამციროთ: 1054-1060 წწ.

ზემო გოხნარის ეკლესია აღდგენილია, მაგრამ რესტავრატორებს, როგორც ჩანს, ძალიან გაუჭირდათ ძველი პერანგის ქვების მოძიება. ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, რომ მის პერიოდში ეს ქვები მანგლისში იყო ჩაზიდული იქაური რუსული პოლკის ეკლესიის ასაგებად. მათ შორის ყოფილა სარკმელთა თავსართის ჩუქურთმებიც, რომელთაც აღდგენილ ეკლესიაზე ვეღარ ვხვდებით. როგორც ცნობილია, რუსი ოფიცრები როგორც ახალი ეკლესიების, ისე ქართული მოსახლეობისაგან დაცლილი ძველი სოფლების ტაძრების აღდგენას ბერძენ კალატოზებს ანდობდნენ, რომლებიც გულგრილად ეკიდებოდნენ ქართულ ჩუქურთმებს. ამიტომ, როცა XX საუკუნის ბოლოს თავად ქართველებმა დავიწყეთ აქ ტაძართა აღდგენა, ძველი ქვების ერთიანად მოძიება შეუძლებელი შეიქნა.

იგივე შეიძლება ითქვას ფრესკებზეც: ზემო გოხნარის ეკლესიაში დღეს აბრისების გარკვევაც კი ჭირს.





ზემო გოხნარის ეკლესია

ლაკვის ხეობის შემდეგ პატარა და დიდი თონეთის სანახავად მივემგზავრებით, რომლებიც ალგეთის მარცხენა სანაპიროზეა.

ალგეთის ხეობის ზედა მონაკვეთი ნასოფლარ პატივნიდან, ანუ იმ ადგილიდან იწყება, სადაც ალგეთს ლაკვისწყალი უერთდება. ამ მონაკვეთს ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს: **„გარნა პატივანს ზეით კლდეკარ-დიდგორამდე არა არს ვენახი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი ალვსწერეთ მოსავლითა“.** და მართლაც, ალგეთის ხეობის ზედა წელში ვაზი კი ხარობს, მაგრამ ყურძენი არ მწითდება, ხეხილი კი ხარობს, მაგრამ სიტკბო არ ჰყოფნის.

სოფელი პატარა თონეთი ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზეა და დასავლეთიდან პატარა ხევი ჩამოუდის. სოფელსაც და ხევსაც ადრე დვალთა ერქვა. ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს დვალების ძველ ქართულ ტომს, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინათ ჭანჭახიდან თრუსოს ხეობამდე მოსახლეობდა კავკასიონზე, მერე კი ბარად ჩამოვიდა.

ისტორიულ საბუთებში სოფელი დვალთა პირველად 1523 წელს გამოჩნდა, როცა, ბარათაშვილთა დიდი ფუძე-ოჯახის გაყრის შედეგად, იგი ქავთარს ერგო. აქედან მოყოლებული 1780 წლამდე აქ მებატონეებად სულ ბარათაშვილები და მათი განაყარი გოსტაშაბიშვილები გვევლინებიან. მაგრამ სოფელი გაცილებით ადრინდელია, რასაც მისი ეკლესიებიც ცხადყოფენ. აქაური ტაძრები VIII-XIII საუკუნეთა მიჯნებშია აგებული.

პატარა თონეთიდან ჩრდილოეთით, დვალთის ხევგაღმა, სოფელი დიდი თონეთია, თუმცა ადრე მასაც სხვა სახელი ჰქონია. ეს დასახლება ადრე თბილის-მანგლისის ძველი გზის ნაპირზეა მოქცეული, საბუთებში კი პირველად 1635 წელს მოიხსენიება როგორც **„სთორნეთი“.** ვახუშტის რუკაზე **„სთვანეთია“** აღნიშნული. 1654 წლიდან აქ მებატონეებად დასახლებულან აფხაზი და მისი შთამომავლები. 1717 წელს სთვანეთში სამ ძმა სააკაძეს საგინაშვილების 2 კომლი უბოძეს თურმე. 1721 წლის აღწერით, 3 მებატონეს: ყელგრძელ სააკაძეს, აფხაზიშვილსა და მანგლელს 8 გამომღები და 1 ბოგანო ყმა ჰყოლია.

სოფელში 4 ეკლესიაა, მაგრამ ჩვენ მათ შორის უძველესები უფრო გვაინტერესებს. ამიტომ პატარა თონეთიდან მიმავალნი თავდაპირველად იმ საყდრის ნაშთებთან ვჩერდებით, რომელიც ძეგლთა აღწერილობაში „სიონად“ არის მოხსენიებული. როგორც ტაძრის მთავარ დარბაზს, ისე სამხრეთის მინაშენს საბურველი სრულიად მორღვეული აქვს, მაგრამ მაინც შთამბეჭდავია. ეს მეტადრე მინაშენზე ითქმის, რომელსაც დეკორატიული ყრუ თაღები ამკობს. მინაშენს ორი ასომთავრული წარწერა აქვს: ერთი — ფასადზე, შესასვლელიდან აღმოსავლეთით, ძირა ქვაზე, მეორე — ამავე შესასვლელის კრონშტეინზე, შიგნიდან. ექვთიმე თაყაიშვილმა ეს გალეული წარწერები მიახლოებით ასე წაიკითხა: 1) **„ქრისტე, შეიწყალე ცხოვრება, ცხვედისა ცოლი. ვინ შენდობა ბრძანოთ...“; 2) „წმიდაო ეკლესიაო, მტ...რალსა შემეწიე. ვინცა შეუცვალოს, იყოს კრული პირითა ღვთისა“.**

მთავარი, 10-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ძირითად დარბაზშია: **„სახელითა ღმრთისაითა და შეწევნითა წმიდისა კვირიკესითა ჩვენ მზავთა ალვაშენეთ წმიდაი ეკლესიაი, შევწირეთ დაწყებასა თითო დღის ყანაი, კურთხევასა დავუმტკიცეთ. ვინცა ვინ შეცვალოს კრულია ღვთისა პირითა“.** როგორც წარწერა გვეუბნება, ეს ტაძარი „სიონი“ კი არ არის, არამედ „წმ კვირიკეა“. ექვთიმე თაყაიშვილი ვარაუდობს, რომ წარწერაში მოხსენიებული მზავები ჩვენთვის ცნობილი ლაკვის ხევის სოფელ ზას მკვიდრნი უნდა იყვნენ. ღვაწლმოსილ მეცნიერს ამავე ეკლესიის სიახლოვეს კიდევ ერთი წარწერიანი ქვა უპოვნია და ფოტოც გადაუღია. ტექსტი ძალიან საინტერესოა: **„სახელითა ღმრთისაითა აზად და შეუვალნია ესე კავთის გლეხნი ნადირას ძენი სასოფლოსა სამსახურისაგან“.** როგორც გ. ოთხმეზური ამბობს, ეს წარწერიანი ქვა არის ერთგვარი იურიდიული სახის ძეგლი — ე.წ. „ხელი“, რომლის მსგავსს ჩვენ კიდევ შევხვდებით მოგზაურობაში. მაგრამ აქ სხვა რამ არის მთავარი: რა უნდოდათ თონეთში შიდა ქართლიდან გადმოსულ კავთელებს, რომელთაც თრიალეთის ქედი გადმოუჭრიათ, დიდგორი გამოუვლიათ და აქ მოსულან?

წმ. კვირიკეს სახელობის XI საუკუნის ეკლესიიდან ჩრდილოეთით ვაგრძელებთ გზას, სოფელს გავდივართ და მეორე, უმთავრესი ძეგლის ძებნაში, დიდი თონეთიდან ჩრდ. აღმოსავლეთით მიმალულ, მივიწყებულ სამანქანო გზაზე გავდივართ. სწორედ აქ დგას გარკვეულწილად აღდგენილი ადრეშუასაუკუნეების ტაძარი სამება. თუ ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ამჟამად სრულიად მიმქრალი წარწერის ექვ. თაყაიშვილის მიერ გაშიფრულ ვარიანტს დავიმოწმებთ, ეკლესია ადრე ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა ნაკურთხი: **„სახელითა ღმრთისაითა და შეწევნითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა... აღვაშენე ესე ეკლესიაი... და... შემდგომ... მღვდელსა... შეუნდვენ“.** ეს რომ ადრეც სამების ტაძარი ყოფილიყო, ქტიტორული წარწერა ასე არ დაიწყებოდა. თუმცა ერთი გარემოება მაინც ეჭვს ბადებს: ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის სამმაგი წარბის ზევით, სამი ჯვარია გამოკვეთილი სიმბოლურად... 1913 წელს ტაძარი აღუდგენია და უკვე დანამდვილებით სამების სახელობაზე უკურთხებია მღვდელ იოანე კახაიას. ამის დამადასტურებელი მხედრული წარწერა ეკლესიაში შესასვლელიდან აღმოსავლეთით კირით შეღებილ ქვაზეა ამოკვეთილი.

დარბაზულ ტაძარს ოდესღაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები ჰქონია. მათგან მხოლოდ სამხრეთის მინაშენის ფრაგმენტი და მისი კამარის დამჭერი თაღების კრონშტეინებია შემორჩენილი. მათ რაღაც უცნაური გეომეტრიული პროფილი აქვს. ფასადებზე, ასევე, შემორჩენილია რამდენიმე ძველი, ასომთავრული წარწერა, რომლებშიც ვკითხულობთ სახელებს: **ნიკოლოზ, მიქაელ, ივანე, კონსტანტინე** (თუ კვირიკე), **ბერი ანტონ მამლობელი**...

გადაღებას ვასრულებთ. ბინდდება და მანგლისისაკენ ვბრუნდებით.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**



დიდი თონეთის „წმ.კვირიკე“



დიდი თონეთის სამება

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველო საერთაშორისო არენაზე 1918–1921 წლებში

**1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა და კაიზერულმა გერმანიამ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის პირობები უმძიმესი იყო რუსეთისათვის. რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ბელორუსიისა და ლიტვის ნაწილი. საბჭოთა მთავრობა გერმანიას უხდიდა დიდ კონტრიბუციას.**
**ზავის IV მუხლის ძალით, ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაღანის, ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ.**

თბილისში უკვე 2 მარტს კარახანის დეპეშის შედეგად შეიტყვეს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ. იმავე დღეს სეიმისა და მთავრობის სახელით კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს და ყველა ქვეყანას აცნობეს, რომ არ ცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

**ტრაპიზონში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია 1914 წლის, ე.ი. ომამდელი, საზღვრების მთლიანად შენარჩუნებას ცდილობდა, შემდეგ ის ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილის დათმობაზე წავიდა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ. მათ დაიკავეს ყარსი, არდაღანი, ოზურგეთი, ახალციხე, ბათუმი. ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა.**

ფრონტზე წარუმატებლობამ აიძულა ამიერკავკასიის მთავრობა, დათმობაზე წასულიყო. მან აღიარა ბრესტის საზავო ხელშეკრულება. მიიღეს გადაწყვეტილება — განეახლებინათ მოლაპარაკებანი, მაგრამ თურქეთის მმართველმა წრეებმა ახლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარირებული აღიარებაც მოითხოვეს. თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ, სუსტ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა.

1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების თაობაზე, თურქეთმა კი გააგრძელა შეტევა. ნ. ჟორდანია თავის მემუარებში აღნიშნავს: **„შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიჭირა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი, გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, ტფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ, ამისათვის მიემატებინათ ტფილისიც“.**

თურქეთის ექსპანსიამ ამიერკავკასიაში შეაშფოთა ანტანტის ქვეყნები. ამერიკის კონსული თბილისში სმიტი 10-12 მარტის დეპეშებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებდა ამიერკავკასიაში უკიდურესად კრიტიკული ვითარების შესახებ, რაც შეიქმნა თურქეთის აგრესიის შედეგად და დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიისათვის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის საფრანგეთში აშშ-ის ელჩ შარფისადმი 1918 წლის 18 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო: **„სიტუაცია კავკასიაში უკიდურესად კრიტიკულია: თურქები უტევენ, სომხებს ემუქრება სრული განადგურება, თუმცა შესაბამისი ხელმძღვანელობით და ფინანსური დახმარებით უკანასკნელთ შესწევთ, უზრუნველყონ დიდი სამხედრო ძალა. ბრიტანეთის წარმომადგენლობამ უნდა მიიღოს უფრო საფუძვლიანი ზომები, თუ სურთ გადაარჩინონ მდგომარეობა.**

**თბილისის კონსული იტყობინება, რომ გერმანია ახორციელებს თავის გეგმას ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის გამოყენებით. თათრები და ადგილობრივ მოსახლეობად შენიღბული თურქები, რომელთაც თურქეთის მუსლიმანური ლიდერები ამარაგებდნენ ბევრი ფულით, აწარმოებენ გამალებულ საქმიანობას, წარმოქმნიან უწესრიგობას, შეტაკებებს თერგის კაზაკებსა და მუსლიმანურ ტომებს შორის. შეიარაღებული მუსლიმანები თავს ესხმიან სომხურ სოფლებს და სამხედრო ქვედანაყოფებს. სიტუაცია უარესდება მოკავშირეთა ჩაურევლობით. კავკასიის ნაწილზე თურქეთის მოთხოვნამ აიძულა ქართველები, შეეთავაზებინათ სომხეთთან კავშირი. ფრონტის დაცვა მთლიანად დამოკიდებულია სომხებზე, ვინაიდან მათი ძალები ამჟამად შეადგენს 15000 კაცს თურქეთის ქვეშევრდომთაგან და 2500-ს რუსეთის ქვეშევრდომთაგან. გარკვეული დახმარებით ქართველები შეძლებენ 30000 კაცის შეიარაღებას. პრემიერ-მინისტრი ითხოვს დახმარებას და ამტკიცებს, რომ ქართულ-სომხური არმია შეაკავებს თურქებს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის სასწრაფო ფინანსური და სამხედრო დახმარების იმედის გარეშე თურქები შეძლებენ კავკასიის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპირებას. თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო ზომები, მაშინ 2 თვის განმავლობაში მოხდება ასეთი ოკუპაცია და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა აუცილებლად მოსალოდნელია. გთხოვთ, ყველაფერი ეს გადასცეთ მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს...“**

მოკავშირეთა სამხედრო საბჭოში აშშ-ის წარმომადგენელმა გენერალმა ბლისმა მოსთხოვა ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამიერკავკასიის მოვლენებზე. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია:

**„1 დეკემბრის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ რუსეთის არმიებს აღარ ძალუძთ სომხეთის დაცვის უზრუნველყოფა კავკასიაში და 18 დეკემბერს მთელ კავკასიაში გამოცხადდა დროებითი დაზავება, შემდგომში ზავის დადების ანგარიშით. ამასთან, 14 დეკემბრის წინა დღით სამხედრო კაბინეტის თათბირის შედეგად, ბრიტანეთის წარმომადგენელმა კავკასიაში მიიღო მითითება, ნება დაერთო, სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებს, შეესყიდათ რუსეთისაგან იმდენი იარაღი, რამდენის გამოყენებასაც ისინი შეძლებენ. ასევე, შეპირდებოდა ისეთ ფინანსურ დახმარებას, როგორიც მათ მანეთებში დასჭირდებოდათ“; 2. იმის გამო, რომ წარმატების ერთადერთი იმედი მდგომარეობს სხვადასხვა ეროვნებათა — სომხების, ქართველების, თათრების — ერთ პოზიციად გაერთიანებაში, თურქეთის საწინააღმდეგოდ ყველა ღონისძიება იქნა მიღებული ამ გეგმის განსახორციელებლად, ეროვნული საბჭოების და ეროვნული ლიდერების მეშვეობით. ბაქოს თათრები აშკარად არიან განწყობილნი პროთურქულად. 11 მარტს დაეცა ერზრუმი, 13 აპრილს — ბათუმი. მშვიდობიანი მოლაპარაკება ტრაპიზონში შეწყვიტა ამიერკავკასიის მთავრობამ წინააღმდეგ საქართველოს სურვილისა, დასასრული ახლა გარდუვალია“.**

რუსეთის რევოლუციის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა გაუმჯობესდა ჯერ რუსეთის ევროპულ ნაწილში, შემდეგ ამიერკავკასიაში. იგი თავის მოკავშირეს თურქეთს ეხმარებოდა არა მარტო დაკარგული ტრაპიზონის, ერზრუმის, ვანის ოლქების ხელახლა ოკუპაციაში, არამედ ბრესტ-ლიტოვსკში დაეხმარა რუსული ტერიტორიების — ბათუმის, ყარსის და არდაღანის გადაცემაში. გერმანელები და თურქები განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ამ ოლქებში, დაიპყრეს სხვებიც და ირანის ტერიტორიაზეც კი შევიდნენ. ისლამური სამყაროს და ცენტრალურ სამფლობელოთა თვალში გერმანულ-თურქული ძალების წინსვლა ნიშნავდა მორალურ გამარჯვებას, რითაც დამპყრობლებს ენიჭებოდათ სტრატეგიული და მატერიალური უპირატესობები. ეს შეტევები ემუქრება ამ ქვეყნებში თვით ქრისტიანობის არსებობას, მათ არსებობას, ვისაც გერმანელ-თურქი დამპყრობლები თვლიან თავიანთი ამბიციებისა და აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებათა ხელისშემშლელად და, ასევე, ანტანტის ქვეყნებისათვის სერიოზულ სიძნელეებს შექმნიან.

**1918 წლის 11 მაისს განახლებულ მოლაპარაკებებზე (ბათუმში გერმანია მონაწილეობდა შუამავლის სახით) თურქეთმა, სამხედრო მიღწევებით ფრთაშესხმულმა, წამოაყენა უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ამიერკავკასიას უნდა დაეთმო ერევნის გუბერნიის ორი მესამედი, თბილისის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა.**

**ამიერკავკასიისადმი დამოკიდებულების საკითხში თურქეთის წარმომადგენლობით წრეებში აღინიშნებოდა სამი მიმართულება:**

**პირველი** — ვაჰიბ-ფაშას თაოსნობით თვლიდა, რომ მოლაპარაკებების დროს უნდა იყოს დაცული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები;

**მეორე** — თალათ-ბეის მეთაურობით თვლიდა აუცილებლად, რომ ამიერკავკასიისათვის ჩამოერთვათ სხვა ტერიტორიებიც;

**მესამე** — ენვერ-ფაშას თაოსნობით მოითხოვდა თურქეთისადმი მთელი ამიერკავკასიის მიერთებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი ა. ჩხენკელის მიერ მიწერილ წერილში ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ ნათქვამი იყო, რომ თურქები მიისწრაფვიან აზერბაიჯანის სრული ანექსიისაკენ და აპირებენ, ხანად დასვან ენვერ-ფაშას ძმა — ნური-ფაშა.

**„ყველგან ამიერკავკასიაში თურქებს ჰყავთ თავისი აგენტები, რომლებიც ეწეოდნენ პროპაგანდას მუსლიმურ მოსახლეობაში და ამ მხარის ყოველი მხრიდან, პატარა ქალაქებიდანაც კი, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ბათუმისაკენ იგზავნებოდა სწორედ ამ აგენტების მიერ ინსპირირებული თხოვნები მფარველობის შესახებ“.**

***ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა თხოვნა მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ. ამის საპასუხოდ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ წარმოადგინა სტატისტიკური ცნობები, რომლის თანახმადაც ახალქალაქის მაზრის 100-ათასიანი მოსახლეობიდან მუსლიმები მხოლოდ 26 ათასს შეადგენდნენ.***

ამასთან დაკავშირებით, ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა: **„თურქებმა გადაწყვიტეს, გაგზავნონ ჯარები სოხუმის ასაღებად და დაიწყეს შესაბამისი მზადება. მაგრამ მალევე იქნა მიღებული ცნობა, ჩვენ მიერ სოხუმის აღებისა და კომუნისტების განდევნის შესახებ. ეს ცნობა მეხივით გავარდა, ვინაიდან მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ისინი არ მოელოდნენ და იძულებული იყვნენ, ხელი აეღოთ თავის ჩანაფიქრზე“.**

ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებამ გააშიშვლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს — მენშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს — შორის არსებული უთანხმოების სიღრმე.

მუსავატელები აშკარად მიილტვოდნენ თურქეთისაკენ და არ იქნებოდნენ წინააღმდეგი მისი პროტექტორატისა. ასეთ რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება და მფარველობა ეთხოვა გერმანიისათვის. 14 მაისს შესაბამისი თხოვნა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, სადაც ნათქვამი იყო:

**„1. საქართველოს ეროვნული საბჭო გამოხატავს სურვილს და თხოვნას, რომ გერმანიამ ხელი შეუწყოს საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო გადაწყვეტას;**

**2. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ თავისი გზა ჩრდილო კავკასიისაკენ და იმდენად მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტების დამყარება და საქართველოს დაცვის უზრუნველყოფა გარეშე საშიშროებისაგან;**

**3. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, ამის გაკეთებამდე დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ჯარები შინაგანი წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“.**

თურქები ცდილობდნენ, ახალი ულტიმატუმის წარდგენამდე დაეკავებინათ მხარის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი და ყველა დაეყენებინათ მომხდარი ფაქტის წინაშე. მათი მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა ოფიციალური ულტიმატუმის წარდგენის გარეშე. მათ, ფაქტობრივად, განახორციელეს იგი. თურქეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით გენერალი **ფონ ლოსოვი ურჩევდა საქართველოს წარმომადგენლებს, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ეთხოვათ გერმანიისათვის მფარველობა. ფონ ლოსოვის სიტყვებით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენდა საქართველოს თურქეთის შემოსევისა და დაღუპვისაგან“.**

საქართველო დარჩა გერმანიის გავლენის სფეროში. ამრიგად, გერმანია საქართველოს მოწვევის გარეშე აპირებდა ამიერკავკასიაში განმტკიცებას, მაგრამ საქართველოს ოფიციალური მიმართვა დახმარებისათვის მას აძლევდა საშუალებას, **მოსულიყო არა „ოკუპანტის“, არამედ მფარველის სახელით და საქმე ჰქონოდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანასთან. შემთხვევით არ იყო, რომ გერმანიის სარდლობა სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, რადგან, როგორც იგონებს ფელდმარშალი ლუდენდორფი, ამან თურქეთისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელი გახადა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება. „ამიტომ მე ვშუამდგომლობდი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის“.**




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «New Jersey Nets» რუსმა ოლიგარქმა იყიდა

**რუსმა ოლიგარქმა მიხეილ პროხოროვმა ამერიკის საკალათბურთო გუნდი „New Jersey Nets“ იყიდა და ამ ფაქტს აშშ-ში ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ „The New York Times“-ში სპორტული მიმოხილვის პირველი ადგილი დაიმსახურა. „ქალაქს ახალი შერიფი ჰყავს, — წერს გაზეთი, — ეს რუსი ოლიგარქია, რომელიც ფინალურ სასტვენთან გამოცხადდა, რათა Nets-ის ბრუკლინური ოცნებები იხსნას“.**



ორასი მილიონი დოლარის საფასურად საკალათბურთო ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, თვალი დახუჭა იმ ფაქტზე, რომ პროხოროვი „გაშმაგებით გამდიდრდა მღვრიე პოსტსაბჭოთა ეკონომიკაზე, „ნიკელის მეფედაა“ წოდებული და ათასი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ NBA–ს კომისრის დევიდ სტერნის საშინელებათა სიაში მარკ კიუბანა უკან ჩამოიტოვოს“, — წერს გაზეთი. შეგახსენებთ, რომ საკალათბურთო გუნდ „Dallas Mavericks“-ის მფლობელი, რუსული წარმოშობის ამერიკელი მილიონერი მარკ კიუბანა სკანდალური საქციელითა და NBA–ს უხეში კრიტიკითაა განთქმული. ცნობილი გახდა, რომ ნიუჯერსის კონგრესმენმა ბილ პესკრელ უმცროსმა სტერნს წერილით მიმართა, რომელშიც ადრესატს დევიდის ნაცვლად შეცდომით დანიელი უწოდა და რომელშიც მას მოუწოდებდა, თავის ახალ მეგობარ-ოლიგარქზე საჭიროებისამებრ ცნობები შეეგროვებინა.



# მსოფლიო ბირთვული იარაღისგან თავისუფლდება

**ყოველ შემთხვევაში, მან ამის რეალური შესაძლებლობა ნამდვილად მიიღო. ასე აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა სტრატეგიული არსენალის შემცირების შესახებ რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების გეგმების შეფასებისას და ატომური ბომბის გაძევების წლის დაწყებისაკენ მოუწოდა მსოფლიოს. მისივე თქმით, კლიმატის ცვალებადობისადმი მიძღვნილ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ბირთვული იარაღისგან მსოფლიოს გათავისუფლების ამოცანა მეორე რიგის პრიორიტეტი იყო.**



„ეს წელი მსოფლიოს ბირთვული იარაღისაგან გასათავისუფლებლად ერების გაერთიანების წელი იქნება. რუსეთის ფედერაციამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავზე აიღეს ბირთვული არსენალის შემცირების ვალდებულება. მომავალი წლის მაისში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების ქმედებების განხილვისას გაეროს კონფერენციაზე მოგვეცემა შესაძლებლობა, რეალურ პროგრესს მივაღწიოთ“.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ივლისში დიმიტრი მედვედევმა და ბარაკ ობამამ მოსკოვში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც დაადასტურეს საკუთარი განზრახვა, მნიშვნელოვნად შეამცირონ თავიანთი ქვეყნების სტრატეგიული არსენალი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბირთვული ჭურვების რაოდენობა 1500-1675-მდე შემცირდება, მათი მზიდებისა კი — 500-1100-მდე. კონკრეტული ციფრები კიდევ დაზუსტდება სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შესახებ ახალ შეთანხმებაზე მუშაობის პროცესში.

23 სექტემბრის ზემოთ აღნიშნული გამოსვლისას პან გი მუნმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ უახლოეს მომავალში ბირთვული განიარაღების მოლაპარაკებებმა შესაძლოა, ახალი სტარტი აიღოს. „თუ ახლა თავდაჯერებულად ვიმოქმედებთ, შევძლებთ, მივაღწიოთ იმ მოლაპარაკების ძალაში შესვლას, რომელიც რატიფიკაციის სათანადო პროცედურების გავლის შემდგომ ბირთვულ იარაღს საყოველთაოდ აკრძალავს. მოდი შევთანხმდეთ და ეს წელი ბირთვული ბომბის გაძევების წლად ვაქციოთ!“ — მიმართა მსოფლიო ლიდერებს საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

მეორე დღეს გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთხმად მოიწონეს ბირთვული განიარაღებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ აშშ დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუცია. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყნისადმი, რომ სრულად შეასრულონ ამ შეთანხმების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები. რეზოლუცია ქვეყნებს იმისკენაც მოუწოდებს, რომ 2010 წლისათვის დაგეგმილი ბირთვული გაუვრცელებლობის მიმოხილვით კონფერენციას მიეცეს საშუალება, დასახოს მიღწევადი მიზნები სამი ძირითადი მიმართულებით: გაუვრცელებლობა, განიარაღება და ატომური ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი გამოყენება.

სხდომაზე გამოსვლისას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ მსოფლიოში გაუვრცელებლობის მხრივ სიტუაცია სასურველზე ნელა იცვლება. „ძველი ტრადიციული საფრთხეები მოუშორებელი რჩება, ახალი საფრთხეები კი ჩნდება“, — განაცხადა მან და ერთ-ერთ ყველაზე დიდ საშიშროებად ბირთვული კომპონენტების ტერორისტთა ხელში მოხვედრა დაასახელა. მედვედევმა უსაფრთხოებას „განუყოფელი მცნება“ უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა იმ „მასშტაბური მუშაობის პროლოგი იქნება, რომელმაც რადიკალურად უნდა გააუმჯობესოს მსოფლიოში სიტუაცია“.

საკუთარი ქვეყნების პოზიციათა გამოხატვისას ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ აღნიშნეს, რომ ირანთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოებამ გარკვეული ზომები უნდა მიიღოს. „ირანს არ უნდა მიეცეს უფლება, ხელი შეუშალოს საერთაშორისო საზოგადოებას გაცილებით მშვიდობიანი ეპოქისაკენ წინსვლაში“, — ხაზი გაუსვა გორდონ ბრაუნმა და სამიტის მონაწილეებს შესთავაზა, განიხილონ თეირანის წინააღმდეგ „გაცილებით დაუნდობელი სანქციების“ დაწესების შესაძლებლობა.

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების გარდა, სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი მუჰამედ ალ-ბარადეი.

# აზიურ ქვეყნებს ერთიანი ვალუტა ექნებათ



**ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ მანდელი თვლის, რომ აზიური ქვეყნები შესაძლოა, ერთიანმა ვალუტამ გააერთიანოს. მისი აზრით, ეს გამაერთიანებელი ქვეყანას 2015 წლისათვის მოევლინება. „ერთიანი ევროპული ვალუტის სულიერმა მამამ“ ეს მოლოდინი იმით ახსნა, რომ მსოფლიო აშკარად მიილტვის „უფრო მსხვილი სავალუტო რაიონების“ შექმნისაკენ.**

კითხვაზე, კონკრეტულად რომელ ვალუტას ხედავს ის მომავალში ყველა აზიური ქვეყნის ფინანსური გამაერთიანებლის ამპლუაში, მანდელმა უპასუხა, რომ იუანის ამ ჭრილში განხილვა ჯერ ძალიან ადრეა. „მირჩევნია, კონსერვატიული ვიყო... ამის ზედმეტად მიზანმიმართულად განხორციელება არაა საჭირო“, — განაცხადა ექსპერტმა. მისივე თქმით, ამ საქმეში მთავარი დანაკარგების მოგებასთან თანაფარდობაა.

ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ მრავალი სპეციალისტი თვლის, რომ იუანს შეუძლია, მსოფლიოს ახალი სარეზერვო ვალუტის როლზე განაცხადოს პრეტენზია, მაგრამ ჩინეთის ხელისუფლება თვლის, რომ ამისათვის აუცილებელი პირობები ჯერ კიდევ არაა შექმნილი. მათი აზრით, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ეროვნული ვალუტა არაკონვერტირებადია. მაგრამ ჩინეთი უკვე შეუთანხმდა რამდენიმე ქვეყანას, რომ ურთიერთანგარიშსწორება იუანით განხორციელდეს.



შეგახსენებთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იუანის დოლარზე მკაცრად დამოკიდებულებას 2005 წლის ზაფხულში გაუმკლავდა და ამის შემდგომ უმალ დაწესდა სახელმწიფო ვალუტის „შეზღუდულად მცურავი“ კურსი. გასული ოთხი წლის განმავლობაში იუანის ფასი დოლართან მიმართებაში დაახლოებით 20%-ით დაეცა, გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, აშშ, არაერთხელ ადანაშაულებდა ჩინეთს კურსით მანიპულირების გამო. თავად ჩინეთი ამ ბრალდებებს უარყოფს და იუანის სავალუტო კურსის ფორმირების მექანიზმის დახვეწისაკენ სწრაფვაზე საუბრობს.

# ჩავესი ობამას «ბოროტების ღერძთან» ეპატიჟება

**ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიაზე გამოსვლისას აღიარა, რომ აღარ გრძნობს გოგირდის სუნს, რომელიც ჯორჯ ბუშის გამოსვლებს ახლდა ხოლმე. „რაღაც კარგის, საიმედოს სუნი მცემს“, — განაცხადა მან ტრიბუნაზე ასვლისთანავე და კიდევ ერთხელ მოუწოდა აშშ პრეზიდენტს, თავის ქვეყანაში სოციალიზმი ააშენოს, ვინაიდან კაპიტალიზმი „კაცობრიობის გადაშენებისაკენ მიმავალი გზაა“. ბოლოს კი ობამასადმი მიმართვა იმით დაასრულა, რომ ამერიკელ ლიდერს „ბოროტების ღერძთან“ შეერთება შესთავაზა.**



რეგლამენტით გათვალისწინებული 15 წუთის ნაცვლად ჩავესის გამოსვლა ერთ საათს გაგრძელდა და მსოფლიო არენაზე მიმდინარე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს, მათ შორის, ჰონდურასის სამხედრო გადატრიალებას, კუბის მიმართ ვაშინგტონის ეკონომიკურ სანქციებს, ბირთვული იარაღის სფეროში აშშ პოლიტიკას და კოლუმბიაში შვიდი სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ პენტაგონის გეგმებსაც შეეხო. ამ უსაშველოდ გაწელილი გამოსვლის დასასრულ კი ვენესუელის პრეზიდენტმა დარბაზს სთხოვა, ფეხსაცმელს ნუ მესვრითო. გამომსვლელთა შორის ყველაზე სიტყვაუხვი ლიბიელი ლიდერი მუამარ კადაფი აღმოჩნდა, მისი გამოსვლა საათნახევარს გაგრძელდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ალ-ქაიდა» ობამას «კრახს» უწინასწარმეტყველებს





**საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ ინტერნეტის საშუალებით მორიგი ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელზეც მისი ერთ-ერთი ლიდერი აიმან აზ-ზავაჰირი აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამას „კრახს“ უწინასწარმეტყველებს.**

შეგახსენებთ, რომ აიმან აზ-ზავაჰირი ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად ძებნილი ტერორისტია და მისი, ისევე, როგორც თავად უსამა ბინ ლადენის, მპოვნელისათვის ჯილდოდ 25 მილიონი დოლარია დაწესებული.

ვიდეორგოლი, რომელსაც „დასავლეთი და ბნელი გვირაბი“ ჰქვია და საათნახევარზე მეტ ხანს გრძელდება, გასული წლის მოვლენებს ასახავს. მათ შორისაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი და აშშ ახალი პრეზიდენტის არჩევნებიც. ისლამურ საიტებზე განთავსებულ ამავე რგოლში „ალ-ქაიდას“ რამდენიმე ლიდერთან ინტერვიუცაა. აღნიშნული ვიდეო ნიუ იორკის ტყუპზე განხორციელებული ტერაქტის წლისთავს მიეძღვნა, ზუსტად ისევე, როგორც წინა წლებში ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად „ალ-ქაიდაში“ მეორე კაცმა აზ-ზავაჰირმა ფინალურ ნაწილში დაასკვნა, რომ „აშშ პრეზიდენტის — ობამას კრახი მუსლიმანური სამყაროს ხელთაა“. „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლებმა მთელ მსოფლიოში ისლამისტური მოძრაობის მოღვაწეობის პროგრესიც აღნიშნეს.

აქამდე აზ-ზავაჰირი სკეპტიკურად აფასებდა ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობების დარეგულირების მიმართულებით ობამას მოღვაწეობას და მას „თეთრების დუდუკზე მოხტუნავე შინაურ ზანგს“ უწოდებდა.

თავად უსამა ბინ ლადენმაც მიმართა ამერიკელ ხალხს 14 სექტემბერს. გამოსვლას ზუსტად ასეც ერქვა „მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი“. „ალ-ქაიდას“ ლიდერმა 11 წუთი ილაპარაკა და შეახსენა ამერიკელებს, რომ მათ ხელისუფლებას მჭიდრო კავშირი აქვს ისრაელთან. მისივე განცხადებით, პრეზიდენტ ობამას არ შეუძლია, ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ომები დაასრულოს.

მანამდე ბინ ლადენმა დასავლეთისადმი წინა მიმართვებში აშშ პრეზიდენტის ისლამურ სამყაროსთან დამეგობრების მცდელობებს დასცინა და ბრძანა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტი ათწლეულობით გაიჭიმება.

# სამხრეთ კორეა ჩრდილოეთ კორეას დიდ გარიგებას სთავაზობს

**„გარიგების პირობა ასეთია: სამხრეთი ჩრდილოეთს ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს, ჩრდილოეთი კი ბირთვულ პროგრამაზე იტყვის უარს. ეს შესაძლოა, დახმარების უკანასკნელი შანსი იყოს გალატაკებული ჩრდილოეთ კორეისათვის“, — ხაზგასმით აღნიშნა სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მენ ბაკმა.**

ეს ნაბიჯი იმის მანიშნებელია, რომ დამთავრდა ძველებური მიდგომა, რომლის დროსაც ჩრდილოეთი პროგრესისათვის ჯილდოვდებოდა. ახლა მის მიმართ სანქციები მანამდე იმოქმედებს, ვიდრე საბოლოო შეთანხმება არ იქნება მიღწეული. ახლა „დიდი გარიგების“ სტრატეგია გულისხმობს, რომ ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლების შემთხვევაშიც კი ფხენიანი ყველა ნაბიჯისათვის საჩუქარს ველარ მიიღებს.

ექსპერტები თვლიან, რომ ჩრდილოეთ კორეა არაფერს დათმობს, ვიდრე ამერიკასთან ორმხრივ მოლაპარაკებებს არ მიაღწევს. სეულში ამ საკითხისადმი ძალზე ფრთხილი დამოკიდებულებაა. სამხრეთ კორეა შიშობს, რომ, ამგვარი მოლაპარაკებების შემთხვევაში, მარგინალურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მაგრამ აშშ-მ სეული უკვე დაარწმუნა, რომ მისი ერთადერთი მიზანია, ფხენიანი მოლაპარაკების მაგიდასთან დააბრუნოს.

ლი მენ ბაკმაც, მას შემდეგ, რაც აშშ-მ ორმხრივ მოლაპარაკებებზე თანხმობა განაცხადა, „დიდი გარიგების“ საქმე წამოიწყო. მისი აზრით, დაუშვებელია, რომ მსოფლიო მომავალშიც დათანხმდეს ჩრდილოკორეულ „სალიამის სტრატეგიას“, როდესაც რეჟიმი დათმობებს „წვრილი ნაჭრების“ სახით და დიდი საჩუქრების სანაცვლოდ იძლევა, თავის ბირთვულ პროგრამას კი ხელუხლებლად იტოვებს.

# ირანმა ახლო სიშორის ორი რაკეტა გამოცადა

**გასულ კვირას დაწყებული სწავლებების ფარგლებში ირანელმა სამხედროებმა ახლო სიშორის ორი რაკეტა — „ფატეხ 110“ და „ტონდარ 69“ და ზალპური ცეცხლის სისტემა გამოცადეს.**



გამოცდილი რაკეტების მოქმედების მანძილი არ კონკრეტდება, მაგრამ ზოგიერთი წყაროს ცნობით, 199 კილომეტრზე მოქმედი მყარსაწვავიანი რაკეტა „ფატეხი“ ირანს საბრძოლო არსენალში უკვე რამდენიმე წელია, აქვს.

ამის შემდეგ საშუალო სიშორის რაკეტების გამოცდის რიგი დგება, „შახაბ-1“ და „შახაბ-2“ ამავე სწავლების ფარგლებში გამოიცდება. ირანი ფლობს „შახაბ-3“ რაკეტებსაც, რომელთა მოქმედების მანძილი ორი ათას კილომეტრამდეა და ისრაელის ტერიტორიამდე მიღწევა შეუძლიათ. ისლამური რევოლუციის მცველების კორპუსის სწავლებები რამდენიმე დღის განმავლობაში ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ გამძაფრებული სიტუაციის ფონზე მიმდინარეობდა. შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მკაცრად განსაჯეს ირანი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენების გარეშე ურანის გამდიდრების მეორე ქარხნის მშენებლობისთვის. ამ ქვეყნების ლიდერთა თქმით, თუ თეირანი ბირთვული პროგრამის შესახებ მთელ ინფორმაციას არ გაამჟღავნებს, მას ახალი სანქციები ელის. აშშ და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები ირანს მშვიდობიანი ატომის პროგრამის საფარქვეშ ბირთვული იარაღის დამზადებაში სდებენ ბრალს. თეირანი ყველა ბრალდებას უარყოფს და ირწმუნება, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენაა მიმართული.

# რუსეთმა პოლონეთს მკაცრი პასუხი გასცა



**რუსეთის სახელმწიფო დუმამ პოლონეთის სეიმის მიერ „1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთზე აგრესიასთან დაკავშირებით“ მიღებული რეზოლუცია გააკიცხა. დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა პოლონეთის პარლამენტს შესაბამისი წერილი გაუგზავნა.**

გაგზავნამდე წერილის ტექსტს მთელი კომიტეტი გაეცნო და უმეტესობამ მხარი დაუჭირა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ანდრეი კლიმოვის განცხადებით, წერილი შეიცავს „მკაცრ ფორმულირებებს“, მაგრამ, მისივე თქმით, სიმკაცრე პოლიტიკურ ისტერიაში არ უნდა იჩეოდეს.

ვიდრე შესაბამის კომიტეტს ამ საპასუხო წერილის მომზადებას დაავალებდა, სახელმწიფო დუმის პირველმა ვიცე-სპიკერმა ოლეგ მოროზოვმა განაცხადა, რომ პოლონური რეზოლუცია „იმ პოლონელების ძვლებზე ცეკვაა, რომლებმაც მილიონობით რუსთან, უკრაინელთან, ბელორუსთან, ებრაელთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირეს სიცოცხლე. მანვე აღნიშნულ დოკუმენტს „პოლიტიკური კონიუნქტურის მაამებელი ისტორიული სიცრუე“ უწოდა. დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლეონიდ სლუცკიმ კი დაამატა, რომ პოლონეთი მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაციის გზას დაადგა. რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება თვლის, რომ სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციას ამ დელიკატური თემის ტენდენციურობისა და პოლიტიზების სახე აქვს, რაც ზიანს აყენებს რუსეთ-პოლონეთის ორმხრივ ურთიერთობებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას უკრაინის სეიმის მიერ მიღებულ დოკუმენტში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთისადმი განხორციელებულ ქმედებებს პირველად ეწოდა „გენოციდი“. დოკუმენტის ტექსტში ნათქვამია, რომ 1940 წელს კატინში პოლონელი ოფიცრების დახვრეტა „სამხედრო დანაშაულია“, რომელიც „გენოციდის ნიშნებს“ შეიცავს. იმავე დოკუმენტში სეიმმა მკაცრად განსაჯა დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში წითელი არმიის „შეჭრა“ და ამ მოვლენას „აგრესია და პოლონეთის მეოთხედ გაყოფა“ უწოდა.

როგორც ცნობილია, 1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა ჯარი შევიდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებზე, რომლებიც პოლონეთს 1919-1921 წლების საბჭოთა-პოლონური ომის შემდგომ დარჩა და რომელთაც პოლონეთი საკუთარ ტერიტორიებად მოიაზრებდა.

საბჭოთა ჯარის შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე პოლონეთის ხელისუფლება ვარშავაში უკვე აღარ იმყოფებოდა, 17 სექტემბერს კი რუმინეთში გადავიდა, საიდანაც ლონდონს შეაფარა თავი. ომისშემდგომმა პოლონურმა ხელისუფლებამ, სსრ კავშირთან შეთანხმებით, 1945 წელს დაამტკიცა ომისშემდგომი სახელმწიფო საზღვრები.

# ამერიკულმა თემიდამ პოლანსკი 30 წლის შემდეგ დააპატიმრა



**ციურიხის კინოფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ კინორეჟისორი რომან პოლანსკი აშშ მიერ 1978 წელს გაცემული ორდერის საფუძველზე დააპატიმრეს. რეჟისორული მოღვაწეობისათვის ჯილდოს მისაღებად შვეიცარიაში ჩასულ პოლანსკის 31 წლის წინანდელი ცოდვა მოჰკითხეს — მაშინ ის 13 წლის ფოტომოდელთან სიახლოვისთვის აშშ-დან სწორედ სასამართლოს გაექცა. რეჟისორმა თავი დამნაშავედ ცნო არასრულწლოვანთან ურთიერთობის გამო და ამის შემდეგ მას პროკურატურის სხვა ხუთი ბრალდება, მათ შორის, გაუპატიურებაც, მოუხსნეს.**

აშშ-დან პოლანსკის მოულოდნელად გაუჩინარების შემდეგ მოსამართლემ მისი დაპატიმრების ორდერს მოაწერა ხელი, რომელიც დღემდე ძალაშია. სწორედ ამიტომ ვერ ჩადიოდა 76 წლის რეჟისორი აშშ-ში და ექსტრადიციის შიშით ბრიტანეთში ვიზიტებსაც ერიდებოდა.

1997 წელს პოლანსკიმ დაზარალებული გოგონას ოჯახთან შეთანხმებას მიაღწია და კომპენსაციაც გადაიხადა, მაგრამ საქმე არ დახურულა. ახალმა მოსამართლემ რეჟისორს შესთავაზა ყველა ბრალდების მოხსნა იმ პირობით, თუ სასამართლო პროცესი პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. პოლანსკიმ უარი განაცხადა.

კომუნისტური პოლონეთიდან 1960 წლიდან ემიგრირებულმა რეჟისორმა უამრავი ფილმი გადაიღო, რომელთა უმეტესობა მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. 1969 წელს პოლანსკის ორსული ცოლი შარონ ტეიტი ჩარლზ მენსონის დაჯგუფების წევრებმა მოუკლეს.

ამ ტრაგედიის შემდეგ ღრმად დამწუხრებული რეჟისორი ევროპაში გადავიდა საცხოვრებლად და იქ განაგრძო ფილმების გადაღება.

1974 წელს პოლანსკი აშშ-ში დაბრუნდა და ჯეკ ნიკოლსონის მონაწილეობით გადაიღო ფილმი „ჩინური კვარტალი“.

მისი უკანასკნელი ნამუშევრებიდან ყველაზე ცნობილი 2002 წელს გადაღებული „პიანისტია“, რომლისთვისაც იგი, როგორც საუკეთესო რეჟისორი, „ოსკარით“ დაჯილდოვდა. მაგრამ, სწორედ ზემოხსენებული ბრალდების გამო, პოლანსკი ამერიკული კინოაკადემიის ცერემონიას არ დასწრებია და მოპოვებული ჯილდო მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ მიიღო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ მოვიპაროთ მილიონი?



**შვედეთში ერთ-ერთი კომპანიის გაქურდვას უკვე უწოდეს უპრეცედენტო. ბოროტმოქმედები თეთრი ვერტმფრენით დაეშვნენ შენობის სახურავზე, სულ რამდენიმე ფანჯარა ჩაამტვრიეს, მშვიდადააფეთქეს ფულისა და ფასიანი ქაღალდების საცავი, მოიპარეს ასობით მილიონი დოლარი და იმავე ვერტმფრენით გაფრინდნენ.**

ამ ფაქტის შემდეგ სტოკჰოლმის ბანკომატებში ნაღდი ფულის დეფიციტი შეიქმნა.

სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას კი მიცვივდნენ და შენობას ალყაც შემოარტყეს, მაგრამ მძარცველებს არავინ დადევნებია, ვინაიდან მათ პოლიციის ვერტმფრენები წინასწარ გამოიყვანეს მწყობრიდან. საქმის გახსნა ქვეყნის უძლიერეს გამომძიებლებს დაევალათ. მათაც გაარკვიეს, რომ მძარცველების ვერტმფრენი კერძო პირის საკუთრება იყო და ის მილიონების მოპარვამდე ცოტა ხნით ადრე გაიტაცეს აეროპორტიდან.

გამოძიების მონაგარი სულ ესაა. მილიონებს, ისევე, როგორც მათ გამტაცებლებს, ჯერჯერობით ვერსად მიაკვლიეს.

გაძარცვული ობიექტი ნაღდი ფულით ადგილობრივ ბანკომატებსა და მრავალ განყოფილებას ამარაგებდა. თუ არაფერი შეიცვალა, ეს დანაკლისი მთელი სტოკჰოლმის ჯიბეს დაეტყობა.

# რას მალავენ მოდელები?

**საფრანგეთში პოლიტიკოსები აპირებენ ფოტომოდელთა სურათებით აჭრელებული ჟურნალების გამომცემელთა დავალდებულებას, ყველა ფოტოს მიეწეროს, რომ მათზე გამოსახული მოდელები კომპიუტერული პროგრამების დახმარებით არიან „შელამაზებულნი“.**

პოლიტიკოსები ამით მათ ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, ვინც ამ ჟურნალების გმირებს ბაძავს და წარმოდგენაც არ აქვს, რომ რეალურ ცხოვრებაში მათი გმირები სულ სხვანაირები არიან. თურმე მოდელებთან მსგავსება-არმსგავსების გამო მოდის მიმდევრებს უამრავი კომპლექსი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არაერთი სერიოზული პრობლემა უჩნდებათ. საუბარი აღარაა დიეტად წოდებულ ცალსახა შიმშილზე, რომელსაც ხშირ შემთხვევაში გახდომა-გალამაზების ნაცვლად სავალალო შედეგი მოაქვს. ახალი კანონპროექტის მიხედვით, ყველა ფოტოს მიეწერება, რომ „მასზე გამოსახული ადამიანი შელამაზებულია“, ჟურნალებსა და მათ რედაქტორებს კი ამ კანონის დაცვის ხალისი რომ შეუნარჩუნდეთ, მისი დარღვევისათვის სოლიდური ჯარიმები დაწესდება: ერთი უწარწერო ფოტოს დაბეჭდვა — 37,5 ათასი ევრო.




# ვინ გადაარჩენს დედამიწას?

**მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები შიშობენ, რომ სულ რაღაც 10 წელიწადში ჩვენს პლანეტაზე შეუქცევადი კლიმატური ცვლილებები დაიწყება და სასიკეთო არაფერი გველის.**



გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მსოფლიოს დედამიწის გადასარჩენად გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ჩინეთი და აშშ, რომლებზეც საწარმოო გამონაბოლქვების უდიდესი წილი მოდის, თანახმანი არიან. მაგრამ მხოლოდ თანხმობა საქმეს ვერ შველის, მოქმედებაა საჭირო, თანაც, დღესვე.

ბარაკ ობამას განცხადებით, თუ მსოფლიო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად არც ხელს გაანძრევს და არც ტვინს, მას არა მხოლოდ დაღუპვა, არამედ მომავალი თაობებისგან განკითხვაც ელის.

მისივე თქმით, მართალია, განვითარებად ქვეყნებს გლობალურ დათბობასთან ბრძოლისათვის ჩინეთისა და აშშ-ს მსგავსი რესურსები, უბრალოდ, არ გააჩნიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ მათ უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები პრობლემის გადასაჭრელად.

# ჰიჯაბი მანეკენებმაც უნდა ატარონ?

**ირანის პოლიციას მაღაზიებში გამოდგმული მანეკენების გარეგნობაღა დარჩა სადარდებელ-მოსაწესრიგებელი. ამისთვისაც მოიცალეს ისლამური მორალის მცველებმა და მაღაზიების მეპატრონეებს ახარეს, რომ ამიერიდან ქალის ტანსაცმელში გამოწყობილ ყველა მანეკენს თავზე ჰიჯაბი უნდა ეხუროს.**



გარდა ამისა, სასტიკად იკრძალება ჰალსტუხების გამოფენა, ქალის თეთრეულის გაყიდვის უფლება კი მხოლოდ ქალ გამყიდველებს რჩებათ. წარსულში პოლიციელებს ტანსაცმელთან დაკავშირებული თავისტკივილები ძირითადად ზაფხულობით უჩნდებოდათ ხოლმე, თუმცა ქალის ვიწრო შარვალს ზამთარზაფხულ ერთნაირად დევნიან. ვიდრე მაღაზიებს დაერეოდა, ირანის ხელისუფლება მოდელიორებსა და მოდების ჩვენებებზე გამომსვლელ მანეკენებს უტევდა. მაგალითად, გასული წლის სექტემბრიდან მოდების ჩვენების საქმეში პოდიუმების გამოყენება სასტიკად აიკრძალა, მოდელებს კი კოსმეტიკა მინიმალურად უნდა გამოეყენებინათ და ისე მოქცეულიყვნენ, რომ მაყურებლის ყურადღება ტანსაცმლიდან საკუთარ თავზე არაფრით გადაეტანათ. რაც შეეხება ტანსაცმელს, სპეციალური კანონის მიხედვით, ჩვენებაზე მხოლოდ იმ სამოსს წარადგენდნენ, რომელიც მთლიანად ფარავს ქალის სხეულის მოხაზულობას, არავითარი ვიწრო და მოტკეცილი. ქალის თმა, ასევე, სრულად უნდა იყოს შეფუთული. გარდა ამისა, ინსტრუქციაში ცალკე ქვეთავი ეძღვნება ჩვენებების მუსიკალურ გაფორმებას — ის მოდელებს სიარულის ულირსი მანერისაკენ არ უნდა უბიძგებდეს.

თავად მოდების ჩვენება ირანში სულ რაღაც სამი წლის წინათ დაუშვეს. მანამდე საჩვენებელი ტანსაცმელი მხოლოდ უსულო მანეკენებს ეცვათ და ამ ტანსაცმელში მთავარი ფერი შავი იყო.

მას შემდეგ ირანში ცხოვრება წინ წავიდა და ქალებს შავის გარდა სხვა ფერის ტანსაცმლის ჩაცმის ნებაც მიეცათ, თუმცა მათი სხეული მთლიანად (თავის ჩათვლით) დაფარული უნდა იყოს ფარფარა სამოსით, რომელიც სხეულის ყველა შტრიხს საგულდაგულოდ დამალავს. შიშველი იდაყვის გამოჩენამ, ისევე, როგორც თავსაბურავის ქვეშიდან ჩამოშლილმა თმამ, ირანში ქალს შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას — ჯარიმა ან გაროზგვა არ ასცდება.

# რატომ მოკვდა «ამერიკული ოცნება»?



**ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილის — იმიგრანტების რაოდენობა უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე პირველად შემცირდა. მსოფლიო მოსახლეობას „ამერიკული ოცნების“ აღარ სჯერა. შარშან აშშ-ში წინა წელთან შედარებით 100 ათასით ნაკლები მიგრანტი ჩავიდა.**

2000-2006 წლების მონაცემებთან შედარებით, იმიგრანტთა რაოდენობა განახევრდა, მაშინ აშშ-ში ყოველწლიურად მილიონი ადამიანი იწყებდა „ახალ ცხოვრებას“. ექსპერტების აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ამერიკის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაა. ამ ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია მსოფლიოს ბევრი სამუშაო ადგილით მოაწონოს თავი.

# კასპაროვი თუ კარპოვი?

**ჭადრაკის მსოფლიო ექს-ჩემპიონების — გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის 22-24 სექტემბრის მატჩი, რომელიც ესპანეთში, ვალენსიაში გაიმართა, კასპაროვის გამარჯვებით დასრულდა.**




პირველი ორი პარტია კასპაროვმა მოიგო. ორივე ჯერზე კარპოვს თამაშისათვის განკუთვნილი დრო ამოეწურა. კასპაროვმა თეთრებით მოთამაშე მოწინააღმდეგეს უპირატესობა მისცა, მაგრამ შემდეგ თავისი უჩვეულო სვლებით დააბნია და კარპოვს საფიქრელად დრო არ ეყო. მეორე პარტიისას კი კარპოვის მდგომარეობა დასაწყისიდანვე უიმედო იყო. შემდეგი ორი სწრაფი პარტიიდან ერთი კასპაროვმა მოიგო, ერთი — კარპოვმა. მომდევნო რვა ბლიციდან კი ხუთი კვლავ კასპაროვის გამარჯვებით დამთავრდა, ორი — ფრედ, ერთი კი კარპოვმა მოიგო.

# ვინ გადაცურავს ევერესტს?

**ბრიტანელმა ლუის გორდონ პიუმ გადაწყვიტა, მყინვარ კუმბუზე, ზღვის დონიდან 5,2 კილომეტრის სიმაღლეზე მდებარე ტბაში იცუროს. მყინვარი ჰიმალაის მთებში, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. ამგვარად, პიუ იმედოვნებს, რომ ევერესტზე მცურავი პირველი ადამიანი იქნება.**



მცურავი მხოლოდ საცურაო კოსტუმის, ქუდისა და სათვალის ამარა ტბაში ერთი კილომეტრის გაცურვას აპირებს, მისი გათვლით, საამისოდ წყალში სულ 20 წუთით მოუწევს ყოფნა. ბრიტანელის ამ თავგანწირვას პოლიტიკოსების გამოფხიზლების და კლიმატური ცვლილებებისადმი მათი მზერის მიპყრობის მიზანი ამოძრავებს. მეცნიერების აზრით, სულ რაღაც 25 წლის შემდეგ ჰიმალაის მყინვარები მთლიანად წყლად იქნება ჩამოღვრილი, დღეისათვის იქ ტემპერატურა უკვე მომატებულია ერთი გრადუსით. 2007 წელს პიუმ უკვე იცურა ერთი კილომეტრი 1,8-გრადუსიან წყალში ჩრდილოეთ პოლუსზე, ამას 19 წუთი მოანდომა და რეკორდიც დაამყარა. ეს ყველაზე ცივი წყალი იყო, რომელშიც ოდესმე გაუცურავს ადამიანს. გარდა ამისა, ეს ბრიტანელი მსოფლიოში ერთადერთია, რომელმაც მსოფლიოს ყველა ოკეანის გრძელ დისტანციებზე ცურვაში მონაწილეობდა და მთელი ტემზა გადაცურა.

# რაში სჭირდებათ ბრიტანეთში ჰომოსექსუალები?

**ლონდონის პოლიციამ გამოაცხადა, რომ სამეფო ოჯახის დაცვას „სპეციალური“ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები — ჰომოსექსუალები, ლესბოსელები და ტრანსსექსუალები ესაჭიროება.**



მათ სკოტლანდ-იარდის 1983 წელს ფორმირებული სპეციალური ქვედანაყოფი „SO14“ აგროვებს. ამ განყოფილების 400-მდე ოფიცერი სამეფო ოჯახის 20-მდე წევრსა და მათ რეზიდენციებს იცავს. ახლა „SO14“-ში 30 ვაკანსიაა. პრეტენდენტებს თანამდებობის, ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად ანაზღაურების სახით 29 500-დან 41 200-მდე ფუნტი სტერლინგი მიეცემათ. ახალბედები სამეფოს სამ რეზიდენციაში — ბუკინგემის სასახლეში, უინძორის ციხესიმაგრესა და შოტლანდიაში მდებარე ბალმორალის ციხესიმაგრეში იმსახურებენ. აღნიშნული ვაკანსიის კომენტირებისას სკოტლანდ-იარდის წარმომადგენელმა ბრძანა, რომ მათი უწყების ზოგიერთ ქვეგანყოფილებაში სათანადოდ არ არიან წარმოდგენილნი სოციალური უმცირესობები და ამ მდგომარეობის გამოსწორება სურთ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# The Beatles ისევ რეკორდსმენია?

**კომპანია „EMI Group PLC“-ის ცნობით, „ლივერპულელი ოთხეული“ კვლავ ყველა რეკორდს ხსნის. ჯგუფის ალბომების კოლექციის ხელახალი გამოცემიდან პირველი ხუთი დღის განმავლობაში 2,25 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.**



ციფრულ ფორმატში გადატანილ 12 ალბომს თან ახლავს 1967 წლის სტუდიური ჩანაწერების ორდისკიანი მინიალბომიც. ყველა მათგანს მაქსიმალურად შეუნარჩუნდა ორიგინალური ხმოვანება, ზუსტადაა დაცული გარეკანის დიზაინი და, გარდა ამისა, ყველა მათგანს თან ერთვის მომცრო ზომის ბუკლეტი სიმღერების ტექსტებითა და იშვიათი ფოტოსურათებით. კრებულს შეზღუდული რაოდენობით ახლავს რამდენიმე დოკუმენტური ფილმიც, რომლებიც აღნიშნული ალბომების ჩაწერის ისტორიებს ასახავს.

The Beatles-ის პირველი სამი ალბომი პირველად გამოიცა ციფრული სტერეოხმოვანებით.

შეგახსენებთ, რომ 1963 წლიდან ჯგუფმა საკუთარი ალბომების 600 მილიონი ასლი გაყიდა.

# რატომ იკლავენ თავს „France Telecom“-ის თანამშრომლები?

**საფრანგეთში „France Telecom“-ის თანამშრომელთა თვითმკვლელობებმა უკვე მთელი ქვეყანა შეაშფოთა. მორიგი მსხვერპლი პარიზელი ახალგაზრდა ქალი გახლდათ. უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე ეს უკვე 22-ე შემთხვევაა და პროფკავშირი ირწმუნება, რომ მთავარი დამნაშავე კომპანიაა, რომელსაც თანამშრომლები სასოწარკვეთამდე მიჰყავს.**





პრეზიდენტმა სარკოზიმ სასწრაფოდ ზომების მიღება ბრძანა. სამაგიეროდ, მათ, ვინც სიტუაცია უფრო საფუძვლიანად გააანალიზა, აღმოაჩინეს, რომ „France Telecom“-ის 102 ათას თანამშრომელს შორის თვითმკვლელობათა პროცენტული მაჩვენებელი წელიწადში 15,3-ის ტოლია, მთელ საფრანგეთში კი — ყოველ 100 ათას ადამიანზე 14,7-ის. ასე რომ, სხვაობა თითქმის არ შეინიშნება და, თუ რაიმე შესაშფოთებელია, შეშფოთების მიზეზი მთელ საფრანგეთს აქვს და არა მხოლოდ ამ ერთ კომპანიას.

საერთოდ, ფრანგები ჰოლანდიელებზე 1,9-ჯერ, იტალიელებზე 2,8-ჯერ და ესპანელებსა და ბრიტანელებზე 2,4-ჯერ უფრო ხშირად ასრულებენ სიცოცხლეს თვითმკვლელობით. საფრანგეთი ევროპის მდიდარ ქვეყნებს შორის თვითმკვლელობების მხრივ ლიდერია. მხოლოდ შარშან 10 500-მა ფრანგმა საკუთარი ნებით მოისწრაფა სიცოცხლე. ამის მთავარ მიზეზად ისევ სამსახურებრივი ვერსია მოიაზრება. ფრანგები უფრო მეტად არიან საკუთარ სამსახურსა და საქმეზე მიჯაჭვულნი, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხი დედამიწაზე. საფრანგეთის საზოგადოების საფუძველი სწორედ სამსახურია, ამ საფუძველს კი გლობალურმა კრიზისმა ისეთი ბზარი გაუჩინა, რომ ადამიანებმა სოციალური კავშირების რღვევის შედეგად ცხოვრების ორიენტირები დაკარგეს.

# ვინ გააბრაზა პლანეტის ყველაზე თმიანი კაცი?

**ჩინელმა იუი ჩჟენხუანმა, რომელიც პლანეტის ყველაზე თმიან ადამიანადაა აღიარებული, გადაწყვიტა, სხეულზე თმა მოიშოროს. ამგვარ დასკვნამდე იგი მას შემდეგ მივიდა, რაც კინოსტუდიამ მაიმუნის როლის შესრულებაზე უარი განუცხადა.**



არადა, მას ფილმში მთავარი — მაიმუნების მეფის სუნ უკუნის — როლის შესრულება სურდა და საამისოდ სინჯებიც გაიარა. უფრო სწორად, ვერ გაიარა, სპეციალისტებმა დაიწუნეს. „ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ნამდვილ მაიმუნს დავმსგავსებოდი, ვფიქრობდი, რომ ამ როლისათვის საუკეთესო კანდიდატურა ვიქნებოდი, მე ხომ მართლაც მაიმუნივით გამოვიყურები და ბევრი ასეც მეძახის“, — თქვა საბრალო იუიმ და გადაწყვიტა სამუდამოდ მოიშოროს თმა, რომლითაც მისი სხეულის 96 პროცენტია დაფარული.

იუის განცხადებით, მას შემდეგ, რაც გარეგნობას შეიცვლის, ფილმის — „მოგზაურობა დასავლეთში“ — რეჟისორი მწარედ ინანებს, რომ არ მისცა როლი. იმ კლინიკაში, სადაც ხელმოცარული მსახიობი ზედმეტ თმას მოიშორებს, ამბობენ, რომ პაციენტს რამდენიმე პლასტიკური ოპერაციაც დასჭირდება, მათ შორის, თვალის ჭრილის გასადიდებლად და ცხვირის დასაპატარავებლადაც. მანამდე კი იუის ყველა სამსახიობო წარმატებას მხოლოდ მის უჩვეულო გარეგნობას მიაწერენ.

ჩჟენხუანი ბავშვობიდან ამ საქმითაა დაკავებული, შვიდი წლის ასაკში მან პატარა მაიმუნის თავგადასავალზე გადაღებულ ფილმში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დიდი მაიმუნის როლზე უარმა იმდენად გააბრაზა, რომ გადაწყვიტა, დანარჩენი მწვერვალები უჩვეულო გარეგნობის გარეშე დაიპყროს.

# ფეთქებადი წიგნი?

**როგორც მსოფლიო პრესა შეშფოთებით ირწმუნება, ბრაზილიაში გამოიცა წიგნი სახელწოდებით „ბირთვული აფეთქების ფიზიკა“.**

წიგნის თვითმხილველთა მტკიცებით, მისი გავრცელების შემთხვევაში მსოფლიოს ბირთვული გაუვრცელებლობის ყველა მცდელობას წყალი წაიღებს.

წიგნში ფიზიკოსი დოლტონ ბაროზო ხსნის რამდენიმე პრინციპს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ბირთვული ბომბის შექმნისათვის. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო და პენტაგონი ახალი გამოცემის გამო აღშფოთებას ვერ მალავენ. წიგნის ავტორს კი მათი აღშფოთება დიდად არ ადარდებს და ირწმუნება, რომ წიგნში განთავსებული მთელი ინფორმაცია აქამდეც ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

# რამდენი წლისაა დამნაშავე?

**ბრიტანეთის პოლიცია იძიებს ინციდენტს, რომელშიც მთავარი ეჭვმიტანილი სამი წლის ბავშვია.**



ბიჭი, რომელსაც ვანდალიზმსა და ქონების ხელყოფას აბრალებენ, ქვეყნის მართლმსაჯულების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ეჭვმიტანილია. ბავშვს, რომლის სახელიც არ გახმაურებულა, რამდენიმე თვის წინათ უჩივლეს. მომჩივანის თქმით, ბავშვმა სახლში ყველაფერი მოსპო და გაანადგურა. მიყენებული ზარალის შესახებ მონაცემები ცნობილი არაა, არც ისაა ცნობილი, ოჯახის წევრმა უჩივლა ბავშვს, ნათესავმა, სტუმარმა თუ მეზობელმა.

შემთხვევის ადგილას მისული პოლიცია იძულებული გახდა, ბავშვს დალაპარაკებოდა, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობით, რვა წლამდე ასაკის ბავშვი, მადლობა ღმერთს, პასუხისგებაში ვერ მიეცემა.

# ვინ ქირაობს მეგობრებს?

**იაპონიაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სააგენტოები, რომლებიც ყალბ მეგობრებსა და ნათესავებს აქირავებენ. იმ ფირმების რაოდენობა, რომელთა თანამშრომლებიც კლიენტის უახლოესი ადამიანებისა და ნათესავების როლებს ასრულებენ, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გაორმაგდა.**



ამჟამად იაპონიაში 10 ასეთი ფირმაა და მათგან უმსხვილესში 1000-მდე ადამიანი მუშაობს. მეგობრების გაქირავების პირველი სააგენტო იაპონიაში 9 წლის წინათ გაიხსნა. მისი და შემდგომში გახსნილი მსგავსი სამსახურების თანამშრომლები კლიენტებთან ქორწილებზე, პანაშვიდებზე, ბავშვების დაბადების დღეებზე ან სხვა ღირსშესანიშნავ დღეებში მიდიან და დანარჩენ სტუმრებს მასპინძლის მეგობრებად ეცნობიან. ამგვარად, მათი კლიენტები თავიანთ ნაცნობებსა თუ კოლეგებს საკუთარ მარტოსულობას უმალავენ. გარდა ამისა, ფირმიდან შესაძლებელია ბავშვის მამის ან ბიძის გამოძახება, რომელიც მის მასწავლებლებს დაელაპარაკება. უმუშევარ იაპონელს უპრობლემოდ შეუძლია, სახლში დაპატიჟოს თავისი სუროგატი უფროსი ან სულაც მეგობრებთან წვეულებაზე ლამაზი ქალის თანხლებით წავიდეს და ის ყველას თავის საცოლედ წარუდგინოს.

დაბადების დღეზე რომ სააგენტოდან „მეგობარი“ ეწვიოს, ამისათვის იაპონელს დაახლოებით 160 დოლარის გადახდა დასჭირდება, ნებისმიერი დამატებითი დავალება ამ საფასურს, ცხადია, ზრდის. დავალებაზე წასვლამდე თანამშრომლები სააგენტოში სერიოზულ მომზადებას გადიან, რასაკვირველია, კლიენტის დახმარებით. კლიენტების რაოდენობას კი სააგენტოები არც არასდროს უჩიოდნენ და დღითიდღე მზარდ მოთხოვნილებას უკვე ვეღარც აუდიან.

# სად იმალება სხვა დედამიწა?

**ფრანგულმა კოსმოსურმა ტელესკოპმა აღმოაჩინა პლანეტა, რომელიც ძალიან ჰგავს დედამიწას. ახალი დედამიწა მზის სისტემას არ განეკუთვნება. დღეისათვის, მეცნიერების მონაცემებით, აღმოჩენილია სულ 315 ვარსკვლავის ირგვლივ მბრუნავი 375 პლანეტა, მაგრამ ახალი „CoRoT-7b“ მათ შორის პირველია, რომელიც სიმკვრივის მიხედვით ძალიან ჰგავს დედამიწას.**





აქამდე აღმოჩენილი პლანეტების უმეტესობა აირისმაგვარი შემადგენლობის იყო, ახალი მონაპოვრის ერთი კუბური სანტიმეტრი კი 4,7 გრამს იწონის და ქვის მსგავსი სტრუქტურა აქვს. ამგვარი პლანეტები სამყაროში ძალზე ძნელი მისაგნებია, ვინაიდან გაზისებურ პლანეტებთან შედარებით ბევრად მცირე ზომისანი არიან. თუმცა მხოლოდ სიმკვრივე არ კმარა იმის სათქმელად, რომ „CoRoT-7b“-ს ზედაპირიც დედამიწის ზედაპირის მსგავსი იქნება. საქმე ისაა, რომ ახალი პლანეტა სულ რაღაც 2,5 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული თავისი ვარსკვლავისაგან. ამის გამო ის მხარე, რომელიც მუდმივად ვარსკვლავს უყურებს, ათასობით გრადუსამდეა გახურებული და მუდმივად გავარვარებული ლავითაა დაფარული. მეორე მხარეს ვარსკვლავის სხივი საერთოდ არ ხვდება და იქაური ტემპერატურა მინუს 200 გრადუსზე ნაკლებია. ამ პლანეტაზე წყლისა და სიცოცხლის აღმოჩენის იმედი არავის აქვს, ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლის ჩვენთვის ნაცნობ ფორმებს იქ ნამდვილად არაფერი ესაქმება. ვარსკვლავი, რომლის ირგვლივაც ახალი პლანეტა ბრუნავს, დედამიწიდან თითქმის 500 სინათლის წლითაა დაშორებული, ის ჩვენს მზეზე პატარა და ბევრად უფრო ცივია.

# მოდი და ნუ მოეფერები!



**აფხაზეთში მიმავლებს (კერძოდ, ბიჭვინთის ჟურნალისტთა დასასვენებელ სახლში) ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობის გამო მე და ჩემს მეგობარს — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“რედაქციის გამგეს ნოდარ ძოწენიძეს ერთი ღამის გათენება ზუგდიდში მოგვიხდა. გვირჩიეს, თუ კარგი სასტუმრო გნებავთ, ენგურის ქაღალდკომბინატს მიაკითხეთო.**

კომბინატისკენ გავეშურეთ. შორიდანვე შევამჩნიეთ ლამაზი შენობა. მისვლისას ადმინისტრატორს საბუთები წარვუდგინეთ და ორსაწოლიან კეთილმოწყობილ ნომერში მოვთავსდით. რაკი სასტუმროს საკითხი მოვაგვარეთ, ახლა ავტომანქანის შეკეთებაზე დავიწყეთ ფიქრი. ამასთან, დიდი სურვილი გაგვიჩნდა, ამ უზარმაზარი საწარმოს გენერალური დირექტორი ოთარ ფაცაცია გაგვეცნო. სურვილი სასტუმროს ადმინისტრატორს გავუმხილეთ.

რამდენიმე წუთში სასტუმროს შესასვლელთან შავი „ვოლგა“ გაჩერდა. უცნობი შინაურულად მოგვესალმა და კომბინატში წაგვიყვანა. სამდივნო გაფრთხილებული ჩანდა, მისვლისთანავე ლამაზი გოგონა წამოდგა, თავაზიანად მოგვესალმა და კაბინეტის კარი გაგვიღო. ათლეტური აღნაგობის ლამაზი კაცი საწერ მაგიდასთან მისვლამდე შუა გზაზე შეგვეგება. ერთმანეთი დიდი ხნის მეგობრებივით მოვიკითხეთ. ავტომანქანის გასაღები სამდივნოში დაგვატოვებინეს და კომბინატის დასათვალიერებლად გავედით. ტერიტორიაზე ფაცაციას გამოჩენისთანავე მოკრძალებული პატივისცემის გამომხატველი ფაცი-ფუცი ატყდა.

ჩვენ თვალწინ წარმოუდგენელი სანახაობა გადაიშალა. უზარმაზარი მორები თითქოს ვეშაპის ხახაში ცვიოდა და ნაფოტებად ქცეული უჩინარდებოდა. საამქროდან საამქროში შთაბეჭდილებებით დატვირთული დავდიოდით.

ბატონმა ოთარმა დაღლილობა შეგვატყო, დასვენება შემოგვთავაზა და დროებით დაგვემშვიდობა. სასტუმროში დავბრუნდით. ავტომანქანა ადგილზე აღარ დაგვხვდა.

საღამოს ჩვენი გაცნობისა და სტუმრობის აღსანიშნავად პურმარილზე დაგვპატიჟეს.

მას მერე სამი ათეული წელი გავიდა. მეხსიერებაში კი უფრო და უფრო გაღრმავდა ზუგდიდში გატარებული რამდენიმე დღე. მეორე დღეს ჩემი ავტომანქანა მხოლოდ სახელმწიფო ნომრით ვიცანი, ბიჭვინთაში წასვლა კი კიდევ ერთი დღით გადაიდო. აფხაზეთში წასვლის წინ გაიშალა გამოსამშვიდობებელი მეგრული სუფრა. ბატონმა ოთარმა თამადად საწარმოს პროფკავშირის თავმჯდომარე აირჩია. ძალზე თბილი და, ამავე დროს, საქმიანი საუბარი გაიმართა. იტყვიან ხოლმე, ქართული სუფრა აკადემიააო, მრავალი შეკითხვა დავუსვით მასპინძელს და ამომწურავი პასუხებიც მივიღეთ.

სამათასიანი კოლექტივის ჭირისა და ლხინის თანაზიარი იყო. როცა ადგილობრივი ექიმები ვერ ახერხებდნენ რთული დაავადებების მკურნალობას მაღალკვალიფიციური სპეციალისტის გარეშე, ასეთ შემთხვევაში ბატონი ოთარის ავტორიტეტი აგვარებდა თბილისიდან საჭირო პროფესორის ჩამოყვანას.

კეთილი საქმეებითა და და ქველმოქმედებით აღსავსეა ოთარ ფაცაციას მოღვაწეობა. მის სახელს უკავშირდება ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, კეთილმოწყობილი დასასვენებელი ბაზის აგება.

ჟურნალ „ნიანგის“ საქმე ქება-დიდება არ არის, მაგრამ 24 წლის წინათ დაწერილი პუბლიკაციის სათაური გამახსენდა: „მოდი და ნუ მოეფერები!“

ბატონ ოთარ ფაცაციას და მის თანამშრომლებს გულთბილი მიღებისა და სანაქებო მასპინძლობისთვის დიდი მადლობა გადავუხადეთ. მის მიმართ ღრმა პატივისცემა და წრფელი სიყვარული კი აფხაზეთში თან გავიყოლეთ.

**ჟანი სიხარულიძე**





## უნივერსალური წყალი „ისიდა“

### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



შპს „ისიდა“ გთავაზობთ ხარისხობრივად ახალი ტიპის, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სუფრის წყალს — „ისიდას“, რომელიც აბსოლუტურად აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს, სერტიფიცირებულია და შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ მინერალებს, იოდს, ფტორს, კალციუმს, კალიუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, თუთიას და მანგანუმს. საერთო მინერალიზაცია (350 მკ/ლ) უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქის და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ფუნქციონირებას, ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას. გამიზნულია ოჯახური მოხმარებისათვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ:**
**თბილისი: 899-16-30-21; 890-26-15-15 (ოფისი);**
**რუსთავი: 890-11-50-99, 895-91-24-14**

## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
- სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერება; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
- ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
- ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77**


საქართველო **ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net



პირველი
http://www.pirweli.com.ge

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge